

644/  
1958/4

*just.*



**Օրվա զրոյան**

**3**

## შ ი ნ ა კ რ ს ი

ბ. გეგმეპორი — ლექსები . . . . .	• 5
ლ. გოთუა — დაბრუნებული მამაია (მოთხრობა) . . . . .	9
მ. ქახიძე — ლექსები . . . . .	27
ვ. გორგაძე — მოსკოვი (ლექსი) . . . . .	29
რ. ჩანანიძე — სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე (მოთხრობა) . . . . .	31
ო. მამფორია — ლექსები . . . . .	54
ფ. ნინაძე — სიმღერა სიყვარულზე (ლექსი. თარგმნა ნ. კილახონიამ). მშვიდობის ვარსკვლავები (ლექსი. თარგმნა მ. კახიძემ). . . . .	55
მ. აბრამიშვილი — ლექსები . . . . .	57
ჯ. სტიწინაძე — მარგალიტი (მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ა. რატიანმა). . . . .	59

### კომკავშირის სახელმწიფო 40 წელი

ბ. თორაძე — მისი ხვალისდელი დღე . . . . .	84
---	----

### ჩვენი აღამიანები

ზ. ჯამბასკიშვილი — „მანხანაზე ჩავიარე“ . . . . .	86
--	----

### თბილისის 1500 წელი

მ. ბერიძე — ქალაქის ზრდა . . . . .	89
------------------------------------	----

### კრიტიკა და კუბლიცისტობა

ბ. ხუხაშვილი — როდესაც მღერის ახალგაზრდა გული . . . . .	102
ვ. შელიძე — საშვილიშვილო სავანეში . . . . .	112
ს. მენუაშვილი — ე. მონიგმანზე ერთი წერილის გამო . . . . .	124

### წიგნის თარგ

ბ. ხანია — საქართველოში მარქსიზმის სათავეების შესწავლისათვის . . . . .	130
თ. ჯანაშვილი — „წარწერები კლდეზე“ . . . . .	132

7760

# 3

# 1958

## მარტი

სახელმწიფო  
გამომცემლობა  
„საბჭოთა  
საქართველო“





**ხელოვნება**

ლ. ავალიანი — წიგნის შემკობის ოსტატი . . . 134

**სპორტი**

რ. ძორაძე — ფეხბურთს თამაშობს ყველა . . . 138

**საბირა და იუმორი**

კ. კუხნიანიძე — ბაქარ ბუქაიძე ბაქიბუქოვს,  
ციალას თვალები და ობიექტური აზრი . . . 144


ჯემალ ლოლუა — ნახატი-ხუმრობები . . . 148

**ქოველი მხრიდან**

ალ. ბაგჟრელიძე — კამათი ბლავარიანის ვარ-  
შემო საზღვარგარეთ . . . . . 150

ძრონიკა . . . . . 155

ახალი წიგნები . . . . . 160



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

## მედი გეგეჭკორი

### ოჯახის სიმღერები

#### ამ კედლის იქით...

ამ კედლის იქით ოჯახის დედა  
ბავშვის აკვანთან ლამეებს ათევს,  
და უძინარის ღიმილით ხვდება  
დილით შემოსულ უსუსურ ნათელს.

ამ კედლის იქით მღერის ბუხარი,  
კედლებს აწყდება ჩაიდნის ორთქლი.  
და რქეს სვამს ბავშვი, როგორც წუხელის,  
ცეცხლზე შემთბარი პატარა ბოთლით.

ამ კედლის იქით ფრთხილად მალავენ  
ბედნიერებას ოჯახურს, ფარულს,  
მხოლოდ მე ვისმენ და სხვა არავენ  
უხილავ სიმთა უნაზეს წკარუნს.

მე ის სიმღერა მეუცხოება  
და ისე ვისმენ, როგორც სტუმარი,  
ამ კედლის იქით არის ცხოვრება,  
ჩემთვის უცნობი და იდუმალი.

მე ალბათ მალე ბავშვის ძახილზე  
არ გავიღვიძებ და ყურს მივაჩვევ,  
მაგრამ ჯერ ღამით ისევე მალვიძებს  
აკვნის რწევა და ბავშვის სიანჩხლე.

და მიხარია ბავშვიც, სინაზეც,  
ისიც, რომ ბნელში ბავშვმა მაჯობა,  
ისე თბილია ჩვილის წინაშე  
ეს უმწეობა, უილაჯობა.

ჩემი ოცნებაც ისე თბილია,  
როგორც უბნო ბავშვის სიზმარი,

როგორც სიმღერა და იდილია,  
ის მეორდება ჩემში ცისმარე...

რომ ქვეყანაზე გაჩნდება ჩემიც,  
მოვა და ღამით იტირებს იგიც.  
ისევე, როგორც ამ კედლის მიღმა,  
ისევე, როგორც ამ კედლის იქით...

\*  
\* \*

მე გნახე ისევ, შენ ხარ იგივე,  
ისევ გაშინებს ქუჩაში თოვლი,  
კვლავ საუბარი გიყვარს იგავით  
და ღიღებს იბნევ თითების თრთოლვით.

და შენთვის ახლა მე ვარ მოსწავლე,  
შენთან მოსული თოვლიან ღარში,  
მე კი ვიარე და გაგასწარი,  
შენ მაინც ისევ ისეთი ღარჩი.

როგორც შენ, ისე ამ ქვეყნად, იქნებ,  
მე არც მიყვარდა კაცი არც ერთი,  
ვკოცნიდი შენგან ნაჩუქარ წიგნებს  
და მოწიწებით პალტოს გაცმევდი.

შენ მაშინ ჩემთვის იყავი ღმერთი,  
ღრომ შენი თავი ისევ მანახვა,  
შენ იგივე ხარ, და მაინც ჩემთვის  
რაც მაშინ იყავ, ის აღარა ხარ...

მაშინ ჩიტები გზებზე მღეროდნენ,  
იდგნენ დღეები ბალღური რწმენის,  
ნეტავი ახლაც ისე მჯეროდეს,  
როგორც მე მაშინ მჯეროდა შენი.

შენ ახლა ჩემთვის ძველი კაცი ხარ,  
ჩემს სასმენელად სმენადახშული,  
შენ აღარა ხარ ჩემთვის — რაც იყავ  
და ალტაცებაც გაქრა ბავშვური.

მე ახლა შენთან აღარ მჭირდება  
ღიღის წვალება, თვალების დახრა.  
სად არის ახლა ის მორიდება,  
ის მოკრძალება სად არის ახლა?!

დნება თოვლი და თოვლივით დნება  
შენი სიმშვიდე... და ხარ უძლური,  
განა იმისთვის გამზარდე, დედა,  
რომ მიგატოვო, როგორც კუნძული!

ჩვენს შორის ახლა მესამე ჩადგა,  
იგრძენ, ხელები დაბლა დაუშვი,  
შენ შეგეშინდა და შეკრთი, რადგან  
ის შეგეცილა ჩემს სიყვარულში.

ჩემს თავს გტაცებენ მისი თითები,  
მისი მკლავები, მისი ბაგენი,  
მაგრამ შენ მაინც ხავეს ეჭიდები  
რალაც სიმძაფრით და გაშმაგებით.

გაფორიაქებს, გტანჯავს, გამუნჯებს  
ტკივილი ჩუმი და უჩინარი,  
შენ გეკარგება დიდი საუნჯე,  
მაგრამ მშველელი, აბა, ვინ არი!

ვინ მოგეფეროს, ვილამ გაგართოს,  
ვინ შეგიცუროს თითები თმებში,  
შენ დაფარფატებ უმისამართოდ  
და გივარდება ხელიდან თეფში...

შარშან სხვაგვარი თვალით მზომავდი,  
ახლა გიმძიმს და თვალებს მარილებს,  
როგორც ქარიშხალს ელის ხომალდი,  
შენ ისე ელი დღეებს ხვალინდელს.

მე იგი მიყვარს, იცი და გჯერა,  
ეხ, ამას ხვდება ალლო დედური,  
და ყოველ დილით ეგ შენი მზერა  
ისე მიმყვება, ვით საყვედური...

გათეთრებული ჩვენი დედები  
რაოდენ უთქმელ ტკივილს იტყვენ;  
ძვირფასო დედავ, შენ გვედრები,  
ნუ იტანჯები და მომიტყევი!..

ეგ გარინდება, შიში და სევდა  
კვლავ განირიდე ღამის მწუხრივით,  
შენ ჩემთვის მუდამ იქნები დედა  
და ამათა შენი წუხილი!..

## ა პ რ ი ლ ი

ქუჩაში დნება ყვითელი თოვლი,  
შენ აფთიაქში მიგაქვს რეცეპტი,  
შენ ახლა შენი წარსულით ცხოვრობ  
და აღარ ეძებ, რასაც ეძებდი...

სახლში ბრუნდები და შენს ნაოჭებს  
მზე ჩამავალი სხივებით ხატავს,  
კაბის კალთებზე გეზღაუჭება  
და შენს ფეხებთან კრუტუნებს კატა.

გათეთრებული, სკამზე მძინარე,  
შენ მეოთხმოცეს ესწრები აპრილს,  
ხარ კალაპოტი დამშრალ მდინარის  
და დასასრული ლამაზი ზღაპრის.

შენ გაგიფრინდა ჭრელი პეპელა  
და შეგატოვა თითებზე ფერფლი...  
ნახვამდის, მივალ, მიხმოვს აპრილი,  
ისედაც ბევრი გავიღე მსხვერპლი.

გავზერგნი მიწას, წვიმებით დამბალს,  
შევხედავ მწვანის ახლად ამოსვლას,  
შენ მიერ ასჯერ მოყოლილ ამბავს  
მე ვერ მოვისმენ ამ სალამოსაც!..

რომ გამშვენებდა გრძელი ხაბარდა,  
ვიწრო კორსეტი და მაქმანები,  
რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,  
რომ ხარ მოხუცი და ნაქმარევი...

მე შენთვის გულიც შემტკივა ბარემ,  
როცა იხსენებ დღეებს მაშინდელს,  
მაგრამ აპრილი მეძახის გარეთ  
და მე ვერაფრით ვერ დაგამშვიდებ!..

## შუალამისას

სახლში ბრუნდება ჩემი ძმაკაცი  
და კიბეს მისი ეცემა ლანდი,  
ქუჩის ხმაურით დაღლილს, დაქანცულს,  
კისერში წვიმის წვეთები ჩასდის.

ის თავს იკავებს და არ ახველებს,  
იქნებ იძინებს ფეხმძიმე ცოლი,  
მოეჭიდება კარის სახელურს  
და ბნელში წვება სინათლის ზოლი...

ოთახში შესულს ახარებს ბინა,  
 სითბო, სიმშვიდე და აბაჟური,  
 მეუღლეს ტკბილი ღიმილით სძინავს  
 და მასში არის რაღაც ბავშვური...

რაღაც წარმტაცი და მიმზიდველი,  
 რაღაც დიადი და მიამიტი,  
 წევს თმებგაშლილი და მხრებშიშველი  
 და ცვალებადი, როგორც ამინდი.

ოთახში შესულს ნელა ეხვევა  
 სიმშვიდისა და სინაზის ქსელი,  
 საწოლთან მიდის და ცოლს ფეხებზე  
 საბანს ახურავს მზოუნველი ხელით.

მერე ჩახედავს ქვაბში მოხარშულს,  
 იქნებ სადილი დაუხვდეს თბილი;  
 ის ფეხაკრეფით დადის ოთახში,  
 რომ არ დაუფრთხოს მეუღლეს ძილი.

გარეთ ფანჯრებზე რჩება სისველე,  
 ქალაქსაც აწვიმს, ფანჯრებსაც აწვიმს,  
 და სავარძელში დიდხანს ისვენებს  
 ქუჩის ხმაურით მოღლილი კაცი.

და მერე, როცა სინათლე ქრება,  
 მწუხრის წინაშე, როგორც ჯებირი,  
 ფეხმძიმე ცოლის ღიმილი რჩება,  
 მარადიული და ღვთაებრივი...







23

„დაბრუნებული მამაია“

ნახატი დიმიტრი ერისთავისა

## ლევან გოთუა

# დაზოგუნული ჰაზარი

### მოთხრობა

უკვე თაკარა სიცხეები ჩამოწვა. წვიმების შემდგომ მზემადლიანად გამოიღარა. ახალ ხნულებს ჭარბი ომხივარი ასდიოდათ.

მუშახელიან ოჯახებს ასოებსა და ნაფუძვრებში თესვა მოეთავებინათ.

საბოსტნეებიც მრავალთარგულად მოწყობილ კვლებში ჩაკვანწულიყვნენ და ერთი შეხედვით — ვეებერთელა დალიანდაგებულ საბნებს ჰგავდნენ.

მხოლოდ აქა-იქ — მიწა ჯერაც ელოდა პატრონს... და ჯერ უხნავი ხარვეზები ობლად, გამოთიშულად გამოსჩანდნენ საერთო ღვივილში.

ციბაურიანთ ქვრივ თუთიას ბოსტანიცა და ნაყანევიც ჯერ ხელუხლებელი ჰქონდა. დაეწყო კია ქალს ბარვა ბოსტანში, მაგრამ აბა რა ბევრს დასძრავდა წვრილ-შვილის პატრონი, უსაქონლო დედაკაცი?!

ყოველ დილა ჰბარავდა, მაგრამ უფრო კი სოფლის იმედით იყო.

ოქრო-პაპამ ჩამოუარა და ანუგეშა:

— თუთია-ქალო! ცოტაც გვაცალე... მე თავად გათხოვებ მოზვრებს... ახალგახდნილებია, მაგრამ შენს ბოსტანსა და ნაყანევს კი გასწვდებიან. ამ ბარვას აბა სად აუთავდები, აჩაჩა-კავით გადაჰხან... იოლად წადი... გუთნეულის იმედი კი არა მაქვს.

... და მოზვრების მოლოდინში ხან ღობეს გამოაკავებდა თუთია, ხან რუს ამოუწმენდა პირსა და ნაკვალევს.

ამ დილითაც ადრე მოითავა შინა საქმე. ღარიბული შეჭამადიც მოუშნადა ბავშვებს. მალე მათაც გამოეღვიძათ.

— დედა, ძუძუ! — უმალ მიაძახა ბუთხუზა, თმანუჭუჭა ბიჭუნამ, კალთაზე აეტორღიალა და პაწაწინა, მაგრამ მჭიდვ ხელები სტაცა.

— დედა, როდის უნდა დასთხოვო ძუძუს გუცი? — უფროსივით შეეკითხა თუთია-ქვრივს ხუთი წლის თაკო.

— ჰაი, ჰაი, დრო კია, ორწლინახევრისა! — როგორც თანატოლს, უპასუხა დედამ. — ეპ, დამეჩაგრა უმამოდ... ცოდეაა... არც ძროხა გვყავს... შენ კი წლის თავზე გაგაშვებინე...

— მახსოვს... — გაბედულად თავი ჩაიქნია გოგონამ, ყვლმოდერებით ჩამოისამთითა თხელი ნაწნავი და მიწურ იატაკზე ჩამოხტა.

— რა გახსოვს, გოგო? — სევდიანად გაელიმა დედას და შიშველ ბიჭუნას,



რომელსაც მის ძუძუში ცხვირ-ტუჩი ჩაემალა, ხელჩვეულად მოახურა ხანის ფლასი.

— აი ახლა გიკბენს გუცაი! თვალები დახუჭა! — შესძახა თავომ და ძმას ჩასუქებულ ფეხებში ხელი სტაცა.

— ჰა, ბიჭო?! — და სადღაც არსის ძირში, ტკივილთან ერთად, საამო ქრუანტელმაც დაუარა ახალგაზრდა ქვრივს.

რატომღაც ქმარი მოაგონდა... „იი უბედურო“... ისიც თმანუჭუჭი და ვგონებ კბილ-ბასრიც... სიყვარულით შენართავი, სიამტკბილად შეფერებულ.

... მაგრამ არ დასცალდა თუთიას ქმარ-ბედი. ორი წლის ძლივს იყო თავო, მათი პირველი შვილი, როცა ესტატე ციბაური ომში გაჰყვა ალექსანდრე-მეფეს. მხიარულად გაჰყვა, იმედიანად... თითქოს დღეობაში მიდიოდა... ტკბილის კვერი და ჩურჩხელები წაიღო საგზლად. ახალ ორსულად დასტოვა თუთია... ჰოდა მალე მხოლოდ მისი ხანჯალი და ცარიელი ხურჯინი მოუტანეს დასატირებლად.

მალე ვაჟიც შეეძინა. გუცა დაარქვა — არა მამის სახელი... თითქოს ესტატესაც ცოცხლად სთვლიდა. ასევე შთააგონა ბავშვებსაც — წასულია, მალე მოვაო... მამის სახელით უკეთებდა ყველაფერს და ბავშვებიც ისე სთვლიდნენ და იხსენებდნენ მამას, თითქოს სადღაც ავერ, ყანაში ყოფილიყო გადასული ესტატე.

ასე საოცრად და ყუჩად ცხოვრობდნენ ამ ღარიბულ ჰერქვეშ სამი ცოცხალი და ერთი არა...

— რათა, დედიკო... რათ არ მოდის მამაია... ამდენ ხანს? დაიღლებოდა?

— მოვა... — ყრუდ გაეპასუხა დედა.

— შენ სულ ავერ იძახი და...

— მოვა! მოვა! — პირი შეუშვა ძუძუს გუცამ, ახლა თვალებიც დააჭყიტა. — მეც კაკას მომიტანს... მამინ ალალ მინდა ძუძუი!..

თუთიამ უბე ამოიკრა და ბავშვი ძირს ჩასვა.

— თვალი გეჭიროს, გოგო... პერანგი გადააცვი... წასასვლელი ვარ... ქონხიც გამოჰგავე... გახსოვს, მამაშენი რომ იძახდა, თავო მოიზრდება და დაგებ-მარებო.

— მახსოვს! მახსოვს! — უმაღ დაუდასტურა გოგონამ და ოდნავ ირიბად აჭრილი თვალები კედლისაკენ გაეპარა. იქ მამის ჩოხა და ხანჯალი ეკიდა.

... მხოლოდ ეს ახსოვს თავოს, მამის სახეს კი ვერ იგონებდა ბავშვი. რაღა თქმა უნდა, მისი ნათქვამიც ისევე არ ახსოვდა, როგორც ძუძუს დათხოვნა. ხსოვნა-ბუნდის ზღვარი თავის მეხსიერებაში ვერ გაერკვია, ხოლო ბავშვური მიმხედურობით გრძნობდა, როგორ ამებდა დედიკოს თავისი დასტურით.

— მამაც მოიყვანე, მამა! — ერთხელაც მიაძახა თავომ კარში გასულ დედიკოს, კარს იქითაც მის ფეხის ხმას სმენა-გუმანი ააყოლა და რომ დარწმუნდა, მზის ჩასვლამდე დედა აღარ შემობრუნდებოდა — ძმის მზრუნველობასა და დიასახლისობას „მამის მოლოდინში“ უფროსივით შეუდგა.

— ჰა, შე ქალო! როგორც დაგპირდი... ეს კია, ცოტა შემავიანდა... ჯერ თაო და თაო... — მოზერები პირდაპირ ნაყანევში მოჰგვარა ოქრო-პაპამ. — შენ ქმრისეული ძველ-კავი აქა გაქვს ვგონებ?

— აქა მაქვს, შენ გიშველა ღმერთმა...

— აბა ჰა... თორემ ქალი რომ ბარვას დაიწყებს, შვილების გასაჩენად აღარ ვარგა!



— იპ, დალოცვილო... ეს ობლები დამაზრდევინა და არა მინდა რა!

— რათა, დედაკაცო, სოფელი ნუგეშითაა! — შეუძახა ოქრო-პაპამ, მაგრამ აღარ განაგრძო ბაასი, იცოდა, თუთიას არ უყვარდა ასეთი ლაპარაკი... არც თავად — „წირვაგამოსულ ბერიკაცს“ — უყვარდა ასეთი რამ, მაგრამ მიქუპკული ფესვებივით დახლართულ ფიქრებში სადღაც რაღაცას თუ ვიღაცას ეთარგებოდა-ეკვანძებოდა ჯერ ჩამოუქნელი, ბერიკაცული ვარაუდი.

მოზვრები ქალს დაუტოვა და სოფლისაკენ გამობრუნდა.

მოდიოდა, მაგრამ უსიამო გრძნობა მოჰყვებოდა ფეხდაფეხ.

— ეს აბა რაღა მადლია?... მარბილი აკლია... იპ, სულ არა აქვს მარბილი... აბა რას უნდა გახდეს ი ქვრივ-ოხერი? ისიც მარტოხელად... ძველ-აჩაჩა კავით? — თანისთვის ბუტბუტებდა კეთილი ბერიკაცი. — აბა, ჯანი რომ მქონდეს, არ დავიზარებდი... მაგრამა... სადღა შემიძლია? — დადუმდა, ისევ ჩამოუქნელ ფიქრებში შეიბუზნა და ბებრული ნაბიჯით აჰყვა სოფლის შარას.

საერთოდ ნათელი გონების პატრონს ამ ჯერად ვერა და ვერ გამოსდიოდა საჭირო ვარაუდები. აი სწორედ თავის ახალგაზენილ მოზვრებივით ებაძებოდნენ ფიქრები ურთიერთს.

„ან ეს კეხი შევაკეთებინო, ან ახალი გავათლევინო?“ მოხუცთათვის ჩვეული მრავალი ფიქრის ნაჟურად და მინც ყოყმანით დასკვნა და უკვე ფეხაქარებით ჩაუარა თავის სახლს. კარგა გაიმანძილა და სოფლის განაპირას, ჩატეხილ ღობეს ხენშით გადააღაჯა, დაბალ ქოხს მიადგა.

— ხოსიტავ, შინა ხარ?

— ჰოდე! — მოესმა ნამძინარევი ხმა. — რომელი ხარ?

— ადე, გამოიხედე, კაცო! ამ დროს ძილი გაგონილა კაცურ-კაცისაგან? ქაპან-წყვეტა სახნავებში! — ჯიქურ შეუტია ოქრო-პაპამ კარში გამოსულ ხოსიტას.

— თავუმაღური რომ ხარ, ახლა ხელუმაღურიც ხომ არ უნდა იყო? წამო, კეხი გამითალე... ხელობა კი კარგი გაქვს, მე და ჩემმა ღმერთმა, შენ არ ვარგინარ თორემა...

ხოსიტამ თვალები მოიფშვნიტა, ყბა-მრუდედ დაამტქნარა, წარბქვეშად შეპხნდა მოსულს და თითქოს არაფერი გაუგიაო:

— ოქრო-პაპავ, შენა ხარ?

— მე ვარ, მე, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა. — კაცო, ბოლოს და ბოლოს, თითო უბედურება ყველასა გვჭირს... გული გამოიბრუნე... სოფელში ხარ — სასაფლაოზე ხომ არა...

— აბა რა ვიცი და... ვცხოვრობ როგორც შემიძლია... — მჭლედ გაუღიმა ხოსიტამ. — კეხიო?

— ჰოდე, კეხი! გამომყე...

ოქრო-პაპა მობრუნდა და მეტი ყოყმანი რომ არ შესდგომოდა თავუმაღურს, სვლას უმატა. უკან, შორიახლოს მოჰყვებოდა ხოსიტა... ფეხს ითრევდა, მაგრამ მინც მოჰყვებოდა.

იმის შემდგომ, რაც ხოსიტა შილდაურს ცოლ-შვილი დაედუბა, სრულიად გამოიცვალა კაცი. შინაგანად მოდუნდა. სოფლის ცხოვრებასა და აკარგს გამოეთიშა. თითქოს სასიცოცხლო კეხი ჩაუტყდა.

დიაკენის ოჯახში გაზრდილი ხოსიტა ღრმად მორწმუნე იყო... ჰოდა როგორც თავს ვგონებ ამაოდ ირწმუნებდა, განსაკუთრებით იმან შეაძრწუნა, რომ ცოლ-შვილი სწორედ ეკლესიაში გამოუწვევს ლეკებმა.

მას თავიდანვე ერთი უცნაურობა დასჩემდა — ძირითად ფიქრსა თუ



გრძნობას რომ ვერ მოერეოდა, მიაფადილებდა, სხვას მიიჩნევდა ძირითადად... „ცოლ-შვილი რაა — ღმერთი დაეკარგე... ღმერთი! რითილა ვიცხოვრო? რას ვევედრო? რაზე ვილოცო?“ შავფიქრიანობდა და კრთებოდა. დამწვარი ცოლ-შვილის ალანძული სახეები, ეკლესისა, ჯვარცმისა და ღმერთის ბიბლიური სახე ურთიერთში ირეოდა და უფრო რევდა.

მოეშვა, სულიერად დაეცა, ჩამარტოხელდა. ყველას უფროხოდა, განსაკუთრებით კი ქალებს. მათ დანახვაზე ცრემლი მოერეოდა. წელაბუხულად და ფეხაკრეფით გაეცლებოდა.

აბა რას არ შენიშნავენენ ქალები — მხოლოდ ეს ვერ გაერკვიათ — ცოლი აგონდებოდა თუ უცოლობა?

ჯერ ერიდებოდნენ თავადაც, მერმე კი გამოჯავრება დაუწყეს. ბოლოს ესეც მობეზრდათ და თავი დაანებეს დარღის ბურანში გაუქნარებულს.

ის კი არც ბერად შედგა, აღარც ქვეყნისაკენ იბრუნა პირი.

გალატკადა. დამშვიდდა. სოფლის ბოგანო გახდა.

... გზაში ერთხანს აცალა ოქრო-პაპამ, მერმე მხარ-ილოვებ მოუბრუნდა:

— მხარში ამომიდექ, რა დამნაშავესავით უკან მომყვები?!

ხოსიტას არც გაუგია, ისე საალაღბედოდ უპასუხა:

— ჰოდე, შეიძლება და...

ოქრო-პაპა შედგა, თვალებში შეაკვირდა... ხოსიტა მიხვდა, რომ ცუდად მოუვიდა პასუხი. აირია და აიმრიზა:

— არა... ისე... როგორა თქვი?!

— ეჰ, შვილოსა, — შენ თუ რაიმე არ მოგიხერხე, მალე სულ დააფრენ მწყობრსა. სოფელში გატყუირდი თვალდახელშუა... გაგონილა? ვისი გამოგყვა? მამაშენი არ იყო ასეთი... არც დედა! იი ცხონებულები პურ-მარილისა და სიტყვა-პასუხის ადამიანები იყენენ.

— ჰოდა, მე რაღა ვარ?

— შენა, შვილოსა, კუტი-პურისა და ჯუჯა-გულის კაცი გამოხვედი... პირი კი არ გიჩანდა ასეთი!

— ეჰ, წუთისოფელმა გამხადა... ცხოვრებამა...

ოქრო-პაპამ ხმა აღარა გაცა, შარაგზას უკანა და გვერდის შუკას გაჰყვა. ხოსიტას ეს არც კი შეუღმჩნევია. წისქვილის ხმაური რომ შემოესმა, მაშინდა ინიშნა, ფეხშეშლილად შედგა და ქეშად ღელის პირს.

ამ ადგილს მუდამ გარს უვლიდა ხოსიტა. მამისეული წისქვილი იყო, ლეკების მიერ „იმ დღეს“ საყდართან ერთად აოხრებული, ჩალის ფასად გადაგდებული, გაუბედურებული ხოსიტას მიერ.

— წამო, წამო... დიდ გზაზე ტალახებია... ასე ვიაროთ... ნახე მამისეული? გენიშნა განა? აღადგინა სოფელმა, ისეე ფქვავს! ბრუნავს! ჩახედი, თუ აზრის კაცი ხარ! — კვესივით ჩაუკრა ოქრო-პაპამ და ნაბიჯს უკლო.

ხოსიტამ მიუხედავად ჩაუარა წისქვილს.

— შეხედე, შეხედე... თვალი გაუსწორე წარსულს! — მიაბრუნა ოქრო-პაპამ, მაგრამ ხოსიტამ უფრო ჩაჰჩინდრა თავი:

— ხელი მიშვი... აბა რაი გინდა ჩემგან?

...არც გალავნის შუკაში, ღელის თავთან არ გადაუხვია ოქრო-პაპამ, თითქოს რუხე გაუქირდა გადახტომა:

— ეჰ, ისეე თავს დავუაროთ... ცუდია სიბერე! მაგრამ ჩაძველებული დარდი უფრო ცუდია, იცოდე!.. კვლავაც მითქვამს შენთვის... ყურთ იღე, ადამია-

ნო! — სიტყვას მოქმედებაც შეაშველა, ხელი ჩაჰკიდა ხოსიტას და ფეხი ააჩქარებინა.

აქ გალავანი ახლდნგრეული იყო, პირდაპირ საყდრის ეზოზე გადიოდა ბილიკი. აბა ეს რა იცოდა ბედშავმა ხოსიტამ, ამ უბანს მუდამ ერიდებოდა... ახლა კი მოულოდნელად დამწვარი ეკლესიის წინაშე აღმოჩნდა.

გული აუჩქროლდა ხოსიტას. სწორედ აქ — ამ ეკლესიაში, ექვსი წლის წინათ, ამოიბუგა მისი ცოლ-შვილი... ისე ამოიწვა, რომ ნაცარტუტაც ვერ ნახა. თავს იდანაშაულებდა ხოსიტა, ოჯახს აღდგენადაუმთავრებელი, ჯერ კიდევ შიდა და გარეთა ხარაჩოებში მჯდარი საყდარი გაუჩინა სამალავად... ციხეში არ წაიყვანა, მიუხედავად ცოლის მუდარისა. ჰოდა, საყდარი დაიწვა, თავად კი სანგარში იყო გამწესებული და გადარჩა. ეს გადარჩენა ვერ ეპატიებინა თავისთვის. ამის შემდგომ ამ გალავანში აღარ შეუღამს ფეხი. სულ გარე-გარე უვლიდა ამ შექვარტლულ, ჩამონგრეულ თაღებსა და ლოდებს.

ოქრო-პაპამ პირჯვარი ისახა და ნანგრევებთან შედგა:

— ღმერთო ძლიერო, ჩვენ-ჩვენი მიცვალებული შეიწყალე... ხოლო ცოცხლებს ნუგეში მოგვეც!

ხოსიტას თვალები შეეცრემლა. უმალ პირი იბრუნა. გულჩვილი, მაგრამ საშინელი ცრემლმთთაყილე იყო.

— შენ, შეილოსა! პირჯვარი გადისახე... და ცრემლისაც ნუ გრცხვენია... ნურც ფიქრის გეშინია. დაგლახებულის არც დარდი ვარგა, არც ლხინი!

პაპა წამოქცეულ კვარცხლბეკზე ჩამოჯდა, სახრის წვერით კირნარევი მიწა მოჩიქნა:

— არა, აღამიანი... არც წისქვილის ქვაა — რა მოცვდეს, გადმოაბრუნო, მოჰკოდო და ისევ ღერლოს! — თითქოს. ძველ საუბარს აგრძელებდა, ვიღაცას ედავებოდა ბერ-პაპა... — არა, აღამიანმა თავისი დარდი უნდა თავად გადაღერლოს, მოინელოს!

ხოსიტამ ხელი ჩააქნია, ენიშნა სად „ძღერდავდა აბეზარი მოხუცი“...

— რა ძალა წაიღე!? მე ვიცი და ჩემმა დარდმა! — გულღჯულ შეუძახა და შეტრიალდა, წასვლა დააპირა...

— რატომ შენა? განა მარტო შენია დარდი? ჩვენც აღამიანები ვართ! — არ შეეპუა ბერიკაცი... შეუტია, ადვილზე გააშეშა...

— კაცის გული ფუჭი ხორცის ნაჭერია, თუ შიგ ან დარდი, ან სისხარული არ ბუდობს! — დახანების შემდგომ განაგრძო ოქრო-პაპამ და ქირნარევი საყდრის დამწვარი მიწა უფრო მოჩიქნა...

— რისთვის იტყვი ამასა?

— იმისათვის, რომა... დარდიანი მარტო შენი გული ნუ გგონია... მიმოიხედე, რამდენ სახლს ჩამოეუარე — თითო დარდი ყველგან ბუდობს... სოფელში ვართ... უდარდოდ ოფოფი არ არის ქვეყანაზე!.. მაგრამ დარდი სათნო ჯვარით უნდა ატარო და არა ლოდის კუზივით მოიკიდო... კი არ უნდა გაბოროტდე — უფრო დარდშემბატკივარი უნდა გახდე!

ჩუმად, ქვაში ჩამჯდარივით იდგა ხოსიტა. ოქრო-პაპას ეჭვიც კი შეეპარა, იქნებ არც მისმენსო... წამოდგა, ხელი მოჰკიდა ჩამოხეულ ჩოხის პირში და გულის სიღრმიდან ამოტანილი ხმით უთხრა:

— თუ შენთვის აღარ შეგიძლია სიცოცხლე და სისხარული, სხვისთვის მაინც შეიძელ... შეეცადე მაინც შევებისა და ბედის მოტანა!

— არა მესმის რა?

— გაიგებ... ცრემლი მოიწმინდე და წამო... გატეხილი კეხი გავამთელოთ



ან ახალი გავთალოთ... ყველანი ასე ვართ წუთისოფელში... ზოგს ცოლ-შვილი გამოგვეწვა, ზოგს ქმარი მოუკლეს, ზოგნი სულ ობლები დარჩნენ...

ოქრო-პაპა ერთიც მოუბრუნდა ნანგრევებს, ხენვით დაიხარა, ერთი მუქა დამწვარი მიწა აიღო:

— ამ მიწაში შენი ცოლ-შვილის ფერფლიც ურევია. მამაკაცო, ასე არ არის?

შეძრწუნებული ხოსიტა შეირხა. კისრის ძარღვმა დაუელვა — წარბებამდე უწია, შუბლის გვირგვინში შეუტრიალდა და მერმე ჩანჩქერივით დანაწევრებულმა ელვა-თრთოლვამ ყველა სახსრის ჩავლით, ფეხის ფრჩხილებამდე ჩაატანა. ადრეულ ჭადარანარევ წვერულვამს ქვეშ კრიჭა შეეკრა... ძლივს დასძრა სასაყვედუროდ:

— რას ამბობ, კაცო?! დანდობა აღარ გაქვს? ასე ბოროტი ყოფილხარ? — უკვე გულიც მოუვიდა ხოსიტას... მაგრამ მოსალოდნელი აფეთქების ნაცვლად ისევ შეეშინდა ფიქრისა... ისევ მიიჩქმალა მთავარი, გული მოიფადილა სიტყვიერად: — მიწა მიწა და მეტი არაფერი!

... მაგრამ ოქრო-პაპამ შეატყო, თუ როგორ ძირ-ღვიძლიანად იყო შეძრული ხოსიტა... ხელი დამუჭა და მსცოვანის გამჭირახობით ინიშნა, რომ ამ ხელში საყდრის მიწასთან ერთად ხოსიტას აფორიაქებული გულიც ეპყრო.

— ბოროტოვ? დაგობრუნებ ამ სიტყვასა... მაშინ არ შეგრცხვეს! — ოქრო-პაპამ სახრე იღლიაში ამოიღო და ისევ გზას გაუდგა.

ერთხელაც შემკრთალად მოჰხედა ხოსიტამ საყდრის შერუჯულ ნანგრევებს და თავისდა უნებურად უკან გაჰყვა გაწინაურებულ პაპას.

ახლა კი მოკლულზე გადაჭრა მოხუცმა. აღარც რუმ შეუშალა, აღარც ყორემ. ბოსტნებს ჩაუარა... აქა-იქ მუშაობდნენ გლეხები... გადაბრუნებულ, ოფლჩადვრილი მიწა-ბელტის მჭახე სურნელი ხოსიტას ნესტოებსაც სწვდებოდა, მაგრამ რაღა „ესურნელებოდა“, როდესაც წინ ოქრო-პაპა მოუხნედავად მიდიოდა და... ხელი ახლაც დამუჭული ჰქონდა!

ჭიანჭველები თუ შეესივნენ სხეულზე — აჩქარებდნენ... აშფოთებდნენ... კვინიხის არეში იბურღებოდა ექვის ჭია: „ის მიწა ხომ არ მოაქვს? ის მიწა?“... ვიი, რომ მოაქვს! ჰოდა მერმე რა; თუნდაც... მიწა მიწა არის და მეტი არაფერი! ახლა უკუტალღით იშოშმინებდა აშლილ ალღოსა და ჭოქმანს. მაგრამ რაც უფრო იმშვიდებდა თავს, უფრო ეძალებოდა დელვა. ამ წუთში მას მთელი სოფელი სძულდა, ეჯავრებოდა. ყველაზე უფრო კი „ეს აყვია პაპა“, რომელმაც ასე უხეშად დაარღვია მისი უძლეური და მოღუნებული გაყუჩება და დარდის წვლილვა... არც ეს აკმარა და მისი დამწვარი ცოლ-შვილის ფერფლიც ღაცარტუტა შებღალა... და აი — მუჭით მოაქვს!

... და როდესაც მოხუცი ციბაურიანთ ბოსტანთან შედგა და მობრუნდა, ხოსიტამ გულღვარძლიანად შეაძახა:

— სირცხვილია კაცურ-კაცისათვის!

— მაშა! შენ ევა სთქვი, კიდევაც სირცხვილია! — სიტყვა დაამთხვია პაპამაც და ბოსტნისაკენ გაახედა. — როდესაც დედაკაცი გუთნისდებობს, სოფლის სირცხვილია, მაშა!! ეს კაცურ-კაცს ყველას ეხება!

ხოსიტა ნელი მოსაზრების კაცი იყო... დააბნია ამ პასუხმა... თვალები აცეცა...

ღობის იქით თუთია-ქვრივი დაინახა. ძველი კავი თავდაბრილად მიწაში



წასჩროდა... განზე გატანილ უღელში ცალი მოზვერი ება... მეორეს კი აპეური გამოხსნოდა და ოჩნობდა.

— რა მოგივიდა, ქალო? — ჩაეშველა ოქრო-პაპა.

— აპეური დამიწყდა!

— ო, ო, ნიშა! ო, ო! — მოზვერს ყურში ჩაავლო ხელი ოქრო-პაპამ და უღელთან მიაცენა. — ხოსიტავ, აქეთ მოდექ!.. აბა ერთი შენი თასმა მომეც... ან ქამარი, წელზე მაინც არ გივარგა...

ხოსიტას არაფრად ებიტნავა „აქეთ მოდგომა“, ფეხს ითრევდა და ძველ ქამარზე ხელს იფათურებდა.

— პოდა მალე! რაღა შენ და რაღა ეს ბაძია მოზვერები?!

ხოსიტა გაოჩნებულად, მაგრამ მაინც ჩავიდა ბოსტანში და მოზიარესთვის შეუხედავად „დილის მშვიდობა და ბარაქა“ ჩაიდუღუნა.

— მადლი მოგცეს ღმერთმა! — უპასუხა ოდნავ გაკვირებულმა თუთიამ.

— ჰა, შემოიხსენს! ახალი ჩემზე იყოს — ვერცხლის ზარნიშინანი... ობლებს წავეშველოთ — მადლია განა?!

ხოსიტამ შეიწყვიტა ხელმარცხად ჩასკვნილი ქამარი და ტაბიკს შეაბა.

— მე მაცალეთ მაშინ! — გვერდით მისწია ოქრო-პაპა, უღელი დაადგა მოზვერს... გამოუსკვნა.

ოქრო-პაპა მზრუნველად მოეფერა მოზვერებს.

„ე მაგისი უნდა იყვნენ!“ მიხვდა ხოსიტა და გაუკვირდა: „სად ოქრო-პაპა და სად ციბაურიანთ ქვრივი?“

...მაგრამ ერთმა გარემოებამ ისევ გაუწყვიტა ფეჭირი... ხელი კვლავ დამუკული ჰქონდა ბერიკაცს.

ხოსიტამ პირი იბრუნა. ნახნავს გაჰხედა.

საბოსტნე თავში ნაბარი იყო, მერმე კი კავის უსწორო და ხარვეზებიანი ხნული დაჰყვებოდა.

რაღა თქმა უნდა, ოქრო-პაპამაც შეამჩნია მხენელის ხელცუდობა:

— ცოდვა ხარ ასე, ქალო! აბა რა მადლი ექნება მარტოხელობასა? —

თავი გაიქნია და ხოსიტას მიმართა: — აბა ერთი კვალს ავაცოლოთ ცოტაზედა... — თავად მოზვერებს შეუძახა და წარუძღვა. აჩაჩა-კავი დაექანა და ვიდრე ხოსიტა აიზღაზნებოდა, ქალმა ხელი შესტაცა სახელურს. როდესაც ხოსიტაც მიეტანა, ქალის ხელს მოხვდა მისი დიდი ხნის გადაჩვეული, მოჩლუნგებული ხელ.

— დამაცა ახლა... — და შეჭოჭმანებული ხოსიტა კვალში ჩადგმ.

ქალი ახლა გვერდზე მიჰყვებოდა...

კვალი რომ სამგზის აატარ-ჩამოატარეს, ოქრო-პაპამ ცერად მოჰხედა ძალა-ძალა გუთნისდევას.

— ეჰ, შენ მართალი ხარ, კაცო... მიწა მიწაა და მეტი არაფერი! მადლი აქაურობისა — საიქიოს მოიხსენება! — და საყდრიდან წამოდებული ერთი ნუქა დამწვარი მიწა თესლივით მოაბნია ნახნავ-უხნავში.

ხოსიტას კავი შეუტოკდა ხელში, მერმე უფრო დააწვა სახნისს... თავ-ღრმად მოუვიდა. გაიწურნენ მოზვერები, მაგრამ გასწიეს...

— ოჰ, მიწას კი არა უშავს რა, პატრონი არა ჰყავს და ისაა...

მიამიტად, მაგრამ „თავის დარდისად“ გაეპასუხა მოხუცს თუთია. ოქრო-პაპას ოდნავ ჩაეღიმა, ისევ ხოსიტას მიუბრუნდა:

— ჰა, ხომ არ დაილაღე?.. თუთია-ქალო, ახლა შენ წაუძეხ მოზვერებს, შევენაცვლები!



... მაგრამ ხოსიტა გულღჯუდ დახვდა:

— რამ დამალა.. ოღონდ... — სიტყვა შეუფერხდა, მწარეს ეძებდა... ევ-  
ლარ იპოვნა... ვინ იცის, რისი თქმა სწადდა გულჩათბობილს?

— ოღონდ? — წაეშველა, საშველი არ მისცა მოხუცმა.

—... ეს ხელნა გამოსაცვლელია... — ისევ სხვაგან გადაიტანა ფიქრი ხოსი-  
ტამ.

— ჰოდა გიშველა ღმერთმა! — თითქოს სწორედ ამას მოელოდა პაპა. —  
მადლი ვქენით, მარილიც მოვაცართ!.. შინ ავალ, ცულსა და ხელნის მასალას  
ჩამოგიტან... თქვენ კი აქ ჰხანით. ჰოოდე?! — ორივეს შეეკითხა, მაგრამ არც  
ერთის პასუხისათვის არ დაუცდია... გაბრუნდა და წავიდა.

ქალმა უხერხულობა იგრძნო:

— აბა როგორ გაგსარჯო? საქმეზე მიდიოდი განა?!

— მიჰყე! მიჰყე! — უდიერად მიუგო ხოსიტამ და კავს ხარვეზი გააჭრე-  
ვინა.

ცოლ-შვილიანობაში ბეჯითი მუშა იყო ხოსიტა. იღვთივ მოსდევდა და  
ძალაც. მკლავი გულზე უკეთ შემონახოდა დარღშიაც... ჰოდა, მამაკაცის ხელი  
უმალ დაეტყო ხნულს. კვალი სწორედ და ერთზომიერად გაიწვართა. თავმო-  
ხვეულ აშიად შემოადგა საბოსტნეს.

პირველდაწყებისას უგულოდ და თითქმის უფიქროდაც, ძველჩვეულად  
მუშაობდა ხოსიტა. არც წინ იხედებოდა, არც განზე... ვერც გარემოს ჰგრძნობ-  
და, ვერც დედამიწას. ერთადერთი მზე-ფიცხელი ხან სახეში სწვდებოდა, ხან  
კეფაში... გაბუტული მღურვით იგონებდა ოქრო-პაპას... მერმე ისიც გადაიგდო  
გულიდან...

ვერც კი გაიგო, როდის მოხდა თუ როგორ მოხდა, რომ ხნულში წაუვიდა  
გულისყური. რატომაც კირნარეც ხრემს რომ შეამჩნევდა, გული აუტოკდე-  
ბოდა და სახნისს დაღრმავებით აარიდებდა, უფრო მუყაითად განაგრძობდა  
თვალყურსა და შრომას. თავის საქციელს რომ დაუკვირდა, მხოლოდ მაშინ  
გამოიცნა მიზეზი: „მუქისეულია! საყდრისეული! ფერფლისეული!“

„არა, მიწა არ ყოფილა! მხოლოდ მიწა და მეტი არაფერი“...

„არც ყოველი მიწაა ერთნაირი“... ჩვეულებისამებრ სხვაგან ცდილობდა  
ფიქრის დრეკას: „ეს თუ კირნარევი ხრემია... ესეც შეამიწა... ეს აყალო...  
სიღნარევი... ქვიშაწერილი“... მაგრამ ფიქრი არ მოსდევდა ამ ნაძალადეც  
მსვლელობას... იგი თავისი გრძელი და მეყვსეული აბლაბუდა გზებით იქსე-  
ლებოდა და ამ სხვის მიწას კვალით-კვალზე უფრო აყვავებდა და თავისად თუ  
თავისიანად აგრძნობინებდა.

„ასეა, შრომამ იცის — შეგავყარებს ხოლმე დაოფლილსა და ნაამაგარს“...  
ახლა სხვანაირად სცდილობდა ხოსიტა საქმისა და ყაირათობის სამყაროში  
დარჩენას, მაგრამ გული თუ ალღო-ძირი ამ მოზერებევით სხვაგან ეწეოდა:  
„ოფლი კი არა — ფერფლი! ოფლი კი არა — ფერფლი!“

— რა ჯაღო გამიჩინა ამ ბერიკაცმა?! — გაურკვევი ბუზღუნით მიწას თვა-  
ლი წაჰკლიჯა ხოსიტამ და წინ გაიხედა. იქ... წინ... უღელთან, ქალის ღაზა-  
თიანი ზურგ-ტანი მიიჩხეოდა. მისმა იერმა შორეული სიღრმისეული მოგონება  
ამოუსხლიტა... მიმსგავსებულ ჩვევაში თუ ქცევაში წამოულანდა... „ის“...  
„მისი“... შერუჯულ დარდად გადასული, ახლა თითქოს ფერფლიდან აღმდგა-  
რი, ისევ ხორცშესხმული და ხნულის კვალში წინ მავალი... როგორც ოდესმე...  
არა ერთხელ! არა ერთხელ!

ხოსიტამ თვალი ვეღარ მოაშორა წინმავალს.



ქალმა იგრძნო... მოჰხედა:

— დაიღლებოდი! — სავსე მკერდზე შექუქებული გულის პირი შესწორა და კვალი ჩაათავა.

„აი ასე იცოდა... იმანაც... იმანაც! ნუთუ ყველა ქალი ასე ერთმანეთს ჰგავს ქცევაშია?!“ — ჩუმად განცვიფრდა მამაკაცი.

მოზერები ერთმანეთს გაებაძნენ და შედგნენ.

— ჰა, ნიშავ! — შეუძახა ხოსიტამ და ისევ ჩაჰხედა აჩაჩა-კავის ქვეშ ცოცხალივით ამოძრავებულ ახალ ხნულს...

„ასეც ხომ ყოფილა... სხვა დროს?... მაშინ ცოლიც ჰყავდა, შვილებიც, უღელიც, ხალისიცა და გულიც საგულეს ჰქონდა... მაშინაც ასევე წვებოდა ბელტი ბელტზე, ბელტი ბელტზე!“...

— ჰამ ჰო, ნიშავ!! — და თითქოს თავის წარსულს ხწავდა ხოსიტა... მოთესილი ფერფლიდან ამდგარს, მიწის მკერდში გაცოცხლებულ წარსულს!

მაღალი სადილობა იყო, უკან რომ ჩამობრუნდა ოქრო-პაპა. მცირე გულდაკეცა. დურგლის ცული და სახელზე მასალაც ჩამოეტანა.

— პური გავტეხოთ თანაცა... მოგშივდებოდა, მუშა-კაცო?! — მოხუცმა მოზერები თავისი ხელით გამოუშვა, ჩრდილოსაკენ მირეკა.

— რა სიტყვილში ვარ თქვენთანა!.. ასე მოულოდნელად ჩამომეშველეთ... — მწარე წუხილით წაიდუღუნა ქალმა...

— დამაცა, ქალო, ხოსიტა დღეს ჩემი მუშაა, შენ რა კიდეში ხარ? კენი უნდა შემიკეთოს განა? მაგას თუ ჰგონია, რალაც ორი ცილა მიწა მიგიჩიქნა, ესეც შრომაში ჩავუთვალო?

— არა, კაცო, რას მედავები დილიდანა?! მოიტა, ეგ ხელნაც გავთალო ბარემლა...

— მერმე იყოს... მერმე... მოესწრები! — დაუყვავა მოხუცმა... — აბა, ქალო, ი შენი ცხონებული... დიასახლისობას გიქებდა... ი გუდას მიჰხედე...

მამაკაცები წნორის ჩრდილში მისხდნენ. ქალმა სამიჯნეზე ღელის პირში ბუერას ფოთლები მოჰგლიჯა, სუფრად დაჰფინა. ოქრო-პაპისეულ გულიდან სამიოდ შოთი პური, ყველი და დარჩეული კაკალი ამოალაგა... თავის ნუშიც — ქერის პური და მარილი გულამომჯდარად მოიტანა... ცრემლი ეხირებოდა ყელში... ჰაი და ჰაი, თვალეში აღწევდა... დაასწრო, დოქს წაავლო ხელი და ღელისაკენ გაიქჳრა. სიმწრისა და სიღარიბის ცრემლი მამაკაცებს გააფარა ქალმა.

ოქრო-პაპამ იგრძნო, ხოსიტას ანიშნა უსიტყვოდ.

გაუკვირდა ხოსიტას სხვისი დარდის დანახვა... საოცრად გაუკვირდა, თითქოს პირველად დაინახა. ქალმა წყალი რომ მოიტანა და ხელებს აბანინებდა, ხოსიტა ისევ შეაკვირდა თუთიას. ახლა სხვა, დარდდანახული თვალით შეაკვირდა. პირი დაებანა ქალს, თუმცა დახრილ თვალეში მაინც წითლად გაჰკრავდა ნაცრემლის იერი. დინჯად გაწყობილ სახეზე ჰორფლის წინწყლები კი შეუშინია ხოსიტამ, რატომღაც თავისას შეადარა... „ჩემი უფრო სახესუფთა იყო“... მაგრამ მაყვალევით შავი, ჩადარებული თვალეები რომ შემოანათა ქალმა, ისევ ამღვრა ხოსიტა და პირი იბრუნა.

— ეს — ღმერთი შეგვეწიოს ბერიკაცებსა და ქვრივ-ობლებს! — პური გატეხა ოქრო-პაპამ.

ხოსიტა უხმოდ, მადიანად ჰამდა. კარგად რომ დანაყრდა, შეამჩნია, მის მეტი არავინ ჰამდა. აღებული ლუკმა ხელში შერჩა, მიენახებ შეჰხედა... თუ-



8974



თია მიხვდა და ქერის ბური მოიტეხა... ტუჩები ააცმაცუნა. ოქრო-პაპამ მიჩხრებული კბილები დაანახვა.

— შენი კბილები მქონდეს — ახალ ცოლ-შვილს მოვეკიდებოდი, მაშა!

ხოსიტამ პასუხი არ გასცა. ლუკმა მოითავა და ახლა ცულს გაუსინჯა ფხა, ახალი ხელნის გათლას შეუდგა.

ოქრო-პაპას ბებრული, უეცარი ძილი მოეკიდა. ხის ძირში მიყრდნობით მჯდომარეს თავი მხრებში ჩაუჯდა და ხიხინა ფშვინვა ამოუშვა.

მალე კი გამოელვია... ფეხები დაჰბუქებოდა, ადგომა გაუჭირდა... ხნულს გაჰხედა: თუთია კვლავ მოზვრებს მიუძღოდა, ხოსიტა კი ახალგათილ ხელნასახელურს ჩასჭიდებოდა და გულმოდგინედ ხნავდა.

ბევრი რამ ფიქრი მოიფონა ფეხებშეუბუქებულმა მოხუცმა, ხოლო ერთი გამოიტანა დაბრძენებულ დასკვნად: „ბედს ფეხი უნდა აუდგა მხოლოდ, მერმე, თუ ბუნებრივია, თავად უკეთ გაიკვლევს სავალს!“

აღვა, გულა მოიკიდა, მხენელებს წამოეწია:

— შენ გეუბნები, ხოსიტავ, თუ ჩემი მუშა ხარ, ჩემთან წამოდი, თუ არა და ეს მაინც გააგებინე, როდის გამოთლი კეხსა?

ქალმა შეაყენა მოზვრები.

— შენ გაუძეხ! რას შედექი? ისე კვალში ვერ ვისაუბრებთ განა? — ახლა ქალს შეუტია ოქრო-პაპამ... — სამუშაოდ გათხოვე ეს მოზვრები, განა მოსაცდენად? — თან გვერდით, უხნავე მიჰყვა. — სიკეთე სიკეთეა... მაგრამ... ყაირათობა და სიკეთე — ცოლ-ქმარია! — ისევ ხოსიტას მიუბრუნდა და მოჩხუბრის კილოთი განაგრძო: — იი ნაყანევიც სოფელმა ამ ქვირის შეახვედრა... მარტო მაინც ვერ მოუვლის... — ოქრო-პაპამ ხელი მიმოიქნია, თითქოს ისევ მოჰფანტა მიწა-ფერფლი.

ხოსიტამ მაჯის ზურგიით ოფლი მოიწმინდა:

— მერმე რა გინდა ჩემგანა?

— რა უნდა მინდოდეს, კაცო! მოზვრებს გათხოვებ, ეს დღევანდელიც შენზე იყოს... ჰოდა, შეზიარდით... შენ კიდევ მოზვრების საფასურში ახალი კეხი გამოთალე... ნურც მე მაზარალებთ, ვეთაყვა!

ქალი შემობრუნდა, ერთხანს უკან დახევით იარა, მერმე ისევ შებრუნდა და თითქოს მას არაფერი ეხებაო, ისე განაგრძო წინძლოდა.

ხმას არვინ იღებდა. მხოლოდ სახნისის მიერ ათხრილი მიწის ხრაშუნი ისმოდა გაბმულად... ეს გაბმული ხმა შორეული ცეცხლის შიშინს აგონებდა ხოსიტას.

— ჰა, ყაბულსა ხარ? — მოსაბრუნებში ახლა წინ დაუხვდათ ოქრო-პაპა.

„რა თავში სახლელად მინდა ეს ყანა?! — ფიქრობდა ხოსიტა... — ერთ ლუკმა პურს ყოველთვის ვიშოვინ... ხელობით იოლად წავალ... რას შემეჩნდა ეს ბერაძეა? არ მინდა და მორჩა!“

კავი რომ კვალში ჩააგდო, ახლა ქალს შეჰხედა... მაგრამ ახლა ფიქრი გადაუვარდა ძველკვალიდან: „ეს ტანადია, ჩემი უფრო დაბალი იყო... სუსტიც!“ ცოტა გააკვირვა ამ შედარებამ და უეცრივ თითქოს ნისლის ბურანიდან გამოვიდაო — დღისით-მზისით დაინახა, რომ უკვე კარგა ხანია ადარებს მათ... იმას — ცეცხლში დამწვარს, ფერფლად ქცეულსა და მობნეულს, და ამას — ცოცხალსა და უღლის წინ მავალს... და რაც უფრო მეტს განსხვავებდას ეძებს მათ შორის, მით უფრო მეტს მსგავსებას ჰპოულობს... არამც თუ თავის სურვილის გარეშე — სურვილის წინააღმდეგაც. ოჩნობდა ფიქრი.

— მე კი მითქვამს და... — უკანიდან მოაძახა ოქრო-პაპამ.

— აბა მე რაი ვიცი... თავად კი არაფერს ამბობს და... — სიტყვა აღარ დაამთავრა ხოსიტამ. განა ეს უნდა ეთქვა? ეს ხომ სულ სხვანაირად გამოდის? რა თავში იხლის საზიაროს? რა ჯანდაბად უნდა? პირდაპირ ეტყვის — საბოდიშო რა სკირს?

— ხი, შე სამგლევე! — ბრაზიანად შეუძახა განზე გავარდნილ ნიშა-მოზვეგრს. ახლა წაბლა-მოზვეგრმა მოიქნია წიხლი და თავი... დადი ბუზანკალი ძლივს მოიშორა. მაგრამ არც შორს გასცლიათ ბუზანკალი... აბეზარი ბზუილით სულ გარს უვლიდა უღელს.

— ხიი! ახლა ბუზანკალიდა აკლია ჩემს საქმეს! — აბუზღუნდა ხოსიტა. ქალმა სახრითა და დაყვავებით აღადგინა დარღვეული თანწყობა, მერმე-ლა გასცა პასუხი მამაკაცებს:

— საუმაღლოდ და ძალად სამადლოდ არა მინდა რა! — კილოდაწეულად ჩაიდუღუნა და თმაზე ჩამოცურებული თავსაკრავი ნაჩქარევად მოიშორა.

მადლიანი შავდალალი ჩამოეშალა მხრებზე.

„ე ვერანა... რა სულ ერთნაირად ეშლებათ ამ ქალებს თმები, ჰა?!“ თავის თავს ფიქრზე ჩუმად შეეკითხა ხოსიტა და ხეირიანად არც კი გაუგია, რა თქვა ქალმა. მხოლოდ როდესაც ძეძვის ღობესთან ჩამორჩენილ ოქრო-პაპას, თავისთვისაც მოულოდნელად, მოზიარობის თანხმობა მიაძახა, მაშინდა ბუნდად აღიდგინა ქალის ნათქვამი:

— რაო? როგორა სთქვი?!

... მაგრამ ქალმა ხმა აღარ გასცა.

ოქრო-პაპაც წავიდა.

ხოსიტამ ახლა უფრო ფხიზლად შეჰხედა წინმავალს... ოდნავ მხრები უტოკავდა ქალს. ხოსიტა მამაკაცური გუმანით მიხვდა, რომ ქალი ტიროდა.

ამას კი სულ არ მოელოდა... დააბნია კიდევაც ამ გარემოებამ.

მოსაბრუნებში გულიანად დააკვირდა, ისევ აკვიტებული, მაგრამ ფიქრზე გულისხმიერი დასკვნა მოეზობრკა: „ე... წყეული ქალები, როგორ ერთმანეთს გვანან ტირილშია!? ჩემმაც ასე იცოდა! სულ ასე, განა?“

მერმე გული ისევ ჩაიყეტა და მოზვრებს შეუძახა.

საზიარო ბოსტანში უკვე მხალი და ცერცვი იყო მოწეული, ზოლო ნაყუნევი ჯეჯილი მუხლის თავს ურტყამდა, როდესაც ხოსიტამ გაასწორა თავისი ვალი, ოქრო-პაპას ახალი კეხი გაუთალა.

სხვათა შორის არც ძველი აღმოჩნდა გატეხილი.

ხოსიტა აღარ ემდუროდა ოქრო-პაპას, მოზიარე კარგი გამოადგა.

თუთია დიდად მშრომელი და ჩუმი დედაკაცი იყო. ხოსიტამაც თავი გამოიღო. ესაა — საუბარი არ გამოდიოდათ როგორღაც. ორნივე სდუმდნენ ხოლმე.

ხანდახან მთელი დღე მხარდამხარ მუშაობდნენ, მაგრამ ორ ღერ სიტყვა-საც არ ეტყოდნენ ერთმანეთს.

თითოეული თავის დარდსა და ფიქრებში იყო წასული.

შრომამ თუ სხვა ახალმა გარემოებამ გამოაბრუნა ხოსიტა.

საოცარი გულისხმიერი გახდა მცენარეთა მიმართ.

ყოველ კვალს ულოლიავებდა: მისი თოხნა ოჯახურ ალერსს უფრო ჰგავდა. განსაკუთრებით ზიარ ჯეჯილში რომ გაივლიდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შვილები ეტანებოდნენ მუხლებზე...



ქალის მოზიარობასაც მიეჩვია, გულს დააკლდებოდა კიდევაც, ბოსტანში რომ არ დახვდებოდა. არა იმიტომ, რომ თავის შრომას ამაღლიდა, არა — რაღაც არსებითი აკლდებოდა შრომასა და ბუნებას.

თუთია ხშირად გადირბენდა ხოლმე თავის ქოხში, წვრილ-შვილს მიჰხედვდა, დააპურებდა.

— წაუღე ბალებს, არ დაამშოი! — მოუკრეფდა ბოსტნეულს, მეტ წილს გაატანდა ხოსიტა. ხოლო თავად ეზოში არ გადაჰყოლია არასოდეს.

არც უნახავს მისი ბალები. ბოსტან-ყანაში კი ხოსიტასთვის აუხსნელი მიზეზის გამო ბავშვები არ მოჰყავდა ღედაკაცს.

-- რათ არ ჩამოიყვან? გაინავარდონ... ყანის ნამი მოიკიდონ!

— იჰ, ავადა მყავს პატარაი! — და მოპარულ რუსავით უმალ სხვაგან გადააგდებდა ძუნწ საუბარს.

ორივემ წვრილად იცოდა ურთიერთის წარსული.

სიტყვაც არ დაუძრავთ ამის შესახებ. რაღაც უთქმელი შეთანხმება დამყარდა მათ შორის, ურთიერთის დარდს პატივსა სცემდნენ და შეუვალად სთვლიდნენ. ასე თავ-თავისად და გარიყულად, მაგრამ თანხმობით შრომობდნენ ეს უცნაური მოზიარენი.

... კეხის ბოლოგანწყობას რომ შეუდგა ხოსიტა, ოქრო-პაპამ ჰქავის არაყი, ხმელი ხილი და საწებელა გამოიტანა.

— თითო შეგვსათ, ღმერთი შეგვეწვევა... დაილოცოს მისი სახელი! — თავად გადაჰკრა, ისევ დაასხა და მორჩილი ყანწი ხოსიტას მიაწოდა.

რაც მოზიარობა იტვირთა, არაყს ერიდებოდა ხოსიტა. მაგრამ ამ ჯერად უარი ვერ მოახერხა, ჩამოართვა, უღვაშებში გაუგებრად ჩაიდუღუნა და გადაჰკრა.

— უჰ, რა მაგარია!

— არაყს სიმაგრეს უქებენ, საწებელს დაამებასო! — ჩაუღექსა კიდევაც ოქრო-პაპამ, ახლა პურ-საწებელი მიაწოდა.

შესანიშნავ გუნებაზე იყო ბერიკაცი.

ხოსიტამ ლუქმაც დააყოლა და ისევ საქმეს მიუბრუნდა, გამოუქნელ ტყავს ააჭრა საარტახე.

— აბა ახლა კი ჩვენს შორის უხნესს გაუმარჯოს! წესია და ადათი! — პირველად ხოსიტას გაუწოდა ყანწი.

— მაცალე! კეხი არ შემრჩენს მოუმთავრებელი. ვალში მინდა ამოვიღე. მერმე არ მეცლება...

— შენ თუ გგონია, მე ვერ გავთლი თუ გამიჭირდა? შენ ჩემ ვალში ეგრე რიგად ვერ ამოხვალ! აჰა, დაილოცე!!

— როგორიცა ხარ... აგრე კარგად გავიმარჯოს... შენი ნამრავლითა და ნაშენით! — როდესაც გადაჰკრა, აგრე რიგად მაგარი აღარ ეჩვენა არაყი. მაღაც გაეხსნა: ხმელ ხილს დაეტანა.

— ერთიც... ხიდრე კერძიც მოგვისწრებდეს... არა, ძალო? — წაბმულად გასძახა თონესაკენ.

იქ ახლო უზნის ღედაკაცები პურს აცხობდნენ.

ხოსიტამ შეამჩნია, მისი მოზიარეც იქ იყო. გამოირჩეოდა კიდევაც ქალებში.

— ეს კიდევ შენი საღლეგრძელო იყოს! სიმწარე და მარტოხელობა გაშოროს ღმერთმა... ჭირი — ლხინად, დარდი — სიხარულად!.. ცხოვრება, ძმაო და შევილო, ე მაგ კეხივითა... თუ გაგიტყდა, ახალი უნდა გათალო-გააწყო.



აქ კი ცოდვა ჩაიდინა ოქრო-პაპამ, თავისი სამადლობელიც აიციდინა, ახალიც ნაკლულად შესევა... ხოსიტას კი კვლავ გაუესო. მაგრამ ვიდრე საქმე თასმა არ გააწყვო, ხოსიტამ არ ჩამოართვა. მერმე კი თავი ჩააკანტურა და ერთსულად გადაჰყრა.

კერძი და თბილი პური რომ მოუტანეს, ხოსიტა უკვე კარგა ზარხოვად იყო.

— ერთიც სავალდებულოა, მერმე კი გუნებაზე იყოს! — გამოაცხადა მოხუცმა. — ეს ჩვენს მოკეთებებს, მეზობლებს და მოზიარეებს გაუმარჯოს!

ესეც რომ გადაჰყრა ხოსიტამ, მოსართავეზე ბალთების დასხმა გაუჭირდა. ბრუახვეული თავი დასძლია და საქმე მოითავა. გუნებასაც შეღავათი მისცა.

... და როცა ოქრო-პაპამ გზად ჩავლილი ხაპრო ყანდარელი ჩამოიწვია, ხოსიტამ მას ამფსონობა გაუწია და სმაში შეჰყვა.

ერთ დოქს მეორეც მოჰყვა...

უკვე კარგა დაღამებული იყო, ხაპრო რომ წავიდა.

ხოსიტა უკვე მაგრად იყო ხელდარეული. მასპინძელმა მისი დატოვება სცადა, მაგრამ არ დადგა კაცი.

ქალებიც ჩაერივნენ — სულ გააფუქეს საქმე. უფრო გაიწია ხოსიტამ.

— შე დალოცვილო, რას გამომიტვრე მოზიარე, ხვალ დილია გვაქვს საქმეო!

— არა უშავს რა, თუთია-ქალო, დილამდე გამოუნელდება... ერთი გულის შღავათი მაგასაც ეკუთვნის!.. — ეზოს გაღალმა გადაჰყვა ფეხარეულ ხოსიტას.

ბოლო თორნე თუთიამ ჰრაქის შუქზე ამოჰყარა.

მეზობელი ქალები უკვე წასულიყვნენ. თუთიამაც მოითავა საქმე.

ქერის პური ოქრო-პაპანთ ხულაში დასტოვა გასაგრილებლად. სამიოდ შოთი წაიღო სახვალიოდ და შინისაკენ აიჩქარა.

უმთვარო ღამე იყო. ბინდი და მყუდრო.

ჰაერში თბილი პურისა, ქინძისა და ნორჩი ზაფრანის სურნელი იდგა. მილურსული შუკა ბლებისა და ნუშების ჩრდილებით დაფარულიყო.

მალალი გორის აღმაცერი ფარგი ვეება წარბივით იყო ზეცაზე შეგდებული.

საღლაც საფქვავმოკლებული წისქვილი ჰღერავდა.

ბოგის თავთან ქალმა რაღაც ჩრდილი შენიშნა. მიმჯდარ-მიწოლილი ძლივს გამოსჩანდა ბნელოში.

— რომელი ხარ?

პასუხი რომ ვერ მიიღო—დააყურადა... წყნარი ფშვინვა მოესმა.

— შე ბედოვლათო, აქ საღ დაწოლილხარ? — უფრო მიხვდა, ვიდრე იცნო თავისი მოზიარე.

ჩაუარა. არ უყვარდა მთვრალეები. მაინც შეეცოდა და ბოგაზე შედგა.

— ადე, კაცო! გრილი დაგკრავს!

ხოსიტა განაგრძობდა ფშვინვას.

— აბა აქ ხომ ვერ დავადგებ? ამ უბედურს? — თავს სძლია, ყოყმანით მივიდა, ხელი წაჰყრა, გულის პირი გაუხსნა: — ადე, ხოსიტა! ადე-მეთქი!

ამანაც რომ არ გასჭრა, ღელიდან პეშვით წყალი ამოიტანა და ასხურა. ახლა კი შეიშმუშნა მძინარი.

— აბა წამომეყ ახლა! — შეუტია, წამოსწია და წამოთავდო.



უმალ მოუნელებელი არყის უსიამოვნო სუნი მოხვდა. პირი იბრუნა, მაგრამ წაბარბაცებულ მამაკაცს ხელი სტაცა წელში.

წონასწორობადაკარგული ხოსიტა უნებურად მიემთხვა ქალის მკერდს. შეკრთა თუთია, ხელგაუშვებლად მოერიდა და ადგილიდან დასძრა.

— რას მერჩი, დედაკაცო, რასა? — უზროდ ბუტბუტებდა ხოსიტა და მუხლჩაშლილად მიჰყვებოდა. ჩაწყვეტილი ფიქრების ნაგერალბებში იქნებ თავის დამწვარ დედაკაცს ილანდებდა დამთვრალ-მაშვრალი.

— აბა რასა? გამოიარე ოღონდაც! — ბავშვივით დაუყვავა თუთიამ თავის მოზიარეს, თან კი გაიფიქრა: „იპ, როგორ ერთმანეთსა ჰგვანან ეს მამაკაცები სიმთვრალეში! ჩემმაც ასე იცოდა ლულულუდი!“

თავის მორღვეულ ლობეს რომ მიუახლოვდა, მაშინდა იაზრა: „ბეჩა, სად მიმყავს ეს კაცი?“

აქამდე არც მოსვლია აზრად, რომ ხოსიტას ქონამდე მთელი სოფელი იყო ასავლელი.

სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც არ ეყოფოდა ძალა მთვრალი მოზიარის სათრევად. ხელი შეუშვა:

— აბა, ახლა ხომ გაიგნებ გზასა?

— რას მერჩი, დედაკაცო?... — ენამოშლილად გაეპასუხა ხოსიტა და იქვე გზის პირას დააპირა მიწოლა.

— ამას დამიხედე, ამასა? — შეუტია თუთიამ და თავისი ეზოსაკენ დასძრა: — წამო, წამო... არ დაგადგა საშველი... დათვრებიან... არც გზა იციან... არც კვალი!... — შეუტია კია, მაგრამ სიბრაზე არც თუ მიჰკარებია გულსა. და რაც მთავარია, ისიც იგრძნო ქალმა, იმ „მთვრალბებში“ თავისი ქმარიც იანგარიშა... სუთი წლის წინათ დაკარგული, ომში წასული და აღარ დაბრუნებული ქმარი.

— ე მანდ ბავშვები არ დამიდრთხო! — ერთიც შეუტია და შინ შეიყვანა. ოთანნი, ბუხრის თავზე, კრაქი ბუტუბუტადა. თახჩის კუთხეში ბავშვებს ეძინათ.

თახჩის ბოლოში მიმჯდარ ხოსიტას ქალმა ხელმარჯვედ ჩოხა გაჰხადა, ჭილობი მიუფინა და მიაწვინა.

პირველსაზრუნავი რომ მოითავა, როგორღაც ერთბაშად იგრძნო, რომ მის ოთანში მამაკაცი წევს.

უცნაურმა გრძნობამ ჯერ გააკვირვა, მერმე შეაკრთო კიდევაც... საქციელი წაუხდა. სმენად იქცა.

ხოსიტას თავი ჰქონდა დაბალზე და ცუდად ხიხინებდა.

თავისი ბალიში მოიტანა ქალმა... ემეტებოდა და არც ემეტებოდა.

არა, აქ სხვა, უფრო ფაქიზი გრძნობა იყო ჩაქსოვილი.

ბალიში მარტო სასთუმალი როდი იყო თუთია-ქალისათვის, არამედ უტყვი მოწმე და მესაიდუმლე მისი იდუმალი ფიქრებისა, ცრემლებისა, ჰმუნვისა და პატიოსნებისა.

... ბოლოს გაიმეტა. მაგრამ მამაკაცის თავის აწევა რომ დასჭირდა, აქ კი კრძალვამ დაპირა ხელი.

ახლა ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა მამაკაცმა.

თუთიამ ბავშვებს გადაჰხედა, გაჰხედა, თავქვეშ ხელი ამოსდო და ბალიში შეუმარჯვა.

გულმა მაინც ურინდა, თავისი ჩუმი და გულჩათხრობილი მოზიარე უცრად მღვიძარე და ფხიზელი წარმოიდგინა...

— რას მერჩო, დედაკაცო? — ჩაკარგული ხმით ერთხელ კიდე ჩაიჩურჩუ-  
ლა ხოსიტამ.

ახლა კი გულზე მოხვდა ქალს ეს სიტყვა, ხელი გამოაცალა და ქრაქთან  
მივიდა, ზეამოსწია პატრუქი. შუქი მოუმატა.

საერთოდ დალაგებული და დინჯი აზრის პატრონა, ახლა იბნეოდა...

ჩაშლილ თითისტარით ებურდებოდა აზრი.

შინამოს მოავლო თვალი... ყველაფერი ისევე იყო, მაგრამ ყველაფერს  
სხვა იერი ჰქონდა... კედელზე ქმრისეული ჩოხა-ხანჯალი ეკიდა. განზე ძვე-  
ლებური დიდი განჯინა იყო ჩაჭრილი კედელში. შიგ დერგები, ხალმები, უქმი  
სადღვებელა; ზედა თაროზე — აკვანი, ისიც უქმი... ალბათ აღარც საჭირო...  
მაგრამ არა, ამას თუ ეძებდა ქალი?!

ჩამოიღო, თახჩაზე დადგა, ზედ ფარდაგის ძველი მიაფინა. ასე რომ დედა-  
შვილებსა და უცხო მამაკაცს შორის ტიხრად უქმი აკვანი აღიმართა.

ქალი გაუხდელად მიწვა ბავშვებთან. მხოლოდ ქალამნები წაიყარა.

დიღხანს არ მოუვიდა ძილი. უცხოს სუნთქვას აშკარად გრძნობდა.

ოთახში მამაკაცის ყოფნა ტრიალებდა...

საერთოდ აღრე დგებოდა ფუთია: იმ დღეს კი ალიონს აასწრო.

სახლში სტუმარი ჰყავდა.

რომ არ გაეღვიძებინა — გარეთ გავიდა. ლობიოს შეჭამანდი შეადგა, სა-  
ღიასახლისო მოისწრაფა. კარგად რომ გათენდა — შინ შემობრუნდა, მოათვა-  
ლიერა მძინარენი.

ბავშვებს ტკბილად ეძინათ.

თავისი სურვილის გარეშე სტუმარსაც გადაჰხედა მორიდებულად.

ხოსიტა ნაბახურევ დილის ბურანში იყო გატრუნული. მუდამ მოღუშულ-  
სა და სახეკუმტს ძილში ნაამები, საოცარი კეთილი ღიმი გადაჰვენოდა. შუბ-  
ლის ნოჭებიც გაშლოდა და აქა-იქ აბრეშუმად შეპარული თეთრი მის აბურ-  
ღულ წვერ-ულვაშს კეთილშობილ იერს აძლევდა.

ჩოხა გადავარდნოდა მძინარეს.

ქალმა აიღო და მოაგონდა, რომ გვერდ-დახეული დადიოდა მისი მოზიარე.  
ქმრისეული ჩოხის შალის მონარჩენი გამოიანხა ძველ ბოხჩაში.

გარეთ გავიდა და კერვას შეუდგა.

როცა შემობრუნდა, ხოსიტა წამომჯდარი დახვდა.

გაოგნებული თვალებს აცეცებდა, ალბათ ვერც გაეგო; სად იმყოფებოდა.  
თუთია რომ დაინახა — სულ აირია. აიმღვრა კიდევაც... სახე ისევ შე-

ეჭულრა და შეუჭარხლდა. საჩქაროდ ფეხები თახჩიდან ჩამოაწყო და ახალუხი  
შეისწორა.

ჩოხა მოათვალიერა... თუთიას ხელში რომ დაინახა — დაირცხვინა. ახსოვ-  
და — დახეული და წვირიანი ჰქონდა ჩოხა.

თუთიამ უსიტყვოდ მიაწოდა.

მამაკაცს სხვა ფერის ნაჭერი და ნაკერი მოხვდა თვალში და უფრო შერც-  
ხვა. ქალმა იგრძნო, კოკა აიღო და გავიდა. თავი გააშორა.

ხოსიტა დაკერილი ქურდივით აქეთ-იქით იხედებოდა და ამაოდ ჰლამობდა  
წუნანდელი თავგადასავლის აღდგენას... მერმე ხელი ჩაიქნია და გაპარვა გა-  
დასწყვიტა. ჩოხა სასწრაფოდ ჩაიცვა და ის იყო კარისაკენ გადგა ბიჯი, რომ  
კუთხეში ბავშვს გაეღვიძა, ერთი შეპკივლა და პერანგის ამარა გოგონა წამოხ-





ტა, ოთახში გამოირბინა, აკვანს მოუარა და თავგამეტებული ნახტომით კისერზე ჩამოეკიდა ხოსიტას.

— მამაია! ჩემი მამაია მოსულა! დაბრუნებულა!

გულში ეკვროდა და სახეს უკოცნიდა ბავშვი.

„მამაია“ უნებურად ხელი შესტაცა კისერზე ჩამოკიდებულ ბავშვს და ჩვილი ტუჩების შეხებამ ისე აუფორიაქა გრძნობა, რომ ძალა მოუსხლიტა და ისევ თახჩაზე დასვა.

გოგონა კი განაგრძობდა ალერსსა და შეცრემლებულ კვილს:

— ახლა მეცა მყავს მამაი! კარგი მამაია!.. — და უცებ წვერში სტაცა ხელი, თავი მოუბრუნა და ტუჩდაბერილად შეეკითხა: — რატომ დაიგვიანე? როგორ გელოდით! რამდენს გელოდით! მოგშივდებოდ!

ხოსიტამ ვერ გაუძლო ბავშვის დიდრონი, შავი თვალების საყვედურთან მზერას. გოგონა კი ისევ ვერცხლის წყალივით აცქრიალდა, ახლა „მამის“ ყურს მიეტანა, სულ სხვა, იღუმალი კილოთი გაანდო:

— მე ახლა... „მამაო ჩვენოც“ ვიცი... დედამ მასწავლა... სულ შენ გიგონებდით... ყოველ დილა-სალამოს... — და ისევ ჩაეხვია წამოწეულ ხოსიტას. — არა, ახლა კი აღარ გაგიშვებ! აღარა!

ხოსიტა გაუბედავად მოეფერა თვალცრემლიან გოგონას... ამ დროს მუხლის თავში ჩააფრინდა ვილაცა...

— მეც მინდა მამაია! ჩემიც არის!.. — ახლა ქვევიდან შემოუტია ვილაცა. ბუთხუზა, თმახუჭუჭა, დიდმუცელა ტინტრაქა ბიჭუნა ფეხში ჩაფრენოდა და „ზევით“ შეშვებს ითხოვდა.

— უიმე, გუცაი... ხელზე უნდა! — დიდქალურად აუხსნა თავომ და სხვენზე შემძვრალ კატსავით ჩაჰხედა ქვევით სატირლად მომზადებულ ძმას. ცრემლი ამოვრია ხოსიტასაც. ბიჭუნას მარჯვენა რომ მოავლო და მუხლზე შემოისვა ნამამარის გრძნობით, ჩვილის რძის სუნი იკრა.

ბიჭმა ცალი ხელი უღვეშში სტაცა, მეორე კი უბეში მოუცაცუნა. გოგონა ისე აკისკისდა, რომ უნებური მიუმხვდარი დიმილი ხოსიტასაც მოჰგვარა.

— ძუძუ უნდა ცერცეტას!.. — ახლა თავად ჩაუკრა გულში ხოსიტას.

— ეს დედა კი არ არის! მამა! გაქრი, შე ღორმუცელავ! — ძმასაც მოეფერა თავო. — იცი, მამაიკო! გუცა ჯერაც ძუძუს სწოვს! — უმალ დაასმინა მამასთან და ისევ ძმას მიუბრუნდა: — ეხლა ხომ შეეშვები დედასა? ხომ იძახდი, მამა რომ მოვო?! უი, გაქრი... ჯერ პაჩი არც კი იცის!.. — ხელით წაათამამა ძამიკო, რომელიც განცვიფრებული შეჰყურებდა „მამის“ ბურბუა წვერ-ტლავას, ალბათ ბალღურ გუმანში დედის სუფთა პირისახეს აღარებდა და ვერ გაეგო, სად ან როგორ უნდა მოეხერხებინა მამისათვის „პაჩი“? ბოლოს ყველაზე უშიშარ ადგილად თვალი მიიჩნია, იქნებ იმიტომ, რომ შიგ ცრემლი ედგა „მამას“, სწორედ ისეთი, დედიკოსათვის რომ შეუმჩნევია ხშირად.

— ვიცი, ლატომ ალა? — და თავდახრილ ხოსიტას თვალში აკოცა.

— ეს ჩემი თვალია! — უმალ შეედავა თავო...

ხოსიტას კი თავისი მოსდიოდა. ამ სხვისი ბავშვების უსაზღვრო და მიამიტმა ალერსმა გულ-ღვიძლი გადაუბრუნა ნამამარს.

რალაც უსაშველო მოადგა საყლაპავის არეში. ციებ-ციხელების ოფლში ჩააგდო, ფეტვოს კაკლის სახემსავასად დაეხირსვლა უბეები და შუბლის ძარღვი.

ხოლო როდესაც ხელუნებურად ბიჭუნას ხუჭუჭა თმას შეეხო, თვალები დახუჭა და თავისი ბიჭის თავ-სხეული ისეთი სიცხადით წარმოესახა, რომ გული ამოესკვნა...



— ვაი ჩემო? ვაი ჩემებო? — უნებურად გულში ჩაიკრა ორივენი, თავი მათ შორის ჩამალა, ცრემლი მოიპარა, ბავშვებს არ უჩვენა.

თვალი რომ გაახილა, კართან დადგმული კოკა შეამჩნია. სველი კოკა...

შეერთა, მიმოიხედა. კუთხეში თუთია მიმდგარიყო და უხმო ცრემლებს ამოდ იმშრალებდა.

იგი კარგა ხანია შემოსულიყო და „დაბრუნებული მამაიას“ ალერსის უტყვი მოწმე გამხდარიყო.

სულ შეირია მამაიაცი. ახლა კი ნამდვილად დაქერილი ქურდი იყო. სხვისი ბავშვების... სხვისი კუთვნილი ალერსის უნებური მომპარავი.

— რა ვქნა, დედაკაცო, შემომესივნენ და... — საბოდიშოდ ალუღლულდა, მაგრამ ხელი კი ვერ შეუშვა ბავშვებს.

... და ვგონებ ამ დროს, ან იქნებ უფრო ადრე თუ გვიან... აბა ვინ მიაკვლიოს დიდი და კეთილშობილი გრძნობის წარმოშობის წამი-კურთხეული... იგრძნო ხოსიტამ, რომ სწორედ ესენი არიან მისი ბავშვები... სწორედ მისი და არა სხვისი. ყანაში მობნეული ფერფლიდან ახალ ჯეჯილად ამოსული და... სწორედ იგი არის მათი „დაბრუნებული მამაია“.

— ბავშვებო, არ შეაწუხოთ... სირცხვილია!

ენა შეუბორკდა აფორიაქებულ-შენაპყარ ქვრივს.

— დედიკო, აღარ გაუშვა! აღარ! — უმალ მიაძახა თავომ და ბავშვები უფრო ჩაეკვრნენ ხოსიტას.

— ალა! ალა! — ბიჭუნაც იმეორებდა დის ნათქვამს.

— მამა! ნახე შენ დედამ ჩოხა შეგინახა — აგერა! აგერა! — გოგონამ კედლისაკენ მიახედა ხოსიტა. — ჩამოიღებდა, გასწმენდდა... სულ ტიროდა, ტიროდა... და ისევ იქ დაჰკიდებდა!

— სუ, გოგო! — ცრემლი ველარ შეიკავა დედამ და გარეთ გავარდა.

მოზღვავებულმა გრძნობამ ტანში აბურძკა ხოსიტა. იგი ახლა როგორღაც სხეულთ გრძნობდა თავისი გავერანებული ჩოხის ნაკერავის ახალ ნაქერს... იმ კედელზე გაკრული ჩოხის შალისა იყო... „იმის“ ჩოხისა!

— მამიკო, ეს როგორ არის — გუცას სულ ხუჭუჭა აქვს თმა, შენ კი არა?

— დედისა გამოჰყვა... დედისა!..

— აი მამისაო? მომატყუა დედამა?! მეც შენისთანა თმა მაქვს... აი ნახე! — კატის კუდივით წვრილ, წაბლისფერ ნაწნავს უფარდებდა გოგონა ხოსიტას ქალარნარეც თმას.

— ჩემი ყოფილა მამაია! უფრო ჩემი!

— ალა ჩემი! — სატირლად ემზადებოდა გუცა.

— ორივესი! ორივესი! — თავისთავად წამოსცდა ხოსიტას... და ამ სიტყვის შემდგომ ისეთი შეება იგრძნო, თითქოს დიდი ხნის სათქმელი ძლივს ამოიცნო და თავსატეხიც გამოარკვია.

— დედაკაცო! დედაკაცო! — ჩაბოხებული ხმით გასძახა გარეთ და როდესაც თუთია შემოვიდა, კაცმა შეტყველად და თვალგატეხილად შეჰხედა მას:

— იცი რა გითხრა... — სიტყვა შეერია, მაგრამ ჩაახველა და უფრო დაინჯებულად განაგრძო: — არც შენა და არც მე — ბედი მაინც არ გვიწერია და... ესენი მაინც ვაბედნიერთ!.. შეძლებისდაგვარად... ჰა?! ესენი მაინც!

ქალმა არ გასცა პასუხი.

... მაგრამ ხოსიტამ, თავისებურად, ოდესმე ნაცნობი და ნაცადი გუმანით, მამაკაცურად გაზომა საქმე.

ბიჭს მიუბრუნდა:

— მაშ ასე, გუტავ... დღეიდან აღარ შეაწუხო დედაი... რაღა დროს შენი ძუძუა, ვაჟკაცი ხარ!.. შენ ყური უგდე, გოგოვ — უფროსი დაი ხარ!! აბა, აბლა კი ლოცვა სთქვი, წელან რომ იძახდი ვიციო! შენც აქ მოდი, დედაკაცო!! ხოსიტა ფეხზე წამოდგა, ბიჭუნა ძველჩვეულად მხარზე შეისვა, რითაც საბოლოოდ მონადირა გუცას გული...

გოგონამ კი თახჩაზე ჩაიჩოქა, ხელები ლოცვად მოიყვანა და ფაქიზი ხმით დაიწყო:

— „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი...

იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეც ქვეყანასა ზედა... პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ“...

ხოსიტამ „მეტი ველარ გასძლო, ვერც პირჯვარი ისახა, ვერც უპირჯვროდ ილოცა...

ბიჭი დედას მიაწოდა და გარეთ გავარდა...

უკვე ეზოს გადაღმა იყო, როცა ქალმა მიაძახა:

— პური მაინც გეჭამა?!


— დამელოდეთ, ახლავე ჩამოვბრუნდები! — მოუხედავად გაეპასუხა და უფრო გაშალა ნაბიჯი.

... და მოკლე ხნის შემდგომ ოქრო-პაპამ თავისი სარკმლიდან შეამჩნია — სოფლის შარაზე ხოსიტა თავქვე მოდიოდა, საბელით თხა მოჰყავდა.

მეწველი თხა იყო, რომელიც ხოსიტამ ნისიად, ახალი კეხის გათლის ანგარიშიში გამოართვა ხაპრო ყანდარელს.

— დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ორი უბედურებიდან ვგონებ ერთი ბედნიერება მაინც გამოვიდა!! — პირჯვარი ისახა მოხუცმა და ხოსიტას კეხი ბანის თავზე შეინახა.

... ხოსიტა კი ძალა-ძალა ეწეოდა გაჯიქებულსა და წინაფეხებგაფარჩხულ თხას... არ მიჰყვებოდა ჯოგს მოსხლეტილი... ურჩობდა... მაგივრად „დაბრუნებულ მამაიას“ ერჩოდა შემობრუნებული გული, ბეჯითად მიუწევდა „ახალმოწეულ“ ოჯახისაკენ.



## მერეა კახიძე

ვით ნაწვიმარი  
ფოთოლი ვერხვის  
მე ისე ვღელავ.

გზაზე ვინ არის  
ჭაბუკი ერთი —  
ულიმის ყველას.

არის მაღალი,  
როგორც ბამბუკი,  
ლამაზი მეტად.

დამაქვს ნადველი  
მე იმ ჭაბუკის  
და დავალ კენტად.

მზეს მოსდის რული.  
დაზამთრებულა.  
წასულა საით.

და ჩემი გული  
აზავებულა  
მდინარესავით.

გარეთ ქარბუქში  
ქარი ირწევა,  
ნიბლია კვდება.

მე ის ჭაბუკი  
დასავიწყებლად  
არ შემეტება.

## მე როცა ვუყვარვარ ვისმე

მე როცა ვალმერთებ ვისმე,  
ვარ ბედნიერი და ხალასი;  
მიწიდან უენო ბალახის  
ხმამალალ ლაპარაკს ვისმენ,  
შევცინი ცასა და ქვეყანას,  
მე როცა ვალმერთებ ვისმე.

მე როცა ვუყვარვარ ვისმე,  
ვმალდებ, ვით ცაში სამრეკლო;  
მსურს ცისკრის ზარებად დამრეკონ,  
ვიცინი ისევ და ისევ,  
ვუდიმი გამვლელს და გამომვლელს,  
მე როცა ვუყვარვარ ვისმე.

მე თავი მგონია მაშინ  
ყველა ტკივილების მომრევი,  
ვარ დიდი სიმღერის მორევი,  
ვარ ენატიკტიკა ბავშვი

და ყველა ლამაზი სიმღერა  
მე ჩემი მგონია მაშინ.

როცა არ ვუყვარვარ არავის,  
როცა არ ვალმერთებ არავის,  
მინდორზე ყვავილთა კარავის  
უენო გოდებას ვისმენ;  
შევტირი ცასა და ქვეყანას,  
როცა არ ვუყვარვარ ვისმე.

მე მინდა სიცოცხლის ბოლომდის  
ვვავდე ოცნებას და მოლოდინს  
და დიდი სიყვარულის ხალისი  
გულს მენტოს ისევ და ისევ,  
ვიმღერო მზის საგალობელი —  
მიყვარდეს, ვუყვარდე ვისმე!

\*  
\*  
\*

ცა — რიცას ტბაა წმინდა და სუფთა,  
მთვარე დალივით ტბაში ჩამჯდარა.  
მე მესმის ჩეილი ბალახის სუნთქვა —  
ცაზე დაწერილ ლექსთა მაჯამა.

ავედევნები მზეწვია ჩიტებს,  
ვივლი მერცხლების ქარვასლიონით,  
გული იმხელა სიყვარულს იტევს,  
ვერ გადასწონის კავკასიონი.

ვინ გამოგეტაცოს მზე — ცის კარავზე  
ჩამოყიდული ოქროს საწმისი,  
ისევე ტყბილი, ვით ქვეყანაზე  
სიცოცხლის ბოლო და დასაწყისი.

და თუ მზაკერულად მიწა დალახვრეს  
და თუ ტირილად იქცენენ ბაღლები,  
აიშლებიან ქართლის ბაღები,  
როგორც მშვიდობის ბაიარაღები,

წამოდგებიან მთები გომბორის —  
სამას არაგველ ძმათა აკენები;  
კურთხეულ მიწის მწვანე ბალახო,  
მე შენს სიყვარულს შემოვაკედები!

შენზე უძირო ფიქრმა დამქანცოს,  
შენზე სევდამ და ლხინმა დამნაცროს;  
და ვიყო წყნეთელ მაიასავით  
ჩემი მზისა და მიწის სანაცვლო!

## პასუ გორგაძე

### მოსკოვი

#### (მოგონება)

მახსოვს, ჯერ კიდევ ვიყავი ბავშვი,  
მენატრებოდა მოსკოვის ნახვა,  
და რა სიამე ვიგრძენი მაშინ,  
როდესაც ჩემი ოცნება ახდა.

ზაფხული იყო. მწვერვალნი ხეთა  
მზეს შეეღება მეწამულ ფერით...  
მოსკოვის დილა ღიმილით შემხვდა,  
გამომიწოდა ძმასავით ხელი.

მე დავდიოდი ქალაქში მარტო,  
მაგრამ ნაღველი არ მადონებდა:  
დიდი მდინარე, ქუჩები ფართო  
ჩემს ლამაზ თბილისს მომაგონებდა.

ყრმებს, ჯერ ნერგივით დაუფურჩქენლებს,  
მან ცოდნის კარი გაგვიღო წმიდა,  
და, ცხოვრებაში გამოუცდელებს,  
მისი პარნასის ნათელი გვზრდიდა.

აქ მოწიწებით ვიმეორებდი  
ლერმონტოვის და პუშკინის ლექსებს,  
მე აქ მხიბლავდა ბლოკის „თორმეტი“  
და სიმღერები რუსეთის ველზე.

აქ დავვაჟაკადით, აქ განვიცადეთ  
ბარიკადებზე საბრძოლო წრთობა,  
ხალხთა სიყვარულს აქ ვეზიარეთ,  
მივხვდით, რას ნიშნავს ნამდვილი ძმობა.

მიყვარს მშვიდობის უბადლო მცველი,  
რა დამავიწყებს მოსკოვის სახელს:  
მე ამ ქუჩებში ვუსმენდი ლენინს,  
მე აქ პირველად სტალინი ვნახე!

მზე თბილისური! კრემლის ნათელი!  
მოგონებები გმირობის დღეთა...  
ორი ქალაქი, ორი სახელი,  
ორივე ტკბილი მშობელი დედა!





„სიმღერა ოქროსფერ მტრელებზე“

ნახატი დ. ერისთავისა

## აორამ ჩაჩანიძე

# სიმღერა ოქროსფერ მცროსებზე

იგი გავიცანი მაშინ, როცა საშუალო განათლების ატესტატი მივიღე. ზაფხულს ვატარებდით მანგლისში. მამამ ბინა სწორედ იქ დაიქირავა, საიდანაც კარგად ჩანდა ალგეთის ხეობა, ცამდის აწვართული ნაძვები, ბუდიონოვკის პურის ყანები.

იგი ჩვენთან მოიყვანა მამამისმა, მაღალმა და ლამაზმა კაცმა, რომელიც მამაჩემთან ერთად პატარა კანტორაში მუშაობდა და წარამარა საანგარიშოს აჩხაკუნებდა. გავეცანით, ჩავეყვით ნაძვნარს და შუაგულ ტყეში დიდხანს უთავბოლოდ ვიხეტიალეთ.

ეს იყო ჩვენი ნაცნობობის პირველი დღე და რასაკვირველია, სალაპარაკოდ ცოტა გვქონდა. მაგრამ შემდეგ, როცა დავუახლოვდი, აღმოვაჩინე, რომ ლამაზი იყო. უცნაური რამ დამემართა; ერთბაშად გულში გამკრა ახალმა, მანამდის უჩვეულო გრძნობამ.

ერთხელ დილით, როცა ტყეში ჰამაკს ვაბამდით, მის შავ თვალებში რაღაც მანამდე უხილავი რამ შეენიშნე.

— ჩაჯექი, — მითხრა მან.

— შენ თვითონ ჩაჯექი, აქამდე ხომ ერთად ვჯდებოდით!

არაფერი მიპასუხა, უსიტყვოდ ჩაჯდა ჰამაკში. ხელი ვკარი და გავაქანე. დიდხანს ვერთობოდით ასე, მერე ერთბაშად ჩამოხტა და დიმილით მითხრა:

— ახლა შენ ჩაჯექი, შენი ჯერია.

მე არ ჩაემჯდარვარ და ჰამაკი ისევ ავხსენით.

იმ საღამოს წვიმამ საცეკვაო მოედანზე მოგვისწრო. ხოშკაკალასავით მსხვილი მხეფები წამოვიდა. იმწამსვე სახლისაკენ მოგკურცხლეთ. უნდა გამოგვევლო მთელი ტყე. ბევრი ვირბინეთ, მაინც დავსველდით. ფეხსაცმელები მთლად დალბნენ, დამძიმდნენ, წყლის ბუშტებს უშვებდნენ და სასაცილოდ კრიჭინებდნენ.

— შემცივდა, — თქვა მან.

ხალათის მეტი არაფერი მეცვა, ისიც გავიძრე და მას ჩავაცვი.

ხომ მოგეხსენებათ, ზაფხულის წვიმა პეპელასავით უდღეურია. როცა ტყიდან გამოვედით და ხეობაში ჩავეშვით, მთვარემ კვლავ ჩამოაჭყიტა, შუქი მოჰფინა მიდამოს. ახლა სასიამოვნოდ კი გახდა სველი ბალახი. რომელიც მუხ-





ლამდე გვწვდებოდა. დამძიმებული ფეხსაცმელები გავიძვრეთ, მხარზე გადავიკიდეთ და ისე ავყევით შეღმართს.

— დავილაღე, — კვლავ მომესმა მისი ხმა.

არ ვიცი იმ წუთში რა ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ ეს კია, ბევრი აღარ მიფიქრია, ორთავ ხელებით დავწვდი და ძვირფასი ტვირთი ხელში ავიტაცე.

— დამამტვრევ, გიჟო, — ჩურჩულთ თქვა, მარცხენა ხელი კისერზე მომხვია, თვალები მინაბა, გაიტვრინა. სადღაც ახლოს, ძალიან ახლოს მესმოდა მისი ხშირი სუნთქვა და გონებას მიმღვრევდა.

ასე ვიარეთ ცოტა ხანს, მერე ფეხსაცმელები ძირს დავყარე, მარცხენა ხელი ვუშვი მის ფეხებს და როცა ვიგრძენი, რომ უკვე მიწაზე იდგა, წელზე შემოხვეული მარჯვენით მოვსალტე. ლამაზი თავი ნელა დაიხარა ჩემსკენ...

— გვეყოფა, წავიდეთ, — ჩურჩულებდა, მაგრამ მაინც ვერ მტოვებდა, კვლავ მეკვროდა.

მთელი ღამე არ მიძინია. ვგრძნობდი, რომ ისიც თვალს არ მოხუჭავდა იმ ღამეს. ვწრიალებდი, სულ თვალწინ მედგა მისი ღამაში, ხორბლისფერი სახე.

მეორე დღეს ალგეთის ხეობას გავყევით. წავედი ისე შორს, რომ კაცის თვალი ვერ მოგვწვდებოდა. ტყის ნაპირას ვიპოვეთ თივის დიდი ზვინი. ზვინი კი არა, შორიდან იაკუტის იურტა გეგონებოდათ. ჰოდა, ამ ზვინის ჩრდილში წამოვწყვეით.

ის იწვა გულადმა, ხელები თავქვეშ ამოედო, მე ხელი წელქვეშ შევუტურე და ვაკოცე. ასე ვიყავით დიდხანს, მერე თავი პატარა მკერდზე დავადე. ვიგრძენი, რომ მისი გული აჩქარებით ცემდა.

— კუკური, კუკური, გესმის?

— მესმის.

— მეშინია.

— რისა გეშინია?

— არ ვიცი რისა... შენ ხომ ყოველთვის ჩემთან იქნები?

არაფერი ვუთხარი, კვლავ დაუუკონე ლოყები, შუბლი, ტუჩები.

— არ მიმატოვებ? — ჩურჩულებდა ის და მეკვროდა. მზემ აქაც მოგვაგნო და ცოტა ჩრდილოეთით გადავინაცვლეთ. მერე ისევ მოგვაგნო და კვლავ შევბრუნდით. ასე ვუარეთ ზვინს, სანამ ჩრდილები აღმოსავლეთით არ წაგრძელდნენ, მაშინ კი წამოვდექით და კვლავ მომესმა მისი ხმა:

— ნუთუ მუდამ ერთად ვიქნები?

— ჰო, მუდამ.

— სამუდამოდ?

— სამუდამოდ...

ფართო კიშკართან მაღალი ქალი იდგა. იმ წამსვე თვალში მეცა მისი მკაცრი სახე... გრძელი, წვეტიანი ცხვირი, გარმონივით დაკეცილი შუბლი და წამოშვერილი ნიკაპი.

— დედაჩემია, — თქვა მან შიშით.

— მანანა! — დაიგუგუნა ქალმა და იმ წუთში მივხვდი, რომ მანანას შუბლზე იმ უცნაურმა ქალმა ყველაფერი ამოიკითხა.

— ეს მამას თანამშრომლის შვილია, დედა, — თქვა მანანამ.

— ვინც უნდა იყოს, მე არ მეკითხება.

მისი ხმა ისე გაისმა, თითქოს მანგლისის ეკლესიის სამრეკლოზე ყველაზე დიდი ზარი ჩამორეკესო.

— შემოდი!



ქალიშვილმა ბიჯი გადადგა და... ოდიშელების სააგარაკო სახლის კარზე ჩემს ცხვირწინ სამუდამოდ დაიკეტა.

ბევრი ვუარე, მაგრამ სიტყვა ვერ მივაწვდინე; დავრწმუნდი, რომ ამ ქალიშვილს მეტად მოხერხებული „ციხის უფროსი“ დარაჯობდა. დავნადვლიანდი.

სამი დღის შემდეგ მამამ, რომელმაც ეჭვი არაა, კარგად შემატყო ყველაფერი, მითხრა:

— ოდიშელები სასწრაფოდ წასულან. ნეტავ რა ამბავია?

მე შევეკრთი. ეს გრძნობა ისე აშკარად გამოვხატე, რომ მამას გაეღიმა, თმებში კოტიტა თითები გამიტარა.

— გულს ნუ გაიტეხ, შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ცხოვრებაში ასეთი ბზიკი ხშირად გიკბენს. ციოდე შენი ფასი.

აგარაკიდან ივლისის ბოლოს ჩამოვედი.

ქალაქში აუტანელი სიცხე იდგა. გამდნარ ასფალტზე მძიმე მანქანების საბურავები ზოლს ავლებდნენ. ხანდახან ვაკის მხრიდან წამოუბერავდა ნიავი და სიცხისაგან გათანგული თბილისელები შვეებით ამოისუნთქავდნენ.

დაფიქრებული მოვეყვებოდი მელიქიშვილის ქუჩას.

— კუკური!

ხმა იყო ნაცნობი, ძლიერ ახლობელი. შემოვბრუნდი. სამედიცინო ინსტიტუტის პირდაპირ იდგა, იღიმებოდა. ოდნავ ამაღლებული ტროტუარიდან ჩამოირბინა. მივეგებე.

— სადა ხარ, კუკური, სად დაიკარგე?

სულ იცინოდა, იცინოდა, და თეთრ სწორ კბილებს აჩენდა.

ხელი როდი გაუშვი, მარცხენა მხარზე დავადე და თვალებში ჩაზეხდე:

— არსადაც არ დაეიკარგე, შენ თვითონ არ ჩანდი.

— გახარებ, აი, ნახე, ქართულ წერაში ხუთიანი მივიღე.

გამოვეყვით მელიქიშვილის ქუჩის ვიწრო ყელს. ყვებოდა ათასგვარ სისულელეს, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა დღევანდელ შეხვედრასთან.

ფეხით მოვედი მთავრობის სასახლემდე, აქ შეჩერდა და თითქმის ბრძანების კილოთი მითხრა:

— ჩვენ შევალთ კინოში და ვნახავთ „დიდ ვალს“.

ჩემთვის რომ ეკითხათ, კინოში შესულა გირჩენია თუ ამ გოგონასთან თბილისის ქუჩებში ხეტიალიო, დაუფიქრებლად მეორეს ავირჩევიდი, მაგრამ ხმის ამოუღებელი სალაროსთან გავჩნდი.

ორი საათის შემდეგ სახლისაკენ მივაცილებდი, აღფრთოვანებით ვმსჯელობდით ფილმის შესახებ. ალაყაფის კარებთან შეჩერდა, შემომხედა, გამიღიმა და მშვიდად მითხრა:

— ეცხოვრობ მეხუთე სართულზე... პირდაპირ ღმერთთან, ოღონდ თუნუქის ცხელი სახურავი გვაშორებს... ჰოდა, თხუთმეტში ჩემი დღეობაა, მოხვალ?

— შენ როგორ გსურს?

— სხვანაირად რომ მსურდეს, არც დაგპატიებდი.

— მერე დედაშენი?..

— ნუ დარდობ, არც ისე საშიშია. ციოდე, გელი.

იგი კარს უკან გაქრა. გაქრა და აფორიაქებული სული დამიტოვა. ახალადა გამახსენდა, რომ კიდევ ბევრი რაღაც მქონდა სათქმელი, მაგრამ ვეღარ მოვასწარი. ერთ ხანს გაოგნებული ვიდექი. მერე გამოვბრუნდი.

დანიშნულ დღეს ხვეულ კიბეს მეხუთე სართულისაკენ მივყვებოდი. უნებლიეთ ვფიქრობდი, რომ ეს კიბე ჩვენი უცნაური, დახლართული სიყვარულის გზას წააგავდა და ახლაც მის გულთან თავბრუდამხვევი ტრიალით მახლოვებდა.

ჟოლოსფრად შედებულ კარზე ელექტროზარის დილაქს თითი შევახე და კარიც უმალ გაიღო. ჩემს წინ მანანას დედა იდგა და მკაცრად მიყურებდა.

— მანანას სთხოვეთ...

— ახლავე, — ცივად, მოკლედ მიპასუხა, და ცოტა ხნის შემდეგ კარს იქით იგივე ხმა გაისმა: — მანანა, შენთან არიან!

კართან ახლა მანანას აღგზნებული, ლამაზი სახე გამოჩნდა, მან ხელი ხელში ჩამავლო და ოთახში თითქმის ძალით შემეიყვანა.

— როგორ იქცევი, თითქოს უცნობი იყო. დედა, ეს კუკურია.

დედამისმა ისევ ცივად შემათვალეირა. მოწყალეობა მოიღო, ხელი ჩამომართვა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ამ ოჯახში არც თუ ისე სასურველი სტუმარი ვიყავი. მაინც გადავაბიჯე ოდიშელების ოჯახის ზღურბლს, გადავაბიჯე და ერთბაშად გაჩახჩახებულ დარბაზში აღმოვჩნდი.

პირდაპირ, ოქროსფერ სავარძელში, ვილაც მსუქანი კაცი უბოდიშოდ თვლემდა. გვერდით რბილ სკამზე ფერმკრთალი ქალიშვილი იჯდა და მომაბეზრებელი ტიტინით ცდილობდა მსუქანის მამაკაცის გამოფხიზლებას.

უფრო იქით, დარბაზის სიღრმეში, კიდევ ერთი ქალიშვილი იჯდა. მისი სახე ვერ დავინახე, რადგან თავი საოჯახო ალბომში ჩაერგო.

სამაგიეროდ კარგად ჩანდა როიალთან მჯდარი ყმაწვილი, რომელსაც მუხლისთავზე პატარა ბლოკნოტი გაეშალა და შიგ რაღაცას ინიშნავდა. მეზობელი ოთახიდან ისმოდა რამდენიმე ქალისა და მამაკაცის ხორხოცი.

— იცნობდეთ, — გაისმა მანანას ხმა და მაშინვე ვიგრძენი ჩემსკენ მობრუნებული სამი უცხო ადამიანის მზერა. როიალის წინ მჯდარი ყმაწვილი არც კი განძრეულა. მე სათითაოდ ჩამოვართვი ხელი ყველას და როცა მეოთხის წინ შევდექი, ის ერთბაშად ფეხზე წამოდგა. არც კი შემოუხედავს, ისე გააკეთა რაღაც უცნაური რევერანსის მსგავსი. წვრილი, თავის თვალები ფეხიდან შუბლამდე ნელ-ნელა ამაცოცდა. ერთ წუთს ვცადე გამოხედვა მაინც დამეჭირა, მაგრამ მისი თვალები რატომღაც გამირბოდნენ და სადღაც ჩემს უკან იყურებოდნენ. როცა ჩვენი ხელები ერთმანეთს შეეხო, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ხელში ქვეწარმავალი მეკავა. ხელი მაშინვე გავითავისუფლე და უნებურად უკან დავიხიე.

— მე თქვენ შორიდან გიცნობთ, კუკური გქვიათ, არა? მანანა მელაპარაკა, ვიცნობდეთ. მე ნიკოს მეძახიან.

— ლეონტი გეორგიევიჩ, აქეთ მობრძანდით, აქეთ, — მოისმა ნაცნობი ხმა და კარებში მანანას მამა გამოჩნდა. ის თითქმის ძალით მოათრევდა ვილაც უშნო მამაკაცს.

— მანანა, ბანქოს ქალაქი მოგვაწოდე, მე და ლეონტი გეორგიევიჩი ვითამაშებთ.

მანანა გაიქცა. მამამისმა სწორედ ახლა შემნიშნა, ჩემსკენ წამოვიდა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით შუა დარბაზში, სწორედ ჰალის ქვეშ. მისი მძლავრი მარჯვენა ჩემს მხარს მეგობრულად ჩაეჭიდა.

— აი, შე ცულულუტო, სად დაიკარგე? — ღიმილით მითხრა მან, თითი დამიჭინა, გულზე მიმიკრა და თავისი დიდრონი კეთილი თვალებით ჩამამტერდა.

მანანამ ბანქოს ქალალი შემოიტანა.

გიორგი და ლეონტი გეორგიევიჩი პატარა მაგიდასთან მოთავსდნენ. მე კარგად დავინახე წითელი სამთუმნიანების დასტა, რომელიც ლეონტი გეორგიევიჩმა მარჯვენა ჯიბიდან გულგრილად ამოიღო და მაგიდაზე დადო. მას არც ძია გიორგი ჩამორჩენია, მანაც დააწყო მაგიდაზე ფული. მსუქანი კაცი, რომელიც სავარძელში თვლემდა, ერთბაშად გამოფხიზლდა, ფეხზე წამოიჭრა და ისიც მრგვალ მაგიდას მიუჯდა, ამის დანახვაზე მის გვერდით მჯდარ გოგონას სიცილი წასკდა. თამაში გაჩაღდა.

მთელი ამ დროის განმავლობაში ბლოკნოტიანი ყმაწვილი როიალთან იდგა. ვერძობილი გულდაგულ მათვალეირებდა. ბოლოს ჩემთან მოვიდა:

— ჩვენც ხომ არ ვითამაშოთ?

იმ წუთში ჩემი ჯიბე გამახსენდა, სადაც ორი სამმანეთიანის მეტი არაფერი მეგულებოდა. გავწითლდი, ალბათ ძალზე სასაცილო ვჩანდი, რადგან მანანა ყველაფერს მიმიხვდა. მამამისთან მივიდა, მისი თხელი ტუჩები ერთ წუთს მამის ყურს მიწვდნენ. მამამ შეიღს კეთილად გაუღიმა, მერე მისმა ხელმა მაგიდაზე ლეონტი გეორგიევიჩის სამთუმნიანები მოხვეტა და როცა თავის ფულს შეუერთა, შეიღს მიაჩერდა, ხელი მხარზე დაადო. მივხვდი, მას არ ესმოდა, რასაც მანანა ეუბნებოდა, მთელი არსებით თამაშზე ფიქრობდა. მანანამ გამბედაობა გამოიჩინა და რამდენიმე წითელი ასიგნაცია დაითრია. გიორგის ეს არც კი შეუმჩნევია, მხოლოდ ლეონტი გეორგიევიჩმა დააჰყიტა თვალები და სკამზე სანახევროდ შებრუნდა.

მანანა ჩემთან მოვიდა და ისე, რომ არავის შეემჩნია, ფული ხელში მომაჩენა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — მომესმა ანლადაცნობილი ყმაწვილის ხმა. მე სავარძელში ჩავეწვი, ყმაწვილმა თითებს შორის გაატყაცუნა ბანქოს ქალალი და ხმამაღლა თქვა:

— ბანქოა ათი მანეთი.

— მომეცით სამი მანეთი, — ვთქვი მე და ჩემს წინ დაგდებული კარტი გავსინჯე. — მომეცით კიდევ, კიდევ, კიდევ ერთი. თქვენია. დავიწვი.

ჯიბიდან სამმანეთიანი ამოვიღე და ნიკოს წინ დავდე.

— სალამი ყმაწვილებს, — მომესმა საკმაოდ ბოხი ხმა.

— ახ, ედიკ, — შეჰყვირა ჩემმა მოწინააღმდეგემ, — დაჯექი, ვითამაშოთ. იცნობდე, ეს ბიძია გიორგის ამხანაგის შვილია.

ედიკმა ხელი ჩამომართვა და ჩამოჯდა. მესამე ქალალი მის წინ დაეცა, თუ ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე ქალალის ყველაზე უსინდისო მოთამაშე და მას ადამიანის სახე ჰქონია, დავიფიცებ, რომ უეჭველად ნიკო ერქვა და გვარიც იმ არამზადასი ექნებოდა, რომელიც ახლა ჩემს პირდაპირ იჯდა — თვალები უმანკო კრავს მიუგავდა, ხელებით კი ბანქოს ცანცლავდა.

მოგეცათ ლხენა, მე და ედიკი ღღეში ჩავარდით. მე კიდევ არაფერი, მანეთ-მანეთ ვმარცვლავდი, ედიკი კი თუმნიანზე ნაკლებს აღარ იძახდა და თვალის დახამხამებაში ორივე ჯიბე გადმოაბრუნა, მერე მე მომიბრუნდა და ნაღვლიანად მითხრა:

— ხომ არ მასესხებთ ცოტას?

— სიამოვნებით, მაგრამ ჩემი ავლადიდება სულ ეს არის, — ერთ თუმნიანზე და ორ სამმანეთიანზე მივუთითე.

მან ხელი ჩაიქნია, გაბრაზებით თქვა:

— ნეტავ რას უცდიან, შუალამე გადავიდა. ჰეი, მანანა, არ ვიწყებთ?!



— ცოტაც მოითმინეთ, პროფესორი არობელიძე უნდა მოვიდეს.

— დასწყევლოს ღმერთმა, ახლა პროფესორს ვუცადოთ. — ჩაიბუზღუნა ელიკამ.

— პროფესორი არობელიძე ჩემი ბიძაა და ამ ოჯახის ახლობელი კაცი, მას დიდი ამაგი მიუძღვის ინსტიტუტში მანანას მოწყობის საქმეში, — განმარტანკომ და ამასობაში მორიგი აფიორა გააკეთა.

ბოლოს კარებში ოჯახის დიასახლისიც გამოჩნდა. ის ამაყად ჩადგა კარებში, თვალები ზევით აღაპყრო და ცივად თქვა:

— შეგიძლიათ მობრძანდეთ, სუფრა გელით.

მასპინძელს გამეორება აღარ დასჭირდა, ყველა კარებს მიაწყდა, დავინახე, პატარა, ჩამრგვალეული კაცი, რომელიც ადრე სეარძელში თვლემდა, როგორ მოხდენილად გაძვრა სტუმრებს შორის და მაგიდასთან პირველი გაჩნდა.

როცა სასადილო ოთახში შევედი, ერთხელ კიდევ შევხედე დიასახლისს. ის ორ გაპუდრულ ქალთან იდგა და რალაცაზე ხმადაბლა საუბრობდა. წინ რომ გავუარე, აი რა გავიგონე:

— საიდან იცით?

— დიახ, ღმერთმანი, ვიცი, ჩემო ანეტა, მე მოგიკვდე, თუ ნიკო მანანას არ ეყურებოდეს.

დიასახლისმა წარბი უფრო შეიკრა და მრისხანედ თქვა:

— ტატიანა, ძალიან გთხოვ, მეორედ არ გამაგონო, ჩემს მანანას იმ ჭლეჩიან აქლემს არ მიცემ.

მე გამელიმა. გრძელ მაგიდასთან ადგილი დავიკავე.

ოჯახის უფროსი ფეხზე ადგა, ხელში მომცრო ჭიქა აიღო და შკერმეტყველურად თქვა:

— მადლობელი ვარ, რომ დამაფასეთ და შესტუმრეთ, მეც და ჩემი ერთადერთი ქალიშვილიც შევეცდებით სამაგიერო პატივისცემა გადავიხადოთ. ახლა მსურს დავასახელოთ სუფრის ხელმძღვანელი. ვის არ გაუგონია ვალიკო გურაბანიძე, პატიოსანი და განათლებული კაცი.

გურაბანიძემ სუფრის თავიდან ყასიდად დაიძახა:

— შენც არ მომიკვდე, ჩემო გიორგი, აგერ ჩემზე უკეთესი ბიჭები არიან.

გიორგის ამ განცხადებისათვის, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია და დინჯად განაგრძო:

— ჰოდა, მამ გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ თამადას!

— ვაშა, ვაშა! — გაისმა ძანილი.

მე ელიკას გადავხედე და დავრწმუნდი, რომ იმ მცირე დროს, რომელიც ჩვეულებრივ თამადის არჩევაში იკარგება, მისთვის ტყუილად არ ჩაუვლია... ახლომახლო მთლად მოუსუფთავებია ყველაფერი.

საბოლოოდ საარჩევნო გაწამაწია უმტკივნეულოდ დამთავრდა. გურაბანიძე მაგიდის თავში მძიმედ აღიმართა და მოისმა მისი მჭექარე ხმა:

— ბატონებო, პირველი ჭიქით მე მინდა ვაღლევრძელო...

მაგრამ თამადას სიტყვა გააწყვეტინეს, კარებში დიასახლისი გამოჩნდა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— პროფესორი არობელიძე მობრძანდა!

დიასახლისს ფეხდაფეხ შემოაყვია სახეგაბადრული თეთრწვერა ჩია მობუცი.

— გამარჯობათ, ძვირფასებო, გამარჯობათ, მამატიეთ რომ დავიგვიანე, მაგრამ როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს შეეხება, ყველაფერი საპატიოა. პირ-



დაპირ სისხლიანი ხელებით მოვიღვივარ. ამ წუთში ოპერაცია გავუქეთე მძიმედ დაქრილ კაცს.

მანდილოსნებმა ისე შეიცხადეს, თითქოს მართლაც პროფესორის სისხლიანი ხელები დაენახათ. ნიკომ აღფრთოვანება ველარ დამალა და ხმამალა იყვირა:

— ვამბობდი, ბატონი ბიძაჩემი — პროფესორი არობელიძე უმიზეზოდ არ დაიგვიანებს-მეთქი. ხომ მართალია, მეგობრებო?!

პროფესორი მაგიდასთან დასვეს და თამადამ შეწყვეტილი სიტყვა უფრო მეტი რიხით განაგრძო:

— ჰოდა, მე მსურს პირველი ჭიქით შევსვა მისი სადღეგრძელო, ვისი მიზეზითაც აქ შევიყარენით. ეს არის ჩვენი მარგალიტი მანანა. მას დღეს ცხრა-მეტი წელი შეუსრულდა, სამედიცინოშიც ჩარიცხეს. მანანა არა მარტო გარეგნულადაა ლამაზი, არამედ მდიდარი ბუნების ქალიშვილიცაა, — აქ თამადამ მოიყვანა მრავალი მაგალითი მანანას ცხოვრებიდან.

როგორც კი თამადა დაჯდა, ნიკო ფეხზე წამოიჭრა. ჩემი აზრით, მას ბანქოს თამაში უფრო ეხერხებოდა, ვინემ საზოგადოებაში თავის დაჭერა. სუფრას ამაყად მოავლო თვალი და საყოველთაო სიჩუმეში თხუთმეტი წუთი მანც იქაქანა.

ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა და, სიმართლე რომ ვთქვა, საკმაოდ გამოვთვერი.

სუფრა გათენებისას აიშალა. მანანამ კიბეზე ჩამოგვაცილა და ნიკოსთან ერთად, რომელსაც ღვთის წინაშე ყველაფერი ვაპატივე, თბილისის დილის ნისლში გავეხვიე.

გცხოვრობდით საბურთალოსზე. მყუდრო ქუჩაზე. ჩვენი ორსართულიანი სახლი ყაზარმას გავდა. საკმაოდ დანაგვიანებულ ეზოში შეშისა და სხვა ხარახურის შესანახი პატარა ფიცრული სახლები ერთ რიგად იყო განლაგებული. მწკრივის ბოლოში, სწორედ ძია კოტეს ფანჯრის პირდაპირ, ჩვენი ფიცრული იდგა. ჩემი მუყაითი მამის წყალობით ჩვენი ფიცრული სხვებთან შედარებით უფრო ღირსეულად გამოიყურებოდა. ფიცრულის სახურავზე მე და ჩემმა ანცმა ძმამ სამტრედები გავმართეთ.

დედა ადრე გარდამეცვალა. ბავშვობა ისე გავატარეთ, რომ დედის ალერსი არ გვლირსებია.

უთენია ვდგებოდით. ეზოში ჩასვლას მხოლოდ მეწვოვე ჰაიკანუშა გვასწრებდა. ავძვრებოდით ფიცრულის სახურავზე და, ჰაიდა, ჩვენი სტვენა მთელს ეზოს ალვიძებდა.

პირველად ძია კოტე დგებოდა. გაბურძვნილ თავს ღია ფანჯარაში გამოყოფდა და წყნარი ბანით იტყოდა:

— სულ ერთი და იგივე... ამ მტრედებმა სისხლი გამიშრეს.

მტრედების მოვლაში ხანდახან ძია კოტეს ქალიშვილი ნათელაც გვშველოდა. ის სამი წლით მანც იყო ჩემზე უმცროსი. მოადგებოდა ფიცრულს, დიდრონ ქუეყნა თვალებს შემოგვანათებდა და დაიძახებდა:

— ბიჭებო, მეც აქა ვარ!

— ნათელ, აბა გაიქე, წყალი მოიტანე, თორემ მტრედებს ყელი გაუშრათ!

— ნათელ, ფეტვი მომაწოდე!

ჩემი ძმა ერთი დაუდგარი ვინმე იყო. უმცროსობა სრულლებითაც არ



უშლიდა ხელს ხანდახან ჩემთვის ხელი შემოებრუნებინა. ყოველივე ამას ისე აკეთებდა, რომ წარბიც არ შეუტოკდებოდა.

ეზოში ხშირი იყო აყალმაყალი, გაგვიკვირდებათ, მაგრამ მაინც ვიტყვი, — ხშირად ის ყოვლად უწყინარი ფრინველის, მტრედების გამო იწყებოდა.

მოვიდოდნენ მეზობელ ეზოდან, დადგებოდნენ სწორედ ჩვენი ფანჯრის პირდაპირ და იტყოდნენ:

— თენგიზმა მტრედები მოგვპარა.

— რას მიპქარავთ, მტრედები თვითონ ჯდებიან, ჩემი რა ბრალია, — დაუბრუნებდა ხურდას თენგიზი.

— შენი ბრალია, პირველი შემთხვევა ხომ არ არის!

ხანდახან საქმე გართულდებოდა და ასეთ შემთხვევაში თენგიზი არც მუშტი-კრივზე ამბობდა უარს. საოცარი ის იყო, რომ დამარცხებული ყოველთვის მოწინააღმდეგე რჩებოდა.

ტექნიკუმში ჩარიცხვის შემდეგ მემტრედობას ნელ-ნელა ჩამოვშორდი. ამის შემდეგ მტრედების მოვლა-პატრონობა მთლად თენგიზს დააწვა. ისიც არ ღალატობდა ამ მშვიდ ფრინველებს, მაგრამ მიუხედავად მთელი მისი მონღომებისა, მემტრედობის საქმე მაინც ვერ მიდოდა რიგიანად. აშკარად ვხედავდი, რომ ჩვენს სახურავზე სულ ნაკლები და ნაკლები მტრედი ჯდებოდა.

ერთხელ ძია კოტემ გულდაწყვეტით თქვა:

— ბიჭებო, ეს რა მოგდით?! ვერ ატყობთ, მტრედები რომ კლებულობს? თენგიზმა მხრები ნაღვლიანად აიჩეჩა, მზად იყო ერთი გულიანად ეტირა.

იმ წელს ტექნიკუმში მეორე კურსზე გადავედი. ფიცრულის თავზე ვიჯექ და ძმას ვშველოდი.

— კუკური! — მომესმა ქვემოდან.

გადავიხედე, ნათელა იდგა.

— მოიტა ფინჯანი, წყალი მოგაწოდო.

გამეცინა.

— უკვე გვაქვს, ნათელ...

— იცი, რა, შენ ალბათ არც კი გაგიგია, მომილოცე, საშუალო დავამთავრე.

— მართლა?! მომილოცავს, ეგ კარგი საქმეა, ახლა ალბათ სამედიცინოზე

შეხვალ.

— ვერ გამოიცან.

— ახლა ეს არის მოდაში.

— არა, კონსერვატორიაში შევდივარ.

— ყოჩაღ, ეგ მესმის.

— იცი რას დაწვერ? ყური მიგდე, თვალები ჰაერში ნუ გაგირბის: დაწვერ სიმღერას, ჰო, სიმღერას, რომელსაც ერქმევა „სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე“.

ის მომჩერებოდა მეოცნებე თვალებით, მისი ყოველი სიტყვა ალალი გულიდან აოდიოდა.

სახურავიდან ჩამოვხტი თუ ჩამოვვარდი, ხელი მხრებზე მოვხვიე ნათელას.

— და მას მთელი ეზოს ბიჭები ვიმღერებთ.

— შენი ხმა სულ დაგვამშვენებს, — გაიცინა ნათელამ. — მართლა, ყური მიგდე, სურენ ქოჩარაიანი ჩამოვიდა.

მე გულდაგულ გავჩხრიკე ნაცნობების გრძელი სია. მიუხედავად მთელი მონღომებისა, ის ვიღაც ქოჩარაიანი შიგ ვერ აღმოვაჩინე.

- ვინ არის ეგ შენი სურენა? ალბათ ახალი მოდის კაბებს კერავს.
- არა, როგორ არ იცი, მხატვრული კითხვის ოსტატია.
- სამწუხაროდ, მე მხოლოდ ტყავის ბურთის ოსტატებს ვიცნობ, — და რამდენიმე გვარი ჩამოვთვალე.
- გინდა, დავესწროთ?
- არ ვიცი...
- წაიკითხავს ათას ერთი ღამის ზღაპრებს... დახუკე თვალები და უსმინე. მოგეჩვენება, თითქოს საღდაც ბაღდადში ცხოვრობ, ალა-ჰარუნის ქალიშვილი შენი მეგობარია, მასთან ყოველ დილით ყავას მიირთმევ, — მან მართლაც დახუკა თვალები... შემიძლია დავიფიცო, რომ ის ოცნებით ბაღდადში იყო.
- ეეი; ეე გამოფხიზლდი, რა დროს ალა-ჰარუნია.
- „ვეფხისტყაოსანსაც“ კითხულობს.
- განა მე არ წაიკითხავს. აი, გეტყვი...
- არა, ეგრე კი არა. აი, ასე, — ის აღიმატა, ეუუუნა თვალები ზევით აღაპყრო.
- იყო არაბეთს როსტევეან...
- მისი ხმა ზარივით რეკდა.
- გეყოფა, კარგია, წავიდეთ, მხოლოდ ერთი პირობით, სამნი ვიქნებით.
- მესამე ვინ არის?
- მოითმინე, ვაგაცნობ.
- ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონზე დავრეკე.
- მანანა, დღეს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში წავიდეთ. სურენ ქოჩარიანს მოვუსმინოთ.
- მანანა ხელად დამთანხმდა, მხოლოდ ერთი იკითხა:
- რამდენ საათს გრძელდება?
- ალბათ, ორ საათს მაინც.
- აუ, რა გაძლებს... — ეს უკანასკნელი ფრაზა ძალზე ხმადაბლა იყო ნათქვამი და ალბათ მე არც უნდა გამეგონა.
- სალამოთი მე და ნათელა საკონცერტო დარბაზისაკენ გავემართეთ. შესასვლელ კარებთან უკვე იდლიდა მანანა. მას თეთრად დაწინწკლული წითელი კაბა ეცვა და ძალზეც შეენოდა.
- იცნობდე, ჩემი მეზობელია, — წარვუდგინე მას ნათელა.
- დავინახე, როგორ შეიკმუხნა მისი შუბლი, მერე პატარა ხელი ცივად გაუწოდა. ვალში არც ნათელა დარჩენილა, მანაც არანაკლები სიცივით შეაგება ხელი, თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა წითელკაბიანი ქალიშვილი.
- დავსხედით. შემოვიდა შავ ფრაკში გამოწყობილი ქოჩარიანი, ჩაჯდა სავარძელში, გაისმა წყნარი და საამო ხმა. ის ყვებოდა საოცარი ქალწულების ამბავს და ჩვენ სულგანაბლნი ვუსმენდით. ნათელას შევხედე და დავრწმუნდი, რომ ის ოცნებით მართლაც ბაღდადში იყო. ქოჩარიანი კვლავ კითხულობდა...
- გვიან ღამით მოვყვებოდით გაჩირადღნებულ პრისპექტს. ნათელა დუმდა, მანანა აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. მივადექით ოდიშელებს ალაყაფის კარებს, დავემშვიდობეთ მანანას და უკან გამოვბრუნდით. ჩვენს სახლთან ნათელამ ღიმილით მითხრა:
- შენ იგი გიყვარს, კუკური...
- ხომ კარგია?
- მართლაც კარგია...

ნათელამ თავი ზევით ასწია, ნაღვლიანი მზერა გაადევნა ყორნისფერ





ღრუბლებს, რომლებიც ქვეყნის ოთხივე მხრიდან მოიწვედნენ, ნელ-ნელა აქრობდნენ მოკიანე ვარსკვლავებს და სამყაროს წყველიაღში ახვევდნენ.

ღილით რადიო გადმოსცემდა, რომ საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხნენ გერმანელი ფაშისტები. ნათელა აჩქარებით ალაგებდა ზურგჩანთაში საგზალს, მამა ოთახში ბოლოს ცემდა, პატარა მაგიდასთან მანანა იჯდა და ჩემს ძმას სთხოვდა ჩემი სურათი დაეთმო მისთვის...

სწრაფად გაიქროლა ყველაფერმა. ომი, ცეცხლი, ჩხვლეტა მკერდში, პოსპიტლები... თბილისიდან ძუნწი წერილები — მამა გულის დამბლით გარდაიცვალა, ძმა ფრონტზე წავიდა, დაცარიელდა ჩვენი პატარა ბინა.

წერილები აღარ მოდის, მთლად მოვწყდი ქვეყანას. ყველა საოცრად დუმს. ბოლოს ნათელა ბწერს: „კუქური, თავს გაუფრთხილდი, გვეედრები, თავს გაუფრთხილდი“.

კვლავ ფრონტი... სისხლის ღერა.

დეკემბერი იყო. ლინდაგის გასწვრივ მავთულებზე ქარი წიოდა. ვაგონში ვილაკამ იხუმრა: „ჯენტლმენებო, თქვენი რესპუბლიკა სიმფონიური ორკესტრით გვხვდება“.

მთქმელი არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ ამას მეორე სართულზე წამოწოლილი ზემდეგი იტყოდა.

ზემდეგი სულ ხუმრობდა. ის ისე იღო საწოლზე, როგორც ძეხვის უხეშად გაკეთებული ბუტაფორია გასტრონომიული მაღაზიის ვიტრინაში. დროდადრო პატარა თავს წამოწევდა, ორდენებისა და მედლების სასიამოვნო ყლარუნით მკერდს გადმოწევდა და დაიყვირებდა:

— ჯენტლმენებო, ნუ გძინავთ, თორემ თავი აკლდამაში მგონია!

ჩემს პირდაპირ მჯდარი მებრძოლი ოთარ ვარდოსანიძე ირიბად ახედავდა ზემდეგს:

— ეპეი, ვასკა, სწორედ კარგ დროს იყილე, რიყრაყი დაწყებულა!

იმართებოდა ჯარისკაცული ხუმრობა. ერთი ჩემსავით ნაღვლიანი ჯარისკაცი ჰყვებოდა, რომ ომში დაჰკარგა ყველაფერი — ცოლი, შვილი, დედა (როგორც თვითონ ამბობდა, მამა საერთოდ არ ჰყოლია), ახლა მოდიოდა სამხრეთში, რათა სულ თავიდან დაეწყო ცხოვრება. ფრონტის ამბებს რომ იგონებდა, შუბლზე ძარღვები თოკებით ეჭიმებოდა და მაშინ მრავალსართულიან გინებას უგზავნიდა პიტლერს.

მის გვერდით მჯდარი სერჟანტი, რომელმაც გუშინ მატარებლის გამყოლს ქალაქის კუდი გამოაბა, თავს გვერდზე მიაბრუნებდა და პირდაპირ ყურში ჩაყვიროდა ჩოფურა ჯარისკაცს:

— პილწად იგინება ჩვენი მეზობელი.

მატარებელი კი მიჰქროდა და მიჰქროდა. შეთრთვილულ ფანჯრის იქით გრძელ უწყვეტ რიგად გარბოდნენ გაძარცვული ხეები და ტელეგრაფის ბოძები.

ზემდეგმა ზედა საწოლიდან პირდაპირ ჯარისკაცების მუხლისთავეებზე ისკუპა, როცა გაბუტებული ფეხი გამართა, ხმამალა დაიძახა:

— ვის გაქვთ კალენდარი?

კუბეში კალენდარი არავის აღმოაჩნდა. ზემდეგმა ჯარისკაცთა ფეხები



მისწი-მოსწია, მუხლისთავეს შორის გაძვრა, ვაგონის ბოლოში კალენდარი მაინც იშოვა, გამობრუნდა და ჩვენი კუბეს კარებში ჩადგა.

— კარგად ხედავთ 27 დეკემბერია. ეს დღე თითქმის დამთავრდა. მე მგონი, საჭიროა ეს ფურცელი მოიხეს, — მან პართლაც მოხია ფურცელი. — ეს ოცდარვაა. მე მგონი, საჭიროა, ამ დღესაც მოვეშვათ... ასე და ამგვარად, გთხოვთ იწამოთ, რომ დღეს ოცდაშვიდი კი არა, ნამდვილად 29 არის. ახლა ოცდაცხრის შესახებ; ვთქვათ, ოცდაცხრამაც უკვე გაიარა. ოცდაათზე საერთოდ ლაპარაკი არა ღირს, ახალწელს წინ ეჩხირება. ასე და ამგვარად დღეს ოცდათერთმეტია. ბიჭებო, ვინც ჯერ კიდევ ოცდაშვიდში იმყოფებით, ძალიანაა გთხოვთ, დაიჯეროთ, რომ დღეს ოცდათერთმეტია. ნუ ინალვლებთ რაღაც სამ დღეს (ერთი დღე ზემდეგს აშკარად გამოჩნდა). დღეს ოცდათერთმეტია. ახალი წლის წინა დღე, ეპეი, შენ, ფილოსოფოსო, მოიტა ფული, ახალწელს ქეიფი შეენის, — ზემდეგმა ბეჭზე ხელი დამკრა, — შენ რას უციდი, დოყლაბაივ? — მიმართა მან ჩემს პირდაპირ მჯდარ სერჟანტს, — შენც მოგვეცი, შევაგროვოთ, ვიქეიფოთ.

— ვაშა, ზემდეგო, ვაშა! — იყვირა ჩოფურა ჯარისკაცმა და ზემდეგს შუბლზე პოლონური მარკა მიაკრა.

მატარებელმა სვლას უკლო და ფანჯრებში ბაქანი გაცურდა. ზემდეგმა ფანჯარა გამოაღო, შემოჭრილმა ცივმა ქარმა პაპიროსის კვამლი გაფანტა.

— რა სადღურია?

— რიონი.

— შეიძლება აქ კაცმა ყელის ჩასასველებელი იშოვოს, — სერიოზულად თქვა ზემდეგმა და რატომღაც ჩოფურა ჯარისკაცს შეხედა.

— ჩემო ძმაო, ლენინის ცნობაში ალბათ შენ ყველას გვაჯობებ. მოდი შენ ითავე მომარაგება.

ჩოფურა ჯარისკაცი ადგა და ზემდეგთან ერთად კუბედან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მატარებელი დაიძრა, ჩვენ უკვე ჩემოდნებზე გაშლილ სუფრას ვუსხედით.

ზემდეგმა ძეხვის მოზრდილი ნაჭერი დაითრია და ხმამაღლა თქვა:

— ამ ჭიქით (მას ხელში კონსერვის კოლოფი ეკავა), გაუმარჯოს იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გვერდით იბრძოდნენ და ვერ მოესწრნენ გამარჯვების სიხარულს!

სადღეგრძელო ყველამ დალია, კოლოფი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ახლა ჩოფურა ჯარისკაცმა აიღო მორიგი სადღეგრძელო:

— ძმებო! მე, ძველი ჯარისკაცი, მათ სადღეგრძელოს ვსვამ, ვინც სახლში მიგველის.

— ბებერმა თავისი ბებრუხუნა გაიხსენა, — დაიძახა ვილაცამ.

— დიან, გაიხსენე, ამაში რა არის ცუდი, ვისაც ოჯახი არ უყვარს, მას თავისი თავიც არ უყვარს, არავინაც არ უყვარს.

— სწორია, სწორია, — ყვიროდნენ ჯარისკაცები.

— მე ახალი წლის სადღეგრძელოს ვსვამ, ბიჭებო, — თქვა ზემდეგმა, — 1946 წლის სადღეგრძელოს, ქვემეხების სიმფონიის დასასრულს და მშვიდობიანი შრომის დასაწყისს გაუმარჯოს, ომი თვალთ აღარ გვენახოს.

მესამე სადღეგრძელოს დასასრულს ტანში თბილმა ჟრუანტელმა დამიარა, ვიგრძენი, რომ ვთვრებოდი. ჩემს წინ ირეოდნენ კვამლში გახვეულ ჯარისკაცთა მკაცრი სახეები, მათი არეული თვალები. მატარებელი კი სულ მიდიოდა და მიდიოდა. კივილით მიიკვლევდა გზას...



აი, ისიც, ფართო ხეობაში ჩამჯდარი ქალაქი, მოლიცლიცე ლამპიონები, განათებული ქუჩები, მივლიოდი არეული ნაბიჯებით. აი, ჩვენი სახლიც... წინ საერთო აივანი, ეზოში სიწყნარე. მომეჩვენა, თითქოს დეკემბრის მთვარე ყველაზე მეტად ჩვენს დაცარიელებულ ეზოს აშუქებდა. კარებს მივაწეკი, არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. დანამდვილებით ვიცოდი, რომ შინ არავინ დამხვდებოდა.

კარი არ გაიღო. დერეფნის კუთხეში, სწორედ იქ, სადაც ძველად მტრედების გალია გვედგა მე და ჩემს ძმას, ხელი მოვაფათურე. ვიგრძენი ცივი საგნის შეხება და პირველად, რაც ფეხი ეზოში შემოვდგი, განვიცადე დიდი სიხარული. ავიღე ის ცივი, კარებში ორჯერ გადავაბრუნე, გაიღო. ერთბაშად ცხვირში მეცა სინესტის, ობისა და კიდევ რაღაც გამოუცნობის სუნი.

სიბნელეში მოვძებნე ჩამრთველი და როცა ოთახი განათდა, პირველად დავინახე წიგნების ორ კარადას შორის გაბმული ობობას ქსელი, კარადის წინ, საწერ მაგიდაზე, შავად გადაფენილი მტვერი. ნელა გავედი საძინებელ ოთახში, აქაც ავანთე. ლოგინები არეული იყო, მტვრისაგან მთლად გადაშავებული. ჩანდა, რომ ოჯახის უკანასკნელი წევრიც დიდი ხნის წინათ წასულიყო.

გულზე მოწოლილი ბოდმა მგულადა, დაჯექი ლოგინზე. მივჩერებოდი კედელზე დაკიდულ სურათებს. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი ასე, მაგრამ ალბათ დიდი დრო გავიდა, რადგანაც ცამ უკვე დანაცრისფერება იწყო. ჩამეძინა, მესიზრმა დედა, ახლა უკვე ჭალარა, საფეთქლებთან დაფენილი მშრალი ნაოქებით. სწორედ ასე მყავდა წარმოდგენილი ის.

— კუკური! — ჩამესმა ძილში. — კუკური, გაიღვიძე!

თვალეები გავახილე, ჩემს წინ იდგა ქალიშვილი, თვალეგაბრწყინებული, მთლად დაბნეული, გოაცებული და კიდევ რაღაცნაირი, რომლის გადმოცემა არ ძალმიძს.

— მოხვედი? — რამდენი რამე იყო ჩაქსოვილი ამ სიტყვებში, რამდენი სიტბო. ერთბაშად ავკანკალდი, შევეკრთი, ავენთე.

გოგონა გაუბედავად მომიახლოვდა და როცა ჩემს წინ დადგა, წამოვდექი, არა, წამოვვარდი, ხელი ვტაცე მის აკანკალებულ თითებს. დიდხანს, დიდხანს ვიდექით ასე, ვერ მოგვეფიქრებია ვერაფერი უკეთესი, გარდა იმისა, რომ გავჩუმებულიყავით.

— მაშ, მოხვედი... წავალ, დედას დავუძახებ.

გოგონა გაიქცა, ცოტა ხნის შემდეგ ოთახი მეზობლებით გაივსო, ერთმანეთში აირია ტირილის, სიცილის, საყვედურების ხმები. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მსუქანმა ქალმა, ჩურჩულით თქვა:

— არ იდარდო, შვილო, თავს დიდი უბედურება დაგატყდა, მაგრამ უნდა გამაგრდე, მარტო როდი ხარ, ჩვენც შენთან ვიქნებით.

არაფრის თქმა არ შემეძლო, ვიდექ ერთთავად დამუნჯებული. ალბათ ძალიან უცნაური სახე მქონდა, რადგან ყველა ცდილობდა გულთბილი და აღერსიანი ყოფილიყო.

— აბა, კუკური, წამოდი ჩემთან, მაზარაც კი არ გავიხდია, სხვაგან ხომ არ აპირებ წასვლას, წამოდი! — ძია კოტემ ძალით წამომაყენა და როცა მაზარა გამაძრო, ჩაფსკენილ დედაკაცს რაღაც ჩასჩურჩულა.

მეზობლებმა თავისთან წამიყვანეს. ძია კოტე მაგიდის ბოლოში დაჯდა, ისე რომ ზურგიით სერვანტს აწევბოდა. ჩაფსკენილი ქალი სულ ფუსფუსებდა

და ფუსფუსებდა. ხმაურით ალაგებდა თეფშებს, თან ქალიშვილს უწყებოდა, რომელიც გაუძნრეველად იდგა და მორიდებით შემომქეპროდა. სუფრა რომ გაშალეს, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ძალზე მშობდა.

— აბა, ახლა ვისაუზნოთ, — საზეიმოდ თქვა ოჯახის უფროსმა და რატომ-ღაც სათვალე მოიხსნა კეხიანი ცხვირიდან. — სალაპარაკო ბევრი გვაქვს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა ჭამა ისწავლა, — ამ სიტყვებზე ალუმინის ჩანგლით პირისაკენ გააქანა ღორის ხორცის მოზრდილი ნაჭერი.

— კოტე, — თქვა დიასახლისმა და ქმარს საყვედურით შეხედა.

— ააა, — გააგრძელა ოჯახის უფროსმა, — ნუ იპრანჭები, კუკური, ჯარისკაცი თამამი უნდა იყოს.

მან ჩანგლით ხორცის დიდი ნაჭერი დაითრია და პირდაპირ ჩემს საინზე მოადენინა ტყაპანი.

— აბა, ჭამე, ჭამე-მეთქი, თორემ ხედავ, ნათელაც მორცხვობს. აი, შე კუდრაჭა... მართლა, იცი — მტრედების საქმე გამოსწორდა.

— როგორ?

— ჰმ, როგორ და მე და ნათელამ სულ განვახლებთ იქაურობა. ახლა ალბათ ასამდე მტრედი მაინც იქნება.

— ნუთუ მართლა?

— თვითონ ნახავ, — მითხრა დიმილით ძია კოტემ და ნათელას გადახედა.

კოტე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ერთსა და იმავე დროს ჭამაც შეუძლიათ და ლაპარაკიც.

— ნუ იღარდებ, შენთან შედარებით ცხოვრება უფრო შორიდან დავიწყე, — ამბობდა ის, თან მაღიანად ერეკებოდა პირისკენ საქმელს, — დიახ, ასე იყო, მიჭირდა, მიძმძმა, მაგრამ როდი დავიკარგე. რა ვუყოთ, პატარა კაცი ვარ, ტრამვაის კონდუქტორად ვმუშაობ, მაგრამ აი რა, ოჯახი მაქვს, მყავს ცოლი და შვილი. მე ერთ რჩევას მოგცემ, ჩვენთან მოდი, შემდუღებლის ადგილი განთავისუფლდა, უფროსი ძალიან კარგი კაცია. ვეტყვი, მოდი და იმუშავე, სულ მალე შეეწყობი.

მან უეტრად ენაზე იკბინა და სასაცილოდ დაიმანჭა, მერე კვლავ ჩვეულებრივი ხალისით გააგრძელა:

— დიახ, იმას გეუბნებოდი, იმუშავე, თანაც ისწავლე, მერე ოჯახს მოეკიდები, მე მგონი ამასი ცუდი არაფერი უნდა იყოს.

— რასაკვირველია, არა, — დავემოწმე მეც, — მაგრამ ძია კოტე, ჯერ სხვა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

\*

მეხსიერებაში ღრმად შთაბეჭდება ხოლმე მახლობელ ადამიანთა სახეები და მღელვარებით განვლილი გზები. ვერ ამოვიგდებ გულიდან, ვერ ამოშანთავარის წუთები, როცა ეს სახეები შენი გულის ბნელი კუნჭულებიდან წამოიშლებიან და განვლილ ცხოვრებას ხელმეორედ დაგანახებენ.

ასე დარჩა ჩემს ხსოვნაში სოლოლაკი, ენგელისს ქუჩა და ამ ქუჩაზე ცაცხვის ხეების უკან აღმართული ხუთსართულიანი სახლი. როცა ამ სახლზე ფიქრი შემომამწვებოდა, ერთ წუთს გაიღვებოდა მშვიდ კედლებს შორის მცხოვრებთა სახეები. მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი, რომელიც გამუდმებით ბოლთას ცემდა თითქოს და თავის შესანიშნავად მოწყობილ ბინაში დასაჯდომ ადგილს ვერ პოულობდა, დადიოდა ჩაფიქრებული, ნაღვლიანი, ცხოვრებაზე თუ ვიღაცაზე უკმაყოფილო. მაგონდება მისი მკაცრი ცოლი. ბრძანებას

მიჩვეული ხმით მოლაპარაკე, ყინულივით ცივი სახე, ცივი, უაზრო წვერილი თვალები...

მაგრამ ამ სახლში იყო კიდევ ერთი ვინმე, ვინც ჩემს გულს ახლაც საოცარი სითბოთი ავსებდა.

როცა ხვეულ კიბეს ავყევი, ასე მეგონა მივდიოდი სადღაც შორს, სადაც ჩემი ოცნების ხატი ესვენა, მუხლები მითრთოდა, ველავდი.

ღია კარებში ოჯახის უფროსი იდგა და რალაც მითითებებს აძლევდა მეუღლეს. როცა დამინახა, გაიღიმა, მხრებზე წამოხურული დრაპის პალტოდან გამოყო პატარა გამხდარი ხელი და გამომიწოდა.

— გიცანი, გიცანი, ყმაწვილო, სრულებითაც არ გამოცვლილხარ, შემოდი.

ხელი მომხვია და ოთახში შემეყვანა. მისი ცოლი კარებთან მშვიდად იდგა. ცივად ჩამთვალეირა, შუბლი ოდნავ გახსნა.

— გაიძრე მაზარა, გაიძრე-მეთქი, გეთაყვა, ოთახში დენთის სუნი ნუ დაყენე, — აყვირდა გიორგი, ოჯახის დიასახლისმა კი არ დააყოვნა და გრძელი ცხვირი განზე ისე წაიღო, თითქოს სანგრიდან ამოსულს პირდაპირ მათს კოპწი ბინაში შემედგას ფეხი.

სანამ მაზარას გავიძრობდი, გიორგიმ ორჯერ მაინც დახედა საათს. დიასახლისმა სადარბაზო ოთახის კარი გამოაღო და დაიძახა:

— მანანა, აბა თუ მიხედები, ვინ მოვიდა?

ერთი წუთის შემდეგ ჩემს წინ მანანა იდგა, გაზრდილი, მკერდსავსე, დაქალბული.

ის მიყურებდა დაბნეული, გაცეხული, მაგრამ საოცრად ზვიადი. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ოდესღაც ეს ქალიშვილი სიყვარულს მეფიცებოდა. ნელა მომიახლოვდა, უცებ სადღაც გაქრა მისი ზვიადობა, გაისმა ტკბილი და საამო ხმა:

— კუკური, მოხვედი!

თვალებში ღრმად ჩაეხედეთ და უსიტყვოდ ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს.

ოჯახის უფროსმა თვალი მოჰკრა ჩემს მკერდზე ჩარიგებულ მედლებს და ღიმილით თქვა:

— საკმაოდ გიბრძოლია... კარგია, ღირსი ხარ.

მერე სადღაც თავისი ქული მოძებნა და კარებში გაქრა. დეიდა ანეტა კარების დასაკეტად გაჰყვა.

მე დრო ვიხელთე და მანანას ხელი გავუწოდე, მინდოდა გულზე მიმეკრა, მაგრამ მწყურალად მომიშორა:

— მე ახლა დიდი ვარ, ქალიშვილებს ასე როდი ექცევიან...

მოგვიანებით, ხალხით სავსე ქუჩით შინ ვბრუნდებოდი. მიხაროდა ყველგფერი, ეს ღამეც, ვარსკვლავებიც, ცივი ქარიც და ყველაზე უფრო ის, რომ მანანამ წამოსვლისას დედის თვალწინ მითხრა:

— კუკური, ოცდათერთმეტში მოდი, ახალ წელს შევხვდეთ, შინაურებო ვიქნებით.

დეიდა ანეტამ ამ მიპატიებებაზე თავისი ცივი ბეჭედი მიძიმედ დასვა. ჰყინავდა. სიცვიემ მაზარაში შემოატანა. ოდნავ მაკანკალედა. კარის გაღებისთანავე ნათელას ხმა შემომესმა:

— კუკური, რად დაიგვიანე? ახლავე საქმელს მოგიტან.

— გმადლობთ, მე უკვე ვივარდები.

— დედას ეწყინება.

რასაკვირველია, მათი წყენა სრულებითაც არ მინდოდა, მაგრამ მაინც უა-  
 რი ვუთხარ და სახლში შევედი. ბინა მთლად შეცვლილი მეჩვენა. აღარ ჩანდა  
 კარადებს შორის გაბმული ობობას ქსელი. აღარც მტვრიაანი მაგიდის საფარები  
 და ლოგინები. ვიღაცის მადლიან ხელს სულ ერთიანად წესრიგში მოეყვანა იქა-  
 ურობა...

გავიხადე და რამდენიმე წლის შემდეგ პირველად დავწეჭი საკუთარ ლო-  
 გინსუ. რა თბილი მეჩვენა თხელი საბანი, რა თბილი მეჩვენა თვით ნიკელიც  
 კი. თავი ღრმად ჩაერგე საბანში და ვთქვი: „მამ ასე, კუკური ორბელიძე, შენ  
 თავიდან იწყებ ცხოვრებას. სულ თავიდან. ის დიდი მიზნები, რომელიც შენ  
 ომამდე გქონდა, ხომ არ ჩამკვდარა? უნდა გაიხსენო, თუ ცხოვრობ, უნდა იც-  
 ხოვრო, არა და მოკვდი“...

ოდისეილებთან საახალწლო ნადიმზე გამგზავრების სამზადისმა მეტად ამა-  
 ფორიაქა... კაცმა რომ თქვას, აღიაქოთი უფრო ადრე დაიწყო. დილით, როცა  
 გარდერობი გავაღე, სახტად დავრჩი. ის, რაც ადრე ჩემი კოსტუმის სახელს  
 ატარებდა, ახლა საკიდებელზე ასხმულ ძაფებად ქცეულიყო. არანაკლები დღე  
 დადგომოდა მეორე კოსტუმსაც, რომლის იღლის ქვეშ ჩრჩილს იმოდენა ხერე-  
 ლი გაეყვანა, რომ ალბათ ლაბუა ჩიტიც კი თავისუფლად გაფრინდებოდა შიგ.  
 დაახლოებით ასევე გამოიყურებოდნენ ჩემი ძმის კოსტუმებიც. ჩემთვის ეს სე-  
 რიოზული ლახვარი იყო.

არ არსებობდა სხვა გამოსავალი, გარდა ერთისა — ოდისეილებთან ახალ-  
 წლის ღამეს სამხედრო ტანსაცმელით უნდა მივსულიყავი, ჰო, მეტი გზა არ იყო  
 და მეც ჩემი ფართოყელიანი ჩექმების გაპრიალებას შეეუდებე. ალბათ ჩემს  
 ჩექმებს არასოდეს არ ღირსებია იმხელა პატივი, რა დღეშიც მაშინ ჩავგადე.  
 ერთი სიტყვით, ზუსტად რვა საათზე ოდისეილების კარზე დავრეკე. კარი მან-  
 ნამ გამიღო, ჯერ ჩამათვალიერა, მერე მითხრა:

— კუკური, ცოტა გავიაროთ, საახალწლო მეჯლისზე თორმეტზე მიდიან.  
 მან დაშელოდე, ახლავე მოვალ.

მანანა კარს უკან მიიმალა და სულ მალე გამოჩნდა. პალტო ჩაეცვა, სადარ-  
 ბაზო ფარნის შუქზე ერთხელ კიდევ ჩამათვალიერა.

— ალბათ მანარის ქვეშაც სამხედრო გაცვია?

— დიახ.

— თქვენსა შევირბინოთ, კოსტუმი ჩაიცვი, სამოქალაქოთი ჯობია, ხომ  
 იცი.

ქრუანტელმა თავიდან ფეხამდე დამიარა, მხოლოდ ესღა წავილულულდე:

— განა ამას მნიშვნელობა აქვს?

— არა, ისე გითხარი, — აირია მანანა.

გადავკერით სოლოლაკი, გამოვედით მთავრობის სახლთან, აქ მანანამ  
 მითხრა:

— გინდა მოვაწყვით წინასახალწლო მოგზაურობა, რუსთაველი, ელბაქი-  
 ძის დაღმართი, პლენანოვი, მერე ისევ სოლოლაკი. რას დაფიქრებულხარ, თუ  
 რაიმე გაწყენინე, აპატიე სულელ გოგოს.

უსიტყვოდ გავიარეთ მთელი ეს მარშრუტი და კარლ მარქსის ხიდის მოა-



ჯირს დავეყრდნით, მღუმარენი ერთხანს მტკვარს გადავეყრებდით. ბოლოს მანანამ თქვა:

— იცი რა, ხანდახან მგონია, დედა ყველაფერში ცდება. პირდაპირ სულს მხდის მისი უხიაგი კაპრიზები. მამა სულ სხვანა...

— რა თქვი?

— არაფერი, აი, მტკვარს თავისი კალაპოტი აქვს, მიდის მღორედ და სრულებითაც არ აღარდებს, თუ ხვალ რომელი ბებერი ლოქო დალევს სულს მეთევზის ბაღეში.

— ეგ რისთვის დაგჭირდა?

— ცხოვრებაც ხომ ასეა, ყველას თავისი გზა აქვს.

— მანანა, ეგ ბოღვანა.

— რა ვქნათ... როცა ებოდავ, გული მიმსუბუქდება... აი, სულ მალე დავამთავრებ სამედიცინოს, გამგზავნიან სადმე დასაკარგავში. მერე ქმარი, ბავშვები... დღეს კი რა კარგია, რა ბედნიერებაა ახალწლის დამე...

ვილაცამ წყალში ქვა ჩაავდო. ქვამ ზღართან მოადინა ზედაპირზე და უფსკრულში გაუჩინარდა, ზევით დარჩა მხოლოდ წრიულად ვაფანტული რგოლები.

— მანა, გახსოვს ბუდიონოვკა, პურის ზვინები?

— ხედავ, მართლაც თოვს, რა კარგია.

მე საყელოში ჩავეკიდე ხელი.

— რას შერები, ხომ არ გინდა წავიდე? ხედავ, გვიყურებენ.

მოაჯირს მოვშორდით და გზა განვაგრძეთ. უცებ უნიდან ვილაც წამოგვეპარა. იმ ვილაცამ მე თვალთ რაღაც მანიშნა, მერე ორივე ხელი მანანას თვალებზე დააფარა.

მე ის ვილაც ვერ ვიცანი, მანანამ წამოიკივლა.

— ნიკო! — მერე შემობრუნდა და არც კი ცდილა მხრებზე დაწყობილი ხელები მოეშორებინა.

— აქ საიდან გაჩნდი?!

— დედაშენმა მითხრა სადღაც წავიდაო, მთელი ქალაქი შემოვიარე.

— ნიკო, ამას ვერ სცნობ?

— მითხრეს. ფრიად მოხარული ვარ, ყმაწვილო, თქვენი ასე კარგად დაბრუნებისა, ალბათ ორდენებსაც ბლომად ჩამოიტანდით?

ხელი ჩამომართვა და აშკარად მაგრძნობინა, რომ ამით დიდ პატივს მდებდა.

— იცი, კუკური, ნიკომ უნივერსიტეტი დაამთავრა და ახლა ასპირანტურაში ეწყობა.

— დიახ, ვინ დაუდგება წინ პროფესორ არობელიძეს? — ტრახახით წარმოთქვა ნიკომ.

გადმოვიარეთ ხიდი. ნიკო შუაში ჩადგა. დავინახე, როგორ გაუყარა მანანამ ხელი და ყელში რაღაც მომაწვა. ზედმეტცივით მივამბიჯებდი მათ გვერდით. ხვეულ კიბეზეც უსიტყვოდ ავედით. დერეფანში ნიკომ თავისი ძვირფასი, ლამაზად შეკერილი პალტო გაიხადა და მედიდურად გადმოშხელდა.

— შენ რა? აღარ უნდა გაიძიო ეს... ეს... ასე მხოლოდ სამხედრო საბჭოს სხდომაზე დადიან...

— შედი, შედი, — ვუთხარი მე და გამხდარ ნიდაყვზე ხელი ისე მაგრა მოვუჭირე, რომ ჩემმა მეტოქემ უნებურად ამოიკენესა.

ჯანაბას, კაცმა ხომ რაიმეთი უნდა იცხოვროს. შემდღებელი რა ბედენაა, მაგრამ რადგან ძია კოტემ მიჩნია, არ იქნება ცული...

შეედევართ ვერცხლისფრად შედებულ რკინის ქიშკარში. ჩაფსკვნილი ახალგაზრდა, ალბათ ჩემი ხნისა, მუშტრის თვალით მიყურებს.

— შენგან კარგი შემდღებელი დადგება, — ამბობს ის, გულკეთილად იღიმება და ხელს მართმევს, — ვიცნობდეთ, მე ოსტატი გივი ვარდიაშვილი ვარ. აბა, ჩაიშხლე, ჩაქუხს მოჰკიდე ხელი. აგრე არა, მუშუში მოაქციე ტარის ბოლო, ასე უფრო მაგრად დაეშვება. ახლა დასცხე ამ თუნუქს. მაგრად, კიდევ უფრო მაგრად. ღია ლაფშები ერთმანეთის პირდაპირ უნდა მოხვდეს. ახლა ონკანი აიღე. ასე არა, ოთხი თითი ქვევიდან, ცერი ზევიდან, გახსენი საკეტი!

დგაჲ! ონკანი ხელყუმბარასავით აფეთქდა.

— კარგია. ახლა მარცხენით ეს ლითონის მწვადი აიღე და ღია ხახაში ჩადე, დაუშვი ცეცხლი, სულ ეგ არის.

რასაკვირველია, სულ ეს არ იყო და გივისაც ხშირად უწყევდა ძახილი, ასე არა, ისე გააკეთეო, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდიოდა და პირველი ხელფასი რომ ავიღე, ის თანხა, რომელიც ჩემს ჯიბეში მოექცა, თითქმის დამსახურებული მქონდა. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა: მაზარა საკმაოდ შემეფერტხა... მენანებოდა და ვუფრთხილდებოდი. ეს ძია კოტეს არ გამოთჰარვია, ერთი ბამბულა მომიტანა, რომელსაც ათი ტრამეის ვაგონი მაინც ექნებოდა გახეხილი. ეს ბამბულა კოტეს მეუღლემ ბევრი აცოდვილა და როცა უწინდელი ლაზათი დაუბრუნდა, ჩემი საკუთრება გახდა.

ერთხელ, რაღაც ჯანაბად, ტრამეის მოძრაობა შეფერხდა. ტრამეის პარტიდან ფეხით წამოვედი ჩელუსკინელების ხიდისაკენ. კინოსტუდიასთან სამ ახალგაზრდას მოვკარი თვალი. ამ კოპწია სამეულში ორი მაშინვე ვიცანი: პატარა ბუს თავი ნიკოს ეკუთვნოდა, ხოლო თამბაქოსფერ პალტოიანი ქალიშვილი მანანა იყო.

ასეთ კოპწია ხალხთან ჩემი გამოჩენა არაფერ სიკეთეს მიქადა, ვცადე შეუმჩნეველად გავცლოდი, მაგრამ უკვე გვიან იყო, ნიკომ შემამჩნია და ზედმეტი თავაზიანობისათვის თუ აბუჩად ასაგდებად მის მრგვალ თავს შაბა ერთი წუთით მოშორდა.

— გამარჯობა, ყმაწვილო!

გაჩერდნენ. მეც გაჩერდი. ნიკომ ხელი ჩამომართვა, მანანამ მხოლოდ გაიღიმა.

— სად ყოფილხარ? — იკითხა ნიკომ.

— სამუშაოზე.

— სამუშაოზე?

— ჰო, მუშაობა დავიწყე, აქვე ტრამეის პარკში, შემდღებლად.

— აჰ, ეგ ცული არაა, ბევრი მაგასაც ვერ ახერხებს, აბა კარგად, — ჩაიღულუნა ნიკომ და ტრიო პლენანოვის პროსპექტისკენ დაიძრა.

სამი დღის შემდეგ მანანას თავისი სახლის ალაყაფის კარებთან მივუსწარი. ის იყო უნდა შესულიყო და შორიდან დაგუძახე:

— მანანა!

გაჩერდა, წარბები შეიკრა და დამელოდა.

— რამოდენას ყვირი ამ ქუჩაში, თითქოს...

— საქმე მაქვს შენთან. ცოტაზე გამომყე.

მან საათზე დაიხედა.





— ნიკო უნდა მოვიდეს, ოპერაში დაგვაგვიანდება.

— მე სულ ორიოდე წუთით შეგაჩერებ.

გაყვივით ენგელსის ქუჩას. ის იყო ერთი კვარტალი გავიარეთ, წინ ნიკო შემოგვეფეთა.

ცივად მივესალმეთ ერთმანეთს.

— მაქვს პატივი შევიტყო, საით მიემგზავრებით? — იკითხა ნიკომ.

— საქმე გვაქვს.

— იქნებ მეც მაქვს უფლება, ცოტა რამ ვიცოდე...

მე საშინლად ავენეთე.

— ამას თქვენ არ გკითხავენ, შეიძლება მე მეტი უფლება მაქვს ამ ქალიშვილზე, ვინემ წვრილთავა აქლემს.

არ ვიცი, ეს გამოთქმა რატომ ვინმარე, მაგრამ ალბათ ასე მსურდა და კიდევ ვუთხარი.

ნიკო ერთბაშად მოიბუზა. მისი პატარა თავი რატინის ჯავშნიდან ჯერ გამოძვრა, მერე ერთბაშად შეიმალა.

— მანანა, მე წავალ, — თქვა მან.

— წადი, მალე მოვალ.

მე მანანას ხელი გაუყარე, ჩაყვივით ენგელსის ქუჩას. როცა პატარა სკვერთან შევდექით და სახეში ჩავეხდე, დავინახე, რომ ილიმებოდა.

— რად გეცინება?

— რა გინდა, ბიჭო, ნიკოზე ვიცინი, ჩვენებს ვუამბობ, სულ სიცილით დაიხოცებთან.

— რას ამბობ?!

— დედას უყვარს ასეთი ამბები. მოვა სტუმარი, პატივი ეცი. წავა და იცინე.

— ვერაფერი გამიგია...

— არცაა საჭირო, ამით არაფერი დაგაკლდება. ჰო, მითხარ, რა უნდა გეთქვა.

— მანანა, შენ ხომ იცი, რომ მე...

— ნუ მეტყვი, გაგონებაც არ მსურს. ყოველივე ეს დიდი სისულელეა.

— იქნებ ისიც სისულელე იყო, ბუდიონოვკაში რომ მეფიცებოდი.

— ის ბავშვობა იყო, ძალიან კარგი და საამო. ჰო, მართლა, რას აპირებ,

სულ რკინებში უნდა იგორაო?

— რკინებში რატომ! მალე ტექნიკუმში აღმადგენენ, მერე უმაღლესში...

— ხედავ, ისევ თოვს, მაინც როგორ თოვს; ჰა? დედამ თქვა, თუ ასე ითოვა, სახურავი თავზე დაგვეცემარ.

— მანანა, გეყოფა ბავშვობა.

მან ცივად გადმომხედა.

— გინდა, საქმეზე ვილაპარაკოთ? მე არ ვაპირებ გათხოვებას, სრულებითაც არ მომწონს ოჯახური გაწამაწია, — თქვა მან და სანამ გამოვერკვეოდი, მოსახვევში მიიმალა.

მართლაც თოვდა. ცვიოდა ფიფქები. ვიდექი თავშიშველა. დიდხანს, ალბათ ძალიან დიდხანს. ლოყები მეწოდა, თავი მიბრუოდა, ფეხზე მციოდა. მაინც ვიდექი და ვფიქრობდი...

ფეხით წამოვედი. მოვაბოტებდი თოვლში და ვფიქრობდი. ის კი ალბათ ოპერაში იჯდა და მუსიკით ტკებოდა.

ღილით ძლივს ავთარიე ტანი, გაჭირვებით ჩავიცივი შარვალი, ჩექმები, მანარა მოვისხი, ბარბაცით ჩავეყვი კიბეს... ეზოში ვარ. აუ, როგორ დაუთოვია.



ჩემს ფიცრულზე ვილაცას კიბე მიუდგამს, ადის, თანაც ცალი ხელით რაღაცას მიათრევს. ჯამი იქნება, უეჭველად ჯამი. ჯამში ალბათ ფეტვიც ყრია, მაგრამ მე ამას ვერ ვხედავ.

— ნათელა, ნათელა!

კიბე ტორტმანობს, მეც ვტორტმანობ. სადღაც ახლოს ვილაც სუნთქავს და, მერე ძია კოტეს ხმა ჩამესმის.

— რა გემართება, ბიჭო?

მერე ზევით ავდივარ. მარჯვნივ ძია კოტე მიდგას. მარცხნივ, მხარში ვილაც შემიდგა.

— ნათელა!..

ჩემი ხელი მის ხელს ხვდება. აუ, რა ცივი ხელი ჰქონია ამ გულთბილ ქალიშვილს.

ვწევარ ლოგინში. თითქმის ყველაფერს ვგრძნობ. მოდის ექიმი ფეხების ბაკუნით. მე მას ნათლად ვხედავ. ასე გაშინჯავ, მის პალტოზე სამხრებზევით დადებულ თოვლსაც ვამჩნევ.

სასინჯი დაეშვა ჩემს მკერდზე. სიჩუმე, მერე ისმის ექიმის ხმა.

— ორივე ფილტვის ანთება აქვს, — როგორც იქნა მომეშვა, ახლა უფრო შორიდან მესმის მისი ხმა.

— რა საყინულეა, აქ ძალიც კი მოკვდება, საავადმყოფოში გავგზავნოთ ვილაცამ შეჰკვილა. ეს უეჭველად ნათელაა. კოტე სადღაც მიდის, ოთახში ღუმელს დგამენ, მერე ცეცხლი ღალანებს. არა, კიდევ ვილაც მღერის, ფუ, რადიოა, რატომ დაავიწყდათ გამორთვა?

... ოთახში წამლების სუნი დგას. თავზე ვილაც მადგას. საოცარია, როგორ გავს იმ პამპულა ზემდეგს, ჩემთან ერთად რომ იმგზავრა მატარებლით. საწოლზე ვილაც თვლემს. მაგიდასთან კიდევ ვილაც ზის. საშინლად მწყურია.

— წყალი!

ოთახში გამოცოცხლება...

ის ვილაც, ზემდეგს რომ ჰგავს, ფეხზე დგება, წყალს მაწვდის. ვსვამ. ფუ, ღმერთო ჩემო, მე წყალი ვითხოვე, ესენი რძეს მალევიანებენ.

ამჟამად ვხედავ, ერთი პალტოს იცვამს. ეს ისაა, ჩემთან რომ იჯდა.

— აწი არა უშავს, პირი სააქაოსკენ აქვს. ეშმაკებს ადამიანის ზურგი როდი უყვართ, ჯოჯოხეთში აღარ წაათრევენ, — ამბობს უცნობი და მიდის. სასთუმლთან სხვა იკავებს მის ადგილს. ეს კი ნათელაა. რადიოში ვილაც ხმადამლა მღერის ნაღვლიან სიმღერას. ნეტავ გარეთ ისევ თუ თოვს! ჰა?

— როგორ ხარ? როგორ ხარ, კუკური?

ნათელა იღიმება და თვალბეჭეში მიყურებს. მეც ვცდილობ როგორმე გავიცინო, არ გამოდის.

— წყალი! — კვლავ ვამბობ და რძიანი ჰიქა კვლავ მოაქვთ ჩემსკენ. აწი ალბათ არასოდეს აღარ ვითხოვ წყალს.

იმ ღამით ძალიან ტკბილად მეძინა. დილით უკვე კარგად ვგრძნობდი თავს.

— იცი რამდენი დღე გავიდა, რაც დაწეი? — შეუბნება ნათელა. — შვიდი, შვიდი დღე და ღამე.

უეცრად მტრედები გამახსენდა. ხომ შეიძლება შვიდ დღეში სულ დამწყვდარიყვნენ.

— მტრედები, მტრედებს რა მოუვიდათ, ნათელა?

— ეზოს ბიჭები უვლიან. აი, სამი აქ ამოიყვანეს, ცუდად არიანო, ზედა, კუთხეში სხედან.



მართლაც კუთხეში პატარა ჯოხზე სამი მტრედი იჯდა. ერთი თეთრია, ოთხი ოქროსფერი. არა, ოქროსფერი-კი არა, უფრო მოყავისფრო. არა, არც ასეთი, რაღაც სულ სხვანაირი.

— იცი, პენიცილინმა გიშველა, — მეუბნება ნათელა.

— ნათელა, ქოჩარიანი არ ჩამოვიდა?

ნათელა იცინის:

— რა გგონია? მართლა ჩამოვა.

— ჰოდა, დავესწროთ. მესამე ბილეთი აღარ დავგვირდებოდა...

ნათელა ჩემსკენ შემობრუნდა, თვალებში ჩამხედა. დავინახე, საფეთქლებთან მოედო წითელი ფერი...

სალამოთი მარტო ვართ მე და ნათელა. ის თავაულებლად საქმიანობს, მე არ მიყურებს. რადიოსაც კი აუწია, ყავა მომიმზადა. ნელა ვხვრებ ყავას.

— მოისმინეთ ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებები, — აცხადებს დიქტორი. აშკარად დავინახე, როგორ აუქანკალდა ნათელას ხელი, ცხელი ყავა კინალამ მუხლებზე გადმომაქცია.

— ნათელა ჯანდიერი, „სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე“. ეს სიმღერა კომპოზიტორმა უძღვნა თენგიზ ორბელიძეს, რომელიც სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა.

ნათელა, ჩემს წინ დაჯდა, იღიმებოდა, ახლა აღარ გამირბოდნენ მისი თვალები.

— ხელები თავქვეშ ამოიდევ, თვალები დახუჭე და ისევ მოისმინე. წარმოდგინე, თითქოს საღაც ლერწმის კარავში წევხარ. — მითხრა ღიმილით მან. მეც ხელები თავქვეშ შევიწყე, ვისმენ...

ისმის პირველი აკორდები... დილაა, ძალიან კარგი დილა. ვთქვათ, გაზაფხულის შშენიერი დილა. იღვიძებს ყველა. ორსართულიანი სახლის სიმაღლეზე ამართული გალიებიდან გამოდიან თეთრი და ოქროსფერი მტრედები, ჯდებიან დანჯღრეულ ფიცრულებზე. აგერ ძია კოტემაც გამოაღო თანჯარა და ჩემი ძმაც სტვენს. ღმერთო ჩემო, ნამდვილად ისაა...

ღულუნებენ მტრედები. მიფრინავენ შორს. მერე კვლავ ბრუნდებიან და კვლავ ღულუნებენ. მომეჩვენა, თითქოს ოთახის კუთხეში მშვიდად მსხდომმა მტრედებმაც კი შეიფთხიალეს და თავიანთი სუსტი ხმა ააყოლეს მუსიკას.

როცა სიმღერა დამთავრდა, თვალებზე ცრემლის ორი მსხვილი წვეთი მუქიდა, ნათელა ფეხზე იდგა.

„მოისმინე?“ მეკითხებოდნენ მისი თვალები, თვითონ კი მაინც დუმდა. „ეს შე დაწვრე, მე, უკვდავ სიკაბუჯეზე, სიცოცხლეზე და რაც კი ლამაზია ამ ქვეყანაზე. ხომ კარგია? ეს შე თვით სიცოცხლემ, უკვდავმა სიცოცხლემ დამაწერიანა“...

სალამოთი ჩემი ოთახი საკმაოდ ხმაურიან ყავახანას გავდა. მაგიდის თავში ძია კოტე იჯდა და უკვე მესამე ჭიქა ჩაის ხვრებდა. გვერდით ოსტატი გივი ვარდიაშვილი უჯდა. ოსტატს აშკარად ეტყობოდა, რომ ჩაის დაღევა დიდად არ ებიტნავებოდა. შემდეგ ნათელას დედა იჯდა. ამ საპატო სტუმრებს ნათელა ემსახურებოდა.

— ჩემმა მზემ, შემდღულებელს არ შეშენის საბნის თელვა, ბუღალტერი იყოს, სხვა საქმეა. პირველად მიხდება ჩემი პროფესიის კაცთან სანახავად მისვლა. ქელები კი, შემდღულებლის ქელები ჩემს დღეში არ მიჭამია. უკვდავი ხალხი

ვართ. — ამბობდა ოსტატი თავისებური რიხით, თან ჭიქას ჩაჰყურებდა, იქნებ ეშველოს და გათავდესო.

მართლაც მძლავრი ყოფილა შემდღებლის ორგანიზმი. მალე წამოვდექი და კვლავ შევუდექი ჩემს საქმეს.

ღილით ჩვეულებრივად ვიცვამ ფართოყელიან ჩექმებს, რომელზეც ოდიშელებმა თქვეს, სწორედ რომ ჩვენს მეეზოვეს დაშვენებდაო. ჩექმები საკმაოდ გაცვდა, სამჯერ შევაკეთებინე კიდევ, მაგრამ მაინც არ ვეშვები. ყოველთვის, როცა თამამად მივაბოტებ ფართო ქუჩაში, მინდა ოდიშელებმა დამინახონ. დამინახონ და იგრძნონ, რომ ამ ჩექმებში მუშის მძლავრი ფეხებია. ერთხელ ნათელამ მითხრა:

„ბიჭო, შენ ნამდვილ შემდღებელს დაემგანე, ცოტა ინტელიგენტობაც შეუთვი თავშიო“. მაგრამ რა იცის ნათელამ, თუ რა მიზნებს ვმალავ ამ გულში: მოვა სექტემბერი, თავს აღვიდგენ ტექნიკუმში... მერე კი, მერე... ეჰ, ალბათ ინსტიტუტის კარსაც შევადებ...

საცეცხლე ონკანი კვლავ ყუმბარასავით სკდება ჩემს ხელში. მერე კალის ნაჭერს ვდებ ლითონის ხახაში და ყველაფერი თავისი გზით მიდის. ყოველივე ამას ისე მოხერხებულად ვაკეთებ, რომ ოსტატმა გივი ვარდიამვილმა მოწონებით თქვა: ნამდვილი შემდღებელი ხარო.

მეტეორივით გაიქროლეს თვეებმა.

ფართოყელიანი ჩექმებით მივაბიჯებ ცხოვრებაში.

გაზაფხული ერთბაშად აღიდებულ მდინარეს გავს.

... რადიოში ვილაც მღეროდა სიყვარულზე. ფანჯარაში აბრილი იხედებოდა. ეზოში თეთრად გადაფიქვული ალუჩის ტოტები ირხეოდნენ და თთახში დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ. ქუჩის მეორე მხარეს, ძველი სახლის სახურავქვეშ ბედურას პატარა ხერელისთვის მიეგნო, შიგ ბუდე მოეწყო.

ვიდექ ფართოდ გაღებულ ფანჯარასთან და გავყურებდი ჩემს ახალ მეზობელს, რომელიც გასაოცარი ხალისით მალიმალ გამოჰყოფდა ხოლმე ბუდიდან თხილისოდენა თავს და ქვეყანას ჭიკჭიკით ამცნობდა თავის ახალ მისამართს.

მზე ნელ-ნელა ეშვებოდა საღდაც მთებს იქით. გული გარეთ მიმიწევდა. მწყუროდა რაღაც ახალი, ჩემს გარშემო თითქოს ყველაფერი დაძველდა... ყველას დავაფიწყდი. მაგრამ ეს რაა?

ხის საფეხურებს ვილაც ამოჰყვა. ფეხის ხმა იყო ფრთხილი და მოკრძალებული. ვინ იყო, ვერ მივხვდი. ნეტავ ვინ მოაბიჯებს ჩემსკენ?

კარი გავადე, ნათელა ზღურბლზე შეჩერდა და ხელები უკან წაიღო, კარს მიეყრდნო. თითქოს არასოდეს არ მენახა, თითქოს დღეს პირველად ვხედავდი, ისეთი უცნაური და მიმზიდველი იყო.

— ცუდ დროს ხომ არ მოვედი? — თქვა მან, — სულ ერთ წუთს წაგართმევ... ხომ გახსოვს, ხვალ ათი აბრილია...

— ათი აბრილი... ათი აბრილი... — ჩემს თვალწინ გაიელვა მოგონებამ. ძველმა, განვლილმა დრომ. ჰო, მაშინ ნათელას გრძელი ქერა ნაწნავები ეყარა მხრებზე... და, უცებ გამახსენდა — ათი აბრილი ნათელას დაბადების დღე იყო.

— ჰოდა, მოდი, სულ შინაურები ვიქნებით.

კარის სახელურს მისწვდა, წასვლა დააპირა. მე მის ხელს მივწვდი, მივიზიდე. იმ წუთში ვიგრძენი, თუ რად მიმიწევდა გარეთ გული. ალბათ თავის ტოლს ეძებდა. ეძებდა, რომ სიყვარულით მინდობოდა და შვებით ამოესუნთქა... ახლა აღარ მიმიწევდა გარეთ გული, ვისაც ვეძებდი, ჩემს გვერდით იდგა და

აჩქარებით სუნთქავდა. უცებ რაღაც ძალამ შეგვეერთა. ნათელა მკერდზე მომეკრა, კროთდა, მეც ვკანკალე და ვკოცნიდი მის ცხელ ბაგეებს. ის თანდათან მოეშვა, მე ავიტაცე და დივანზე, ჩემს გვერდით დავსვი. ქალიშვილმა დაიკენესა და როცა შევხედე, მის თვალებში შიში ამოვიკითხე. იგი თრთოდა ჩემს მკლავებში, თან ჩემს ხელებს იშორებდა, თან მკოცნიდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

მე უფრო მაგრად მოვხვიე ხელები.

— ნათელა!

ნათელამ დანისლული თვალებით შემომხედა, სევდიანად გაიღიმა.

— ჩვენ გვეყოლება ვაჟი, თმახუჭუჭა ვაჟკაცი.

ნათელა მაინც არაფერს ამბობდა, მის დიდრონ თვალებში ხან წელანდელი შიშის ნაპერწკალი იელვებდა, ხან ბედნიერების ღიმილი.

— გამიშვი, არავინ შემოვიდეს... გამიშვი...

წამოვდექი, კარები გადავკეტე, მის წინ დავდექი და ხმადანს ვუთხარი:

— ნურაფრის გეშინია, შენ ახლა შენს სახლში ხარ...

ნათელამ ფერი დაკარგა, კედელს უღონოდ მიეყრდნო... რა ვიცი, რას ფიქრობდა, იქნებ ვერც კი გაიგო ჩემი ნათქვამი, იქნებ სხვანაირად გაიგო... მივუახლოვდი, თავი გადავუწიე, თვალებში ვაკოცე და წავჩურჩულე:

— ხვალ, ათ აპრილს, შენ ამ სახლის პატარა დიასახლისი უნდა გახდე.

ნათელა უეცრად მოეშვა, მოწყდა, გულში ჩამეკრა, სახეზე სისველე ვიგრძენი. ეს მისი ცრემლი იყო, ბედნიერების ტკბილი ცრემლი.

— მაგრამ, ის, ის? — ჩურჩულით მკითხა მან.

— „ის“ ჩემთვის აღარ არსებობს, დიახ, აღარ არსებობს...

\*

გვიან ღამით ქუჩაში მაინც გავედი და დიდხანს ვიხეტიალე. ახლა აღარავის ვეძებდი. ჩემი გული დამშვიდებით ცემდა, ჩემს ხვალისდელ დღეზე, ჩემს ნათელაზე ვვიჭრობდი... ის ახლა ალბათ თავის ფანჯარასთან იჯდა და იმ ბელურა ჩიტვით ჭიკჭიკით ამცნობდა მთელს ქვეყანას თავის ბედნიერებას...

შინისაკენ რომ წამოვედი, მათ ფანჯარასთან შუქი შევნიშნე... ძია კოტე მაგიდასთან იჯდა, დედაც მაგიდასთან იჯდა, ნათელას რაღაცას ეუბნებოდა. ასე მომეჩვენა, თითქოს თავის ქალიშვილს ტუქსავდა. ქალიშვილი კი, რომელიც ხვალედან ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო, თავდახრილი იდგა და მორჩილად დაჰყურებდა იატაკს.

ნეტავ რას ეუბნებოდა დედა?

ნათელა უეცრად ატირდა, დედამისიც ატირდა.

ძია კოტემ თავი ასწია და ქალიშვილს გაუღიმა, მერე დედა მიუახლოვდა ნათელას და შუბლზე აკოცა.

კოტა კიდევ შევიცადე და, როცა ნათელა ფანჯრისკენ წამოვიდა, კედელს ავეკარი სიბნელეში. ნათელამ ფანჯარა გამოაღო, თვალი სიბნელეს გაუსწორა და ჩურჩულთ თქვა:

— ჯერ არ დაბრუნებულა... ღმერთო, ნუთუ ეს მართალია?!

\*

ღილით სამსახურიდან ერთი დღით თავი გავითავისუფლე. მერე გივი ვარდიანიშვილი გავიხმე და წუხანდელი ამბავი ჩაუუკაკლე.

მან გაიცინა, მაკოცა და ღიმილით წამოიძახა:

— მაშ ქორწილი გვიქვამია!

ჭიშკრამდე გამომყვა, ჯიბეები მოიქექა და ერთი ბლუჯა ფული მომაჩეჩა.

— ეს მარკისათვის, ეს ტაქსისთვის, ეს კიდევ ისე დაგჭირდება!

ფულის აღებაზე უარი ვუთხარი, დავემშვიდობე და კიდევ ერთხელ შევახსენე, რომ დანიშნულ დროს მმაჩის ბიუროსთან შეგვხვედროდა.

ჯანდიერებთან დიდი სამზადისი იყო. ხუმრობა ხომ არ იყო, ათი აპრილი, ნათელას დაბადების დღე გათენდა. ეზოში ჩასვლა მერიდებოდა, შინ ჩავიკეტე. მოუთმენლად შეეყურებდი კედლის საათს და როცა ქამა დაჰკრა, ნათელასთან ერთად გარეთ გამოვედი.

ცოტა ადრე მოგვივიდა გამოსვლა, ჩვენი ხელისმომკიდე ვარდიაშვილი ჯერ კიდევ არ ჩანდა. რუსთაველზე გავიარეთ, მერე ისევ უკან დავბრუნდით და მმაჩის შესასვლელთან შევჩერდით... არა, არ შევჩერდებოდით, პირდაპირ შევიდოდით, მაგრამ სწორედ შესასვლელთან მანანას შევეფეთეთ, შევჩერდით.

მას თეთრად დაწინწკლული შალის წითელი კაბა ეცვა, უნებლიეთ გამახსენდა, რომ ადრეც, დიდი ხნის წინათ, ეს თეთრად დაწინწკლული კაბა ეცვა.

დაგვიანა თუ არა, სახეზე ღიმილის ნიღაბი აიფარა. ძველებურად, უღარდელად და გამომწვევად მოგვესალმა და აჭიკჭიკა:

— გამარჯობათ, რა კარგია, რომ შეგხვდით, ავიღებთ ბილეთს და ვნახავთ საზღვარგარეთულ ფილმს, ძლიერ აქებენ...

ერთბაშად გამახსენდა ენგელსის ქუჩა, თოვლიანი საღამო... ტანში უსიამოვნოდ გამაყრეოლა, ბოლმა მომაწვა ყელში. არაფერი პითქვამს. მღელვარება ნათელასაც გადაედო, ის იყურებოდა საღაც შორს და ტოკავდა.

ღიახ, ჩემს წინ მანანა იდგა, ის მანანა, რომელიც...

უნებურად დაეკვირდი მის სახეს, რომელსაც ჩემმა დუმილმა ახლა გაწბილებული ადამიანის ნიღაბი ჩამოაფარა.

— მარტო რატომ მიდიხარ კინოში? — შევეკითხე მხოლოდ იმიტომ, რომ დუმილის ატანა აღარ შემეძლო.

— აქლემმა თავისი გზა მონახა. მე კი, როგორც ხედავ, კენტად დავრჩი.

ჩვენ არ გავცვინებია, მან კი ყალბად გაიცინა და ერთხელ კიდევ შეგვათვალიერა მე და ჩემი საპატარძლო.

— სად მიდიხართ ასე საზეიმოდ მოკაზმულები?

— შორს... ქვეყანა დიდია...

უცებ გივი ვარდიაშვილი გაჩნდა ჩვენს გვერდით. მან ღიმილით აათვალიერა-ჩაათვალიერა უცნობი ქალიშვილი და მხიარულად დაიჭიხინა:

— აი, მესმის, თქვენ ჩემთვისაც გიფიქრიათ, მეორე ხელისმომკიდეც გიშოვიათ... რაც კარგია, კარგია. აბა, შევიდეთ! — მან მანანას თამამად წაატანა ხელი და შესასვლელისაკენ მიუთითა.

— არა, ბატონო, მე ჩემი გზა მაქვს, — თქვა გაფთვრებულმა მანანამ და გავეშორდა.

ვარდიაშვილმა გაცეხებული მზერა გააყოლა უცნობ ქალიშვილს.

— ვაჰ, ხომ არაფერი აწყენინეთ, წავალ, მოვბრუნებ...

— არა, ვეღარ მოაბრუნებ, მას თავისი გზა აქვს...

ყრუ ხმით ვუთხარი და ნათელას ხელი გამოვდე. მერე შევხედე. მანაც შემომხედა.

ნათელას თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

## ოთარ მაგორია

### საჩუქარი

დიდი ხანია წარსულს მინებდა,  
გახსენება კი მაინც ტკბილია,  
ამ მაღაზიის ცისფერ მინებთან  
რამდენჯერ ერთად ჩამოგვივლია.

მე შენს თვალეში სხივებს ვეძებდი —  
ყველაზე მეტად რა გახარებდა:  
ზურმუხტიანი ოქროს ბეჭედი,  
თუ ყელსაბამი გიშრისხალება.

ახლა შორსა ხარ, და აქ როდესაც  
მარტო მოვდივარ, მინებს გავყურებ,  
მე რომ მინდოდა შენთვის მომეძღვნა,  
უკვე აღარ ჩანს იგი საყურეც...

\*  
\* \*

გაზაფხული დაბრუნდა  
ისევ წითელ კაბითა.  
ვარდი მზეში გაბრუნდა,  
ზედ პეპელა დაფრინდა.  
ქუჩა მოჰგავს მდინარეს  
და მე თითქოს ტალღა ვარ,  
ისევ ჩამოვიარე,  
დინებამ ვერ დამალა.  
ო, ის ერთი სახლია,  
შორი, შორი ნაპირი,  
ეზოში კი ძაღლია,  
ჩემზედ ყეფით დადლილი.



## ჟოგუდა იანაკოკელ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც სწავლობენ: ჩინელი, კორეელი, ბერძენი... ისინი ჩვენში ისე გრძნობენ თავს, როგორც მშობლიური ცის ქვეშ.

ბერძენი ქალი ფოტულა იანაკოკელი ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია.

ფოტულა ლექსებსა წერს. მეგობრული გარემოცვა, რომელშიაც იგი იმყოფება — ერთი ორად აძლიერებს მის პოეტურ ფანტაზიას.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ პოეტი ქალის ლექსებს.

### სიმღერა სიყვარულზე

რომ ყველგან ფეთქავს სიცოცხლის ძარღვი,  
რომ გაზაფხულიც საოცრად ფეთქავს,  
რომ ცის გუმბათი ციაგობს მალღით,  
ეს უნდა მეთქვა...

მე უნდა მეთქვა ღულუნა მტრედზეც; —  
იგი არასდროს არ რჩება კენტად,  
მიწა მზეს ეძებს,  
შენც ალბათ მეძებ  
და... გზას ვინ კეტავს?

ვარსკვლავთა შუქი მათინათინებს  
და თავბრუს მახვევს გალობა სირთა,  
როდისმე გნახავთ შენ და ათინას,  
როდისმე მაინც გაგათბობთ მზითა.

მწვანე ტყეების მახურავს ქოლგა,  
მივალ და შენზე ფიქრებით ვთვრები.  
მაინც რა კარგი თვალეები გქონდა,  
რა კარგი თმები...

როგორ დატოვე, როგორ დაგშორდი,  
სიცოცხლის წყაროვ,  
სინათლევ თვალთა...  
ვინ დაამსხვრია ჩვენი ბავშვობა,  
ვინ გამიმწარა მშობელის კალთა?

ახლა ვარდები თვალს რომ ახელენ,  
ცალად ვიმღერო თბილისის კართან?  
მე გაზაფხულის სუნთქვა მახელებს,  
მაგრამ... შენს გარდა?





ელვას დავეძებ,  
 ლელვას დავეძებ  
 და ანთებული დაედივარ ველად.  
 ვერ დამაშორონ შენ და საბერძნეთს,  
 ვერა!

ხან ვარსკვლავები მათინათინებს,  
 ხან თავბრუს მახვევს გალობა სირთა,  
 ოდესმე გნახავთ შენ და ათინას,  
 ოდესმე მაინც გაგათბობთ მზითა...

თარგმნა ნაზი კილასონიამ

### მშვიდობის ვარსკვლავები

არ გვინდა სიცოცხლე აკვამლდეს,  
 ომი და ვაება გვაკმარეთ,  
 სიცოცხლე ლილისფერ მთა-გორებს,  
 სიცოცხლე შუქურა ვარსკვლავებს.

სიტყვის თქმის უფლებას არ ვაძლევთ,  
 პირღია ქვემეხს და ზარბაზნებს;  
 დე ქვეყნად, ვით ცისარტყელები,  
 მშვიდობის დროშები აზვავდეს!

ომი და სისხლისღვრა გათავდეს,  
 დიდება მშვიდობის სათავეს;  
 მშვიდობის ლამაზი სიმღერა  
 მსოფლიოს სწვდებოდეს ცათამდე.

დე ქვეყნად მშვიდობა ყვაოდეს,  
 სისხლისღვრა არ იყოს აროდეს,  
 ყველა ჩვენთაგანმა მსოფლიოს  
 მშვიდობის სიმღერა მოჰტინოს!

ვინც მიწას გაუჩენს იარებს,  
 ჩვენს ძმობას ვინც დააზიანებს,  
 ვინც თავის უწმინდურ ხელებით  
 ჩაქრობას უბირებს მზიანეთს;

არ გვინდა შავლევა ნისლებმა  
 უნისლო მინდვრები დანისლოს,  
 მშვიდობას ვაშა და დიდება,  
 დიდება, სიცოცხლის მაისო!

ვისაც სძულს ძუძუთა აკვნები,  
 ვინც მიწას ტყვიებით დასუსხავს,  
 ვინც დაგვემუქრება აკლებით, —  
 სიძულვილს მივუგდებთ პასუხად.

არ გვინდა სიცოცხლე აკვამლდეს,  
 ომი და ვაება გვაკმარეთ,  
 სიცოცხლე ლილისფერ მთა-გორებს,  
 სიცოცხლე მშვიდობის ვარსკვლავებს!

თარგმნა მელეა კახიძემ



მადრიდის აკადემიის

მადრიდის აკადემიის

შენ რომ ეძებდი

აი, სად შემხვდი, ვით ღამის თევა,  
მე კი თურმე სად დამღამებია, —  
შენ რომ გიყვარდა, ის ქალი მე ვარ,  
შენ უბასუხოდ არ გყვარებია.

მე ახლა შენ წინ დადლილი ვდგევარ,  
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, —  
შენ რომ ეძებდი, ის ქალი მე ვარ —  
მიტხარი, ხომ არ დავავვიანე?

თუნდა უსიტყვოდ დამუნჯდეს ენა,  
მე უშენობის დაღი მატყვია,  
შენ რომ გინდოდა, ის გული მე მაქვს,  
ვიცი, სხვა გული არ გინატრია.

შენ ეძახოდი შორს შენგან წასულს  
და ხმა ქარიშხალს ჩაუქოლია,  
შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს  
და ჩემს მეტს არვის გაუგონია.

მე ახლა შენ წინ დადლილი ვდგევარ,  
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, —  
შენ რომ ეძებდი,  
ის ქალი მე ვარ —  
მიტხარი, ხომ არ დავავვიანე?



ვიდრე ცხოვრების გზები დამლდიდეს,  
ვიდრე ვცოცხლობ და ოცნების დრო მაქვს,  
ვფურცლავ და ვფურცლავ დღეებს ჩავლილებს,  
ვით ბავშვობაში წაკითხულ რომანს.

ჩემი ცხოვრების მცირე წიგნია,  
შიგ ჩაკეცილი ყვავილთა კონით,  
სად მიტირია, სად მიცინია,  
სად მიძებნია ოცნების ტოლი.

დღეს ის გმირები ვერ მიტაცებენ,  
დღეს მე ცხოვრებას სხვა თვალთ ვუმზერ,  
და მეცინება ახლა იმ კრემლზე,  
და... მეტირება იმ სიხარულზე.

დღეს ის ბავშვობა ისე გამიტკბა,  
ყველაფერს ისე თვალნათლივ ვხედავ,  
გულზე ვიხუტებ იმ მიამიტ ბავშვს  
და ვეფერები, ვით ნაზი დედა.





ჯონ სკეინბეკი

# მომავალი

მოთხრობა

ერთ-ერთ კანტორაში ჩასუქებული, დონდლო კაცი იჯდა. მას მამობრივად კეთილი და ალერსიანი გამომეტყველება ჰქონდა. ასეთი კაცი ყოველთვის თავზიანად გესალმებათ და აუცილებლად ხელს გართმევთ. მან იცის ბევრი ანგელოტი. ერთი სიტყვით, ასეთ ვინმეზე იტყვიან, ნამდვილი გულალალი კაციაო. შერე და რა გულისხმეირია! ხუმრობისა და სიცილის დროს უეცრად მოიწყენს, მოიგონებს თქვენს განსვენებულ მამიდას და კიდევაც აცრემლდება თქვენი შიშვე დანაკლისის გამო. იმ დილით მან მაგიდაზე დაიდგა ვაზა, რომელშიც ერთადერთი ყვავილი — ალისფერი ჰიბისკუსი იდო, იქვე მაგიდაზე შავი ხავერდის ნაჭერი ეფინა მარგალიტისათვის. ამ კაცს წვერი ისე გაეპარსა, რომ სახე ჩალურჯებოდა, ხელები სუფთა და ფრჩხილები გალაქული ჰქონდა. მისი კანტორის კარი ფართოდ იყო გაღებული დილის სუფთა ჰაერისათვის. ეს კაცი პირმოკუმული დიღინებდა, მარჯვენა ხელში კი ვერცხლის ფული ეჭირა და რაღაც ფოკუსს აკეთებდა. ფულს თითებს შუა ასრიალებდა, ხელისგულზე გადაიციურებდა, მერე ჰაერში შეისროდა. ფული სინათლეზე გაიფლავებდა და უმაღლე გაქრებოდა. ამას იგი ისე აკეთებდა, რომ არც კი უყურებდა. მისი თითები ავტომატური სიზუსტით მოქმედებდნენ, თვითონ კი დიღინებდა და კარებისაკენ იცქირებოდა. უცბად მოახლოვებული ხალხის ფეხის ხმა მოესმა და მარჯვენა ხელის თითები უფრო სწრაფად ამოძრავა. როცა კარებში კინო გამოჩნდა, ფულმა უკანასკნელად გაიფლავა და გაქრა.

„დილა მშვიდობისა, ჩემო მეგობარო“, უთხრა ჩასუქებულმა კაცმა, „რით შემიძლია გემსახურო?“

კინოს თვალებში ჯერ ისევ იდგა კაშკაშა მზის სინათლე და ამიტომ ერთბაშად ვერ შეეგუა კანტორაში დასადგურებულ სიბნელეს. შემსყიდველის თვალები კი ცივი და გამჟოლავი იყო. იგი გეზელ-ქორივით პირდაპირ და თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა კინოს, მის ტუჩებს კი ამ დროს ალერსიანი დიდილი დასთამაშებდა; მაგიდის ქვეშ დამალულ მარჯვენა ხელით ისევ ვერცხლის ფულს ატრიალებდა.

„მარგალიტი მოვიტანე“, უთხრა კინომ. ამ თავშეკავებული პასუხით უკმაყოფილო ხუან ტომასმა, რომელიც კინოს გვერდით იდგა, ჩუმად ამოიხენეშა.

გაგრძელება, იხ. „ცისკარი“, № 2.



მეზობლები კანტორაში ზღურბლიდან იყურებოდნენ, ბიჭები ფანჯრის ჩრტივლებს ჩამოკიდებოდნენ, ორი-სამი პატარა ბიჭი კი ფორთხვით მიმძვრალიყო კინოს ფეხებთან და იქიდან შეჰყურებდა ყოველივეს, რაც იქ ხდებოდა.

„შენ ერთი მარგალიტი მოიტანე“, უთხრა შემსყიდველმა, „ჩემთან კი მთელი დუქინი მოაქვთ ერთბაშად. აბა, ვნახოთ შენი მარგალიტი! შევაფასებთ და რაც ელირება, იმაზე მეტს მოგცემთ“, შემსყიდველის თითებმა გამალებით აათამაშეს ფული.

კინოს ალღომ უკარნახა, რომ ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. ეს როგორღაც თავისთავად გამოუვიდა. მაგიდაზე ნელა დასდო ტყავის ტობარაკი, იქიდან ნელა ამოიღო ნატის ჭუჭყიანი მჩვარი, შავი ხავერდის საფენზე დააგორა ვეებერთელა მარგალიტი და თავი მალა ასწია, შემსყიდველს სახეზე მიაჩერდა. არავითარი ცვლილება არ დატყობია ამ სახეს, ერთი ძარღვიც კი არ შეტოკვბია, არაფრით არ გამოუმკლანებია მღელვარება, მაგრამ მაგიდის ქვეშ დამალულმა ხელმა კი უმტყუნა: ფული უცბად თითის სახსარზე შეჩერდა და უხმაუროდ ჩაცურდა მუხლზე. მაგიდის ქვეშ დამალული თითები მუშტად შეიკრა. მაგრამ როდესაც მარჯვენა ხელი თავისი საიმედო თავშესაფარიდან ამოცურდა, საჩვენებელი თითი ვეებერთელა მარგალიტს შეეხო და შავი ხავერდის საფენზე გააგორა. მერე შემსყიდველმა ცერით და სალოკი თითით აიღო მარგალიტი, თვალთან მიიტანა და ჰაერში შეისროლა.

კინომ სული განაბა, მეზობლებმაც განაბეს სული. ხალხში ჩურჩული გაისმა: „იგი სინჯავს მას... ფასი ჯერ არ უთქვამს... ფასზე ჯერ ლაპარაკი არ ყოფილა“.

შემსყიდველის ხელი თავისუფლად მოქმედებდა. ხელმა ვეებერთელა მარგალიტი ისევ ხავერდის საფენზე დასდო, საჩვენებელმა თითმა წკიპურტი ჰკრა და გააგორა; ეს თითი თითქოს აბუჩად იღებდა მარგალიტს, შემსყიდველს სახეზე კი ნაღვლიანი და თანაც დამამცირებელი ღიმილი აღებეჭდა.

„არაფერი არ შემოძლია, ჩემო მეგობარო“, თქვა მან და მხრები ოღნავ აიჩჩია; ამით თითქოს კინოს უთხრა, შენს უიღბლობაში არავითარი ბრალი არ მიმიძღვისო.

„ეს მარგალიტი დიდი ფული ღირს“, თქვა კინომ.

შემსყიდველმა კვლავ წაქრა წკიპურტი მარგალიტს, ისე რომ იგი ხავერდის საფენზე გაგორდა და ქიმს მიეჯახა ნელა.

„შენ იცი, რა არის ცრუთირა?“ შეეკითხა შემსყიდველი, „ადამიანები ეძებენ ოქროს და პოულობენ ცრუთირას, რომელიც ოქროს ჰგავს. შენი მარგალიტიც ასეა. იგი მეტისმეტად დიდია, განა მაგას იყიდიან? ასეთი მარგალიტის მოთხოვნილება არც არის. ეს მხოლოდ საკვირველებაა და სხვა არაფერი. სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ? შენ ფიქრობდი, რომ შენი მარგალიტი აუარებელი ფული ღირდა, მაგრამ ეს მხოლოდ საკვირველებაა, დიდი ფასი არა აქვს“.

კინოს სახეზე დაბნეულობა და შეშფოთება აღიბეჭდა. „ეს ყველაზე დიდი მსოფლიოში!“, წამოიძახა მან, „ასეთი მარგალიტი ჯერ არავის უნახავს!“

„სრულიადაც არა“, თქვა შემსყიდველმა. „ეს მარგალიტი მეტისმეტად დიდი და უხეშია. იგი საინტერესოა მხოლოდ როგორც იშვიათი ეგზემპლარი. თუ მაგას იყიდიან, მხოლოდ იმიტომ, რომ შეავსონ ზღვის ნიქარების კოლექცია რომელიმე მუზეუმში. მე შემოძლია მოგცე მაგ მარგალიტში, ასე ვთქვათ, ათასი პესო“.

კინოს სახე ჩაულურჯდა, თვალები რისხვით აენთო, „ეს მარგალიტი ორმოცდა ათი ათასი ღირს“, უთხრა მან, „ეს თქვენც კარგად იცით. თქვენ გინდათ მომატყუილოთ მე“.

შემსყიდველმა გაიგონა, როგორ ატყდა გაურკვეველი ბუზლუნი ხალხში, როცა მან კინოს მარგალიტის ფასი უთხრა. შემსყიდველი შიშის კანკალმა აიტანა. „მე ნუ გამამტყუნებ“, სწრაფად წარმოსთქვა მან, „მე მხოლოდ შემდგამელი ვარ. ჰკითხე ვინმეს კიდევ. მიდი სხვა შემსყიდველებთან და უჩვენე შენი მარგალიტი. მაგრამ უმჯობესია, ისინი მოვიდნენ აქ და შენ დარწმუნდები, რომ ჩვენ პირი არ გვაქვს შეთქმული. ბიჭო!“ დაუძახა მან კანტორის უკანა კარებიდან თავგამოყოფილ მსახურს და უბრძანა, მავანთან და მავანთან გაიქეციო, სთხოვე, აქ მოვიდნენ, მაგრამ არკი უთხრა რისთვის. უთხარი მხოლოდ, რომ მე მათი ნახვის მოხარული ვიქნები“.

შემსყიდველმა მარჯვენა ხელი ისევ ჩააცურა მაგიდის ქვეშ, ჯიბიდან ამოიღო ფული და თითებს შუა აასრიალა.

კინოს მეზობლები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ისინი ასედაც ფიქრობდნენ, რომ ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებოდა. თქმა არ უნდა, მარგალიტი დიდი, მაგრამ ფერი რალაც სხვანაირი აქვს. იგი მათ თავიდანვე რალაც უცნაურად მოეჩვენათ. თუ საქმე მართლაც ასეა, ათასი პესოც გზაზე არ ყრია. იმ კაცისათვის, ვისაც არაფერი გააჩნია, ეს მთელი სიმდიდრეა. რა იქნება, რომ კინო ამ ფასს დათანხმდეს? გუშინ ზომ სულ ღატაკი იყო.

მაგრამ კინო თითქოს გაქვავდა. იგი გრძნობდა, რომ მისი ბედი ახლა წყდებოდა, რომ ირგვლივ მგლების ხროვა ჰყავდა შემოსეული, რომ თავზე ყვავყორნები დაჩხაოდნენ. გრძნობდა, როგორ ეპარებოდა ბოროტება, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეფარა თავი. მას ესმოდა მტრის სიმღერა, ეს სიმღერა ყურებში უგუგუნებდა. ვეებერთელა მოციმციმე მარგალიტი კი შავი ხავერდის საფენზე იღო და მაგიდასთან მჯდარი კაცი თვალს ვერ აშორებდა მას.

კარებში შეჯგუფული ხალხი შეირხა და გზა მისცა სამ შემსყიდველს. ხალხმა ახლა ხმა გაკმინდა, ეშინოდა არ გამოპარვოდა არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოძრაობა, არც ერთი გამოხედვა. სმენად გადაქცეული კინოც დუმდა. მან უეცრად იგრძნო, რომ უკანიდან ვიღაც მისი ხალათის კალთას ეწეოდა. მიიხედა და ხუანას თვალებს წააწყდა. როცა ცოლს თვალი მოაშორა, გული ახალი ძალებით აღევსო.

შემსყიდველები საითაც გნებავთ იქით იცქირებოდნენ, მაგრამ ერთმანეთისა და მარგალიტისათვის ერთხელაც არ შეუხედავთ. იმან, ვინც მაგიდასთან იჯდა, თქვა: „აი, ეს მარგალიტი შევაფასე მე. მისი პატრონი არ მეთანხმება გთხოვთ, შეხედოთ ამ... ამ ნივთს და შეაფასოთ ის. იცოდე“, მიუბრუნდა იგი კინოს, „ამათთან მე არ დამისახელებია ის თანხა, რომელიც შეგაძლიე“.

პირველმა შემსყიდველმა, რომელიც გამხდარი და დამარღვეული იყო, თითქოს მხოლოდ ახლა დაინახა მარგალიტი. მან აიღო ის, სწრაფად შეატრიალა ცერითა და საჩვენებელი თითით და მერე ზიზღით დაადგო საფენზე.

„შეგიძლიათ მე არ მიმიღოთ სათვალავში“, გულგრილად თქვა მან, „მე ერთ გროშსაც არ მოგცემთ. ასეთი ნივთი მე არ მინდა. ეს მარგალიტი კი არა... ეს რალაც საოცრებაა“.

მან თხელი ტუჩები ისე მოკუმა, რომ პირზე მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ზოლი დააჩნდა.

ახლა მარგალიტი ხელში აიღო მეორე, ტანმორჩილმა შემსყიდველმა, რომელსაც წყნარი, შემკრთალი ხმა ჰქონდა. გულდაგულ დაათვალიერა. ჯიბიდან ლუბა ამოიღო, ერთხელ კიდევ შეხედა მარგალიტს და დაბალი ხმით ჩაიცინა.

„ხელოვნური მარგალიტიც კი ამაზე უკეთესია“, თქვა მეორე შემსყიდველმა, „მე ასეთები შემხვედრია. ეს რბილი და ფხვიერია. რამდენიმე თვის შემდეგ



ჩამუქდება და მოკვდება. შეხედე“, მან ლუბა კინოს გაუწოდა, უჩვენა, როგორ უნდა ჩაეხედა შიგ; კინოს არასოდეს არ დაენახა მარგალიტი გამადიდებელი შუშის საშუალებით და ახლა შეშინდა, როცა დაინახა, რა უცნაური ზედაპირი ჰქონდა მის მარგალიტს.

ახლა მესამე შემსყიდველმა გამოართვა კინოს მარგალიტი.

„ერთი ჩემი კლიენტი იძენს ასეთ ნივთებს“, თქვა მან, „გაძლევთ ხუთას პესოს, მას კი, შეიძლება, ექვსასად მივყიდო“.

კინო სწრაფად წაეტანა და შემსყიდველს ხელიდან გამოგლიჯა მარგალიტი. ნატის ნაჭერში გაახვია და უბეში ჩაიღო.

მაგიდასთან მჯდომარე კაცმა თქვა: „მე, რასაკვირველია, მტყნარი სულელი ვარ, მაგრამ ჩემს სიტყვას უკან არ წავიღებ. გაძლევ, როგორც გაძლევდი, ათას პესოს. ამას რას შერებ?“

„თქვენ მატყუილებთ“, გაცხარებით შესძახა კინომ, „მე აქ არ გავყიდი ჩემს მარგალიტს. წავალ სხვა ქალაქში, შეიძლება, დედაქალაქშიც წავიდე“.

შემსყიდველებმა მყისვე ერთმანეთს გადახედეს. ისინი მიხვდნენ, რომ ვადაპარბეს. იცოდნენ, რომ ამ მარცხისათვის მათ მოხვდებოდა. მაშინ მაგიდასთან მჯდომარე კაცმა სწრაფად უთხრა კინოს:

„კარგი, ათას ხუთას გაძლევ“.

კინო შემობრუნდა, მეზობლები მისწი-მოსწია და კარებისაკენ გაემართა. სისხლის მოწოლისაგან მის ყურებს ეჩიინი გაჰქონდა, ამიტომ ხალხის ხმაური გაურკვეველად ესმოდა; გარეთ რომ გააღწია, განიერი ნაბიჯებით გაემართა შინისაკენ. ხუანა სირბილით მისდევდა მას.

საღამოს მეზობლები თავიანთ სახლებში წავიდნენ. ისინი მკადითა და ლობითი ვახშობდნენ და თანაც დღევანდელი დღის დიდ ამბავზე მსჯელობდნენ. ძნელია გაიგო, სად არის სიმართლე. რა თქმა უნდა, მარგალიტი ლამაზია, მაგრამ ისინი პირველად ხედავდნენ ასეთ მარგალიტს, შემსყიდველები კი ყველაზე უკეთ ერკვევიან მარგალიტის საქმეებში.

„შენიშნეთ?“ ამბობდნენ ისინი, „შემსყიდველები ერთმანეთს არ დალაპარაკებიათ, მაგრამ სამივემ ერთიდაიგივე თქვა, ამ მარგალიტს არავითარი ფასი არა აქვსო“.

„შეიძლება მათ წინასწარ შეჰკრეს პირი?“

„თუ ეს ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ ჩვენს სიცოცხლეში გვატყუებენ“.

იქნებ უკეთესიც იყო, ამბობდა ზოგიერთი, რომ კინოს უარი არ ეთქვა ათას ხუთას პესოზე. ეს დიდი თანხაა, ამდენი ფული მას არასოდეს არ უნახავს: შეიძლება, კინო სულ უტვინო კაცია. რა იქნება, მართლაც დედაქალაქში რომ წავიდეს და იქაც ვერ იპოვოს თავისი მარგალიტის მყიდველი. ამის გადატანა ძნელი იქნება.

აი, ახლა, — ამბობდნენ მშობრები, — იმის შემდეგ, რაც კინო შემსყიდველების წინააღმდეგ წავიდა, ისინი სრულიადაც აღარ მოისურვებენ მასთან საქმის დაჭერას. შეიძლება, კინომ თვითონვე დაუღო თავი ნაჯახს, თვითონვე დაიღუპა თავი.

სხვები კი ამბობდნენ: კინო ვაჟკაცია, მასეთ კაცს ვერ შეაშინებენ; კინო მართალია. ისინი, ვინც ამას ამბობდნენ, კიდევაც ამაყობდნენ თავის მეზობელი კინოთი.

კინო კი თავჩაქინდრული იჯდა ქილოფზე თავის ფაცხაში და ფიქრობდა. მარგალიტი კერიის ქვის ქვეშ იყო ჩაფლული. კინო ჩაშტერებოდა ქილოფს და



თვალეები უკრულდებოდა. მან დაჰკარგა თავისი სამყარო, ახალი კი ვერ ეპოვა. შემზარავმა შიშმა შეიპყრო. მთელ მის სიცოცხლეში კინო სახლიდან შორს არ წასულა. უცხო ხალხი და უცხო ადგილები შიშს გერიდნენ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ის საშინელი ურჩხული, რასაც დედაქალაქს ეძახდნენ და სადაც ყველაფერი უცხო იყო. იგი ზღვის გადაღმაა, ცხრა მთას იქით, აქედან ათას მილზე. ამ ქალაქისკენ მიმავალი ყოველი უცხო და საშიში მილი ჰზარავდა კინოს. მაგრამ მან თავისი ძველი სამყარო დაჰკარგა და ახლა ახლისაკენ უნდა გაეკვლია გზა, რადგან მისი ოცნება მომავალზე რეალური იყო, ამ ოცნების მოსპობა არავის შეეძლო. კინომ თქვა „მე წავალ“ და ეს „წავალ“ რეალობად იქცა. წასვლის განზრახვა და ამ განზრახვის ხმა მაღლა თქმა თითქმის იგივეა, რაც ნახევარი გზის გავლა მიზნისაკენ.

ხუნა შეჰყურებდა კინოს, როდესაც ის მარგალიტს მარხავდა მიწაში, შეჰყურებდა მაშინაც, როდესაც თვითონ ხუნა კოიოტიტოს აბანავებდა და მერე ძუძუს აწოვებდა. ახლა კი ხუნა მკვადს აცხობდა ვახშმისათვის.

ხუნა ტომასი შემოვიდა მათთან ფაცხაში და კინოს გვერდით ჩაჯდა. დიდი ხნის დუმულის შემდეგ კინომ თქვა: „რა უნდა მექნა? ისინი მატყუარები არიან“.

ხუნა ტომასმა ნელა გაიქნია თავი. ის უფროსი იყო და კინომ მის სიბრძნესა და გამოცდილებას მიმართა.

„არ ვიცი... არ ვიცი“, უპასუხა მან, „ჩვენ გვატყუებენ დაბადებიდან სამარის კარამდე, იმ დღემდე, როდესაც კუბოშიაც კი სამმაგს გვახდევინებენ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ვცოცხლობთ. შენ წინ აღუდგე არა მარტო მარგალიტის შემსყიდველებს, შენ წინ აღუდგე მთელ ჩვენს ცხოვრებას, წინ აღუდგე ყოველივე იმას, რასაც ჩვენი ცხოვრება ეყრდნობოდა. ამიტომ, მე ვშიშობ შენს გამო“.

„შიშულის გარდა, რა შემუქრება?“ შეეკითხა კინო.

ხუნა ტომასმა ნელა გაიქნია თავი: „შიშული ყველას გვემუქრება. მაგრამ რა იქნება, თუ შენ მართალი ხარ, თუ მარგალიტი მართლაც დიდი ფული ღირს?... შენ ფიქრობ, რომ ყოველივე ამით დამთავრდება?“

„როგორ გავიგო შენი სიტყვები?“

„თავად არ ვიცი“, უპასუხა ხუნა ტომასმა, „მაგრამ მე ვშიშობ შენს გამო. შენ ფეხი შედგი უცნობ მიწაზე, მისი გზები შენ არ იცი“.

„სულერთია, მე მაინც წავალ. მე ამ საქმეს არ გადავდებ“, თქვა კინომ.

„ჰო, უნდა წახვიდე“, დაეთანხმა ხუნა ტომასი, „მაგრამ რა ვიცი? იქნებ, დედაქალაქშიაც იგივე მოხდეს. აქ შენ ბევრი მეგობარი გყავს, აქ ვარ მე — შენი ძმა. იქ კი შენ მარტო იქნები“.

„აბა, რა უნდა ვქნა?“, წამოიძახა კინომ, „აქ უკანონობას სჩადიან. ჩემი შვილი ბედნიერი უნდა იყოს. ისინი კი ცდილობენ წაართვან მას ბედნიერება. მეგობრები დახმარებაზე უარს არ მეტყვიან“.

„დიახ, ისინი უარს არ გეტყვიან დახმარებაზე, სანამ ეს მათთვის სატანჯველად არ იქცევა, სანამ ეს მათ საშიშროების წინაშე არ დააყენებს“, თქვა ხუნა ტომასმა, წამოღვა და დასძინა: „ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

კინომაც უთხრა: „შენც გვარავდეს ღმერთი“ და ძმას თვალიც არ გააყოლა, რადგან მისი სიტყვები ტყვიასავით მოხვდა გულში.

ხუნა ტომასის წასვლის შემდეგ კინო დიდხანს იჯდა ქილოფზე და ფიქრობდა. გაოგნებასა და უნუგემობას შეებოჭა იგი. ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. შტრის მრისხანე ჰანგი შეუწყნარებლად გუგუნებდა. ფიქრები სტანჯავდა და მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ გრძნობებით კვლავინდებურად მჭიდროდ იყო





დაკავშირებული მთელ ქვეყნიერებასთან. ქვეყნიერებასთან ერთიანობის შეგრძნების ეს უნარი მას შეძენილი ჰქონდა თავისი ხალხისაგან. კინოს ესმოდა, როგორ ახლოვდებოდა ღამე, როგორ იქარგებოდნენ სილაზე და როგორ მიგორავდნენ უკან ნელი ტალღები, ესმოდა დასაბუდრებლად გამზადებულ ფრინველთა წივიწივ-კრაიხი, კატების სატრფიალო კნავილი და სივრცის გაბმული ზუზუნი. ცხვირის ნესტოებში ნაპირზე გამოირიყულ წყალმცენარეთა მძაფრი სუნნი ედგა. ცეცხლის პატარა ენების შუქი ჭილოფზე სახოვან ლანდებს აფენდა; კინო გარინდებული ჩაშტერებოდა ამ ლანდებს.

ხუანა შეშფოთებით შეჰყურებდა ქმარს, მაგრამ მან იცოდა ქმრის ხასიათი, იცოდა, რომ ყველაზე დიდი დახმარება კინოსათვის ის იყო, რომ მის გვერდით ყოფილიყო და კრინტი არ დაეძრა. თითქოს ხუანასაც ესმოდა ბოროტების სიმღერა; იგი ებრძოდა ამ სიმღერას მით, რომ თავისთვის ჩუმად მღეროდა ოჯახური მყუდროების, სითბოსა და სიმტკიცის საგალობელს. დედას ხელში ეჭირა კოიოტიტო და ჰირ-ვარამის განდევნის სიმღერას უგალობდა მას. დედის ხმა გაბედულად ებრძოდა იმ მუქარას, რომელიც ბოროტების ცივ ჰანგში იმალებოდა.

კინო გაუნძრევლად იჯდა ჭილოფზე და ვახშამს არ თხოულობდა. მაგრამ ხუანამ იცოდა, რომ ქმარი ვახშამს მოითხოვდა, როცა მოშივდებოდა. კინო თითქოს გაყინული თვალებით იცქირებოდა და გრძნობდა, რომ ბოროტება ახლო იყო დადარაჯებული, რომ იგი ჩუმად დაძრწოდა ფაცხის კედლებს იქით. იღუშალი და შემპარავი ბოროტება ჩასაფრებოდა მას სიბნელეში. იგი შემზარავ აჩრდილად შეერთებოდა წყვიდადს, მაგრამ აჩრდილი ეძახდა, ემუქრებოდა და საბრძოლველად იწვევდა მას. კინომ მარჯვენა ხელი იტაცა დანაზე, რომელიც უბეში ჰქონდა დამალული; თვალები გაუფართოვდა; ადგა და კართან მივიდა.

ხუანას მისი შეჩერება უნდოდა, ხელები გაუშვირა და გულშეუწუხებულმა ჰაერი შეისუნთქა. კინო დიდხანს იცქირებოდა სიბნელეში, მერე ზღუზღზე გადავიდა და უმაღვე ხუანამ ყური მოკრა უხმაურო ნახტომს, დაძაბულ ქლოშინს, რაღაცის ჩარტყმას. თავზარდაცემული ქალი ერთი წამით ადგილზე გაშეშდა, მაგრამ მაშინვე კბილები კატასავით დაკრიჭა, კოიოტიტო ჭილოფზე დაიწვინა, ცეცხლის პირას დადებულ ქვას ხელი წამთავლო და გარეთ გაიჭრა. გარეთ კი წნელის ღობესთან ამ დროს ყველაფერი მიწყნარდა. კინო მიწიდან ადგომას ცდილობდა, მის ახლო არავინ იყო. ირგვლივ მხოლოდ ლანდები ირწყვოდნენ; ისმოდა ტალღების ტლაშუნი და სივრცის გაბმული ზუზუნი. მაგრამ ბოროტება აქ ყველგან სუფევდა, ღობეს იქით იმალებოდა, ფაცხის ახლოს იყო ჩასაფრებული, ჰაერში ტრიალებდა.

ხუანამ ქვა გადაადგო, კინოს მოეხვია, წამოდგომაში უშველა და სახლისკენ წაიყვანა. კინოს თავიდან სისხლი სდიოდა, მთელ ლოყაზეც ყურიდან ნიკაპამდე ღრმა ჭრილობა ჰქონდა. ფეხებს ძლივს ადგამდა, თითქოს გონებასაც ჰკარგავდა, თავს იქით-აქით აქნევდა. ხალათი სულ დაფხრეწილი ჰქონდა და ნაფლეთებად ეკიდა. ხუანამ კინო ჭილოფზე დასვა, კაბის კალთით სახეზე შედედებული სისხლი მოსწმინდა, პატარა დოქიდან პულქა გადააყლაპა. მაგრამ კინო სულ აქეთ-იქით იქნევდა თავს, ცდილობდა როგორმე დაეძლია თავბრუსხვევა და თვალთდაბნელება.

„ვინ იყო?“ ჰკითხა ხუანამ.

„არ ვიცი“, უპასუხა კინომ, „არ დამინახავს“.

მერე ხუანამ თიხის ქოთნით წყალი მოიტანა და ჭრილობა მობანა. კინო კი იჯდა და უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს.



„კინო, ჩემო ქმარო!“ შესძახა ხუანამ, მაგრამ კინო სხვაგან იცქირებოდა.

„კინო, გესმის თუ არა ჩემი სიტყვები?“

„მესმის“, დუნედ ჩაილაპარაკა მან.

„კინო, ეს მარგალიტი მავნეა. მოდი, მოვსპოთ, ვიდრე ჩვენ მოგვსპობდეს. მოდი, დაფეშვნათ წისქვილის ქვით. მოდი... მოდი, გადავაგდოთ ზღვაში, მისი ადგილი მხოლოდ იქ არის. კინო ეს მარგალიტი მავნეა, მავნე!“

სანამ ხუანა ლაპარაკობდა, კინოს თვალებში თანდათან ცეცხლი ინთებოდა. ბოლოს ამ ცეცხლმა იფეთქა. კინოს სახეზე კუნთები გაუმავრდა, მისი ნებისყოფაც გამავრდა.

„არა“, თქვა კინომ, „მე არ დავნებდები. მე მოვერევი. ჩვენ ხელიდან არ გავუშვებთ ჩვენს ბენდიერებს“. კინომ მაგრად დაარტყა ხელი ჭილოფს. „ვერავენ წავგვართმევს ჩვენს მონაპოვარს!“ მრისხანება ჩაქრა მის თვალებში და ხუანას ალერსიანად გადაუსვა ხელი მხარზე. „მე მომენდე“, უთხრა მან, „მე მამაკაცი ვარ“. მის თვალებში ეშმაკურმა, შუქმა გაიფლავა. „დილით ნავს წყალში შევაცურებთ და ერთხანს ზღვით ვივლით, მერე მთებს გადავივლით და დედაქალაქში მივალთ. წავალთ ჩვენ ორი — მე და შენ. მეტად ვეღარავინ მოგვატყუილებს. მე მამაკაცი ვარ“.

„ჩემო ქმარო!“ კენესით წარმოსთქვა ხუანამ, „შიში მხარავს. მამაკაცის მოკვლაც ხომ შეუძლიათ. მოდი, მარგალიტი უკანვე გადავაგდოთ ზღვაში“.

„გაჩუმდი!“ მრისხანედ დაიყვირა კინომ, „მე მამაკაცი ვარ. გაჩუმდი!“ ხუანაც გაჩუმდა, რადგან ქმარმა ასე უბრძანა. „მოდი, დავიძინოთ“, თქვა კინომ, „ხვალ უთენისასვე გზას უნდა გავუდგეთ. შენ ხომ არ შეგეშინდება ჩემთან წამოსვლა?“

„არა, კინო“.

მაშინ კინომ თბილად და ალერსიანად შეხედა ხუანას, ლოყაზედაც მოუსვა ხელი: „მოდი, დავიძინოთ!“ თქვა მან.

## V

მამლების პირველი ყვილის წინ გვიანი მთვარე ამოვიდა. კინოს რაღაც ჩამიჩუმი ჩაცხმა და სიბნელეში გაეღვიძა, მაგრამ არ განძრეულა — მხოლოდ თვალები მოავლო ფაცხაში დასადგურებულ სიბნელეს. ფაცხის ქუქრუტანებში შემოჭრილ მთვარის მკრთალ შუქზე კინომ იგრძნო, რომ ხუანა ჩუმად დგებოდა ჭილოფიდან; დაინახა, როგორ მიიპარებოდა ცოლი კერიასაკენ. მაგრამ ხუანას ხელებმა თავისი საქმე ისე ფრთხილად გააკეთეს, რომ კინომ მხოლოდ ოდნავი ფაჩუნი გაიგონა, როდესაც ქალმა კერიის ქვა დასძრა ადგილიდან. მერე ხუანა ლანდით გასრიალდა კარისაკენ, ერთი წამით შეჩერდა ყუთთან, რომელშიც კოიოტიტოს ეძინა, ბნელ აჩრდილად ჩამოეფარა კარის ოთხკუთხა ქრილს და უმაღვე გაქრა.

ბრაზი ცეცხლივით მოედო კინოს გულს. იგი სწრაფად წამოხტა და ისევე ჩუმად გავიდა ფაცხიდან, როგორც ხუანა. კინომ გაიგონა ნაპირისაკენ მიმავალ ხუანას ჩქარი ნაბიჯების ხმა და უკან გამოუდგა. უნმაუროდ მისდევდა, გულში კი მრისხანება უღულდა. ბუჩქნარი უკან მოიტოვეს; ზღვის უბისაკენ მიმავალი ხუანა ქვებზე ფეხს იკრავდა და ბორძიკობდა. მაგრამ, როცა იგრძნო, რომ კინო ეწეოდა, ფეხს აუჩქარა, გაიქცა. ქალმა ხელი აღმართა მარგალიტის გადასაგდებად, მაგრამ კინო წინ გაიჭრა, ხუანას აღმართულ ხელს ხელი სტაცა და მარგალიტი გამოგლიჯა. მერე მუშტი ჩაარტყა სახეში, ქვაზე დასცა,



წაქცეულს წიხლი წაპკრა ფერდში და მთვარის მკრთალ შუქზე დაინახა, რომ ზღვის ტალღებმა ხუანას კაბა აუცურეს; როცა ტალღები უკან მიიქცნენ, სველი კაბის კალთები ხუანას ფეხებს შემოეკრა.

კინო ზემოდან დაჰყურებდა ცოლს. კბილები დაკრიჭა და გველივით დაისისინა. ხუანა კი შესტკეროდა, როგორც ცხვარი ყსაბს, ფართოდ გახელილი უშიშარი თვალებით, ხუანამ იცოდა, რომ კინო მზად იყო მოეკლა ის და კინო მართალი იყო. ქალი მორჩილებით ეგებებოდა სიკვდილს, არც თავს იცავდა, არც პატივებს ითხოვდა. მაგრამ კინოს მრისხანებამ გაუარა, მის ნაცვლად ზიზის გრძნობა დაებადა, ხუანას ზურგი შეაქცია და ნაპირს გაჰყვა ბუჩქნარებისაკენ. მრისხანების მოვარდნამ მისი სული დააცარიელა.

კინომ გაიგონა, როგორ გამოქანდნენ მისკენ ვილაციები ლერწმის რაყიდან; უბიძან დანა ამოიძრო, პირველსავე ბნელ სხეულს ჩასცა და მიხვდა, რომ არ ააცინდა. მაგრამ უმაღლე თვითონაც დაეცა ჯერ მუხლებზე; მერე კი პირქვე. ვილაცის ხარბი თითები უბეში შეუძვრნენ, ვამალებით აფათურდნენ. კინოს მარგალიტი ხელიდან გაუვარდა და პატარა ლოდს იქით გაგორდა ბილიკზე. მთვარის შუქზე იგი ვერცხლისფრად აციმციმდა.

ხუანა ძლივს წამოიწია წვეტიანი ქვებიდან. სახე ეწოდა, გვერდები მწვარედ სტკიოდა. ბარბაცით წამოიჩოქა მუხლებზე, სველი კაბა ტანზე შემოევრა. ხუანას ბრაზი არ მოსდიოდა ქმრის მიმართ. ქმარმა თქვა: „მე მამაკაცი ვარ“ და ეს სიტყვები ბევრ რამეს ეუბნებოდნენ ხუანას. ეუბნებოდნენ იმას, რომ მისი ქმარი ნახევრად გიჟი და ნახევრად ღმერთია, რომ კინოს შეუძლია მთებს შეეჭიდოს, ზღვას შეებრძოლოს. თავისი ქალური სულის სიღრმეში ხუანამ იცოდა, რომ მთა შეურყეველი დარჩება, კაცი კი დაიღუპება, ზღვა აწვირთდება, კაცი კი დაიხრჩობა შიგ. მაგრამ მაინც ეს შემართება აქცევს მას მამაკაცად — ნახევარ გიჟად და ნახევარ ღმერთად. ხუანას კი არ შეეძლო მართოდ ცხოვრება, მას გვერდში უნდა ჰყოლოდა მამაკაცი. მართალია, ეს განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის ზოგჯერ აშფოთებდა მას, მაგრამ მაინც ფიქრობდა, ასედაც უნდა იყოსო, ბედს ემორჩილებოდა და მარტო ცხოვრება არ შეეძლო. ის წავა კინოსთან. აბა სხვანაირად როგორ შეიძლება! წინათაც იყო შემთხვევები, როდესაც მისი ქალური კეთილგონიერება, ქალური სიფრთხილე და თავდაცვის გრძნობა მაინც ძლევდა კინოს მამაკაცურ სიჯიუტეს და ხსნა მოჰქონდა მათთვის. ხუანას ტკივილებისაგან სახე ეკმუხნებოდა, მაგრამ ფეხზე მაინც წამოდგა, პეშვი შეუშვირა ზღვის ტალღას, ნაცემი სახე მლაშე წყლით მოიბანა და ლანდით გაჰყვა ნაპირს კინოს კვალდაკვალ.

სამხრეთიდან ცაზე გრძელი, ბუმბულისებური ღრუბლები მოცოცავდნენ. მკრთალი მთვარე ხან იმალებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა და ხუანაც ხან სიბნელესა და ხან სინათლეში მიიკვლევდა გზას. ტკივილებისაგან წელში იღუნებოდა, თავი დაბლა ჰქონდა დახრილი. აი, ლერწმის რაყაც. მთვარე კვლავ დაიმალა ღრუბლებში, მაგრამ ისევ გამოჩნდა თუ არა, ბილიკზე, რიყის ქვის გვერდით, ვერცხლისფრად გაიელვა ვეებერთელა მარგალიტმა. ხუანამ დაიჩოქა და მარგალიტი აიღო, მაგრამ ამ დროს მთვარე კვლავ მიიმალა ღრუბლებში. დაჩოქილი ხუანა ფიქრობდა, რა ექნა. იქნებ სჯობდა, ზღვისაკენ გაბრუნებულიყო და დაწყებული საქმე დაემთავრებინა. ამ დროს ისევ განათდა და ხუანამ ბილიკზე ორი შავი სხეული დაინახა. ქალი სწრაფად მიიჭრა იქ და კინო იცნო. კინოს გვერდით კი მიწაზე ხუანასათვის უცნობი კაცი ეგდო. ამ კაცს ყელზე მუქი, მოლაპლაპე სითხე აჩნდა.

კინო ნელა შეირხა, ხელები და ფეხები გასრესილი მწერივით ააფხარკალა,



ყელიდან ხრინწიანი ხმა აღმოხდა. ხუანა მყისვე მიხვდა, რომ მათი აღრინდელი ცხოვრება სამუდამოდ გათავდა. ამაში იგი დაარწმუნა ბილიკზე დაგდებულმა მკვლარმა კაცმა და კინოს დანამ, რომლის პირი სისხლით იყო მოსვრილი. აქამდე ხუანა კიდევ ცდილობდა გადაერჩინა თუნდაც ნატამალი წინანდელი სიმშვიდისა, ერთი ნამცეცი იმ ცხოვრებისა, რაც მარგალიტის პოვნამდე ჰქონდათ. მაგრამ რაც წინათ იყო, უკვე გათავდა, მას ვეღარ დააბრუნებდა. ამას რომ მიხვდა, ხუანამ დაუფიქრებლად შეაქცია ზურგი წარსულს. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ გადაერჩინათ თავი.

სად გაქრა მისი ტკივილები, სად გაქრა მისი სისუსტე! ხუანამ სწრაფად გადაათრია მკვლარი კაცი ბილიკიდან ბუჩქნარებში. მერე კინოსთან მივიდა, კაბის სველი კალთით პირისახე მოსწმინდა. კინო გონს მოლიოდა და ნელა კენესოდა.

„მარგალიტი წამართვეს. მე ის დავკარგე. ახლა ყველაფერი გათავებულა“, თქვა კინომ. „მარგალიტი აღარაა“.

ხუანა ამშვიდებდა მას, როგორც ავადმყოფ ბავშვს. „იყუჩე, იყუჩე“, ეუბნებოდა, „აი, შენი მარგალიტი. ბილიკზე ვიპოვე. გესმის ჩემი სიტყვები? აი, შენი მარგალიტი. გესმის, რას გელაპარაკები? შენ კაცი მოკალი. ჩვენ უნდა გავიქცეთ. გესმის? ჩვენ შეგვიპყრობენ. უნდა გავიქცეთ, ვიდრე თავზე დაგვათენდებოდეს“.

„მე თავს დამესხნენ“, გაუბედავად წარმოსთქვა კინომ, „თავს ვიცავდი“.

„გახსოვს, რა მოხდა გულში?“ უთხრა ხუანამ. „შენ ფიქრობ, რომ ქალაქში ანგარიშს გაუწიევენ იმას, თავს დაგესხნენ თუ არა? გახსოვს შემსყიდველები? გგონია, რომ დაგიჯერებენ“.

კინომ ღრმად ამოისუნთქა და თითქოს სისუსტეს მოერია. „ჰო“, თქვა მან, „შენ მართალი ხარ“.

კინომ გული გაიმთავრა და კვლავ მამაკაცად იქცა.

„გაიქციე სახლში, კოიოტიტო წამოიყვანე, სიმინდიც წამოიღე, რაც გვაქვს ყველაფერი. მე აქ ნავს ჩავუშვებ წყალში, მერე გავიქცევით“.

კინომ დანა აიღო და სიბნელეს შეერია. ფორხილით გავიდა ნაპირზე და იქ თავისი ნაფი მონახა. მაგრამ, როცა მთვარემ კვლავ გამოანათა ღრუბლებიდან, კინომ დაინახა, რომ მის ნავს ფსკერზე დიდი ნახვრეტი ჰქონდა. გული რისხვით აევსო და ამან ძალა შემატა. წყუდიანი ჩამოაწვა მის ოჯახს; მტრის სიმღერა აღვიძებს დამეს, თავს დასტრიალებს მანგროს ტევრს, ზუზუნებს ზღვის ტალღებში. აი, მისი პაპისეული ნავი, ათასჯერ გაფიქსული, ახლა ძირგახვრეტილი გდია აქ, ეს ისეთი ბოროტებაა, რასაც გონება ვერ ურბდება. კაცის მოკვლა უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ნავის მოკვლა. ნავს ხომ შვილები არა ჰყავს, იგი ხომ უმწეოა, მიყენებული ჭრილობაც არ შეუზორდება. კინოს გულში ისე დატრიალებულ მრისხანებას ტკივილიც დაერთო, მაგრამ ამ სიმწარემაც ისე განუმტკიცა ნებისყოფა, რომ ახლა მისი გატეხვა არაფერს შეეძლო. კინო გადაიქცა მხეცად, რომელიც აწ ჯაგებში ჩასაფრდება და იქიდან მიუხტება მსხვერპლს; აწი მხოლოდ იმისთვის იცოცხლებს, რომ თავისი თავი და თავისი ოჯახი გადაარჩინოს. თავის მწვავე ტკივილმა გაუარა; უკვე აღარ გრძნობდა ამ ტკივილს. ორიოდ ნახტომით გაიარინა ნაპირის მეჩეჩი, ხშირ ჯაგებში შეალაჯა და ფაცხისაკენ გაეშურა. ერთი წამითაც არ მოსვლია თავში, რომ თავისი ნავის ნაცვლად შეეძლო ესარგებლა სხვისი ნავით. ეს აზრი მისგან ისევე შორს იყო, როგორც ის აზრი, რომ შეიძლება ფსკერი გაუხვრიტო ნავს, ვისიც უნდა იყოს ის.



მამლები ყიოდნენ, განთიადი ახლოვდებოდა. ფაცხებს უკვე ასდროდათა დილის პირველი კვალი და ჰაერში უკვე ტრიალებდა ახალგამომცხვარი კვერბის სუნი. ადრე გავლიძებული ფრინველები ფუთფუთებდნენ ბუჩქებში, მკრთალი მთვარე კიდევ უფრო გაიცრცა, გრუხა ღრუბლებით დაიფარა ცის სამხრეთი ნაწილი. მძაფრი ქარბორია ამოვარდა და მდინარის შესართავისკენ დაჰქროლა. იგრძნობოდა, რომ გარიჟრაჟის სიწყნარე მატყუარაა, რომ მალე ეს სიწყნარე დაირღვევოდა.

ფაცხისკენ რომ მივბოდა, რაღაც უცნაურად მოძალებულმა ცახცახმა აიტანა კინო. მაგრამ ახლა მისი აზრები ნათელი იყო, რადგან არჩევანი აღარ ჰქონდა. მისი თითები პირველად გულის ჯიბეში ჩადებულ მარგალიტს შეეხო, მერე დანას წაეტანა, რომელიც ხალათის ქვეშ ეკიდა.

გამოჩნდა თუ არა სუსტი დაფიონი, უმაღვე სიბნელიდან ტკაცანით ამოვარდა ცეცხლის გრაგნილი. ცეცხლის შუქმა ბილიცი გაანათა. კინო თავქუდმოგლეჯით გაიქცა. მიხვდა, რომ მისი ფაცხა იწვოდა. იცოდა ისიც, რომ წნელის ფაცხებს რამდენიმე წუთში ნთქავდა ხანძარი. სულ ახლოს რომ მივიდა, ვილაცის ლანდი შეეხეჩა... ხუანას კოიოტიტო მოჰყავდა, თანაც ხელში მაგრად ჩაებლუჯა კინოს საბანი. შიშისაგან დაზაფრული ბავშვი ტიროდა, ხუანას ფართოდ გახელილ თვალებში კი საშინელება იხატებოდა. კინომ იცოდა, რომ სახლ-ქარს ველარ გადაარჩენდა, ამიტომ ცოლს არაფერი ჰკითხა. ისედაც ყველაფერს მიხვდა. მაგრამ ხუანამ მაინც უთხრა:

„სოხანე სულ გადათხრილია, ყველაფერი მოჩხრიკეს, აკვანიც კი არ დატოვეს. ცეცხლი კი გარედან წაუვიდეს, როცა მე შიგ ვიყავი“.

ხანძრის უღმობელმა აღმა კინოს სახის ყოველი ნაკვთი გაანათა.

„ვინ იყვნენ?“ იკითხა მან.

„არ ვიცი“, უპასუხა ხუანამ. „ვიდაც შავები იყვნენ“.

მეზობლები გამოცვივდნენ თავიანთი ფაცხებიდან; ისინი ფეხით აქრობდნენ გადმოცვენილ ნაკვერცხლებს, რომ ცეცხლი მათს სახლ-ქარსაც არ მოსდებოდა. უეცრად კინო შიშმა შეიპყრო. კაშკაშა სინათლემ შეაშინა იგი. ბილიკზე დაგდებული მკვდარი გაახსენდა, ხუანას ხელი სტაცა და სინათლიდან მეზობლის ფაცხის ჩრდილში შეიყვანა, რადგან ახლა სინათლე საშიშროებას უქადდა მას. გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ ერთი წამი დასჭირდა და გადაწყვიტა თუ არა, უმაღვე ხუანასთან ერთად ორღობეები გაიარა და თავისი ძმის — ხუან ტომასის ფაცხას მიადგა, მის ზღურბლზე გადავიდა. გარეთ კი დიდების ყვირილი და ბავშვების ტირილი ისმოდა, რადგან კინოს მრკეთეებს ეგონათ, რომ მათ ვერ მოასწრეს ცეცხლმოდებულ ფაცხიდან გამოსვლა.

ხუან ტომასს თითქმის ისეთივე სახლკარი ჰქონდა, როგორც მის ძმას — კინოს; წნელის ფაცხები დაახლოებით ყველა ერთნაირია; ყველა ფაცხაში შედის სინათლე და ჰაერი. ხუანა და კინო ისხდნენ ხუან ტომასის ფაცხის კუთხეში და ჭუჭურუტანებიდან ხედავდნენ, როგორ მოედო ცეცხლი მათი ფაცხის კედლებს; დანახეს, როგორ ავარდა ალი ზევით, როგორ ჩაინგრა სახურავი და უმაღვე როგორ ჩაქრა ცეცხლი. შემდეგ მათ ისევ გაიგონეს მოკეთეთა ყვირილი და ხუან ტომასის ცოლის — აპოლონიას მოთქმა. აპოლონია, როგორც უახლოესი ნათესავი, დასტიროდა მათ, როგორც მიცვალებულებს.

აპოლონიას გაახსენდა, რომ ძველი შალი ეხურა, და შინ გაიქცა ახალი, საგარეო შალის მოსაძებნად. როცა კედელთან მიდგმულ ზანდუკში დაიწყო ფათური, კინოს ჩურჩული შემოესმა: „აპოლონია, ნუ მოსთქვამ. ჩვენ ცოცხლები ვართ“.

„როგორ მოხვედით აქ?“ ჰკითხა აპოლონიამ.

„ნუ მეკითხები“, უთხრა კინომ, „წადი, ხუან ტომასი მოიყვანე, მაგრამ სხვას არაფერი უთხრა. ის, რაც გითხარი, მეტად მნიშვნელოვანი რამ არის ჩვენთვის. ეს კარგად დაიხსომე, აპოლონია“.

ქალი ერთი წამით შეჩერდა, გაოგნებულმა მკერდზე მიიღო ხელები, მერე კი წყნარად უპასუხა: „კარგი, დავიხსომებ, ჩემო მამო“.

მაღე ხუან ტომასიც დაბრუნდა შინ. სანთელი ანთო და იმ კუთხეში მივიდა, სადაც ცოლ-ქმარი იყო მიყუჟული.

„აპოლონია“ უთხრა ხუან ტომასმა, „დაკეტე კარი და არავინ შემოუშვა“. ხუან ტომასმა, როგორც უფროსმა, ხელში აიღო ძალაუფლება. „აბა, მითხარი, რა მოხდა, ჩემო ძმაო?“

„სიბნელეში თავს დამესხნენ“, თქვა კინომ, „ჩხუბის დროს კაცი შემომაკვდა“.

„ვინ არის ის?“, სწრაფად შეეკითხა ხუან ტომასი.

„არ ვიცი. სიბნელე იყო... ყველაფერი ბნელია, ყველაფერი გაუგებარი“.

„ყველაფერი მარგალიტის ბრალია“, თქვა ხუან ტომასმა, „მაგ მარგალიტში ეშმაკი ზის. შენ ის უნდა გაგეყიდა და ეშმაკიც თან გაჰყვებოდა. იქნებ, ახლაც არ არის გვიან? გაყიდე და მიღებული ფულით სიმშვიდე იყიდე“.

მაგრამ კინომ თქვა: „ჩემო ძმაო! მე გამთელეს, შეურაცხმყვეს. მთელ სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ ამას. ჩემი ნავი ფსკერგახვრეტილი გდია ნაპირზე, ჩემი სახლი დასწვეს, ხოლო იქ ჯაგებში მკვდარი კაცია. გასაქცევი არსადა მაქვს. შეგვიფარე შენ, ჩემო ძმაო“.

კინომ ხუან ტომასს პირდაპირ შეხედა თვალებში და შემფთობა შეატყო. მაგრამ შესაძლებელ უარის თქმას დაასწრო და სწრაფად უთხრა: „დიდი ხნით არა. ეს დღე გაივლის, დადამდება და დამით ჩვენ წავალთ“.

„კარგი. დაგმალავთ“, უთხრა ხუან ტომასმა.

„არ მინდა, რომ უბედურებას შეგამთხვია“, განავრძო კინომ, „ჩემთან ყოფნა ხომ კეთროვანთან ყოფნასა ჰგავს. ამალამ ჩვენ წავალთ. შენ საშიშროებას გადარჩები“.

„მე შენ უყურადღებოდ არ მიგატოვებ“, თქვა ხუან ტომასმა და ცოლს მიუბრუნდა: „აპოლონია, დაკეტე კარი. არავისთან წამოგცდეს, რომ კინო აქ არის“.

კინო და ხუანა მთელი დღე ჩუმად ისხდნენ ხუან ტომასის ფაცხის ბნელ კუთხეში და უსმენდნენ, თუ რას ლაპარაკობდნენ მეზობლები. ჭუჭრუტანებიდან ხედავდნენ, როგორ იქექებოდნენ მეზობლები ფაცხის ნამწვში და ექებდნენ მათ დამწვარ ძვლებს. სულგანაბული ისმენდნენ, რა შეძრწუნებით ბჭობდა ყველა ფსკერგახვრეტილი ნავის გამო. შესაძლებელი იქვეები რომ გაეფანტა, ხუან ტომასი მიდიოდა და ესაუბრებოდა ხალხს, უზიარებდა მათ თავის ვარაუდსა და მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა შემთხვევოდით კინოს, ხუანასა და ბავშვს. ერთს ეუბნებოდა: „ალბათ, ნაპირს გაჰყვინენ სამხრეთისაკენ, რათა თავს უშველონ და გაექცნენ იმ ცოდვასა და წყევლა-კრულვას, რაც მათ თავს დაატყდათ;“ მეორეს კი უმტკიცებდა: „კინო ზღვას არასდროს არ მოშორდება. შეიძლება, სხვა ნავი იმოვა!“ თანაც დასძენდა: „აპოლონია დარდისაგან ლოგინად ჩავარდა“.

დღისით ქარი ამოვარდა. ქარი აზვირთებდა ზღვის უბეს, ნაპირს ახეთქებდა წყალმცენარეებს, ზუზუნებდა ფაცხებში. ასეთი ქარის დროს ზღვაში



გასულ ნავს უძველი დაღუპვა ელის. ხუან ტომასიც მეზობლებს ეუბნებოდა: „კინო არსად ჩანს. ალბათ, ზღვით წავიდა და დაიხრჩო“.

ყოველ გასვლაზე ხუან ტომასი სახლში ხელცარიელი არ ბრუნდებოდა. ერთხელ დაწნული ქილის ჩანთით ლობიო, ხოლო ხაპით ბრინჯი მოიტანა; მეორეჯერ ვილაციისგან ერთი ჯამი ხმელი პილპილი და ერთი შეკვრა მარილი ისესხა; მერე სადღაც თვრამეტი ღუიმის სიგრძის პატარა ნაჯახივით მიიმე დანა იშოვა. ეს დანა ხელსაწყოდაც გამოდგებოდა და იარაღადაც. დანა რომ დაინახა, კინოს სახე გაუნათდა, სიყვარულით გადაუსვა ხელი და ცერით პირი გაუსინჯა.

ზღვის უბეზე ქარი ზუზუნებდა, წყალს აქაფებდა; მანგროს ხეები დაფეთებული ჯოგოვით ირწყოდა აქეთ-იქით; ნაპირზე სილის მტვრის კორიანტელი ავარდა და ზღვას სქელი ღრუბელივით გადაეფარა. ქარმა ღრუბლები გადაარეკა, ცა მოაყრიალა; ქვიშას ისე მიიხვეტდა, როგორც ქარბუქი თოვლის ფანტელებს.

სალამოს ბინდზე ხუან ტომასი დიდხანს ესაუბრებოდა ძმას: „სად წახვალ?“

„ჩრდილოეთის მხარეს“, უპასუხა კინომ, „გამიგონია, რომ ჩრდილოეთში ბევრი ქალაქია“.

„სანაპიროს თავი აარიდე“, უთხრა ხუან ტომასმა, „ქალაქში ხალხს აგროვებენ, მთელი სანაპიროების მოსაჩხრეკად გაგზავნიან. შენ უეჭველად დაგედევნებია. მარგალიტი კიდევ თანა გაქვს?“

„თან მაქვს“, უპასუხა კინომ, „მას ვერასგზით ვერ დავთმობ. შემეძლო შემეწირა, მეჩუქებინა, მაგრამ ახლა იგი მთელი ჩემი ბედი და უბედობაა, მთელი ჩემი სიცოცხლეა, ვერ დავთმობ“. ამას რომ ლაპარაკობდა, თვალეში სიბრაზე, სისასტიკე და სიმწარე ეხატებოდა.

კოიოტიტომ წამოიტირა და ხუანამ რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა, რომ ბავშვი დაჩუმებულიყო.

„ძლიერი ქარია“, თქვა ხუან ტომასმა, „ეკალი არ დაგრჩებათ“.

ისინი სიბნელეში, მთვარის ამოსვლამდე გაუდგნენ გზას. სახლიდან გასვლის წინ, ადათის მიხედვით, ერთხანს ჩუმად იდგნენ ხუან ტომასის ფაცხაში. შალში გახვეული კოიოტიტო ხუანას ზურგზე ჰყავდა მოკიდებული; ბავშვს დედის მხარზე მიედო ლოყა და ისე ეძინა. შალი ბავშვს ეხურა, მისი ერთი კიდე კი ხუანას სახეზე ჰქონდა აფარებული, რომ ნესტოები ღამის სინესტისაგან დაეფარა. ხუან ტომასი ორჯერ მოეხვია ძმას და ორივე ლოყაზე აკოცა.

„ღმერთი იყოს შენი მფარველი“, უთხრა და ეს იყო რაღაც სიკვდილის მსგავსი, „შენ არ შეეშვები შენს მარგალიტს“?

„ეს მარგალიტი ჩემს სულად იქცა“, თქვა კინომ, „მისი მოშორება იგივე იქნება, რაც სულს დაკარგვა. შენც გფარავდეს ღმერთი“.

VI

ქარი გლეჯდა ყველაფერს; ხუანასა და კინოს მაშინვე მიაყარა სახეში ხმელი ფიჩხი, სილა და ხრეში. მათ ტანსაცმელი მაგრად შემოიკრეს ტანზე, სახე სულ დაიფარეს, მხოლოდ თვალები უჩანდათ. გზას გაუდგნენ. ქარმა ღრუბლები გადარეკა და ვარსკვლავები ცივად ციმციმებდნენ ბნელ ცაზე. ისინი მიდიოდნენ ქურდულად, თავს არიდებდნენ ცენტრალურ ქუჩებს, სადაც პირველსავე დარაჯს შეეძლო დაენახა, რადგან ქალაქში ღამის შიშით ყველა კარი ჩაკეტილი და ყველა ურდული გადარაზული იყო. ამიტომ ვინც სიბნელეში დაეხეტებოდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. კინო ვარსკვლავების მიხედ-



ვით არკვევდა ჩრდილოეთს და განაპირა ქუჩებით მიემართებოდა იქითკენ. ბოლოს ისინი ტრანსპორტის თვლებით დასერილ ხრეშიან გზაზე გავიდნენ. ეს გზა ხშირი ბუჩქნარის გავლით სასწაულმოქმედ წმინდა მარიაშის მონასტრისაკენ — ლორეტოსაკენ მიდიოდა.

კინოს ფეხებზე ხრეში ხედებოდა და უხაროდა, რომ ქარი კვალს გააქრობდა. მბუჟტავი ვარსკვლავები უნათებდნენ გზას, რომელიც ვიწრო ლენტეხით მიიკლანებოდა ხშირ ბუჩქნარებს შორის. კინოს უკნიდან ესმოდა ხუნანს მსუბუქი ნაბიჯის ხმა. თვითონ სწრაფ და განიერ ნაბიჯს ადგამდა, ხუნან კი სირბილით მისდევდა უკან.

რალაც ძველთაძველმა გაიღვიძა კინოს სულში. მას ყოველთვის აწინებდა სიბნელე და სიბნელეში მოხეტიალე ავი სულები. ახლა, როდესაც ასეთ შიშს განიცდიდა, მას რალაც უცნაური და აზავთებული გრძნობა იპყრობდა; რალაც მხეცური იღვიძებდა მის არსებაში — მხეცური ალლო, მხეცური სიფრთხილე და მხეცური გააფთრება; ეუფლებოდა რალაც ძველთაძველი, დაძრული იმ საუკუნეების სიღრმიდან, რომლებიც მის ხალხს ჰქონდა გავლილი. ქარი ზურგში სცემდა, ვარსკვლავები გზას უჩვენებდნენ. ქარი წიოდა და ზუზუნებდა ბუჩქნარებში, ისინი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ — უკვე ერთი, ორი, სამი საათი გავიდა. მათ არავინ შეხვედრია, არავინ დაუნახავთ. ბოლოს, გზიდან მხარმარჯვნივ ცაზე გალუული მთვარე გამოჩნდა. როცა მთვარე მალდა აიწია, ქარი ჩაღდა და მიწაზე ყველაფერი მიყუჩდა.

საზიდრების თვლებით დასერილი ვიწრო გზა ახლა ნათლად მოჩანდა. უქარობის გამო გზას უკვე ფეხის ნაკვალევი აჩნდებოდა, მაგრამ ისინი შორს გაცდნენ ქალაქს; შეიძლება, ნაკვალევი ველარავინ შეამჩნიოს. კინო ნაურმალში მიდიოდა, ხუნან კი კვალდაკვალ მისდევდა. თუ დილით გზაზე ქალაქისაკენ მიმავალი მძიმე ფორანი გაივლის, ეს საკმარისი იქნება, მაშინ ვერავინ მიხვდება, რომ მათ აქ გაიარეს.

შეუწელებლად მიდიოდნენ მთელი ღამე. კოიოტიტომ ერთხელ გაიღვიძა, ხუნანმ მკერდზე მიიკრა, დაარწია და ბავშვს ისევ ჩაეძინა. მაგრამ ღამეული ავი სული თან მისდევდა მათ. დრო და დრო ავის მაუწყებელი კვილითა და ფრთების შრიალით გადაუქროლებდნენ თავზე ჰოტები; ჯაგებში ტიროდნენ და ხაფხაფებდნენ კოიოტიტები. ერთხელ რომელიღაც დიდმა ნადირმაც გაირბინა ბუჩქებში. კინომ ხელი წაავლო გრძელი დანის ტარს და მისი საიმედო ძალა იგრძნო.

მარგალიტის ჰანგი დიდებულად ეღერდა კინოს ყურებში, მას ოჯახის წყნარი სიმღერაც უერთდებოდა; ორთავე კი სილაზე სანდლების მსუბუქ ხმაურს ექსოვებოდა; კინო და ხუნან მთელი ღამე მიდიოდნენ, ხოლო რიკრაცზე კინო ისეთი ადგილის ძებნას შეუდგა, სადაც დღისით დამალვას შესძლებდნენ. ასეთი ადგილიც იპოვა გზის ახლოს: პატარა მინდორი ბუჩქებს შორის. შესაძლოა, აქ ცოტა ხნის წინათ ირმებიც ივნენ; მინდორს ირგვლივ ხმელი ხეები ერტყა. როდესაც ხუნან მიწაზე დაჯდა და მოხერხებულად მოეწყო, რომ კოიოტიტოსათვის ძუძუ მოეწოვებინა, კინო ისევ გზაზე გავიდა, ხის ტოტი მოტეხა და ტოტის ჩხერავით გულდასმით მიასწორ-მოსწორა ნაკვალევი იმ ადგილას, სადაც ჯაგნარისკენ გადაუხვიეს. დღის ბინდბუნდში კინოს ურმის ქრიალი შემოესმა და ბუჩქებში მიიმალა; გზაზე მძიმედ დატვირთულმა ურემმა ჩაიარა, რომელსაც ხარი ეწეოდა. ურემი თვალს რომ მიეფარა, კინო ბუჩქებიდან გამოვიდა, ნაურმალს დააკვირდა და დარწმუნდა, რომ მათი ნაკვალევი წაშლილი იყო. თავისი ახალი ნაკვალევი მიასწორ-მოსწორა და ხუნანსთან დაბრუნდა.





ხუანამ მისცა რამდენიმე რბილი კვერი, რაც აპოლონიამ საგზლად გამო-  
ატანა. მერე ხუანა დასაძინებლად მიწვა. კინო კი თავჩაქინდრული იჯდა ცო-  
ლის გვერდით. იგი დიდხანს აკვირდებოდა მიწაზე გამწკრივებით მიმავალ ჭი-  
ანჭველებს; მერე ფეხი გასწია და ჭიანჭველებს გზა გადაუღობა. ჭიანჭველებმა  
ისე გადალახეს ეს დაბრკოლება, რომ მწკრივი არ გაუწყვეტიათ. კინო იჯდა  
და უყურებდა, როგორ გადადიოდნენ მის ტერფზე ჭიანჭველები.

მზე უკვე მაგრად აცხუნებდა. ისინი ზღვის უბეს დიდად დაშორდნენ. ამ  
ადგილებში ჰაერი ისე მშრალი და ცხელი იყო, რომ პაპანაქება სიცხით ვავარ-  
ვარებულ ხეებს კანი უსკდებოდათ და ირგვლივ ფისის საამო სუნს აყენებ-  
დნენ. მზე მალა აცურდა ცის ტანობზე. ხუანამ რომ გამოიღვიძა, კინო მას  
ისეთ რამეზე გამოესაუბრა, რაც ხუანამ დიდი ხანია იცოდა.

„აი, ისეთ ხეს არ გაეკარო“, უთხრა კინომ და ერთ დაბალ ხეზე მიუთითა,  
„ხელი არ ახლო. ხელი რომ ახლო და მერე თვალში ამოისვა, დაბრმავდები.  
არ გაეკარო ისეთ ხეებსაც, რომელთაც სისხლი სდით. ხედავ? ერთი ასეთი  
ხე აი იქ დგას. ტოტი რომ მოსტეხო, მონატეხ ადგილს წითელი სისხლი ჩამო-  
დინდება; ამას კი უბედურება მოაქვს“.

ხუანამ უსიტყვოდ დაუქნია თავი და ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, რად-  
გან ყოველივე ეს თვითონაც კარგად იცოდა.

„რას ფიქრობ, მღვერებს გამოგვიყენებენ თუ არა?“ შეეკითხა ხუანა. „და-  
გვიწყებენ ძებნას თუ არა?“

„დაგვიწყებენ“, უპასუხა კინომ, „ის, ვინც ჩვენ გვიპოვის, მარგალიტს  
ჩაიგდებს ხელში. მოვკებნიან“.

ხუანამ თქვა: „იქნებ, შემსყიდველები მართალს ამბობდნენ და ეს მარგა-  
ლიტი მართლაც არაფერი ღირს! იქნებ, ჩვენ მოვტყუდით?“

კინომ უბეში ჩაიყუხა ხელი და მარგალიტი ამოიღო. მზის სხივი ისე ათა-  
მაშდა მარგალიტზე, რომ მისმა ელვარებამ თვალი მოსჭრა კინოს.

„არა“, თქვა მან, „განა ისეთ მარგალიტზე დაიწყებდნენ ნადირობას, რო-  
მელიც არაფერი ღირს?“

„მაგრამ შენ იცი, ვინ დაგესხა თავს? შემსყიდველები იყვნენ?“

„არა, არ ვიცი“, უპასუხა კინომ, „მათთვის არ შემიხედავს“.

კინო ჩააშტერდა მარგალიტს, ცდილობდა ეხილა შიგ ის, რაც წინათ იხი-  
ლა. „როდესაც ჩვენ გავყიდით ამას, კარაბინს ვიყიდო“, თქვა მან და მარგალი-  
ტის მოციმციმე ზედაპირზე კარაბინის გამოსახულების ძებნა დაიწყო, მაგრამ  
მის ნაცვლად ბილიკზე დაგდებული დაკრუნჩხული სხეული და სისხლი და-  
ინახა, გამოღარული ყელიდან რომ სდიოდა იმ სხეულს. კინომ სწრაფად ჩა-  
ილაპარაკა:

„ჩვენ ჯვარს დავიწერთ დიდ ეკლესიაში“.

მაგრამ მარგალიტში მხოლოდ სახედაბეილი ხუანა მოსჩანდა, რომელიც  
ღამით ფაცხისაკენ მიიჩქაროდა.

„ჩვენი შვილი ისწავლის წერა-კითხვას“, სასოწარკვეთით წამოიყვირა კი-  
ნომ. მაგრამ თვალწინ სახედასიებული კოიოტიტო დაუდგა, რომელსაც თვალე-  
ბი ისე ავადმყოფურად უელავდა, როგორც იმ ღროს, როცა ექიმმა წამალი და-  
ალევიანა.

კინომ მარგალიტი უბეში დამალა. მარგალიტის სიმღერა შემზარავად აგუ-  
უნდა მის ყურებში; მას მტრის სიმღერაც გადაეწნა.

მზე ისე მაგრად აცხუნებდა დედამიწას, რომ კინომ და ხუანამ ბუჩქების  
ჩრდილს შეაფარეს თავი. იქ მიწაზე დახტოდნენ პატარა ნაცრისფერი ჩიტები;

ისინიც ჩრდილს ეძებდნენ. შუადღისას, პაპანაქება სიცხეში, კინო მიწაზე დაწვა, თვალბზე ქული ჩამოიფხატა, სახეზე საბანი მიიფარა, რომ ბუზებს არ შეეწუხებინა, და დაიძინა.

მაგრამ ხუანას არ ეძინა. იგი სახეგაქვეავებული იჯდა გაუნძრევლად, თითქოს ქანდაკებააო. ქმრის მუშტით დაბეგვილი ტუჩები ისევ გასიებული ჰქონდა, გახეთქილ ნიკაპზე ბუზები ეხვეოდა. ხუანა მაინც გაუნძრევლად იჯდა, როგორც გუშაგი. კოიოტიტომ რომ გაიღვიძა, დედამ იგი მიწაზე დააწვინა. ბავშვი მხიარულად აქნევდა პაწია ხელ-ფეხს, ჰყლოპინობდა და ილიმებოდა. ბოლოს ხუანამაც გაუღვიძა ბავშვს. მიწიდან პატარა ჩხირი აიღო და კოიოტიტოს ქუსლებზე მოუცაცუნა. მერე ფუთა გახსნა და კვახის ბოთლიდან წყალი დააღვივნა.

კინო ძილში შეიშმუნა და რაღაც წამოიყვირა, ხელები ისე გაშალა, თითქოს ვილაცას ეჩხუბებო. მერე ამოიკენესა, სწრაფად წამოჯდა, ცხვირის ნესტოები გაბერა და ფართოდ გახელილი თვალებით სივრცეს მიაჩერდა. იგი რაღაცას ყურს უგდებდა, მაგრამ მხოლოდ ხმელი ტოტების ტყაცუნი და სივრცის გაბმული ზუზუნი ესმოდა.

„რა იყო?“ შეეკითხა ხუანა.

„გაჩუმდი“, უთხრა მან.

„შენ სიზმარში რაღაც მოგეჩვენა“.

„შეიძლება“. მაგრამ კინო მაინც ვერ დაწყნარდა. ხუანამ თავისი მარაგიდან კვერი მიაწოდა, მაგრამ კინოს ლუკმა პირში უჩერდებოდა და რაღაცას გაფაციცებით აყურადებდა. მოუსვენრად იყო. თავი მხრისკენ მიიბრუნა და უკან ირიბად გაიხედა; მიწიდან თავისი დიდი დანა აიღო, პირი გაუსისჯა. როცა კოიოტიტო ისევ აჰყლოპინდა, კინომ უთხრა ხუანას: „დააძინე ბავშვი“.

„რა მოხდა?“ შეეკითხა ხუანა.

„არ ვიცი“.

კინომ ისევ დააყურადა და თვალები მხეტურად დააბრიალა. მერე ჩუმად წამოდგა, წელში მოიხარა, ჯაგებში გაძვრა და გზაზე გავიდა. მაგრამ ამას იქით აღარ წასულა, ეკლიანი ჯაგის ქვეშ დაწვა და იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც მოვიდა.

გაიხედა და დაინახა ისინი. მთელი სხეულით გაირინდა და თავი დაბალი ტოტების ქვეშ შერგო. შორს სამი კაცი გამოჩნდა — ორი ქვეითი და მესამე ცხენოსანი. კინომ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, და შიშისაგან გააცივა. შორიდანაც კი სჩანდა, რომ ორი ქვეითი ნელა მოდიოდა, მათ თავი დაბლა ჰქონდათ დახრილი. ერთი შეჩერდება, რაღაცას დაუკვირდება, მეორეც მივა მასთან და ისიც აკვირდება მიწას. ესენი იყვნენ კვალის მძებნელები. მძებრები, სწორედ ის მონადირენი, რომლებიც ჯიხვის კვალსაც კი პოულობენ კლდოვან ციცაბოებსა და ქარაფებში. მათ ისეთივე ყნოსვა აქვთ, როგორც მძებარ ძაღლებს. შესაძლოა, ხუანას ან თვითონ კინოს გადაუცდა ფეხი კვალს გარეთ და ეს მონადირენი იპოვიან მათ ნაკვალევს მიხედვით — ვათელილი ბალახის ან სილაში ოდნავ შესამჩნევი შვავის მიხედვით. მძებრებს უკან ვილაც შავი ცხენოსანი მიჰყვებოდა, ცხვირის ნესტოებზე მიფარებული ჰქონდა საბნის ერთი კიდე, მისი უნავირის გარდიგარდმო კი შაშხანის ლულა ელავდა მზეზე.

კინო ისე ჩუმად იწვა, რომ ბუჩქებისაგან ვერ გაარჩევდით. სულგანაბულმა იმ ადგილს გადახედა, სადაც ცოტა ხნის წინ თავისი ნაკვალევი მიასწორ-მოსწორა. გადასწორებულ სილასაც კი შეეძლო ბევრი რამ ენიშნებინა მძებრებისათვის. კინო იცნობდა ამ მონადირე მთიელებს, ამ მძებრებს. ისინი იმდენად გამოწრობილი იყვნენ, რომ იმ ადგილებშიაც კი, სადაც ნადირი



ცოტა, საკმაოდ ბევრ ნადირს კლავდნენ. და აი, ახლა ისინი ეძებენ ხუანასა და კინოს. ორი ქვეითი კაცი მხეცივით დაძრწოდა გზაზე; მიაგნებდნენ თუ არა რაიმე ნიშანს, მიწაზე დაიხრებოდნენ და რაღაცას არკვევდნენ, ცხენოსანი კი ამ დროს ჩერდებოდა და უცდიდა მათ.

მონადირენი ყმოდნენ და წკმუტუნებდნენ, როგორც ნადირის ახალ კვალზე დამდგარი ძაღლები. კინომ ნელა გააცოცა ხელი თავისი დიდი დანისაკენ და გვერდზე დაიდო. მან იცოდა, რა უნდა მოემოქმედა. თუ ეს მაძებრები შეჩერდებიან მისწორ-მოსწორებულ ნაკვალევთან, კინო ცხენოსანს მიუხტება, მოკლავს და შაშხანას ჩაიგდებს ხელში. ეს არის ხსნის ერთადერთი გზა. სამივე ახლოს მოუშვა. სანდლის ქვინტებით სილაში პატარა ორმოები ამოთხარა, რომ ფეხებს მისაბჯენი ჰქონოდა და ერთბაშად შესძლებოდა წამოხტომა. დაბლა დაშვებული ტოტი თვალზე ეფარებოდა და გზისკენ ცქერას უშლიდა.

ხუანამ, რომელიც ბუჩქნარის სიღრმეში იჯდა, ნაღების რბილი ბაკაბუკი გაიგონა. ამ დროს კოიოტიც ისევ აჰყლობინდა. ხუანამ ხელში აიტაცა ბავშვი, თავზე შალი ჩამოაფარა და ძუძუ ჩაუღო პირში. ბავშვი გაჩუმდა.

როცა მაძებრები უფრო ახლოს მოვიდნენ, კინომ დაბლა დაშვებულ ტოტის ქვემოდან მხოლოდ მათი ფეხები და ცხენის ფეხები დაინახა; დაინახა შავი დაკოყრილი ტერფები და თეთრი შარვლის დაფლეთილი ტოტები; გაიგონა უნაგირის ჭრიჭინი და ღეზების ქლარუნი. გადასწორებულ ნაკვალევთან ქვეითად მიმავალნი გაჩერდნენ და გულდასმით დაათვალიერეს ადგილი. ცხენოსანიც გაჩერდა. ცხენმა თავი დაიქნია, ადვირის მიშვება მოითხოვა, ლაგამი კბილებში აახჭრიალა და დაიფრუტუნა. მაშინ მაძებრები წელში გაიმართნენ და ცხენს შეხედეს, განსაკუთრებით ცხენის ყურებს დააკვირდნენ.

კინომ სული განაბა, მაგრამ ზურგი ოდნავ ამოეკუზა, ხელებისა და ფეხების კუნთები ზამბარასავით დაეჭიმა და ზემო ტუჩზე ოფლი დაასხა. მაძებრები დიდხანს ათვალეერებდნენ გზას, მერე ნელა წავიდნენ წინ, თანაც სილას თვალს არ აშორებდნენ. ცხენოსანიც მიჰყვა მათ. მაძებრებმა ფეხს აუჩქარეს; გაივლიან რამდენიმე ნაბიჯს და შეჩერდებიან, მიიხედ-მოიხედავენ და ისევ ნაბიჯს აუჩქარებენ. კინომ იცოდა, რომ ისინი უკან დაბრუნდებოდნენ. ისინი ამ ადგილის ახლოს იტრიალებენ, ნაბიჯს შეანელებენ, დაიხრებიან, გზას დაათვალიერებენ, ყველაფერს გადაჩხრეკენ და ადრე თუ გვიან გადასწორებულ ნაკვალევთან დაბრუნდებიან.

კინო ბუჩქნარს შეერია, არც კი შეცდილა წაეშალა თავისი ახალი ნაკვალევი. რა საჭირო იყო? ძალიან ბევრი ნიშანი არსებობდა: ძლიერ ბევრი იყო მოტეხილი ტოტი, დაღორღილი სილა და ადგილიდან დაძრული კენჭები. ახლა მას თავში ერთადერთი აზრი უტრიალებდა — გაქცევა, უკანმოუხედავი გაქცევა. მან იცოდა, რომ მაძებრები იპოვიდნენ მის კვალს. ერთადერთი საშველი გაქცევა იყო. ბუჩქნარი სწრაფად, უხმაუროდ გაიარა და იმ ადგილას მივიდა, სადაც ხუანა იჯდა. ხუანამ კითხვის გამომხატველი თვალები მიაპყრო მას.

„მაძებრებია“, უთხრა კინომ, „წავიდეთ“.

მაგრამ უცერად უმწეობისა და უიმედობის გრძნობამ შეიპყრო, სახე ჩაულურჯდა და ნაღვლიანად შეხედა ხუანას. „შეიძლება უმჯობესია, ჩაებარდე ამ მაძებრებს?“

ხუანა ფეხზე წამოიჭრა და ხელი კინოს ხელს დაადო. „მარგალიტი?“, ჩახლჩილი ხმით წამოიძახა მან, „ნუთუ შენ გგონია, რომ ცოცხლად წაგიყვანენ, რომ ქურდობაში ამხილო ისინი?“

კინომ ხელი ღუნედ წაიღო უბისაკენ, სადაც მარგალიტი ჰქონდა დამა-

ლული. „სულ ერთია, მაინც წამართმევენ“, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა.

„წავიდეთ!“ შესძახა ხუანამ, „წავიდეთ!“ და კინოს პასუხს არ დაელოდა, ისევ განაგრძო: „ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მე ცოცხალს გამოშვებენ? ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ბავშვს ცოცხალს დატოვებენ?“

ეს სიტყვები გულზე მოხვდა კინოს. კბილები დააღრქია, თვალებმა ცეცხლი დაკვესეს. „წავიდეთ“, თქვა მან, „მთებში ავალთ. შეიძლება, მთებში ვეღარ მოგვაგნონ“.

სასწრაფოდ აკრიფა მიწიდან კვანის ბოთლები და ტობრაკი, რომელშიაც მთელი მათი საგზალი ელაგა. ფუთა-მარცხენა ხელზე დაიკიდა, მარჯვენაში კი დანა ეჭირა. ბუჩქები გადასწია და ხუანა წინ გაუშვა. გეზი დასავლეთისაკენ აიღეს, იქითკენ, სადაც მაღალი, ხრიოკი მთები იყო აღმართული. სწრაფად, თითქმის სირბილით მიარღვევდნენ ჯაგებს. ეს იყო გაქცევა — უკანმოუხედავი გაქცევა. კინო სიფრთხილესაც კი აღარ იცავდა. ქვებს ფეხის კვრით იქეთ-აქეთ აგორებდა; ბუჩქებში რომ გარბოდა, ტოტებს ფოთლებს აცლიდა. ყოველივე ეს მის კვალს ვერაგულად ამჟღავნებდა. შუადღის მზე ისე აცხუნებდა დახეთქილ მიწას, რომ სიცხეს მცენარეებიც ვერ უძლებდნენ და ტკაცანი გაჰქონდათ. წინ აღმართული იყო კლდოვანი მთები, რომელთა მწვერვალები ცას ებჯინებოდნენ. მთის ძირში კლდის ნამსხვრევები ეყარა. კინო მწვერვალებისაკენ გარბოდა, ისე როგორც თითქმის ყოველი ნადირი გაურბის ხოლმე მდევარს.

ეს ადგილები გოლივანი იყო. აქ ხარობდა მხოლოდ კაკტუსები, წყალს რომ დიდხანს ინახავენ, და ისეთი ბუჩქები, რომელთაც ფესვები ღრმად აქვთ გადგმული ნიადაგში, ამიტომ მცირე სინესტე ჰყოფნიოთ. ამ უდაბნოში მიწა თითქმის არც კი ჩანდა, მარტო სხვადასხვა ფორმის ქვები და ლოდები ეყარა, წყლისაგან გაურეცხავი და გაურჩანდავი. ქვებს შორის ამოზიდული იყო დაგვალული ხმელი ბალახი. ერთი წვიმა საკმაოა, რომ ამ ბალახმა ყლორტები ამოიყაროს, სათესლე პარკულები გაიკეთოს, ნიადაგში თესლი ჩაფანტოს და მოკვდეს. რქიანი ბაყაყები პატარა ურჩხულისმაგვარ თავებს აბრუნებდნენ, თითქოს ღერძზე ატრიალებნო, და თვალს აყოლებდნენ კინოს ოჯახს. დრო და დრო ჩრდილში მიმალული კურდღლები წამოჩნებოდნენ ხოლმე ფეხის ხმაზე, გაირბენდნენ ცოტათოდენ მანძილს და უახლოეს ქვასთან იმალებოდნენ. თაკარა სიცხე ზრიალებდა ამ უდაბნოში, კლდოვანი მთები კი შორიდან გრილი და სასურველი ეჩვენებოდა კაცს.

კინო გარბოდა, ხსნას მხოლოდ ამაში ხედავდა. მან იცოდა, რაც მოხდებოდა. მაძებრები ცოტას კიდევ გაიფილდნენ, მაგრამ კვალს რომ დაჰკარგავდნენ, ისევ უკან მობრუნდებოდნენ, ყველაფერს გადააქოთებდნენ, ყოველ ბუჩქს მოჩხრეკდნენ და მალე იმ ადგილსაც იპოვნიდნენ, სადაც ისა და ხუანა შეჩერდნენ დასასვენებლად. მერე დევნა სულ ადვილი იქნებოდა: ადგილიდან დაძრული პატარა ქვების, მოწყვეტილი ფოთლების, დამტვრეული ტოტებისა და სილაზე დარჩენილი ნაფეხურების მიხედვით მაძებრები მათ კვალს ადვილად მიაგნებდნენ. კინო თითქოს კიდევაც ხედავდა მათ: აგერ ისინი თითქოს კიდევაც მოიჩქარიან ნაკვალევზე, მოუთმენლობისაგან რაღაცას ბუზღუნებენ, უკან კი შაშხანიანი ცხენოსანი მოყვებათ; ცხენოსანს თითქოს არც კი აინტერესებს, რაც ირგვლივ ხდება. ბოლოს კინოც იზამს თავის საქმეს, რადგან ისა და მისი ოჯახი ქალაქში ვეღარ დაბრუნდებიან. ჰო, რა მკაფიოდ გუგუნებდა ახლა კინოს ყურებში ბოროტების სიმღერა, რომელიც თაკარა სიცხის ზრიალსა და ჩხრიალს გველების ტანის მშრალ ტკაცანს უერთდებოდა. მელოდიის



ძალა და სილადე გაქრა, ახლა იგი საწამლავივით შემპარავი და დამლუპველი გახდა, კინოს გულისცემა კი მისი რიტმი და მისი მოძახილი იყო.

გზა თანდათან ციცაბოზე აღიოდა; აქ ლოდებიც უფრო დიდრონები იყო. ახლა კინოს ოჯახი მღვერებს დიდი მანძილით დაშორდა. აღმართზე შეისვენა კინომ. დიდ ლოდზე აცოცდა და უკან გაიხედა, სწორედ იქ, სადაც მზისგან გავარვარებული ჰაერი ლივლივებდა ჭალის თავზე. მაგრამ თავისი მტრები ვერ დაინახა, ვერც ქვეითნი და ვერც ცხენოსანი. ხუნა დიდი ლოდის ჩრდილში მიჯდა და კოიოტიტოს წყლიანი ბოთლი პირთან მიუტანა; ბავშვმა გამშრალი ენა ხარბად მიაკრა ბოთლის პირს. როცა კინო დაბლა ჩამოხტა, ხუნამ შეხედა მას და შეამჩნია, რომ იგი უყურებდა მის ფეხებს, ქვეებისა და ჯაგებისაგან დახეთქილსა და დაკაწრულს; ამიტომ ხუნამ ფეხები სწრაფად დაიფარა კაბის კალთით. მერე კინოს ბოთლი გაუწოდა, მაგრამ კინომ თავი გაიქნია და ბოთლი არ გამოართვა. დაღლილობისაგან ხუნას სახე გაფითრებოდა, თვალები ძლიერ უელვარებდა. კინომ ენა მოისვა გამშრალ ტუჩებზე. „ხუნა“, თქვა მან, „მე გზას განვაგრძობ, შენ კი აქ დაიმალე, ერთხანს დაელოდე. მე იმით მთებისკენ გავიტყუებ და როცა შენ გაცდებიან, წადი ლორეტოში ან სანტა-როსალიაში. მერე კი, თუ მათ გავექეცი, მოვაკითხავ. ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა“.

ხუნამ ღრმად ჩახედა თვალებში. „არა“ თქვა ქალმა, „ჩვენ ერთად ვიქნებით“.

„მარტო მე უფრო ჩქარა ვივლი“, მკვახედ უთხრა კინომ, „თუ ერთად ვივლით, ბავშვისათვის ეს უფრო საშიში იქნება“.

„არა“, უპასუხა ხუნამ.

„ნუ მედავები. ასეა საჭირო და ასედაც მსურს“.

„არა“, თქვა ხუნამ.

კინო ცოლის სახეზე ეძებდა სისუსტის, შიშის ან მერყეობის მცირეოდენ ნიშნსაც კი, მაგრამ ვერ იპოვა. ხუნას თვალები ცეცხლივით უელავდა. მაშინ კინომ უმწეოდ აიჩეჩა მხრები, მაგრამ ხუნას მხნეობა მასაც გადაედო. გზას რომ გაუდგნენ, ამას უკვე უკანმოუხედავ გაქცევას ვეღარ დაარქმევდით.

რამდენადაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, იმდენად ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა. ქვალორიანი ადგილები შესცვალეს კლდოვანმა ადგილებმა, სადაც სიბის გრძელ ფენებს შუა ნაპრალებიც ხვდებოდათ. კინო ხტებოდა ამ ნაპრალებზე და ცდილობდა სიბის გლუვ ზედაპირზე ევლო, რადგან მას ნაფეხურები არ აჩნდებოდა. კინომ იცოდა, რომ როცა მღვერებს კვალი დაეკარგებოდათ, იქამდე იტრიალებდნენ იმ ადგილებში, სანამ კვალს ახლად არ წააწყდებოდნენ. ეს კი მათ დიდ დროს წაართმევდა. ამიტომ ახლა კინო მთაზე პირდაპირ კი არ აღიოდა, არამედ მიხვეულ-მიხვეულად, თანაც გეზს უფრო სამხრეთისაკენ იჭერდა. გზაზე რაღაცას მთინიშნებდა და მერე ისევ უბრუნდებოდა მოტიტვლებულ სიპებს. აღმართი უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა; კინოს სუნთქვა აუჩქარდა.

მზე კლდოვანი მთების დაკბილულ მწვერვალებს უახლოვდებოდა, როდესაც კინომ მიხვევ-მოხვევას თავი დაანება და პირდაპირ წავიდა ჩაბნელებული ხევისაკენ, რომელიც მთებს შორის მოჩანდა. თუ სადმე ამ ადგილებში წყალი იყო, ის მხოლოდ ამ ხევში უნდა ყოფილიყო, რადგან იქ რაღაც მცენარე ხარობდა. კინომ მცენარის მწვანე ფოთლები ჯერ კიდევ შორიდან შეამჩნია. თუ ამ კლდოვან ადგილებში სადმე იყო გასასვლელი, ისიც სწორედ ამ ღრმა ხევში უნდა მოეძებნა. მართალია, ეს არც თუ ისე უხიფათო იყო,



რადგან შეიძლებოდა ეს აზრი მდევრებსაც მოსვლოდათ თავში, მაგრამ რაკეტის ბოთლში წვეთი წყალი აღარ ჰქონდა, კინოსთვის თავისუფალი არჩევანი აღარ არსებობდა. როცა მზე მთების ხაზზე დავიდა, კინო და ხუანა ხევისაკენ მიმავალ ძნელ აღმართს შეუდგნენ, მაგრამ დალილ ფეხებს ძლივს მიათრევდნენ.

მაღლა მთაში, წამოყუდებული რუხი კლდის ძირში, პატარა წყარო მოჩუბნებდა. ეს წყარო იმ თოვლის ნაჟური იყო, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ინახებოდა ისეთ ადგილებში, სადაც მზის სხივი ვერ აღწევდა. დრო და დრო წყარო დაშრებოდა და მისი ჩაღრმავებული, ხავსით დაფარული კლდოვანი ფსკერი გამოჩნდებოდა ხოლმე. მერე წყაროსთვალში ისევ გროვდებოდა ცივი, ანკარა წყალი. როცა ხანმოკლე, მაგრამ კოკისპირული წვიმა მოვიდოდა, ეს წყარო ნიაღვარადაც კი იქცეოდა და აქაფებული ეშვებოდა ქვემოთ. თუმცა ძალა დიდხანს არ ჰყოფნიდა და წელწადის მეტ დროს წვრილ ნაკადად მიწანწყარებდა. აქა-იქ წყალი პატარა ღრმულებში გროვდებოდა, მერე ასი ფუტის სიმალიდან ეცემოდა მეორე ასეთსავე ღრმულში, ისევ მიწანწყარებდა ღრმულიდან ღრმულამდე და ბოლოს სულ იკარგებოდა მთის ძირის ქვიან ნიადაგში. კაცმა რომ თქვას, დასაკარგავიც თითქმის არაფერი იყო, რადგან სანამ წყალი დაკიდებულ ფერდობზე მიედინებოდა, გავარვარებული ჰაერი ამ წყლით წყურვილს იკლავდა, მისი შხეფებით კი უწყლობით გაწამებული მცენარეულობა საზრდობდა. ამ პატარა ღრმულებთან გამუდმებით მოდიოდა სხვადასხვა ნადირი; წყლის დასაღვეად აქ შორიდან მოდიოდნენ: ირმები, ჯიხვები, პუმები, ენოტები და თავგები. ფრინველები, რომლებიც დღისით ჯაგებში იმალებოდნენ, ღამით მოფრინავდნენ აქ. ღრმულები ციცაბო კლდეზე ამოკვეთილ საფეხურებს ჰგავდნენ. წყაროს კალაპოტის გასწვრივ ადგილ-ადგილ მიწა და სილა გროვდებოდა და იქ, სადაც კი ფესვის გადგმა შეიძლებოდა, მაშინვე იკიდებდა ფეხს რომელიმე მცენარე — ველური ვაზი, ჩია პალმები, გვიმრა, ჰიბისკუსი და გრძელღეროიანი ცოცხა ბალახი. ღრუბლებში კი ბაყაყები და მცურავეები ცხოვრობდნენ, მათ ფსკერზე ჰიები იკლანებოდნენ. ყველაფერი, რასაც კი წყალი უყვარს, ამ პატარა გუბებებისაკენ მოისწრაფოდა. ტყიორი კატები მოდიოდნენ აქ სანადიროდ, ფრინველებს ბუმბულს აგლეჯდნენ, წყალს სრუტავდნენ და სისხლით მოსვრილ კბილებს ირეცხდნენ. პატარა ღრმულებთან სიცოცხლე არ წყდებოდა, რადგან აქ იყო წყალი. იმავე მიზეზის გამო აქ ყოველდღე ხდებოდა მკვლელობა.

ყველაზე ქვედა საფეხურთან, იქ, საიდანაც ეს ნაკადული ასი ფუტის სიმაღლეზე ვარდებოდა და ქვიან უდაბნოში იკარგებოდა, სიბი ქვის პატარა მოედანი იყო, რომელზედაც სილა და მიწის საკმაოდ სქელი ფენა დაგროვილი იყო. აქ წყალი წვრილ ნაკადულად მიწანწყარებდა, მაგრამ ეს საკმაო იყო იმისათვის, რომ გუბე არ ამომშრალიყო, რომ წამოყუდებულ კლდის ქვეშ ეხარა დაბალ ბალახს, გვიმრასა და ველურ ვაზს, რომელიც ზევით მიიწევდა და კლდეს ედებოდა. გაზაფხულის ნიაღვრებს აქ ბლომად დაეღეკათ სილა და მიწა. ღრმულის ირგვლივ, ნესტიან ნიადაგზე, მწვანედ ბიბინებდა წყლის წიწმატი. სილა სულ აჩიქნილი იყო იმ ცხოველების ფეხებით, რომლებიც აქ წყლის დასაღვეად და სანადიროდ მოდიოდნენ.

მზე უკვე მთის კლდოვან ქედს მოეფარა, როდესაც კინომ და ხუანამ ციცაბო და უსწორ-მასწორო აღმართი აიარეს და, როგორც ქენა, წყალთან მივიდნენ. ამ ადგილიდან მოჩანდა მთელი უდაბნო თვით ზღვის უბემდე, რომელიც შორს ლურჯად კამკამებდა. წყაროსთვალთან ისინი ქანცვალეული მივიდნენ. ხუანამ ჩაიჩოქა და პირველყოვლისა კოიოტიტოს მობანა პირი,



მერე ბოთლი წყლით გაავსო და ბავშვს წყალი დააღვინა. ბავშვიც ძლიერ გატანჯული იყო და ჭირვეულობდა, სულ ტიროდა, სანამ ხუანამ ძუძუ არ მისცა. მაშინ იგი დედის მკერდს მიეკრა და პირის ტლამუნით დაიწყო ძუძუს წოვა. კინო კი დიდხანს და ხარბად სვამდა წყალს პირდაპირ წყაროსთვლიდან, მერე იქვე მიწვა, რომ კუნთები მოესვენებინა, თანაც შეჰყურებდა, როგორ აწოვებდა ხუანა ბავშვს ძუძუს. მაგრამ მალე ისევ ფეხზე წამოდგა და იმ ადგილას მივიდა, სადაც წყალი გაშვებული კლდიდან ვარდებოდა ქვევით. დაკვირვებით მოავლო თვალი დაბლა გაშლილ უდაბნოს, რაღაცას მიაჩერდა და გაქვავდა. შორს დაინახა ორივე მდედარი, ისინი წერტილებივით მოხანანდნენ, თითქოს ჭიანჭველები მოცოცავენო. მათ უკან კი მესამე — უფრო დიდი ჭიანჭველა მოცოცავდა.

ხუანამ თავი მიაბრუნა და დაინახა, როგორ აუტოკდა კინოს ზურგის კუნთები.

„შორს არიან?“ მშვიდად შეეკითხა ხუანა.

„ღამით აქ იქნებიან“, უპასუხა კინომ. მერე მალა ახედა კლდის გრძელ ნაპრალს, საიდანაც წყალი მოჟინავდა. „დასავლეთისაკენ უნდა წავიდეთ“, თქვა მან და დაკვირვებით შეათვალიერა გამოზნექილი რუხი კლდე ნაპრალის მარჯვნივ. იქ, ოცდაათი ფუტის სიმაღლეზე, მოჩანდა რამდენიმე შეღრმავებული ადგილი, პატარა გამოქვაბულების მსგავსი. კინომ სანდლები გაიხადა, კლდის უსწორმასწორო კბოდეებს ფეხის თითებით მოექიდა, მალა აბობლდა და გამოქვაბულებში შეიხედა. ეს იყო ქარების ქროლვისაგან წარმოშობილი შერდაფერდებული ღრმულები. კინო ყველაზე დიდ გამოქვაბულში შეძვრა, დაწვა და როცა დარწმუნდა, რომ გარედან ვერაფერს დაინახავდა, სასწრაფოდ დაბრუნდა ხუანასთან.

„აცოცდი მალა. შეიძლება, იქ ვერ მოგვაგნონ“, უთხრა ხუანას.

ხუანას სიტყვაც არ უთქვამს, კვანის ბოთლი წყლით გაავსო და კინოს დახმარებით გამოქვაბულში ავიდა. მერე კინომ თავი მოუყარა მთელ საგზალს და იქვე აიტანა. ხუანა გამოქვაბულის შესასვლელში დაჯდა და იქიდან დაუწყო ყურება კინოს; შეამჩნია, რომ კინო მათი ნაფეხურების წაშლას კი არ შეუდგასილაზე, არამედ წყაროსთვლის მარცხენა მხარეს ველური ვაზის ლერწები დაგლიჯა, გვირა გადათელა და კლდეზე აცოცდა. ასი ნაბიჯით რომ ავიდა მალა — გადმოზნექილ კლდემდე, მერე ისევ დაბლა დაეშვა, კლდის გლუვი შევრილი დაათვალიერა, ნაფეხურები ხომ არ ატყვიათ, და ბოლოს, გამოქვაბულში შეძვრა ხუანას გვერდით.

„როცა ისინი მოვლენ“, თქვა მან, „ჩვენ შეუმჩნევლად გამოვალთ აქედან და მთის ძირში ჩავალთ. ოღონდაც ბავშვმა არ იტიროს. ეცადე, რომ ჩუმად გყავდეს“.

„არ იტირებს“, თქვა ხუანამ და კოიოტიტოს ორივე ხელით წამოუწია თავი, თვალბში ღრმად ჩახედა. ბავშვმაც გონიერი თვალებით შეხედა დედას.

„ამან იცის, რომ ტირილი არ შეიძლება“.

კინო გამოქვაბულის შესასვლელში პირქვე იწვა, ნიკაბი გადაჯვარდინებული ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი და გაჰყურებდა, როგორ მოძრაობდა ქალაში მთის ქედის ლურჯი ჩრდილი. ჩრდილმა ზღვის უბემდე მიაღწია და თალხი ზეწარივით გადაეფინა მთელ მიდამოს.

მდეურები დიდხანს არ გამოჩენილან; როგორც ჩანს, კინოს კვალის მიგნება არც თუ ისე ადვილი იყო. უკვე ბინდებოდა, როცა მათ წყაროსთვალამდე მოაღწიეს. ახლა სამივე მდედარი ფეხით მოდიოდა, რადგან ცხენს არ შეეძლო

ციცაბო ფერდობზე ამოსვლა. ზემოდან ისინი პატარები და გალულები ჩანდნენ საღამოს ბინდუნდში. ორი მდეგარი ისე შეუდგა იქაურობის მოჩხრეკას, რომ წყალიც კი არ დაუღვიათ. წყაროსთვალის მარცხენა მხარეს პიტალო სიბზე მათ კინოს ნაკვალევი შეამჩნიეს. მესამე მდეგარი, რომელსაც ხელში შაშხანა ეჭირა, ამ დროს ისვენებდა. ბოლოს იმ ორმაც დალია წყალი და მესამის გვერდით ჩამოსხდნენ. ღამის სიბნელეში სამი სიგარა ხან გამოანათებდა, ხან მიქრებოდა. მერე კინომ დაინახა, რომ ისინი ჭამას შეუდგნენ; მათი შორეული, ყრუ ბუბუნიც შემოესმა.

მალე მთის ქედს შავი წყვიდადი ჩამოაწვა. წყაროს შემოჩვეული მხეცები ამ საღამოსაც მოვიდნენ, მაგრამ ადამიანის სუნი რომ ეცათ, სიბნელეში მიმაღნენ.

კინომ ზურგს უკან ჩურჩული გაიგონა.

„კოიოტიტო!“ ჩუმად აწყნარებდა დედა ბავშვს. კინომ ყური მოკრა აჩქარებულ სუნთქვას და მიხვდა, რომ ხუანამ შალი მიაფარა ბავშვს სახეზე.

ქვემოთ, წყაროსთვალთან, ერთ-ერთმა მდეგარმა ასანთს გაჰკრა და წამიერ სინათლეზე კინომ დაინახა, რომ ორი მდეგარი ძაღლივით მოკუნტულიყო, მათ უკვე ეძინათ, მესამე კი ყარაულობდა. ასანთის ალმა მისი შაშხანის ლულაც გაანათა. სინათლე ჩაქრა, მაგრამ კინოს თვალებმა ყველაფერი დაიმასხოვრეს. იგი ჯერ კიდევ ხედავდა ამ ადამიანებს, თვითეულს ცალ-ცალკე: ორი მოკუნტულა და სძინავს, მესამე კი ზის და მუხლებშუა შაშხანა უდგას.

კინო უხმაუროდ შეიწია გამოქვაბულის სიღრმეში. ხუანას თვალებში ცის კაბადონზე მოციმციმე ვარსკვლავი კიაფობდა და ეს თვალეები წყვილი ნაპერწკალივით ეღვარებდა. კინო ჩუმად მიხიზდა ხუანასთან და თითქმის ტუჩებით შეეხა მის ლოყას.

„მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო.“

„მოგკლავენ“.

„თუ შაშხანიანს მიეგვარები...“, ჩურჩულებდა კინო. „პირველად ის უნდა გავაქრო. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. იმ ორს სძინავს.“

ხუანამ შალიდან ხელი გამოყო და კინოს მაჯას წაეტანა — „შენ თეთრი ტანსაცმელი გაცვია... ვარსკვლავების შუქზე დაგინახავენ“.

„ვერა, ვერ დამინახავენ“, თქვა მან, „მაგრამ ეს მთვარის ამოსვლამდე უნდა გავაკეთო“.

უნდოდა რამე სააღერსო სიტყვა ეთქვა, მაგრამ ასეთი სიტყვა ვერ იპოვა. „თუ მე მომკლავენ“, თქვა მან, „შენ მაინც აქ იჯექი. მერე კი, როცა ისინი აღარ იქნებიან, წადი ლორეტოში“.

თითები, რომლებსაც კინოს მაჯა ეჭირა, ოდნავ შეტოკდნენ.

„რა უნდა გქნა?“ თქვა კინომ, „არჩევანი არ არსებობს: სულ ერთია, დილით ისინი მოგეძებნიან“.

ხუანას ხმა ოდნავ აუყანკალდა: „ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

სიბნელეში კინო ხუანას სახეს მიაჩერდა და მისი ღიდრონი თვალეები დაინახა, ხელების ფათურით მოძებნა კოიოტიტო და წამით ხელისგული დაადო თავზე. მერე ხუანას მოუცაცუნა ხელი ლოყაზე. ხუანას სუნთქვა შეეკრა.

გამოქვაბულის კამარაში ვარსკვლავიანი ცის ფონზე ხუანამ დაინახა, რომ კინო თავის თეთრ ტანსაცმელს იხდიდა. ტანსაცმელი ჭუჭყიანი და დაფლეთილი იყო, მაგრამ მას მაინც შეეძლო გაცეა კინო ღამის სიბნელეში.

ბრინჯაოსფერი კანი ყველაზე უკეთ დაიფარავდა მას. მერე ხუანამ დაინახა, როგორ დაახვია კინომ დანის ტარს ყელზე ჩამოკიდებულ ავგარონის





ზონარი, რომ დანა გულზე ჩამოკიდებოდა და ორივე ხელი თავისუფალი მქონდა. კინო აღარ მიბრუნებულა ხუანასთან. მისი მოხრილი, ბნელი სხეული ერთი წამით გამოქვავბულის კამარაში შეჩერდა, მერე გაქრა.

ხუანა გამოქვავბულის გასავალთან მიხონდა და დაბლა გადაიხედა. იგი კოტივით იყურებოდა თავის სივრდთან, მის ზურგზე მოკიდებულ ბავშვს კი თავი გვერდზე გადაეღო, სახით დედის მხარს მიჰკვროდა და ეძინა. ხუანა კისერზე ბავშვის თბილ სუნთქვას გრძნობდა. ქალი ხან ლოცვას, ხან ღვთისმშობლისადმი ვედრებას, ხან კი ავი სულის ძველისძველ წყევას ბუტბუტებდა.

გამოქვავბულიდან რომ გადაიხედა, სიბნელე თითქოს გაიცრიცა და აღმოსავლეთით, სადაც მთვარე უნდა ამოსულიყო, ცამ ინათა. ხუანამ ქვემოთ ანთებული სიგარა დაიანახა, რომელსაც გუშაგი ეწეოდა.

კინო ხელიკივით მიცოცავდა პიტალო კლდეზე. ყელზე ჩამოკიდებულ ზონარს ხელი მოკიდა და თავისი დიდი დანა ზურგზე გადაიგდო, რომ იგი კლდეს არ მოხვედროდა და ხმა არ გაეღო.

კინო გაფარჩხული თითებით ებლაუჭებოდა კლდის უსწორმასწორო კბოდეებს, მკერდით ეკვროდა, შიშველი ფეხის ფათურით ეძებდა დასაყრდენს, ეშინოდა ფეხი არ დასხლეტოდა, რადგან მცირეოდენ ჩქამსაც კი — კენჭის დაგორებასა თუ უნებლიე ამოხვნეშას — შეეძლო ფეხზე დაეყენებინა ისინი, ვინც ქვემოთ იყვნენ. ღამისათვის უჩვეულო ყოველ ხმაზე მღვერები უეჭველად ყურებს დაცქვეტდნენ. მაგრამ ბნელ ღამეს არ სურდა დადუმება. პატარა ვასაკები, წყლის ახლოს რომ ბუდობდნენ, ჩიტებივით ყიფიყივებდნენ, ნაპრალებიდან კრიჭინობელების გაუთავებელი ჭრიჭინი მოისმოდა. კინოს თავში კი კვლავინდებურად გუგუნებდა მტრის ჰანგი, გუგუნებდა ყრულ, როგორც სიზმარში. მაგრამ ოჯახის სიმღერა ახლა უფრო მძაფრი, გამყვიანი და ველური იყო, ისე როგორც გააფთრებული პუმის სისინი. ეს სიმღერა ძლიერდებოდა და მტრისაკენ ეწეოდა კინოს. სიმღერის მელოდიას ჭრიჭინობელებმა ააყოლეს ხმა, მოყვივივე ვასაკები მოძახილს ამბობდნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებად შლიდნენ სიმღერას.

კინო, როგორც ლანდი, უხმაუროდ ეშვებოდა კლდეზე. შიშველ ფეხს რამდენიმე გოჯზე ჩაასრიალებდა, ფეხის თითების ფათურით საყრდენს იპოვნიდა, ზედ დაებჯინებოდა, მეორე ფეხით იმავე მოძრაობას გაიმეორებდა, ოდნავ გადაანაცვლებდა მარჯვენა ხელისგულს, მერე მარცხენას... და ასე თანდათან ეშვებოდა დაბლა. კინომ პირი გააღო, რომ სუნთქვაც გასაგონი არ ყოფილიყო, რადგან იცოდა, სიბნელეშიაც ვერ გადაიქცეოდა უჩინარ აჩსებად. თუ გუშაგი რაიმე ფაჩუნს გაიგონებდა, უეჭველად შეხედავდა კლდეზე მიკრულ ბნელ სხეულს და ყველაფერს მიხვდებოდა. ისე, ნელა უნდა ეცოცა, რომ გუშაგს მის მხარეს არც კი გაეხედა. დიდი დრო გავიდა; ვიდრე კინო დაბლა დაეშვებოდა და კლდოვანი მოედნის კიდეზე ჩია პალმასთან დადგამდა ფეხს. მის გულს ბავაბუგი გაჰქონდა, სახე და ხელისგულები ოფლით ჰქონდა გაწუწული. პალმასთან მოიკუნტა და დიდხანს სუნთქავდა ღრმად, დიდხანს იბრუნებდა სულს, რომ დამშვიდებულიყო.

ახლა რაღაც ოციოდე ფუტით იყო დაშორებული მტრისაგან და ცდილობდა დაწვრილებით გაეხსენებინა მთელი ეს მოედანი. ხომ არ ეგდო სადმე ქვა, რომელზედაც შეეძლო ფეხი წამოეკრა გაქანებული ნახტომის დროს? კანკები დაიზილა, რომ ფეხის კრუნჩხვა არ მოსვლოდა; იგრძნო, როგორ უთრთადა კუნთები ასე ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ. მერე შიშით გახედა აღმოსავლეთს. მთვარის ამოსვლას ცოტა-ლა აკლდა, საჭირო იყო აჩქარება. გუშა-



გის სილუეტი შავად მოსჩანდა მის წინ, მაგრამ ორ მძინარე კაცს ვერ ხედავდა, პალმა ეფარებოდა. კინოს სწორედ გუშაგი ესაჭიროებოდა — სწორედ გუშაგისათვის უნდა მოედო ბოლო, სწრაფად და უყოყმანოდ. მან ფრთხილად გადმოიწია მხარზე ავგაროზის ზონარი და თავისი დიდი დანა მოისხნა.

საკმაოდ დაავიანა. ზეზე წამოიმართა თუ არა, აღმოსავლეთის ჰორიზონტზე მთვარის ვერცხლისფერი კიდე ამოცურდა. კინო კვლავ მოეფარა პალმას.

მთვარე თუმცა მცხრალი იყო, მაგრამ კაშკაშა შუქი მაინც ისროლა და ნაპრაღში ჩრდილი ჩააყენა. ახლა კინომ ნათლად დანახა შაშხანიანი კაცი წყაროსთვალთან. გუშაგმა მთვარეს გახედა და ისევ სიგარას მოუკიდა. ასანთის ალმა წამით გაანათა მისი შავი სახე. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გუშაგი როგორც კი მოაშორებს თვალს მთვარეს, კინო მყისვე დაეცემა თავზე. ფეხის კუნთები ზამბარებივით დაეჭიმა.

მაგრამ ამ დროს სადღაც ზვეიდან ყრუ ტირილი მოისმა. გუშაგმა თავი მაღლა ასწია და მიაყურადა, ფეხზეც წამოღვა. ერთი მძინარეთაგანი შეიშმუნა და ძილმორეული ხმით იკითხა:

„რა არის?“

„არ ვიცი“, უპასუხა გუშაგმა, „ტირილსა ჰგავს. ხმა თითქოს ადამიანისაა... თითქოს ბავშვი ტირისო“.

გამოღვიძებულმა თქვა:

„ვინ იცის? შეიძლება, კოიოტის ლეკვებია; მე გამიგონია, რომ პირდაპირ ადამიანივით ჩხვიან კოიოტის ლეკვები“.

კინოს ლვარვივით ჩამოსდიოდა ოფლი შუბლზე, თვალებს სწვავდა. კვლავ გაისმა ბავშვის ტირილი. გუშაგმა ახედა გადმოზნექილ კლდეს, სადაც გამოქვაბული იყო.

„ნამღვილად კოიოტია“, თქვა მან და კინომ გაიგონა, როგორ გაჩხაკუნდა მისი შაშხანის საეკეტი.

„თუ კოიოტია, ახლავე ხმას ჩავაწყვეტინებ“, თქვა გუშაგმა და შაშხანა გამართა.

თოფმა სწორედ იმ დროს დაიჭექა, როცა კინოს ნახევარი ნახტომი ჰქონდა გაკეთებული. თოფიდან გამოვარდნილმა ალმა დააბრმავა იგი. უმაღლვე დიდმა დანამაც გაიელვა და ტყაცანი მოადინა. დანის წვერი გუშაგის კისრის ძირიდან მის გულამდე ჩავიდა. კინო ძაღოვან მექანიზმივით მოქმედებდა. შაშხანას ხელი სტაცა და იმავე დროს ჭრილობიდან დანაც ამოგლიჯა. ძალაც, სიმარტეც და მოძრაობის სიზუსტეც კინოს ისეთივე ჰქონდა, როგორც კარგად აწყობილ მექანიზმს. უკან შემოტრიალდა და სილაზე მჯდომარე კაცს ნესვივით გაუჭეთქა თავი. მესამე მღვივარი გაპარვას შეეცადა და კიბორჩხალივით გაბობლდა, მაგრამ წყაროსთვალში ჩავარდა. აქ ხგი ფეხზე წამოხტა და შეშლილივით დაებლაუჭა იმ კლდეს, რომელზედაც წყალი მოწანწყარებდა. წყმუტუნებდა, რაღაცას ბუტბუტებდა, თანაც ხელებით და ფეხებით ველური ვაზის ლერწმებს ეჭიდებოდა. მაგრამ კინო ფოლადივით ცივი და უღმობელი იყო. აუჩქარებლად შემართა ჩახმახი, თოფი მხარზე მიიღო, დინჯად დაუმიზნა და ესროლა. მისმა მტერმა კლდიდან პირდაპირ წყალში მოადინა ზღართან. კინო ნელა მივიდა ღრმულთან, მთვარის შუქზე დანახა შიშით სავსე, უაზრო თვალები; თოფი ისევ დაუმიზნა და სწორედ თვალებშუა ესროლა.

მერე გაოგნებულად მიმოიხედა. რა მოხდა? რა ხმა ესმის მის ყურებს? ვასაკები და ჭრიკინები დუმდნენ. როგორც კი მის თავში ავარდნილი სისხლი უკან მიიქცა, კინომ გამოიცნო ეს ხმა. ეს გაბმული, გულის გამაწვრილებელი,



ცად აქრილი ისტერიული კივილი გადმოზნექილი კლდის ზემოთ მდებარე მართა გამოქვაბულიდან მოისმოდა. ეს იყო სიკვდილის მიუწყებელი კივილი.

ლაპაზში ყველას ახსოვს კინოს ოჯახის დაბრუნება. შესაძლოა, იქ კიდევ არიან ბებრები, რომლებიც კინოსა და ხუანას დაბრუნებას დაესწრნენ. მაგრამ ეს ამბავი დაწვრილებით იციან იმ ადამიანებმაც, რომლებსაც მხოლოდ მამებისა და პაპებისაგან გაუგონიათ. ყველას გული დასწვა მათმა დაბრუნებამ.

ოქროსფერი მზიანი დღე ილეოდა, როდესაც ქალაქში დაფეთებულებივით შემოიჭრნენ პატარა ბიჭები და ყველა ქუჩას მოსდეს კინოსა და ხუანას დაბრუნების ამბავი. ყველა გამოცვივდა მათ შესახვედრად. მზე დასავლეთით მთაგრეხილზე ეშვებოდა და ჩრდილის გრძელი ზოლები მიწაზე წვებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ ჩრდილების გამო დასტოვა ადამიანთა ხსოვნაში ასე ღრმა კვალი კინოსა და ხუანას დაბრუნებამ.

ისინი ქალაქში ბრუნდებოდნენ ურმის თვლებით დაღარული სილიანი გზით. ერთმანეთს კი არ მოსდევდნენ — კინო წინ, ხუანა უკან, — როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, არამედ მხარდამხარ. მზე ზურგზე აცხუნებდათ და გრძელი ჩრდილები მოუძლოდნენ წინ. ისე ჩანდა, თითქოს თვითუღს ბნელი კოშკი მოჰქონდა თან. კინოს შაშხანა მოხრილ მკლავზე დაედო, ხუანას შალი მხარზე გადაეკიდა, როგორც ჩანთა. ჩანთა პატარა იყო, მაგრამ შიგ იღორღაც მიიმე, რასაც ქსოვილი დაეჭიმა. შალი დალეკერტბულ სისხლს დაეკმუჭნა. ჩანთა ოდნავ ირწყოდა ხუანას ნაბიჯების აყოლებით. დადლილობასთან ბრძოლით დაოსებული და დანაოჭებული სახე გაქვავებოდა ხუანას. მისი მზერა კი საღდაც შიგნით იძირებოდა. იგი ყველაფრის მიმართ უცხო და შორეული იყო, როგორც ცა. კინოს პირი მაგრად მოეკუმა და ყვრიმალის ძვლები მკაფიოდ მოუჩანდა. როგორც ხალხი მოგვითხრობს, თავისი არსებით მას თან მოჰქონდა რაღაც მოსალოდნელი გრიგალივით შემზარავი და მრისხანე; ხალხი მოგვითხრობს აგრეთვე, რომ ხუანაცა და კინოც ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს არავითარი ადამიანური დარდი და ჭირ-ვარამი აღარ აწუხებდათ; რომ მათ გამოსცადეს წამება და გავიდნენ მის იქითა მხარეს, რომ მათ იფარავდა რაღაც ჯადოსნური ძალით აღმართული ზღუდე. ადამიანები, რომლებიც მათ სანახავად მორბოდნენ, უკან იხევდნენ, გზას უთმობდნენ და ერთ სიტყვასაც ვეღარ ეუბნებოდნენ.

კინო და ხუანა ისე მოდიოდნენ ქალაქში, თითქოს ქალაქი არც კი არსებობდა. ისინი არც მარჯვენა, არც მარცხენა, არც მალა, არც დაბლა არ იცქირებოდნენ, მხოლოდ პირდაპირ გაჰყურებდნენ სივრცეს. ნაბიჯი ოდნავ შეხუთული ჰქონდათ, როგორც კარგად გაკეთებულ თოჯინებს. მრისხანე შავი ჩრდილები მალალი კოშკებივით მიუძლოდათ წინ. როცა ქალაქში ქვისა და აგურის სახლების გასწვრივ მიდიოდნენ, მარგალიტის შემსყიდველები ზადურებიან ფანჯრებიდან აყოლებდნენ თვალს, მსახურნი ცალი თვალთ უჭვრეტდნენ ალყაფის ჭუჭრუტანებიდან, დედები კი თავიანთ პატარებს აბრუნებდნენ და კაბის კალთაში უმაღავდნენ სახეს. კინომ და ხუანამ მხარდამხარ ჩაიარეს მთელი ქალაქი, აგურისა და ქვის სახლების მწკრივები, გასცდნენ წნელის ფაცხებს. მეზობლები უკან იხევდნენ და გზას უთმობდნენ. ხუან ტომასმა მისასალმებლად ხელი ასწია, მაგრამ მისალმების სიტყვა ვერ იბოვა და ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ოჯახის სიმღერა უწიოდა ყურებში კინოს. ახლა მას ქვეყანაზე აღარაფერა



გაჩნდა. იგი თავისუფალი, მაგრამ მძვინვარე და უბედური იყო. ოჯახის სიმღერა მის საბრძოლო მოწოდებად იქცა. ჩაუარეს შავ ნახანძრალს — იმას, რაც მათი ფაცხისაგან დარჩა, — და იმ მხარეს არც კი მიუხედავთ; გაიარეს ჯავნარი, სანაპირო მეჩხის რომ ეკვროდა, და წყლის პირას ჩავიდნენ. არც ქმარს, არც ცოლს თავისი ძირგახვრეტილი ნავისათვის ზედაც არ შეუხედავს.

წყალს რომ მიადგნენ, შეჩერდნენ და ზღვის უბეს გახედეს. მერე კინომ შაშხანა სილაზე დადო, ხელი უბეში ჩაიყო და თავისი ვეებერთელა მარგალიტი ამოიღო. მარგალიტი ხელისგულზე დაიდო და დააცქერდა მის ზედაპირს, რომელსაც ახლა ლიბრი ფერი გადაჰკრავდა და ხორკლებიანი იყო. მარგალიტიდან შემოჰყურებდა ბრახისაგან დაღმეჭილი სახე, ხანძრის დაფიონიც მოჩანდა შიგ. მარგალიტის ზედაპირზე იმ კაცის შემოილი თვალებიც დაინახა, რომელიც წყაროსთვალში ჩაგორდა. მარგალიტის ზედაპირზე დაინახა კოიოტიტოც, რომელიც პატარა გამოქვაბულში იწვა. კოიოტიტოს თავი სულ დაღეწილი ჰქონდა ტყვიისაგან. მარგალიტი შემზარავი იყო. მას ლიბრი ფერი გადაჰკრავდა, როგორც ავთვისებიან სიმსივნეს. კინოს მარგალიტის ხმამეუწყობელი და გიჟური სიმღერა მოესმა. თითები ოდნავ შეუტოკდა, ნელა მიბრუნდა ხუანასაკენ და მარგალიტი გაუწოდა. ხუანა მის გვერდით იდგა, მას კვლავ ზურგზე ეკიდა თავისი უძრავი ჩანთა. ერთი წამით მარგალიტს დააცქერდა, მერე კინოს შეხედა თვალებში და წყნარად ჩაილაპარაკა: „არა... შენ“.

კინომ ხელი უკან გასწია და მთელი ძალით გადაისროლა მარგალიტი შორს, ზღვაში. ორთავემ თვალი მიადგენა, როგორ მიქროდა ის, როგორ ციმციმებდა ჩამავალი მზის სხივებში და თითქოს თვალს უკრავდა მათ. ცოლქმარმა შორს წყლის მსუბუქი შერხევა დაინახა. ისინი მხარდამხარ იდგნენ და დიდხანს არ ამორებდნენ თვალს იმ ადგილს.

მარგალიტი კი მშვენიერ მწვანე წყალს შეეხო და ფსკერისაკენ წავიდა. მოქანავე წყალმცენარეები თავისაკენ უხმობდნენ და ეპატიყებოდნენ. მის ზედაპირს მშვენიერი მწვანე ათინათები დასთამაშებდნენ. მარგალიტი სილიან ფსკერს შეეხო. ზღვის ზედაპირზე წყალი მწვანე სარკესავით ლაპლაპებდა. მარგალიტი კი ზღვის ფსკერზე იღო გვიმრისმაგვარ მცენარეთა შორის. უეცრად მის მახლობლად კიბორჩხალა გაცოცდა და სილა წამოშალა. როცა სილა ისევ დაილექა, მარგალიტი აღარსად ჩანდა.

მარგალიტის სიმღერაც ჯერ გაურკვეველ ჩურჩულად იქცა, მერე კი სულ მიწყდა.

ინგლისურიდან თარგმნა

ანა რატიანმა.



## ბიჭი თოკაღი

### მისი ხვადინდელი ღღე

იგორ საპანაძის ბიოგრაფია მრავალი მისი თანატოლის ბიოგრაფიის მსგავსია. მოკლეა იგი და რვეულის ფურცლის ოთხ სტრიქონზე ეტყვა. დაიბადა.

სკოლაში მიაბარეს.

კომკავშირის რიგებში მიიღეს.

წელს ამთავრებს სკოლას.

ეს არის და ეს...

მაგრამ რვეულის ფურცლის ამ ოთხ სტრიქონს შუა ბევრი, ძალიან ბევრი რამ იკითხება და იგულისხმება.

იგორის თანატოლები ფეხს იდგამდნენ მაშინ, როდესაც ჩვენს მამებს ჯარისკაცულ სამხრებში იანი ვახუშტული მახარები ეცვათ. როცა ისინი სმოლენსკის ტყეებში სისხლისაგან იცლებოდნენ, აწვიდათ, ათოვდათ, ტირიოდნენ ვაკეკურად, მღეროდნენ, შიმშილობდნენ, ჯიბეებით დაჰქონდათ ძვირფასი აღამიანების ფოტოსურათები, ქალარადებოდნენ, სცვიოდათ თმა, გადადიოდნენ შეტევებზე, სიკვდილს თვალეში შესტკეროდნენ და ცოცხლად შედიოდნენ უკედავებაში.

იგორი ფეხს იდგამდა მაშინ, როდესაც ამჟამად მისი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნინო გამცემლიძის ვაჟი შოთა გამცემლიძე ხელყუმბარებით ქვეშ უფარდებოდა შეტევებზე გადმოსული ფაშისტების ტანკს.

იგორის თანატოლები ფეხს იდგამდნენ მაშინ, როდესაც ფიურერის გამხეცებული ჯარისკაცები პატარა ბავშვებს ტარნობოლში ხეზე ჰკიდებდნენ.

იგორი ეზოში დაყრილ სილაზე გვირახებს თხრიდა და სამთვლიან ველსიხედს დაასრიალებდა მაშინ, როდესაც ჩვენი მამები ფაშისტური ულოსიგან ათავისუფლებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ბერლინის ქუჩებში ბრძოლით შედიოდნენ.

პატარა ბავშვს მაშინ არაფერი ესმოდა და და მხოლოდ ის უხაროდა, რომ საღამოობით

თბილისის თავზე წითელი, მწვანე და ყვითელი შუშუნები ინთებოდნენ და ქრებოდნენ.

იგორიც, ისევე როგორც მრავალი მისი თანატოლი, საბავშვო ბაღში დადიოდა. რომელიმე დეიდა ნინო ან დეიდა თამარი მას შიშო მღვიმელის ლექსებს ასწავლიდა. თეთრი წინსაფარით და ბავშვებთან ხელობილჩაიკვებული ისიც დასეირნობდა თბილისის მზიან ქუჩებში და გულუბრყვილო ბავშვურ სიმღერებს მღეროდა. შემდეგ სკოლაში მიიყვანეს...

ჩანთა, წიგნები, რვეულები, სამელნე, კალმისტარი... შავად შეღებილი მერხი, დაფაზე დაფუშვნილი ცარტი... ორიანი, ხუთიანი, კუთხეში დგომა...

ირეკებოდა სკოლის ზარი...

სკოლის კიბეებზე სიცილით ჩამობრბოდნენ ბიჭები, მყუდრო ქუჩას მონახავდნენ სადმე, სადაც მანქანა იშვითად გამოივლიდა, ჩანთებით დანიშნავდნენ კარებს, ორად გაიყოფოდნენ და იწყებოდა თამაში, რომელიც ყოველთვის ასტრონომიული ანგარიშით თავდებოდა.

ეზოში ბავშვებს კიბის ქვეშ სამხედრო შტაბი ჰქონდათ გამართული. თავის თავს თემურჩელებს უწოდებდნენ. კეთილი საქმეების ვაკეთებდა სურდათ. მოხუცებულებს პურზე ეგზავნებოდნენ, წყალს უზიდავდნენ. ხშირად ლანტისა და თამაზობდნენ, დამით კი ლოგინში წვივები უხურდა იგორს...

ზაფხულობით პავლე საპანაძის ბიჭი გურიასი მიდიოდა, ბებიასთან და ბაბუასთან, სოფელ განახლებაში. თოხნასა და ჩაის კრეფაში ეხმარებოდა დიდებს. სუფსაში ბანაობდა და თევზაობდა. რამდენჯერმე პიონერთა ბანაკშიც იყო, ქვიშხეთში და პატარა ცემში. ტკბილი იყო პიონერთა კოლონთან გატარებული საღამოები...

მერე ისევ ირეკებოდა სკოლის ზარი...

იწყებოდა ახალი სასწავლო წელი.

და საბჭოს ქუჩაზე ისევ მიბრბოდნენ ჩანთიანი ბავშვები.

უფროს კლასებში იგორი ტექნიკამ გაიტაცა. ყველაფერი აინტერესებდა: რადიომიმღები, საათის მექანიზმი, ელექტროგაყვანილობა... სახლში მაგიდის სამი საათი დაშალა; მართალია, ვეღარ აწყო, მაგრამ რა უშავს!.. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეშიაც დაიწყო სიარული. ავიომოდელისტთა წრეში ჩაეწერა, თვითმფრინავის მოდელებს ჩაჰკირკიტებდა. ფიზიკამ გაიტაცა, ბარომეტრებმა, ანეროიდებმა, კონდენსატორებმა... ბურთულა-საკისარები მიჰქონდა შინ.

სამთვლიანი ველოსიპედი ორთვლიანმა შეცვალა. მამას აპარატი „სმენა“ აყიდვინა და ფოტოსურათების გადაღება ისწავლა. მერე მამას ხელობაში შეეშველა და დურგლადაც ივარჯა. ახლა მამას აღარ ეჩოთირება, როცა იგორი ხერხსა და შალაშინს წამოავლებს ხოლმე ხელს. მართალია, მის უფროსი ძმაცა ჰყავს და უმცროსიც, მაგრამ ოჯახში ყველაფერს მაინც იგორი აკეთებს. თუ ღუმელია გასაბართავი, მან უნდა გამართოს, თუ ონკანი მოიშალა, მან უნდა შეაკეთოს...

შარშან თბილისის 36-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა თბილმოწყობილობის ქარხანაში ერთი თვე იარგის. თითო ოსტატზე თითო მოსწავლე იყო მიმდგრებული. ოსტატს ძლიერ მოსწონებია იგორი, ასე უთქვამს: ჭკვიანი ყმაწვილია, მხვილი თვალი აქვს და ყველაფერს მალე ითვინებსო...

მართლაც კარგი ახალგაზრდაა იგორი. წესიერი, გონებაგახსნილი და ჩუმი ბიჭია, მაღალია და გამხდარი. კარგად თამაშობს კალათბურთს. საუღვაშეზე ძლივს ეტყობა ახალამოსული ღინღლი. სიტყვაძუნწია, ბევრი ლაპარაკი არ ეხერხება და საუბრის დროს ხშირად წითლდება. იგორის მოციმციმე თვალებში ახლა თავდება ბავშვობა და ახლა იწყება სიჭაბუქე-სიჭაბუქე—თავისი სიხარულით, მომავლის ღრმა რწმენით,

თავისი განცდებით, იშვებით, ოცნებებით... წინ არის დამოუკიდებელი ცხოვრების მზიანი დღეები.

თავდება უღრუბლო ბავშვობა...

ახლა სხვები იღვამენ ფეხს, სხვებს გაჰყავთ ეზოში დაყრილ სილზე გვირაბები და სხვები დაასრიალებენ სამთვლიან ველოსიპედებს, ახლა სხვები იზებირებენ შიო მღვიმელის ლექსებს, ახლა სხვა ბავშვები დასეირნობენ ხელიხელჩაკიდებულნი თბილისის მზიან ქუჩებში და გულუბრყვილო ბავშვურ სიმღერებს მღერიან.

მალე გაირბინეს ბავშვობის დღეებმა...

ორი თვის შემდეგ გამოემშვიდობება იგორი მშობლიურ სკოლას, ჩააბარებს გამოცდებს, გამოეთხოვება სასკოლო ოთახებს, სკოლის დერეფნებსა და აივნებს, ეზოს, ძვირფას მასწავლებლებს, მეგობრებს...

სამაგიეროდ მას ახალი სკოლა მიიღებს.

წაიციხა თუ არა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც ახლა საშუალო სკოლას ამთავრებენ, იგორმა მაშინვე ორჯონიკიძის მანქანათმშენებელ ქარხანაში შესვლა გადაწყვიტა და განცხადებაც დაწერა.

დიდი და ნათელი მიზანი აქვს იგორს!..

წავა ქარხანაში. გამოიყენებს თავის ნიქსა და უნარს. ქარხანაში მას გამოცდილი ოსტატის მამობრივი ზრუნვა დახვდება. დაეხმარებიან სასურველი პროფესიის არჩევაში და სპეციალობის სწრაფად დაუფლებაში. მალე შეისწავლის წარმოების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს. შემდეგ... შემდეგ წარმოებისაგან მოუწყვეტილ უმაღლეს განათლებასაც მიიღებს.

და ჩაებმება იგორი ხალისიანი და მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრების ფერხულში.

ასეთია მისი ჭაბუკური გეგმები!..

ასეთია მისი ხვალინდელი დღე!..





## ზაქარია ჯამესკიშვილი

### „მაჩხანზე ჩავიარე“...

ჯერ ისევ შუალამე იყო, მელანიის საღვურს რომ გავცდი. მატარებელი ჩალაუბნის ზეზე სწრაფად დაეშვა. მალე გურჯაანისა და კარდანახის სადგურები გავიარეთ. წნორის წყალს რომ ვუახლოვდებოდით, საათის ისარი ექვსს უჩვენებდა. მატარებელი ნელა შევიდა სადგურში. ვარეთ ჯერ კიდევ საქმაოდ ბნელ-ლოდა. ვაგონში ჩოჩქოლი ატყდა, ყველა გასასვლელისაკენ მიიჩქაროდა. მეც ჩამოვედი ვაგონიდან, მივიხედ-მოვიხედე, ნაცნობი ვერავენ ვნახე. ჩუმად გავყვიე ხალხს, შემდეგ ტაქსის მოლოდინში სხვებთან ერთად მეც შევიჩერდი. გათენდა. ერთი შუახანს გადაცილებული გლეხი მომიხსლოვდა, ცნობისმოყვარეობით დამაკვირდა და მკითხა:

— სადაური ხარ, სად მიდიხარ?

— ზემო მაჩხანში, ძია, ბევშობა იქ გამოტარებია. მინდა მოვინახულო მშობლიური სოფელი, ნაცნობ-ნათესავები. — მოხუცს სახეზე დიმი გადაეფინა; ისიც — შაქრო ჯანაშვილიც — მაჩხანელი ყოფილა.

— უკანასკნელად როდის ბრძანდებოდით? — მეკითხება შაქრო.

— ორი ათეული წლის წინათ, — ვუთხრებ.

— დიდი გაძლება მოგცეთ ბუნებამ, ძლიერ გაგიძლიათ, — თქვა და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — მაჩხანს დღეს ვეღარ იცნობთ, მაშინდელი მაჩხანი როდია! რა იყო წინათ ჩვენი სოფელი? დასალები წყალი რა არის, ისიც არ ჰქონდა ხალხს, მეზობელი სოფლებიდან ზურგითა და ვირებით ეზიდებოდნენ. სახან-სათესი ფართობიც შორს იყო სოფლიდან: დილით წასული კაცი საღამოს ძლივს მიდიოდა ადგილზე. ვარბოდა სოფლიდან გლეხი, სხვა სოფელში სახლდებოდა საცხოვრებლად. ახლა, პირიქით, სხვა რაიონიდანაც ჩამოდიან ჩვენს კოლმეურნეობაში, მოსწონთ ჩვენი ადგილ-სამყოფელი, ნოყიერი მიწები.

ჩაკსხედით მანქანაში. გვერქის ხევი გავიარეთ

და სოფელ არბოშიკში შევედით. განცვიფრებული ვათვალიერებ ამ სოფელს, რომელსაც სახე უცვლია, ვანახლებულა, გაძლიერებულა. ძია შაქრო მეუბნება:

— გიკვირს? მაჩხანში ორი ამდენი აშენდა და ახლაც შენდება.

მანქანა მიხვეულ-მოხვეული გზით მთაზე ავიდა და კოლმეურნეობის კანტორის ეზოში გაჩერდა.

— გამარჯობათ თქვენი! — მივესალმეთ კოლმეურნეებს, რომლებიც პირუტყვის გამოზამთრებზე ბუობდნენ.

სალამზე მათ გულთბილად გვიპასუხეს და საუბარი ვანაგრძეს.

კანტორაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლრზ მაიაშვილი ვიკითხე. ყველამ ვაკვირვებით შემომხედა.

— ნიკოს დღე ვერ ნახათ კანტორაში, — გეითხრა კოლმეურნეობის მთავარმა ბუღალტერმა გიორგი მჭედლიშვილმა, — ვერ გეტყვიო ახლა სად იქნება, ვინ იცის, რომელ უბანს მიადგება მოულოდნელად. თუ პირადად მისი ნახვა გაინტერესებთ, უნდა მობრძანდეთ ღამე — ან ალიონზე, ასე ზუთ-უქვს საათზე.

აბა რალას ვიზამდი. დღამეზამდე დიდი დრო იყო. გიორგისთან შევეყიე მასლაათს, ვეცნობოდი კოლმეურნეობის ეკონომიკას, შემდეგ მანვე დამათვალიერებინა სოფლის ახალი მშენებლობანი, კულტურული დაწესებულებები.

სოფელი ზემო მაჩხანი! ოცდაათი წლის წინათ დაარსდა აქ პირველი კოლმეურნეობა.

რა მცირეა ეს დრო იმ დიდი ცვლილებებისათვის, რაც ზემო მაჩხანში მოხდა. მოხუცებსაც უძმელდებათ ძველი სურათის აღდგენა. საღლა ქონხანები, სიდუხჭირე, სიბნელე და გაუწათლებლობა. დარჩა აქ ძველი მხოლოდ ერთი რამ — მიწა. მაგრამ ამ მიწამაც სახე იცვალა, სხვა სამოსელში გაეხვია, მშრომელთა მადლიანი მარჯვენით იგი უფრო ნაყოფიერი გახდა. აქ



მიწის ერთ მტკაველსაც ვერ ნახავთ გამოუყენებელს — ხორბალი და სიმინდი, მზესუმზირა და ბოსტნეული, კარტოფილი და ხეხილი... რა არ ხარობს დღეს შირაქის ბარაქიან ველზე. ამ ნოყიერ მიწებს არასდროს უმტკუნია ზემო მაჩხაანელ კოლმეურნეთათვის, ბუნების სასტიკად განრისხების ქაშასაც კი, როცა მიწას გველვა ზუგუნიან ან მოულოდნელი სეტყვა ნათესაგზს ანადგურებდა, შირაქს კოლმეურნეები სულ უმოწყალოდ მიჰყავდა არ დაუტოვებია.

კოლმეურნეობას ოცდაოთხი ათასი ჰექტარი მიწის ფართობი აქვს უვადო სარგებლობაში. ციფრები, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანოთ, კოლმეურნეთა თავდადებულ შრომასზე, ადამიანის კეთილდღეობაზე, მკვდარი მიწის გაცოცხლებასზე, სოფლის გარდაქმნასზე, მის სიმდიდრეზე, კულტურასა და განათლებაზე მეტყველებს. მაჩხაანელთა სიმდიდრისა და შეძლებულობის წყაროა 6.157 ჰექტარი სახანა-სათესი მიწა, 150 ჰექტარზე გაშენებული ბაღები და ვენახები.

მეცხოველეობის ფერმაში რაც ახლა პირუტყვია, არასოდეს ამდენი არ ყოლია სოფელს. ამა წარმოადგინეთ მარტო მსხვილფეხა პირუტყვი — 2.603 სული: მათ შორის მარტო მეწველა ძროხა და ფურკამეი 660; 22.000 სული ცხვარია ზემო მაჩხაანელთა ფერმაში. ამას ემატება 700 სული ღორი, 7.000 ფრთა ფრინველი. აი, კოლმეურნეთა გამრავე მარჯვენით შექმნილი სიმდიდრე, გულის გამხარებელი დოვლათი! მაგრამ ვინა მარტო ეს? ყოველწლიურად მიღდება აქ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა და მკვეთრად იზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

1956 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულ იყო 16,2 ცენტნერი მარცვლეული კულტურების მოსავალი, ხოლო 1957 წლის მოსავალმა 18 ცენტნერს გადააჭარბა.

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აქტიურად იბრძვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანის შესასრულებლად — უახლოეს წლებში დავეწყით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ღორის ხორცის წარმოების გადიდებას, ჩასაპარებელი პირუტყვის გასუქებას და მწიფელოვნად გაადიდეს ყოველ, ას ჰექტარ მიწის საფარველებზე ხორცის წარმოება. 1957 წელს ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა 160 პროცენტით შეასრულეს. საგრძნობლად გაიზარდა წველდობაც: თუ 1956 წელს საშუალოდ ერთ საფურცე ძროხაზე 1500 ლიტრი რძე მიიღეს, შარშან 2500 ლიტრს გადააჭარბეს.

განუხრელად იზრდება კოლმეურნეობის ყოველწლიური შემოსავალი. 1957 წელს საერთო შემოსავალმა 9 მილიონ მანეთს მიიღწია,

ხოლო განუყოფელმა ფონდმა — 16 მილიონმა იზრდება კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. თუ 1950 წელს შრომადღის ღირებულება თერთმეტ მანეთს უდრიდა, გასულ წელს 32 მანეთამდე ივიდა.

ძნელი საცნობია დღეს უწინდელი დარბი გლეხების ოჯახები. უკანასკნელ სამ წელიწადში ხუთასმა კოლმეურნემ ახალი, ოთხ-ოთხ ოთახიანი საცხოვრებელი ბინები ააშენა. კოლმეურნეთა სახლები ილიჩის ნათურებითაა განათებული, რადიო ხომ აქ დიდი ხანია დამკვიდრდა. საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სექციონა უბანი, აფთიაქი და სხვ. დაწესებულებანი კოლმეურნეთა სამსახურში დგანან.

უწყლობა საუკუნეობით სტანჯავდა ზემო მაჩხაანელებს.

ამ სოფელში იმდენად ძნელი და ძვირად საშოვარი იყო სასმელი წყალი, რომ ხალხს ლექსიც კი გამოუთქვამს:

მაჩხაანზე ჩაეიარე,  
წყალი იყო მეტად ძვირი.  
პატარძალსა წყალი ეთხოვე,  
მომაწოდა ლეღვის ჩირი.  
— ამით გაისველე პირი,  
სანამ წყლიდან მოვა ვირი.

ვინ იცის, რომდენი ასეული წლის განმავლობაში ეზიდებოდნენ წყალს ზემო მაჩხაანელები ზურგიით და სახედრებით არბოშიციდან, ფანიანიდან თუ ქვემო მაჩხაანიდან.

რამდენი კოკა დამხვრეულა გზაში, რამდენი დიასახლისი დაღონებულა იმის გამო, რომ სახლში უწყლოდ დაბრუნება ეძნელებოდა, ბავშვები ეცოდებოდა, ქმრისა და დედამთილისა ერიდებოდა, ვინ იცის ეწინოდა კიდევ.

ესტორიას ჩაბარდა ზემო მაჩხაანელთა ეს გაპირებაც. ასრულდა დიდი ხნის ოცნება — აქ გამოყვანილია ანგარა წყაროს წყალი თავწყაროდან, რომლის მშენებლობაზე მილიონ სამასი ათასი მანეთი დაიხარჯა.

ახლა მაჩხაანში ონკანებიდან ძლიერად მოსჩქევს სუფთა წყალი, რომელიც არა მარტო სასმელად ყოფნით, ბოსტნესაც რწყავენ და საუკეთესო პამიდორი და მწვანოლი მოპყავთ, წინათ კი აქაურ გლეხს სტუმარი რომ ეწყვიდა, ხუთი კილომეტრით დაშორებულ სოფელში მიღობდა ბოსტნეულის მოსატანად.

დავთავალიერეთ სოფლის ყველა უბანი, წითელი აგურით ნაშენი ორსართულიანი შენობები გაკვირვებას იწვევს. სოფელში ახლა იშვიათად ნახავთ ერთსართულიან სახლს.

...ნატროშვილების უბანში ჩვენი ყურადღება მიიქცია პატარა ორსართულიანმა სახლმა, რომელიც თავისი სილამაზით, სხეებისგან გამოირჩეოდა.





— ვისია ეს სახლი? — ვეკითხები კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს გ. ჯამასპიშვილს.

— შურა ნატროშვილის, — გვიპასუხა გიორგიმ და დასძინა: — ქმარის სამამულო ომში დაღუპულა, ერთი ბავშვი დაჩა დასაზრდელი, ახლა ის საშუალო სკოლას ამთავრებს. ზაფხულობით კოლმეურნეობაში მუშაობენ. თვითონ შურა ვაჟაკებს არ ჩამორჩება შრომაში, შემოსავალიც კარგი აქვს. საუკეთესოდ მოაწყო ოჯახი. ჩვენს სოფელში ახლა გაქირებულნი აღარაიხიან. შრომადღებებს მინიმუმით რომ გავიზიარებოთ კაცმა, ეყოფა ოჯახის შესანახად.

სოფელში კიდევ ბევრი რომ იყო სანახავი, მაგრამ დღის სინათლეს საღამოს ბინდი შეეპარა. დალილებს სიარულიც გვიჭირდა და კოლმეურნეობის კანტორაში დავბრუნდით. კლუბთან ზღვა ხალხს მოეყარა თავი, ახალი კინოსურათი მოეტანათ. კინოსურათის ჩვენება რომ დამთავრდა, დამის ათი საათი იყო. ხალხი მაინც არ იშლებოდა. ზოგი ბუღალტერიაში ტრიალებდა, ზოგიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ელოდებოდა.

ნიკოლოზ მამაიაშვილიც დაბრუნდა საკოლმეურნეო მინდვრებიდან. გლეხებს მიესალმა და კაბინეტში შევიდა.

— პარტიკულულო ნიკო, თქვენს მოსვლამდე ამხანაგების დახმარებით ერთგვარად გავცანნი კოლმეურნეობის ეკონომიკას, დავათვალიერეთ სოფელი და დავერწმუნდით იმაში, რომ კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. ახლა ჩვენ გვინდა ვნახოთ ფერმები, ვესაუბროთ მწყემსებს და ფერმის მოვლელებს.

— სიამოვნებით, — გვიპასუხა ნიკომ, — ოღონდ ზეღ დილის ზუთ საათზე უნდა გავიდეთ კანტორიდან, სხვანაირად ვერ მოვასრუებთ ყველა ფერმის დათვალიერებას, ისინი დიდი მანძილით არიან დაშორებული ჩვენგან.

დილის ზუთი საათია, „კოლხონიკის“ მარკის მანქანაში ჩავსხედით და მდინარე ივრის სანაპიროსკენ გავწვიეთ. გზაზე ვნახეთ მემინდვრობის ბრიგადებისა და მწყემსების საცხოვრებელი ლაზარის სახლები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, აქ იმდენი შენობაა და ისეთი გემოვნებით განლაგებული, რომ პატარა დაბა-ქალაქებში გეგონებოთ. ჩვენს მანქანა ივრის პირას ორსართულიანი პატარა სახლის წინ გაჩერდა.

— ეს მეგამეჩეობის ფერმის მწყემსების საცხოვრებელი სახლია, — გვითხრა ნიკომ. დავათვალიერეთ ამავე შენობაში მოთავსებული წითელი კუთხე. კოლმეურნეობის გამგეობას ყველა პირობა შეუქმნია იმისათვის, რომ მწყემსები ცხოვრებას არ ჩამორჩენენ, ყოველდღიურად წაიკითხონ ახალი ყურნალ-გაზეთები, გაეცნონ სხადსხვა სახის ლიტერატურას.

— რამდენ ზაქს მიიღებთ წელს? — გვეკითხებოდა ფერმის გამგეს გ. ნატროშვილს.

— სამასს, — გვიპასუხა მან და დასძინა, — ფერმაში 1.170 სული კამეჩი გყავს მოზარდთან ერთად. ყოველწლიურად ნამატს ასი პროცენტით ვინარჩუნებთ, წელსაც უდავოდ შევასრულებთ დავალებას.

ახლა მეცხვარეობის ფერმაში ვაღავედით. მწყემსები რიგრიგობით მოგვითხრობდნენ თავიანთ შრომით წარმატებებზე, ფერმის მღვთმართობაზე. გამოირკვა, რომ ვასულ წელს ასი პროცენტით შეუნარჩუნებიათ ნამატი, რაც იშვითი მოვლენაა მეცხვარეობაში.

გავცანით მოსულ მწყემსს ენო პაპანაშვილს. მისი მზემოკიდებული სახე, კოკრიანი ხელები და მაგარი აღნაგობა მოწმობდა იმას, რომ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ღია ცისქვეშ გაუტარებია, დარსა და ავღარში უფლოა მთასა და ბარში, შებრძოლებია ბუნების სტიქიას. ვთხოვეთ ვანს, როგორც გამოცდილ მწყემსს, ეამბნა, თუ როგორ მიაღწია მეცხვარეობის ფერმამ ასეთ დიდ წარმატებებს.

— ორმოცდაათი წელი, — თქვა ენომ, — ჩემი წუთისოფელი ცხვარში ვარ. აღრე არ მახსოვს ნამატი მთლიანად შევცენარჩუნებინოს. მწყემსისათვის არ იყო მუშაობის პირობები, ცხვრებისათვის — ბინა და საყვები. ზამთარში მთლიანად დამოკიდებულ ვიყავით ამინდზე. ახლა, საკოლმეურნეო ცხოვრების პირობებში, ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ ცხვარი კარგად გამოვაზამთროთ. გვაქვს საუკეთესო ბინები, მწყემსებს საგრძნობლად გავცუქავთ და საცხოვრებელი პირობები. ახლა, ზამთარში, აქ თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. როცა გხედავთ შრომას გვიფასებენ, ჩვენც უფრო მონდომებით ვეკიდებით საქმეს. თვითუფლი ჩვენგანი თვალის ჩინივით უვლის ბატენებს, შედგესაც კარგს ვაღწევით. შემოსავალი დიდი გვაქვს. ეს ძალასა და ენერგიას გვაძატებს უკეთესი მუშაობისათვის. მე, პირადად, 70 წლის კაცი ვარ და გული ახალგაზრდულად მერჩის, კიდევ დიდხანს მინდა ვემსახურო ჩემს საყვარელ საქმეს.

ხარობენ ზემომამხანაგელები მიღწეულითა და მოზოგებულთი, ხარობენ და კეთილად ახსენებენ თავმჯდომარეს — კარგ კაცსა და ჭკვიან მეურნეს. დაეტყო, ნამდვილად დაეტყო მისი მადლიანი ხელი კოლმეტივს: რა საქმესაც დიადა — აზრით და მკერდით გაიტანა. აკი დიაფასეს კიდევ — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს ნიკო მამაიაშვილი.

დიდი ნდობა არა? ვინაჲ და ზემომამხანაგელებმა იციან — გამართლებს მათი თავმჯდომარე, უთუოდ გამართლებს! — მან იცის ხალხის სამსახური.





პეხანის გეგმა

ქალაქის გრძა

I

XIX ს-ის დასაწყისის თბილისის შესახებ რამდენიმე წერილობითი ცნობა არსებობს: 1803 წლის ოფიციალური აღწერა, კლაპროტის ცნობები 1807 — 1808 წლებისა და სხვ. მაგრამ უფრო ნათელ წარმოდგენას იმდროინდელი ქალაქის შესახებ ძველი გეგმები გვაძლევს. ცენტრალურ სამხედრო-საისტორიო არქივში (მოსკოვი) დაცულია 1782, 1800 და 1802 წლებში შესრულებული გეგმების დედნები, რომლებიც დაწერილებითი ექსპლიკაციითაა აღჭურვილი. ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი მსჯელობის ამოსავალ წერტილად.

ისევე, როგორც XVIII ს-ის პირველ ათეულ წლებში, ვახუშტის დროს, თბილისის ძირითადი ნაწილებია: კალა, საკუთრივ ტფილისი ანუ სეიდაბადი, ისინი (ანუ ისანი), რომელსაც ამ დროს უკვე ავლაბარს უწოდებენ, და გარეთუბანი.

ქალაქის უმთავრესი ნაწილი — კალა — მაშინ ზუსტად იწარჩუნებდა იმ ფარგლებს, რომლებიც 100 წლის წინათ ჰქონდა. ეს ფარგლებია: აღმოსავლეთით მტკვარი, ჩრდილოეთით — აწინდელი ბარათაშვილის ქუჩა, დასავლეთით — ბუშკინის ქუჩის, ლენინის მოედნისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩის ხაზი სალალაკის ქედამდის, სამხრეთით — თვით ეს ქედი. კალას გალავანი ეტყა ვარს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კი, მთაზე, აღმართული იყო ნარიყალა, ქალაქის უძველესი ციხადელი. 1800 წლის გეგმის ექსპლიკაცია ნარიყალას ფარგლებს ზღუდავს ზედ მთის კეხზე მდებარე ნაგებობით. ცალკე ნომრითაა აღნიშნული გალავნითვე შემოზღუდული ნაწილი, რომელსაც მტკვრისკენ (მეტეხისკენ) დაქანებული ფერდობი უჭირავს (ამ ნაწილს ექსპლიკაცია ციხეს უწოდებს). ვახუშტისეული სეიდაბადი, ანუ, 1800 წლის რუკის თანახმად, ახანოები (Ахануеби), ე. ი. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლ-

თის ნაწილი, ნაკლებაა განაშენიანებული (კლაპროტიც აღნიშნავს, მცხოვრებთა რიცხვი აქ უმნიშვნელოაო), მისი უდიდესი ნაწილი ბალებს უჭირავს. მარცხენა ნაპირზე გალავან-შემორტყმულია მეტეხის ტაძარი და თვით ავლაბარიც, მცირე უბანი მის აღმოსავლეთით. დასახლებულ ადგილს ავლაბარის ჩრდილოეთით, სოფ. ჩულურეთისკენ (რიყისა და ბარათაშვილის აღმართის თავზე), 1800 წლის გეგმა ცალკე მოიხსენიებს, როგორც ავლაბარის უბანს. უკვე კარგა ხნის გაჩენილ გარეთუბანს ეჭირა სალალაკი და ჩრდილოეთით — ტერიტორია ქვაშეთის ეკლესიამდის და აწინდელ კომუნარების ბაღამდის. მთელი სალალაკი (ლენინის მოედნისა და კიროვის ქუჩის სამხრეთით — სალალაკის ქედამდის) მეფისა და დედოფლის ბაღებით იყო დაფარული, ხოლო იმავე მოედნის დასავლეთითა და ჩრდილოეთით (საბა-სულხანის, ძეგინისკისა და ცხაკაიას ქუჩების მიდამოებში, პიონერთა სასახლემდის) გიორგი ბატონიშვილის ბაღი იყო. ეს ბაღები სალალაკიდან გამოყვანილი არხებით ირწყვოდა (1800 წლის რუკაზე აღნიშნულია რამდენიმე „водяной ров из речки Цавкисы для пущания воды в сады). ჩრდილოეთით მდებარებდა რამდენიმე ეკლესია: კალაუბანი (ახლანდელ კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილას), ქვაშეთი და მის გვერდით სასაფლაო, სომხური ვანქი (მტკვრის მარჯვენა ტოტის ნაპირას, ახლანდელი საკომუნეურნეო მოედნის მახლობლად) და მის გვერდით სასაფლაო. სამივე ეს ეკლესია გალავან-შემორტყმულია. გარეთუბნის ჩრდილოეთი ბოლო ყაბახს ანუ ახპარეზს ეჭირა კომუნარების ბაღის ქვემო ნახევრის ადგილას), მის აღმოსავლეთით კი ორბელიანების უბანი იყო: ვიწრო და გრძელი ადგილი მდინარის გაყოლებით, შემოზღუდული საკუთარი გალავნით (პლ. იოსელიანის ცნობით, წინათ აქ ქართლის მეფის იესეს



სასახლე ყოფილა. ამ ადგილს, გვემის თინახ-  
მად, ეწოდება: „Замок Арберьянова“. აქ  
პირაველი შენობა და ერთი სომხური ეკლესია-  
ცაა იდნისნული). ამას გარდა, ყაბახი და ვან-  
ქის მიდამოები უკვე უბრალო საცხოვრებელი  
სახლებითაც არის განაშენიანებული (1800  
წლის გეგმა ცალ-ცალკე მოიხსენიებს გარეთ-  
უბანსა და ვანქის უბანს).

ამგვარად, XIX ს-ის მიჯნაზე თბილისი ჯერ  
კიდევ ნამდვილ ფეოდალურ ქალაქს წარმოად-  
გენს: მას აქვს თავისი ციტადელი (თუმცა კი  
დიდად დაზიანებული), მისი უმთავრესი ნაწი-  
ლები კომუნიკაციის გალავნების შიგნითაა მოქ-  
ციეული, მის გარშემოც გალავანშემორტყმული  
ეკლესიები და ციხედაზნაზი; გარე სამყაროს  
იგი გალავნებში მოწყობილი კარებით უკე-  
შირდება.



როგორი იყო თბილისის ზრდის შესაძლებ-  
ლობა და პერსპექტივები ტერიტორიის მხრივ?  
იქ დროინდელ თბილისს ჯერ კიდევ დიდი  
რეზერვები ჰქონდა მტკვრის ორსვე ნაპირზე,  
მდინარის აღმავა და დღამც. როგორც  
შესავალში აღვნიშნეთ ქალაქის დაარსებე-  
ბიდანვე ზრდის ძირითადი ტენდენცია ჩრდილო-  
დასავლეთისკენ იყო. სწორედ თავდაპირველი  
ბირთვის ჩრდილო-დასავლეთით გაიზარდა კალა,  
XVIII საუკუნეშიაც ეს ტენდენცია გრძელ-  
დებოდა. ამის მაჩვენებელია გარეთუბნის გა-  
ჩენაც. ეს ბუნებრივი ტენდენცია: აქებ—ჩრდი-  
ლოეთითა და ჩრდილო-დასავლეთითაა — უმ-  
თავრესი გზები, რომლებიც დედაქალაქს ქვეყ-  
ნის ძირითად ნაწილებთან აკავშირებდა იმთა-  
ვითვე; აქ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, უფრო  
ფართოდ გაშლილი, განაშენიანებისათვის უფ-  
რო მარჯვე, ვაკე ადგილი იყო, თუმცა შეე-  
ნებლობას გარკვეული სიძნელე ეღობებოდა—  
მოაწმინდიდან ჩამოშავალი ხეები, რომლებიც  
გარდღარდმო ჰკვეთდა ზრდის მიმართულე-  
ბას. ზრდის პროცესში ამ ხეებზე ჯერ უბრა-  
ლო ბოგირებს აკეთებდნენ, შემდეგ კი აუცი-  
ლებელი ხდებოდა კოლექტორების მოწყობა  
და ხეების ამოყვანა. ასეა შექმნილი მტკვრის  
პერპენდიკულარულად მიმართული ბევრი ქუ-  
ჩა: კიროვისა, ბარათაშვილისა, წყალსაზიდი,  
ჭავჭავაძისა, პაპანიჩისა, მოსკოვისა, ელბაქიძის  
დადმართი (ანალოგიურად წარმოიშვა უკვე ჩვენს  
თვალწინ ვარაზისხევის ქუჩაც).

ნაკლებ ინტენსიურად მიიწვედა ქალაქი მდი-  
ნარის დაღმა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, კრწა-  
ნისისკენ; მდინარის მარცხენა ნაპირზე კი,  
სადაც სოფლები ჩუღურეთი და კუკია მდებ-  
რებოდა, მის განვითარებას ხელს უშლიდა  
როგორც ხიდის უქონლობა (ხიდი მხოლოდ  
მეტეხთან იყო), ისე, უქვევლია, ლეკიანობაც.

უკანასკნელი გარემოება არსებითადაა დასა-  
თოდ აფერხებდა მოსახლეობის დამკვიდრებას  
გალავანს გარეთ და უღერესად შემკვიდრე-  
ბული კალას განტვირთვას. „Сколь ни тесен  
Тифлис, — აღნიშნავს ბუტკოვი, — но жители  
никак не селились вне стен оного, от опас-  
ностей нападения лезгов, хотя в Тифлисе  
аршин квадратный земли продавался еще  
в 1805 году по 40 рублей, то есть сереб-  
ром или на тамошнюю монету.“

ქალაქის თავისუფალი გაშლა ძველი გალავ-  
ნის გარეთ იწყება მხოლოდ XIX ს-ის პირ-  
ველი წლებიდან. მოსახლეობის ზრდა, ახალი  
ხელისუფლების დაწესებულებათათვის საჭი-  
რო შენობები, ყაზარმები გარნიზონისა და  
სხვა სამხედრო ნაწილებისათვის — ახალი  
ტერიტორიის ათვისებას მოითხოვდა. აღა-  
მაჰმად-ხანის მიერ დაქვევლი კალა, რომლის  
აღდგენაც ძალიან ნელა, დიდი ვაი-ვაგლახით,  
წარმოებდა, არა მარტო თავისი სივრცით  
აღარ კმაროდა; იგი თავისი დრომოკმეული  
ხასიათითაც ევლარ გამოდგებოდა ახალი ემო-  
ქის ქალაქისთვის, რომელსაც ახლებური  
ფუნქციები ენიჭებოდა. ზემოთ ითქვა, რომ  
XVIII ს-ში ქალაქის ცენტრი ე. წ. მეფის  
მოედანი იყო (დღევანდელ ერეკლეს მოედნის  
ადგილზე). აქ იდგა მეფის სასახლე, იქვე,  
სასახლის პირდაპირ, მდებარებოდა ბაზარი,  
გარშემო მალაზიები იყო გამართული, ამ  
მოედნის ახლოს მდებარებოდა სხვა უმნიშ-  
ნელოვანესი შენობებიც — ქალაქის კათედ-  
რალი სინი, ქარვასლები, არისტოკრატის  
საცხოვრებლები. რუსული ხელისუფლების ორ-  
განოებიც პირველად ამავე ცენტრში შეჯ-  
გუფდა: აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს  
დანგრეული სამეფო სასახლის საძირკვლებზე  
1807 წ. აშენდა სახლი Присутственные мес-  
та-ს მოსათავსებლად (ერეკლეს მოედანზე.  
ახლა აქ რამდენადმე უფრო გვიანდელი შე-  
ნობაა); 1809 წ. მის გვერდით საძირკველი  
ჩაეყარა სახლს, რომელშიაც შემდეგ სამოქა-  
ლაქო გუბერნატორი მოთავსდა (ახლა მილო-  
ცისის სამმართველოა). იმავე წელს Присут-  
ственные места-ს მოეწყო მხარის, მტკვრის  
პირას, აშენდა ქალაქის პოლიციის სახლიც,  
მაგრამ თვით მოავარამართებლის რეზიდენციის  
თვის უკვე გარეთუბანი იქნა არჩეული. ეს  
კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქალაქის ცენტ-  
რის გადანაცვლების გზაზე. 1802 წლის გეგმა-  
ზე დღევანდელ პიონერთა სასახლის ადგილას,  
რუსეთისკენ მიმავალი დიდი გზის პირას, უკვე  
მოითებებოდა Правительственные места; (ეს  
არის ალბათ ტუჩკოვის მოგონებებში მოხსე-  
ნებული „довольно огромное строение“, რო-  
მელიც რამდენიმე თვეში დაამთავრეს ქართ-

ველმა ოსტატებმა და მუშებმა). 1807 წელს კი აქ ახალი შენობის აგებაც დაიწყო.

იმ ხანებში გარეთუბანში, როგორც ჩანს, უკვე კვლავ იწყებდა მომარაგებას მოსახლეობაც, რომელიც თბილისის უკანასკნელი აზრების დროს მიმოიფანტა. ამას მოწმობს 1810 წლის საბუთი — მთავარმმართველ ტორმასოვის მითითება საქართველოს მმართველს ახვერდოვს იმის შესახებ, რომ გარეთუბანში უნდა აიკრძალოს უგეგმო და უკონტროლო მშენებლობა. იქიდანვე ჩანს, რომ გარეთუბანში ბევრი აგებულა იყო, რომელთა უმეტესი ნაწილი უკვე დაზარალებული იყო, რომელთა უმეტესი ნაწილი უკვე დოვლთო მდგომარეობაში იყო. ამის შესახებ იტყობა იგივე საბუთი: „весьма много обрели земли и тем самым наделяли уже довольно местоположению безобразия“.

ამ ხანებიდან იწყება ქალაქის ახალი ცენტრის თანდათანობითი ჩამოყალიბება კოჯრის კარის წინ მდებარე მოედნის გარშემო და რუსეთის გზის გასწვრივ. აქ, ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს შესასვლელთან, სადაც თავს იყრიდა რამდენიმე გზა, მათ შორის „სარუსეთო გზაც“, ამიერიდან უმნიშვნელოვანესი, უნდამ დიდი მოძრაობა და გამოცოცხლება უნდა ყოფილიყო. ნამდვილი მოედნის სახე ამ ადგილზე მაინც უფრო გვიან მიიღო. მაშინ მას ერთი მხრიდან კალას ვალავანი ფარგლავდა, დასავლეთიდან — ბაღები, ჩრდილოეთით კი იგი ღია იყო. მას ირიბად ჰკვეთდა სალაკის ქედიდან მომდინარე ლევი, რომელიც ახლანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების ხაზს მისდევდა მტკვრამდის, ე. ი. დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან უკლებიდა კალას.

1824 წელს ამ მოედანზე საფუძველი ჩაეყარა ჯორჯისის შტაბის შენობის. ოცდაათიან წლებში აშენდა იაკობ ზუბალაშვილის დიდი სახლი, რომელიც სასულიერო უწყებამ შეიძინა, აგრეთვე გიმნაზია და სხვა სახლები ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, სადაც წითელი ხაზის ირიბი მიმართულება, როგორც ჩანს, ამ მხარეს მიმავალი გზის (მომავალი რუსთაველის პროსპექტის) მიმართულებამ განსაზღვრა (სწორი კუთხე შექმნეს). ამავე ხანებს მიეკუთვნება, როგორც ჩანს, პოლიციის ახალი შენობის აგებაც, ალბათ იქ, სადაც დღეს ქალაქის აღმასკომის სახლი დგას. ამგვარად, დაიბაძა მოედნის უმთავრესი „საყრდენი“ პუნქტები.

მზარდი ქალაქი უშუალოდ მიეზღინა სალაკის ბაღებს. „ერეკლეს მშვენიერი ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვერცხვებითა და ალვის ხეებით, ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებად“, წერდა ვაჟა 1826 წელს. ამ დროიდან მოყოლებული, ორიოდე ათეული წლის მანძილზე, შეუბრალებლად ისპობიან ის „წალკოტნი და სავარდენი. მრავლ-

ნი, ყოველი ხილითა და ყვავილითა სავსე“, რომელთაც ვახუშტი მოიხსენიებს „გარემო ქალაქისა“. მაშინ იქმნება სალაკის ქუჩების რეგულარული ქსელი, რომელიც დღემდის უცვლელადაა დარჩენილი. მეორე მხრივ ქუჩები ისახება მოედნის ჩრდილოეთით — ძველი ყაბახისა და ქვაშვეთის მიდამოებში, რუსეთის გზასა და მტკვარს შორის და, აგრეთვე, მთაწმინდის კალთებზედაც.

1828 წელს, როდესაც თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიბიავინმა თბილისის მოედნებს სახელები უწოდა, გარეთუბანში უკვე სამი მოედანი იყო: ზემოხსენებული, რომელსაც მაშინ ერევნისა დეარქვა, ნიკოლოზისა — მთავარმმართველის სასახლის წინ, და ალექსანდრესი — ყაბახის ადგილას.

მაგრამ ამ ქუჩების განაშენიანებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, მით უფრო, მათს კეთილმოწყობას. ახლად დასახული დიდი ქუჩის (მომავალი ვოლოგინის პროსპექტის) გასწვრივ 1828 წლის გეგმაზე, მთავარმართველის სახლის გარდა, მხოლოდ ორი ახალი შენობა ნაჩვენებია: პაუბტეხტი (კინო-თეატრ „რუსთაველის“ ადგილზე) და სტამბა მის გვერდით.

თი როგორია გარეთუბნის სურათი 1827 წელს გრიბოედოვის მიხედვით:

„Город Тифлис состоит из трех, весьма отдельных частей:

1) Северное предместье, Каратубань. Прежде здесь были незначущие лачуги и землянки; два только строения выступали из прочих: дом главнокомандующего и госпиталь. (შემდეგ აქ საინჟინრო უწყება მოთავსდა, ეს ჯორჯიაშვილის ქუჩის ქვემო მარცხენა კუთხეშია). Генерал Ермолов перевел прежних жителей частью в западную ложбину, к ручью Салалаки, частью вовсе выселил из города. На место их взрываются многие хорошие здания, иные наскоро воздвигнутые, вроде украшений, которые по своей непрочности, угрожают близким падением... Вообще ныне улицы и площади сего предместья слишком разбросаны, пересекаемы пустырями, сообщение затруднительно, порядочное освещение невозможно, и северный ветер беспрестанно взмывает все это обширное пространство, так что из домов выходить нельзя во время вихря“.

ძალიან მკაფიო სურათს გვიხატავს აგრეთვე ბარონი ტორნაუ, რომელიც 1832 წელს ჩამოვიდა თბილისში. „До первой правой улицы, начинавшейся за домом главноуправляющей, дорога (რუსეთიდან მომავალი გზა) извивалась по пустому месту, мимо обрывистого возвышения направо и оврагов, с левой стороны упиравшихся на берег Куры.“



Ураги были испещрены мазанками и домиками солдатской слободки. Далее открывались приезшему, с одной стороны, съезд к Мадатовской площади (ახლანდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის ადგილას), с другой — подьем к арсеналу, и Артиллерийской слободке, построенным у подошвы горы св. Давида“ (არსენალი იდგა, იქ, სადაც ახლა საქართველოს მთავრობის სახლის ზემო კორპუსია). ნამდვილი ქალაქი მთავარმართებლის სახლიდან იწყებოდა. ამ სახლის წინ „раскрывалась необстроенная площадка, на которой бывали скачки, народные праздники и фейерверк. За домом начиналась улица, выходящая на Эриванскую площадь — центр нового города; на ней красовались штаб, гимназия (სანამ ახლანდელი I საშუალო სკოლის შენობას ააგებდნენ 1837-1839 წლებში, სასწავლებელი ყოფ. სასახლის ქუჩისა და მოედნის კუთხეში იყო), полиция и домов пять новейшей архитектуры“. სალაღაში ტორანუმ ჯერ კიდევ ბაღებს ჩამოუსწრო: 1832 წ. ახლანდელი ილია ქვეყანის ქუჩაზე სახლები მხოლოდ მარცხენა მხარეს იდგა (თუ მოედნიდან მთისკენ წავიდოდით), მარჯვნივ კი დიდი ვენახი ყოფილა. მაგრამ აქა-იქ უკვე აქაც ჩნდებოდა სახლები. ალექსანდრეს მოედანზე (ტორანუ მას მადათოვისას უწოდებს, რადგანაც იქ გენერალ-ლეიტენანტ მადათოვის სახლი იდგა) ჩრდილო-დასავლეთის მხარეს საინჟინრო უწყების ხსენებული სახლი იყო (ჯორჯიაშვილის ქუჩის ქვემო მარცხენა კუთხეში); იქვე იყო მადათოვის სახლის გარდა — ორბელიანებისა და თუმანიშვილის სახლები. დასავლეთით მოედანს ფარგლავდა ფერდობი, რომელზედაც შემდეგ ალექსანდრეს ბაღი გაშენდა.

თუმცა ქალაქი, როგორც ითქვა, უმეტესად ჩრდილო-დასავლეთით მიიწეოდა, ზრდის ტენდენცია სხვა მიმართულებებშიც შესამჩნევი გახდა. ნავთლულში იმთავითვე აშენდა ყაზარმები, ჰოსპიტალი და მასთან დაკავშირებული საცხოვრებელი სახლები. შემდეგ თანდათანობით იწყება ინტერეალის შეესება საკუთრივ ქალაქსა და ნავთლულ-ორთაქალას შორის. იზრდება ავღმაზარი, ქალაქი უახლოვდება გარშემო მდებარე სოფლებს: ხარფუხის მარჯვენა ნაპირზე, აბანოების უბნის გადაღმა, კუკიასა და ჩულურეთს — მარცხენა ნაპირზე, გარეთუბნის პირდაპირ.

XIX ს-ის დასაწყისის საბუთების მიხედვით, ხარფუხში პირველად 1807 წელს დასახლებულან გლეხები ქართლის სოფელ წალასყურიდან (Цалахкურ), მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ლეკებმა დაარბიეს. 1811 წ. სოფელი თბილისის მოაწერეს, შემდეგ თბილისის

მაზრას მიაკუთვნეს, 1819 წლიდან კი კვლავ თბილისს.

1824 წელს თბილისის მოეწერა სოფლები კუკია და ჩულურეთი, ხოლო 1827 წლის 10. X საშხედრო გუბერნატორმა სიბიაგინმა დაავალა თბილისის მომწყობ კომიტეტს — ეს სოფლები დაიგეგმოს და ამიერიდან ახალი სახლების მშენებლობა გეგმიანად წარმოებდესო. კიდევ უფრო ადრე, იმავე წლის ივლისში, სიბიაგინისავე ბრძანებით, გადაღებულ იქნა ავღმაზრის ტოპოგრაფიული გეგმა (გადაიღო ინე. პოდპორუჩიკმა პეტროვმა). ამ გეგმაზე საქართველოს სავაჭრო-ინჟინერის მოვალეობის აღმასრულებელმა ბარამკინმა ცალკეული ქუჩები და კვარტალები დაგეგმა. მაგრამ პრაქტიკულად ქალაქის ამ ახალი ნაწილების დაგეგმვის მაშინ შედეგი არ გამოუღია. [სიბიაგინამდე, ერმოლოვის დროს (1816 — 1826) ძველი მეტეხის ციხის ნანგრევებზე აგებულ იქნა ახალი ციხე კოშკებითა და კბილანებიანი კედლებით].

კუკიის ურუშალო ვაგროლებას წარმოადგენდა მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ვერმანელების კოლონია, დაარსებული 1819 წელს და თავისი საქმიანობით მჭიდროდ დაკავშირებული ქალაქთან. თანდათანობით ისიც ქალაქის გარეუბნად იქცა, მაგრამ ფორმალურად ქალაქის ფარგლებში მხოლოდ სამოციან წლებში იქნა შეტანილი.

ასეთი იყო ქალაქის ვაშლა-ვანვითარების მიმართულება.

მაგრამ საბუთები მოწმობს, რომ არა მარტო პირველ 20 წელიწადს, არამედ ოციან-ოცდაათიან წლებშიც თბილისის მშენებლობა ნელა მიიწეოდა წიქ, მიუხედავად იმისა, რომ 1822 წელს უცხოეთთან თავისუფალი ვაჭრობის დაწესებამ შესამჩნევად გამოაცოცხლა ქვეყნის ექონომიკა და ხელი შეუწყო ადგილობრივი ვაჭრების გამაღრმავებს. ზემოთ უკვე მოხსენიებული ვაშმა (სადგარანეთის კონსული თბილისში) წერს: „როცა მე ძველი ქალაქი ვინაზე 1820 წელს, თითქმის ყველა ქუჩა ნანგრევებით იყო სავსე — სამწყხარო შედეგი სპარსელთა შემოსევისა... სამი წელიწადი საქმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ძველ ქალაქს მიეღო სახე, რომელიც განასხვავებს ცივილიზებული ევროპის პრინციპების მიხედვით მოწყობილ ქალაქებსო“. შემდეგ იგი აღწერს ერმოლოვის ბრძანებით გაჩაღებულ ინტენსიურ მუშაობას ქალაქის გასაშენებლად, აღნიშნავს მისი ხალხის საკვირველ სისწრაფეს და ჩამოთვლის ახალ შესანიშნავ ნაგებობათ. „მშენებლობით გატაცებამ, რომელმაც სენის ნაპირებზე იჩინა თავი, იმავე დროს ცირუსის (ე. ი. მტკვრის) ნაპირებიც მოიცავა“.

მაგრამ მომდევნო წლების ოფიციალური



ლოკუმენტებიც კი მოწმობს, რომ გამბას ენ-  
თუზიანში გადაქარბებული და ხელოვნური  
იყო. ხელისუფლება სინამდვილეში ძალიან  
მცირე თანხას ხარჯავდა ქალაქზე. მშენებლო-  
ბას ხელს უშლიდა საბინაო ბევრა, რომელიც  
დიდად ავიწროებდა და შენების ხალხს უკარ-  
გავდა ქალაქის მკვიდრთ; მრავალ შემთხვევაში  
გაურკვეველი და სადავო იყო — ვის ეკუთვ-  
ნოდა მიწის ესა თუ ის ნაკვეთი (ძალიან ბევრ  
მათგანს ითვისებდა სასულიერო უწყება); ქა-  
ლაქის ვაშლის აფერხებდა მისი ახალი, სარე-  
ზერვო უბნების (კუკიის, ჩულურეთის, გერმა-  
ნელთა კოლონიის) მოწყვეტილობა უხილობის  
გამო; დასასრულ, შენებას უშლიდა ისიც, რომ  
ახალი კვარტალების გეგმების შემუშავება და  
ამტკიცება იგვიანებდა, არ არსებობდა ქალა-  
ქის მშენებლობის ერთიანი გეგმა. 1821, 1828  
და 1831 წლების გეგმების შედარება გვიჩვენ-  
ებს, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ქალაქი  
არ გაზარდილა. სალაქის ბაღები ფაქტიურად  
ჯერ კიდევ ხელუხლებელია და რუსეთის გზის  
გასწორებაც 1821 წელს არსებულ შენობებს  
ცოტა რამ თუ მიემატა (ორიოდენ ყაზარმა და  
საწყობი).

მშენებლობაში გარდატეხა იკრძაობა მხო-  
ლოდ ოცდაათიანი წლების მიწურულიდან,  
ე. ი. ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფი  
განვითარების წლებში, როცა ქალაქის მოსახ-  
ლეობაში იზრდება ბურჟუაზიული ელემენტი,  
საგრძობლად ფართოვდება ეპარქია, ჩნდება  
წარმოების ახალი დარგები და კულტურულ  
ცხოვრებაშიაც გამოიყოფილება იწყება. ამ  
დროიდან მოყოლებული, თბილისის ზრდა  
გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს. შეუწე-  
ლებლად მატულობს მოსახლეობაც. სამოციანი  
წლების დასაწყისამდის, ერთი მხრივ, ქალაქს  
ახალი ტერიტორია ემატება, მეორე მხრივ —  
შენობებით ივსება ის უბნები, რომლებიც მა-  
ნამდის ქალაქში ირიცხებოდა, მაგრამ კანტი-  
კუნად იყო განაშენიანებული. გარკვეული  
ნაბიჯები გადაიდგა ქალაქის ცენტრალური ნა-  
წილების კეთილმოწყობადაც.

ძველი საარქივო მასალის გაცნობა ნათლად  
გვიჩვენებს, რომ თბილისის ყველა რაიონში ამ  
დროიდან ბევრად უფრო ინტენსიურად წარ-  
მოებს საბინაო მშენებლობა. ვორონცოვის  
დროს გოლოვინის პრისაქტზე, ორსავე მხა-  
რეს, ხეები დარგეს და თვით მოსკოვის „ზას-  
ტაჰაიდა“ (ახლანდელ მოსკოვის ქუჩასთან)  
შენობები გაჩნდა, ხევი, რომელიც სალაქის  
ქუჩას, ერევნის მოედანსა და ახლანდელ ბუშ-  
კინსა და ბარათაშვილის ქუჩებს კვეთდა,  
გადაიხურა, შეიქმნა სალაქის ქუჩა (თეთრ-  
ბირველად მას „ნაგორნია“ რქმევია, სანამ ეს  
სახელი ახლანდელ ლერმონტოვის ქუჩას არ  
უწოდეს — 1843 წელს); სალაქის ხევიში გა-

კეთებულ იქნა საგანგებო ჯებირი და ღვარ-  
სადენი; სალაქის ბაღებმა ადგილი დაუტო-  
ბურჟუაზიულ საცხოვრებელ სახლებს: 1844  
წლის გეგმაზე აქ აღნიშნულია ახლანდელი  
კიროვის, ილია ქავჭავაძის, წერეთლის, ლერ-  
მონტოვისა და ვნგელის ქუჩები. სახლები  
მომრავლებულია, მაგრამ ტერიტორიის უმე-  
ტესი ნაწილი მაინც ბაღებს უჭირავს. 1850 წ.  
უკვე მთელი სალაქი ქუჩებითაა დასერილი  
და განაშენიანება დიდად სჭარბობს ბაღებს;  
40-50-იანი წლების მიჯნაზე სწრაფად შენდება  
მუხრანის ქუჩა, რომელსაც 1843 წლამდის  
„კრეპოსტნი“ ბულვარი“ ერქვა (მის გასწვ-  
რივ არსებული კალს ძველი გალავანი უკვე  
მოშლილი იყო); განაშენიანება შეუწყობლად  
იპყრობს მოაწმინდის კალთებსაც. თუ 1841  
წლის სიაში, გოლოვინის პრისაქტის ინტენთ-  
დასავლეთით მდებარე ქუჩათაგან მხოლოდ  
აწინდელი ალ. ქავჭავაძის ქუჩა იხსენიება,  
1843 წელს უკვე მოხსენიებულია ინტიტუტის  
(ცხაკაიას), ერმოლოვის (ჩიტაძის), მამადი-  
თის, (ბესიკის), არსენალის (სასამართლოს),  
კომენდანტისა (გრინბოლდოვის) და ლაბორატო-  
რიის (მერყინისკის) ქუჩები.

1850 წ. კეთდება ფეთხანის კიბის პროექტი  
(არქ. ბელი) და ეწყობა ვორონცოვის (ახლა  
მისინიკოვის) ქუჩა, რომელიც ქალაქის ძველ  
ნაწილებს აკავშირებდა ხარფუხსა და ორთაქა-  
ლასთან.

1847-1851 წლებში ერევნის მოედანზე შენ-  
დება ქარვასლა და თეატრი (არქ. სკუდერი):  
ეს იმდროინდელი თბილისის ყველაზე თვალ-  
საჩინო ნაგებობა იყო.

აქტუალურ საკითხად იქცევა მშენებლობის  
რეგლამენტაცია მარცხენა ნაპირის გარეუბნებ-  
შიაც, რადგანაც აქ სახლების აგების მსურ-  
ველთა რიცხვმა დიდად იმატა. უკვე 1839-1840  
წლებში დაიწყო მუშაობა კუკიასა და ჩულუ-  
რეთში ახალი კვარტალების გასამიჯნად და  
დასანიშნავად. 1844 და 1850 წ. წ. გეგმების შე-  
დარება მოწმობს, რომ კუკია, თავისი სოფლის  
გზებითა და უწყობიერ განაშენიანებით, სწო-  
რად ამ ხანებში იქცა ქალაქურ დასახლებულ  
ადგილად: აქ უკვე ქალაქის ქუჩების ქსელია.  
იგივე ითქმის ავლაბრის უბანზედაც, რომელიც  
იმ წლებში დიდად გაიზარდა და ასე თუ ისე  
მოწყვსირება.

1848 წელს ვორონცოვი თავის ანგარიშში  
წერდა კუკიის შესახებ: „უკანასკნელი ორი  
წლის მანძილზე შეიქმნა ქალაქის ახალი მშვე-  
ნიერი ნაწილი. 1846, 1847 და 1848 წლების  
განმავლობაში ამ გარეუბნებში გაყვანილია 16  
ახალი სივრძივი ქუჩა და 16 განივი; აშენდა 2  
სამსართულიანი, 30 ორსართულიანი და 158  
ერთსართულიანი სახლი, აშენდა ორი ქარხა-  
ნა — სამსხმელი და აგურისა და გაშენებუ-



ლი 2 ბალი“ და სხვ. შეიძლება გადაქარბებულიად გეგენოთ ასეთი სწრაფი მშენებლობა, მაგრამ ეს იმის შედეგია, რომ ლეკიანობის საშიშროება მოისპოო, ასეცნის ვორონცოვი.

განსაკუთრებით წახალისა მარცხენა ნაპირის ახალმშენებელნი კუქის ხილის აგებამ (არქ. სკულდერი), რამაც ქალაქი და ჩუღურეთი უშუალოდ დაუკავშირა ქალაქის ახალ ცენტრს (ხილის საფუძველი 1848 წლის 25. XI ჩაიყარა, ხოლო მშენებლობა დამთავრდა 1853 წელს: კურთხევა 8. XI მოხდა. მცირე ხიდი, რომელიც მტკვრის ტოტზე გადადიოდა, შენდებოდა 1849 წლის 9. IX-დან 1851 წლის 10. IV-მდე). კუქის (ახლანდელი მარჭისი) ხიდის პარალელურად შენდებოდა კიდევ ერთი ხიდი — ახლანდელი 300 არაგველის ხიდის ადგილის (1850—17. II—1851. XII. პროექტის ავტორი არქ. რაისი. თავდაპირველად ხიდს ვორონცოვის სახელი უწოდეს, შემდეგ მნაცავანოვისა ეწოდებოდა). თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთულში განლაგებული იყო სამხედრო ნაწილები (იქ იყო ყაზარმები და სამხედრო ჰოსპიტალი), ამ ხიდის ფუნქცია უფრო ნათელი გახდება.

ამის შემდეგ თბილისის ზრდა შეუწყველბლად ვარძელბდა. 1859 წლის გეგმა გვიჩვენებს, რომ ამ თა წელიწადში უმეტესად მარცხენა ნაპირი იზრდებოდა. ახალი კუქია თითქმის ახლანდელ რკინიგზის სიდგურის უბანს აღწევს: იგი მთლანად შეერწყა გერმანელების კოლონიას, რომელიც 1862 წელს კიდევ უშეშობიანეს ქალაქის ფარგლებში (ქალაქის მშენებლობის წესები მასზე უკვე 1853 წელს გაბრცულა). სწორი ქუჩები გაჩნდა ჩუღურეთშიაც, რომელიც 1850 წელს შენობების ქაოსურ გროვას წარმოადგენდა. ავლაბარსა და ნავთლდის შუა, ისევე, როგორც 1850 წელს, დიდი სამხედრო დასახლება მოწყობილი, მაგრამ ამ ადგილს მდებარე შავი სოფლის ანუ მირზა-აბადის სახელწოდება უკვე აღარ იხსენიება.

მარჯვენა ნაპირზე გარეთუბანი თანდათან იესება შენობებით (განსაკუთრებით მთაწმინდის კალთები), მაგრამ ქალაქის საზღვარი, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მიმოფანტულ შენობებს, ჯერ კიდევ მაინც არ სცილდება ახლანდელი მოსკოვის ქუჩის რაიონს. იმის იქით სოფლები ვარდისუბანი და ვერეა, რომლებიც მალე, 60-იან წლებში, ქალაქის გარეუბნად იქნენ. ხარფუსს დიდი რამ ზრდა არ ეტყობა. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო მარცხენა ნაპირზე ნავთულსა და დარსი-ჭალის ბაღებს უჭირავს, მარჯვენაზე კი—კარწანისის ბაღებს, აქვეა, კუნძულზე, ორთაქალის ბაღები. ამ რაიონში მხოლოდ თითოერთი შენობაა: ციხე, კარანტინი. მდინარის ორ ნაპირს ახლა უკვე რამდენიმე ხიდი აკავშირებს:

ვორონცოვისა (დიდი და მცირე) მტკვრის მტკვრისა; მნაცავანოვისა.

სამოციანი წლების თბილისის სურათი ნათლადაა მოხაზული შ. ჩხეტის მიერ გამოქვეყნებულ საბუთში, რომელიც ქალაქის მედიკურ-ტოპოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ აღწერას შეიცავს. აი ზოგიერთი ცნობა ამ საბუთიდან: „მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს პირველი და მეორე საპოლიცია ნაწილები, ადგილობრივი სახელწოდებით: გარეუბანი ვერე, „კოლოჩაია“ და მოსკოვის ხეები, არტილერიისა და მესანგრეთა „სლაბოდეკი“, მთაწმინდა, გარეთუბანი, სალადავი, აბანოს კარი, სედიბადი, ხარფუსი, ორთაქალისა და კარწანისის ბაღები, მდინარის მარცხენა მხარის მოქცეულია ყოფ. გერმანული კოლონია, რომელიც 1862 წ. შემოუერთდა ქალაქს, როგორც მისი მეოთხე საპოლიცია ნაწილი; შემდეგ მალაქანთა „სლაბოდეკა“, ძველი და ახალი კუქია და ჩუღურეთი—როგორც მე-3 საპოლიცია ნაწილი; რიყე, ავლაბარი, შავი-სოფელი ანუ ძალის სოფელი (ანუ მირზა-აბადი), „ნოვოტროიცკოვს“ დასახლება (სამხედრო, ვ. ბ.), დასასრულ ნავთულდი — რომელთაც სიგანგებო კომისარო განაგებს.

გარეუბანი ვერე მდებარეობს... ამავე სახელწოდების მდინარის ორსვე ნაპირზე. აქ ქალაქის მცხოვრებთა ენახები და ხეხილის ბაღები, ბევრია დუქანი და ბაქი მეურმეებისთვის... რაღი აქ საყვები უფრო იაფი ღირს, გლახები აქ ჩერდებიან და დამესაც კი ათევენ, რომ მეორე დღეს დილაადრიადად შევიდნენ ქალაქში.

ამ მდინარეზე აშენებულია ოთხთბილიანი, თუჯის მოაჯირიანი ხიდი, რომლის იქეთაც დიდი საფოსტო შოსე ორჯერ უხვევს და ქალაქში აღის... ამ მთაზე რომ ახვალთ, გზის მარჯვენა და მარცხნივ უკვე ქალაქური სახლები იწყება (აქ ჩამოთვლილია: დავრომილთა თავშესაფარი, ქალაქის საავადმყოფო, საფოსტო ეკიპაჟების ფაბრიკა, აგურხანები და სხვ. ვ. ბ.);... მოსკოვის ხეებში („ბაღა“) და თითქმის მის გვერდით მდებარე მეორე ხეებში, რომელსაც „კალოჩაიას“ უწოდებენ, აშენებულია სამსახურიდან გასულ ჯარისკაცების პატარა სახლები. თითქმის ყველა სახლი ხისაა; ხეების პირს, გზის მეორე, მარცხენა მხარეს, მდებარეობს ღრმა ხრამი, რომელიც ამ ხეებიდან ჩამოდინილა წვიმის წყალმა გააჩინა (ახლა აქ დგას დიდი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ელბაქიძის დაღმართისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხე უჭირავს. ვ. ბ.). ეს ხრამი აღწევს მტკვრის მარჯვენა ნაპირს, სადაც არტილერიის „სლაბოდეკა“...

შემდეგ ქალაქის სხვა ნაწილების აღწერაა, რომელიც არ შეიცავს ჩვენთვის რასმე ახალს,

არის ცნობები ქალაქის კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებაც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ 1859 წელს ყოფ. ალექსანდრეს მოედნის, ე. ი. ძველ სახელწოდების ბაღი: ეს იყო პირველი სასოგადოებრივი ბაღი თბილისში (ბაღის ესკიზი და სხვადასხვა პავილიონების პროექტი შეადგინა არქ. ოტო სიმონსონმა).

## 2

როგორი ხასიათი ჰქონდა თბილისის ზრდას განხილულ პერიოდში — XIX ს-ის დასაწყისიდან სამოციან წლებამდე?

ფართობის მხრივ ზრდა ძალიან დიდი იყო: სამოციანი წლების თბილისის რამდენიმეჯერ უფრო ვრცელი ტერიტორია უჭირავს, ვიდრე ორი საუკუნის მიჯნაზე ეჭირა. შ. ჩხეტიას მოცემული აქვს ზრდის ასეთი მაჩვენებლები: 1830 წელს თბილისის ტერიტორია გარეუბნებითა და ბაღებით (მაგრამ მტკვრის მიერ დაკავებული ფართობის გამოკლებით) 658.398 კვ.საენი, ანუ 299,68 ჰექტარი იყო. 1850-იან წლებში — 634,6 ჰექტარი, 60-იანში კი — 819,3. მაფიოდ გამოისახა ტენდენცია, რომელიც მას შემდეგ, დღემდის, გრძელდება: განვითარება იგეგმავ, მტკვრის ვასწვრივ, რაც ბუნებრივი პირობებით იყო ნაკარნახევი; სიკანაღეს ვაშლას მთაწმინდა და მახათას მთა ზღუდავდა; ქალაქი მიიწვედა უმეტესად მდინარის აღმა, მის ორსვე ნაპირზე. კალას, რომელიც წინათ ქალაქის ბიზანტი წარმოადგენდა, ახლა უკვე დაკარგული აქვს წინანდელი მნიშვნელობა. ცენტრი გადაადგილდა, ფეოდალური ქალაქის ძველი გულავანი, რომელსაც აღმართიანი ფუნქცია აღარ ჰქონდა, მოშალა; ნარიყალა — ქალაქის აკროპოლისი—ოდესსაღაც მისი ფუნქციური და ხუროთმოძღვრული დომინანტი, წარსულის რომანტიკულ გადმონათლდა დაჩა.

როდესაც ორმოცდაათიანი-სამოციანი წლების თბილისის გეგმას დახვდებით, ერთბაშად მოგეხებება თვალში განსხვავება მის ძველსა და ახალ უბნებს შორის. კალას გეგმა ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების დახლართული, ქაოსური ქსელისაგან შედგება; თითქმის არც ერთი სწორი ქუჩა, არც ერთი, ოღონდ მაინც წესიერი კონფიგურაციის ქვერი, კვარტალი; პატარა, შემთხვევითი მოხაზულობის, მოედნები; ჩიხების სიმრავლე; კვარტალების მეტისმეტი დაქუცმაცება, შენობათა დიდი დახვევა. რამდენადაც ქალაქის გარშემო ბევრი იყო მცენარეულობა, იმდენადვე მოკლებული იყო სიმწვანეს თვით კალა. ყველა ეს თვისება კიდევ უფრო მეტწილად შედგებდა სალაღჯის ქედის ფერობსა და ციხის უბანში, სადაც „ფოლორცების“ დახლართულობას აღმართ-

დალმართებაც ემატება, გარკვევით ჩანს, რომ კალაში მშენებლობა საუკუნეთა მანძილზე სრული თვითღინებით, სტიქიურად წარმოებდა. არ არსებობდა არა თუ არავითარი წინასწარი გეგმა, არამედ, როგორც ჩანს, ელემენტარული რეგლამენტაციაც კი. ამ მხრივ თბილისი არ განსხვავდება შუასაუკუნეების ქალაქთა უმრავლესობისაგან. ასევე ტიპიურია, და არა უჩვეულო, სრული კეთილმოწყობლობა და ანტისანიტარია (ეს ვახუშტისაც აქვს აღნიშნული).

კალას მომიჯნავე გარეთუბანში, განსაკუთრებით სალაღჯეში, უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გეგმის რეგულარული ხასიათი. ურთიერთპარალელურ და პერპენდიკულარულ ქუჩებს შორის მოზრდილი კვარტალებია, მათ შიგნით მწვანე ნარგავები. პარალელური ქუჩების ქსელია გოლოგინის პროსპექტის ორსვე მხარესაც. ახალ ქალაქში ქუჩები უფრო ფართოა, ორიოდ ახალი მოედნის მოხაზულობა ასე თუ ისე წესიერი; ახალი კვარტალების მშენებლობისას იცავენ წითელ ხაზს (Проектированная линия); ქალაქში ეწყობა პირველი სასოგადოებრივი ბაღები. ამგვარად თბილისის მშენებლობაში პირველად ჩნდება გეგმიანი საწყისი, სავალდებულო წესები და ნორმები, რომლებიც რაღაც კალაპოტის ფარგლებში მაინც აქცევს შემდგომ ზრდას. ეს არის პრინციპული განსხვავება ძველსა და ახალ თბილისს შორის. ამ ცვლილების პროგრესული მნიშვნელობა უპიკელობა.

მაგრამ ეს გეგმიანობა მაინც შეზღუდული და ცალმხრივი იყო. რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქის განაპირებზე, სადაც არსებითად, კვლავ ძველებური ქაოსი სუფევს, თვით ცენტრალურ ნაწილებშიც ვრთიან ქალაქგეგმარების იდეას ვერ აღმოვაჩინეთ, ამ მხრივ თბილისი ჩამორჩება რუსეთის იმპერიის მრავალ ქალაქს. რუსეთში უკვე პეტრე I-ის დროიდან ჩაისახა რეგულარული ქალაქის იდეა. რუსეთის ქალაქების ეკონომიური განვითარება, მმართველობის რეორგანიზაცია და მრავალი ახალი დაწესებულების გაჩენა, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა აუცილებლობა ძველ, მოუწყობელ, ქალაქებში, არისტოკრატისა და გამდიდრებულ ბურჟუაზიისთვის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბნების საჭიროება — ყველა ეს მიზეზი ხელს უწყობდა გეგმიანი ქალაქმშენებლობის გაშლას, განსაკუთრებით კი ქალაქის ცენტრთან ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტას. ეკატერინე II-მ 1763 წ. გამოისცა ბრძანებულება „О селении всем городам, им строению и уличам специальных планов по каждой губернии особно“. სამოციან-სამოცდაათიან წლებში შედგა პეტერბურგის ახალი გენერალური





პროექტი და მოსკოვის ხელმეორე დაგეგმარების პროექტი, ხოლო XVIII ს-ის მიწურულამდის, საგანგებო კომისიის მუშაობის შედეგად, შედგენილ იქნა მრავალი ათეული საუბურბრონი და სამაზრო ქალაქის რეკონსტრუქცია-დაგეგმარების პროექტებიც. ბევრი მათგანი ითვისისწინებდა არა მარტო უტოლიტარულ მხარეებს, არამედ მხატვრულსაც: ქალაქის მთლიანი სურათმოდერული ანსამბლის გაზარებას, ცალკეულ ანსამბლებს, ბუნებრივი პირობების მხატვრულ გამოყენებას (ქალაქები: ტვერი, ტულა, იაროსლავლი, ახლად დაარსებული ოდესა და სხვ.).

საბუთების გაცნობა, უმეტესად კი თვით ქალაქის დაკვირვება, გვიჩვენებს, რომ თბილისის, მთელი განხილული პერიოდის განმავლობაში, ამგვარი ერთიანი გეგმა ფაქტიურად არ გაჩნდა, თუმცა მისი მთლიანი ან ნაწილობრივი დაგეგმვის პროექტები შედგენილი იყო.

ქალაქის 1802 წლის გეგმაზე, რომელიც ზემოთ მოიხსენიეთ, ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის მიდამოებში („გარეთუბანში“), არსებულ განაშენიანებაზე „დადებულია“ ურთიერთბარალეული და პერპენდიკულარული ქუჩების რეგულარული ქსელი. უმჯველია, რომ ეს სქემა გეგმის შედგენის თანამედროვე არაა, იგი შემდგავა ზედ დახაზული, მაგრამ როდის—ჩვენთვის უცნობია.

ამვე პრინციპითაა შედგენილი პოლკოვნიკ ბანოვის გეგმაც 1809 წლისა, რომლის პირიც ქალაქის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

1828 წელს მიეკუთვნება მეორე ფრიად საინტერესო საბუთი — *Новый план г. Тифлиса*, რომელზედაც ქალაქის ძირითადი ნაწილების— ავლაბრისა და ვარეთუნის — ახალი დაგეგმვა ნაჩვენებია. კალას ეს გეგმა ხელუხლებლად ტოვებს. საკუთრივ ავლაბარში იგი არ ცვლის ქუჩების არსებულ ქსელს, რომელიც უმეტესად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული, თითქმის პარალელური, ქუჩებისგან შედგებოდა. გათვალისწინებულია მხოლოდ ამ ქუჩების გასწორება, წვირილ-წვირილი შესახვევების გაუქმება და განივი ქუჩების დამატება. ავლაბრის უბანში უფრო რადიკალური ცვლილებებია შეტანილი: არსებულ, სრულიად მოუწყვრივებულ, განაშენიანებას სწორკუთხა კვარტალები ცვლის. ავლაბრისა და ავლაბრის უბნის შეერთების ადგილს გამოყოფილია ექვსწახაგოვანი დიდი მოედანი, რომელიც თავს

უყრის ორივე ამ უბნის ცენტრალურ ქუჩებსამგვარად, აქ ასე თუ ისე მთლიანად გააზრებული, ვარკვეული სურათმოდერული აქცენტების მქონე გეგმასთან გვაქვს საქმე. ვარეთუნის დაგეგმვაში ასეთი ერთიანობა არ ჩანს. სალაღაკი და მომავალი რუსთაველის პროსპექტის რაიონი სრულიად გათიშულია ერთმანეთისაგან გიორგი ბატონიშვილისეული ბაღით. ერთადერთი სახელმძღვანელო პრინციპია აქ რეგულარული კვარტალების შექმნა. ასეთი კვარტალები დახაზულია კიდევ მოცემული ბუნებრივი კონტურების ფარგლებში, მაგრამ ქალაქის მთელ ამ ახალ ნაწილს სურათმოდერულად გამაერთიანებელი არაფერი გააჩნია. ეს თვისება არა მარტო შერჩა განხორციელებულ უბნებს, არამედ მშენებლობის კიდევ უფრო მკაფიოდ გამოისახა კიდევ კუკიასა და ჩულურეთს 1828 წლის გეგმა არ ეხება, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიბაიჯინა უკვე 1827 წ. ვასცა განკარგულება მათი დაგეგმვის შესახებ.

1828 წლის გეგმა, როგორც ჩანს, არ დაუშტკიცებიათ უმაღლეს ინსტანციებში. 1831 წელს ქალაქ თბილისის უკეთ მომწყობი კომიტეტი შედგევ ცნობას აწვდის სამოქალაქო გუბერნატორს:

„По делам сего комитета видно, что Г. Тифлис Высочайше утвержденного плана не имеет. Постройка домов и других строений производится по фасадам, утвержденным Главнoуправляющим в Грузия, или Тифлиским Военным Губернатором. По таким фасадам застраиваются места по проектированным линиям частных планов: сих планов, также утвержденных Господином Тифлиским Военным Губернатором, ввиду Комитета имеется два: один на часть города, именуемую Авлабар, а другой на предместьи называемое Гаретубань. Незастроенных частей города нет, а есть пустопроезжие места, принадлежащие или казне или частным лицам“ (სტრაქონს ზემოთ) „более же всего Духовным Начальствам Грекороссийскому и Армянскому“.

იმავე წელს საქართველოში სარევიზიოდ ჩამოსული სენატორები კუტაისაი და მენჩიკოვი

\* საეგბით ნათელი არ არის, რა ურთიერთობა ავლაბრის ამ გეგმასა და სიბაიჯინის დაგეგმვით ინე. პორუჩიკ ლაზარევის მიერ 1827 წ. შედგენილ გეგმას შორის (იხ. ზემოთ). ყოველ შემთხვევაში, ლაზარევისეულ გეგმასთან დაკავშირებები იხსენიება მოედანი, მცირე ავლაბარსა (ე. ი. საკუთრივ ავლაბარსა) და არსებულ ყაზარმებს შორის. ამ მხრივ ეს ორი გეგმა ეთანხმება ერთმანეთს.



აგრეთვე აღნიშნავენ, რომ „Самый город не амесет ни черты определенной, ни правильности и порядка в застройвании“ და მომავლისთვის აუცილებლად მიიჩნიათ, რომ „на основании общих узаконений при учреждении, или перестройке городов, должно непременно составить план для поднесения на Высочайшую конференцию“. ხოლო ხანამ საბოლოო გეგმა შედგებოდეს, რომ მშენებლობა არ შეფერხდეს, „должно иметь предположительный план сообразный с целью и намерением Правительства, которому и следовать при назначении построек и отводе мест“.

ჩვენ არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო სენატორების დასკვნამ, მაგრამ 1828 წლის გეგმის შედარება უფრო გვიანდელ გეგმებთან გვიჩვენებს, რომ მას მთლიანად უკელოდ არ ჩაუვლია: სალაღვის მშენებლობას ძირითადად ამ პროექტით აწარმოებდნენ, ასე რომ დღევანდელი სალაღვის გეგმაც არსებითად მას ემთხვევა. რუსთაველის პროსპექტის რაიონის მშენებლობასაც 1828 წლის გეგმას ნაწილობრივ გადაუხვევს, ხოლო ავლაბრის განაშენიანებისას იგი სრულიად უგულვებელყოფილ იქნა, თუმცა თბილისის სამხედრო გუბერნატორი სიმეონო უკვე მიწერ-მოწერასაც კი აწარმოებდა ავლაბრის მოსახლეობის ნაწილის აყრის შესახებ ავლაბრის ანალ დაგეგმვასთან დაკავშირებით (მას განზრახული ჰქონდა 97 თჯახი, რომელიც არავითარ გადასახადს არ იხდიდა, გადაესახლებინა შამშადილის დისტანციის სოფელ ჩარდახლოში).

1831 წელს შეიქმნა ავლაბრის დაგეგმარების ახალი პროექტი, რომელიც დამტკიცებული იყო მთავარმმართველ პასკევიჩის მიერ (ინახება სამხედრო-საისტორიო არქივში). ამჯერად პროექტი გამაგრებული უბნის, სანახევროდ სანეაღრი ბანაკის, შქმნას ითვლისწინებდა. სათაური მას ასეც მოიხსენიებხ: „Укрепление... с воинскими и партикулярными зданиями“. ეს პროექტი მხოლოდ ავლაბრის უბანს მოიცავს და არა ძველ, გალავანშემორტყმულ ავლაბარს. ახალი გალავანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ფარავს ავლაბრისუბანს და ორივე ბოლოთი კლდეებს ბუჯინება. დანარჩენი მხარეები ამ კლდეებითა და მტკვრით იყო დაცული. გეგმის საფუძველი აქაც ურთიერთვადამკვეთი პარალელური ქუჩებია, მაგრამ დიდი სწორკუთხა მოედანი (დაახლ. 110x130 საუ.) აქ უკვე ახალი უბნის უკაშია, საკუთრივ ავლაბარს კი მხოლოდ ერთი უბოთხით უკავშირდება. მოედნის ცენტრი უჭირავს ეკლესიას, რომლისკენაცაა მიმართული სამ მხარეს მიმავალი მთავარი ქუჩები. მოედნის ორი მხარე საცხოვრებელ კვარტალებს აქვს დათ-

ვობილი, ორი ყაზარმებს, ოფიცერთა საცხოვრებლებს და სხვ. (ერთი კვადრატის სხვით შეტანილია მანამდის უკვე არსებული ყაზარმებიც).

რაიმე ხუროთმოძღვრულ ანსამბლზე ლაპარაკი აქაც ძნელია; არც ასაგები შენობების სახეა გათვალისწინებული და, არსებითად, თუ არ ჩავთვლით გალავის უქონლობას კლდეების მხარეს, არც აღვიღმლებურთბას (უფრო სწორად, ბუნებას) ეწევა ანგარიში: ასეთი გეგმა მექანიკურად შეიძლება გადავიტანოთ ყოველ ვაკე ადგილს. და მაინც, აქაც საქმე გვექვს ქალაქის მთელი ნაწილის ერთიანად გაზარებულ პროექტთან.

მაგრამ არც ეს პროექტი განხორციელებულა, შესაძლებელია, იმიტომ, რომ 1828 წლის პროექტის მსგავსად, ისიც მოითხოვდა უკვე კარგა ვაზრდილი უბნის მთლიანად დანგრევას. მარცხენა ნაპირის სხვა ნაწილები ფაქტიურად ბევრად უფრო გვიან დაიგეგმა. 1844 წლის გეგმაზე კუჯია ჯერ კიდევ საფლოს სახეს ატარებს. 1850 წლის გეგმაზე კი მას უკვე ქალაქური იერი აქვს მიღებული: ახალი ქუჩები ანგარიშს უწევს წინანდელ სოფლის გზებსა და ხევებს, მაგრამ გასწორებულია და მოწყვრიგებული. ახალი კუჯია, რომელიც ადრე დასახლებულ ადგილს შენდებოდა, უკვე სუსტად სწორკუთხა კვარტალებსაგან შედგება (ქუჩების მაშინდელი ქსელი დღემდე დარჩენილი).

ამგვარად, როგორც აღვნიშნეთ, XIX ს-ის თბილისის მშენებლობას, მიუხედავად გარკვეული რეგლამენტაციისა, ერთიანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული იდეა არ დასდებია საფუძველად. პრაქტიკულად ისიც არ განხორციელებულა, რაც ცალკეული პროექტებით იყო გათვალისწინებული და რაც მაინც შეიცავდა ქალაქის ცალკეულ ნაწილთა ზოგადი ხუროთმოძღვრული გააზრების ელემენტებს.

ძველ, ფეოდალურ, თბილისის თვისი ბუნებრივი დომინანტები — შემკვერი ხუროთმოძღვრული აქცენტები — ჰქონდა: ნარიყალი და მეტეხი. მის ჰქონდა ხუროთმოძღვრული ღირძიც, საიდანაც ყველაზე სრულად აღიმკებოდა ქალაქი: მტკვარი. ნარიყალის განაშენიანებული კაოთები მტკვრისკენ იყო მიმართული. ქალაქის ზრდასთან ერთად, ძველი არქიტექტურული დომინანტების მნიშვნელობა შემცირდა, ისინი ვეღარ სწვდებოდნენ შორს ვაშლილ უბნებს. ახალი ქალაქი ზომ სრულიად მოწყდა კიდევ ნარიყალსა და მეტეხს. მაგრამ ამ ახალი ქალაქისთვის საკუთარი ხუროთმოძღვრული ცენტრი და დომინანტი არ შეუქმნიათ: ერეკნის მოედანი, რომელიც დროთა განმავლობაში ფუნქციურ ცენტრად იქცა, საამისოდ ვერ გამოიყენეს. მისი კონფიგურაცია, არსე-



ბითად, შემთხვევითია, შემთხვევითი იყო მისი დაკავშირებაც ახალი ქალაქის უმთავრეს არტერიასთან — გოლოენის პროსპექტთან. სხვა ქუჩებიც „დამოუკიდებლად“, ერთმანეთისთვის ინგარიშგაუწყველად, ერთის ქალაქის მთავარ მოედანს, მოედნის განაწესიანებას ნაწილ-ნაწილ, შეუთანხმებლად, ხდებოდა, რის გამოც, დროთა განმავლობაში, აქ ძალიან ჭრელი სურათი შეიქმნა. ამგვარად, თუმცა ცენტრის კვარტალები რეგულარულად იყო დაგეგმილი, ამ ცენტრის ახმდვილი ხუროთმოძღვრული ორგანიზაცია აკლდა.

ახალ შენობათა ერთადერთი კომპლექსი, რომელიც 30-იანი წლების მიწურულში ერთგვარ ანსამბლად ჩამოყალიბდა, მთავარმმართველის სასახლესთან იყო: ეს სასახლე, არსენალი და გიმნაზიის შენობა, რომლებიც მოედანს ფარგლადგენენ (ახლანდელი მთავრობის სასახლის ადგილას), ასე თუ ისე ერთიან სურათს ქმნიდნენ, მაგრამ ამ ანსამბლს ხუროთმოძღვრული დომინანტის როლის შესრულება, ცხადია, არ შეეძლო.

იმავე დროს, ახალმა ქალაქმა ზურგი შეაქცია მდინარეს, არსებითად უგულვებლყო ყოველი ქალაქის ჩამოყალიბების ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. კალა ასე თუ ისე მაინც უწყვედა ანგარიშს მტკვარს. ახალ დიდ ქარვასლებს, რომლებიც მტკვრის პირას შენდებოდა, მიესვენ ყრუ კედლები კი არ ჰქონდა მემორთული, არამედ უმთავრესი ფასილები (შადანაეების, არწრუნის, ზუბანაშვილის ქარვასლები, იხ. ქვემოთ). შემთხვევითი არაა, რომ ოცდაათიანი-ორმოციანი წლების ნახატებში თბილისი უმეტესად სწორედ მტკვრის მხრიდანაა ნაჩვენები. ეს იყო, ასე ვთქვათ, ძველი ქალაქის ფასადი, საიდანაც მისი სახე ყველაზე უფრო დამახასიათებლად ჩანდა. მაგრამ გარეთუბნისთვის მტკვარი თითქოს აღარ არსებობს: არც სანაპირო, არც მტკვრისკენ მიმართული ქუჩა გახსნილი ხდით, არც ხუროთმოძღვრულად დამოუკიდებელი ჩასახელებები მაღალი ნაპირდანი. ქალაქის სახლები ზურგითაა მიმართული მტკვრისკენ, ნაპირებზე კი ქოხმახები და ჭუჭყით სავსე შუკები ჩნდება, იქმნება ტიპიური განაპირა, მოუძღვლი და უპატრონი უბნები.

ამგვარად, XIX ს-ის პირველი ათეული წლების მანძილზე, ქალაქის მშენებლობის პროცესში, თბილისის სპეციფიკური ბუნებრივი მონაცემები, მრავალფეროვანი რელიეფი არ ყოფილა გამოყენებული წინასწარ მოფიქრებული ხუროთმოძღვრული ანსამბლების შესაქმნელად.

მაგრამ თბილისის რელიეფი ძალაუნებურად მაინც ახდენდა თავის გავლენას, მან მაინც თავისი გაიტანა ახალი მშენებლობის დროს

ძველი ქალაქის ფარგლებშიაც და ახალ გარეუბნებში, სადაც ქალაქს უშუალო კონტაქტი ჰქონდა ბუნებასთან. მეტეხის უკან, მტკვრის შეველ კლდოვან ნაპირზე, გადაციდული სახლები, ტერასებზე შეფენილი შენობები, კიბე-ბიანი ქუჩები და გასასვლელები ხარფუხში, ციხისუბანში, ფეთხაინთან, მოაწმინდის კალთებზე, გვიჩვენებს, რომ ქალაქის ბუნებრივი სპეციფიკა მაინც პოულობდა სტიქიურ გამოვლინებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ახალი ქალაქის განაპირები საერთოდ ხუროთმოძღვრული მეთვალყურეობის გარეშე იყო დარჩენილი. არქიტექტურა აქ ორგანიზებულად არ „ერეოდა“ საქმეში. საბუთებში პერიოდულად გვხვდება მიწერ-მოწერა და დადგენილებები იმის გამო, რომ სხვადასხვა განაპირა უბნებში (მაგ. მისკოვის „ზასტავათან“) უკონტროლო მშენებლობა წარმოებს. მაგრამ ზომებს მხოლოდ უფასოდ მშენებლობის წინააღმდეგ დებულებენ, განაშენიანების საერთო ხასიათი კი არ იცვლება. ამის შედეგებს ჩვენ დღესაც ვხედავთ თბილისის განაპირებში, რომლებიც XIX ს-ში ჩამოყალიბდა. ასეთი ადგილებია, მაგალითად, მოაწმინდის კალთები არსენას ქუჩის ზემოთ, სადაც ძველი თბილისის უბნების სურათი შეორდება; ფერდობი სამხედრო ქუჩას, ელბაქინის დღემართსა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის. ასეთივეა მთელი ხარფუხი, რომელიც, როგორც ჩანს, საერთოდ ყოველგვარი ყურადღების გარეშე იყო დატოვებული.

სპეციფიკური იყო კალასა და აბანოების უბნის მდგომარეობაც XIX ს-ის მანძილზე გეგმაში თითქმის არაფერი არ შეცვლილა (მას გვიჩვენებს თუნდაც 1782 წლის გეგმის შედარება გვიანდელ გეგმებთან და თვით დღევანდელ გეგმასთანაც კი). იმავე დროს, ცნობილია, რომ ალა-მამაძე-ხანის მიერ დანერგული კალა ხელმეორედ აშენდა სწორედ XIX ს-ის პირველ ათეულ წლებში. რატომ არ მოხერხდა აქ ახალი, გეგმიანი, საწყისების შეტანა? ეჭვს გარეშეა, მიზეზი ის იყო, რომ კალაში უცვლელი და ურყევი რჩებოდა ძველი კერძო მიწის ნაკვეთების ფარგლები, მათი დაქუცმაცება, განლაგებისა და კონფიგურაციითა სრული ქაოსი. ამ კერძო საკუთრების ხელის ხლები ხელისუფლებას, უმეტეს წილად, არ შეეძლო.

1827 წელს გრიბოედოვი კალას შესახებ წერდა: „К перестройке сей части города трудно было приступить: каждый аршин земли дорого ценится, и потому когда хотели привести в исполнение новые планы, — на всяком шагу нарушали права владельцев и тем возбуждали справедливый ропот“.

აქ კმაყოფილებდობდნენ იმით, რომ ვიწრო და მეტისმეტად მიღრეცილ-მოღრეცილ ქუჩა-



შესახვევებს შეძლებისდაგვარად ასწორებდნენ ცალკეული კუთხეების ჩამოჭრით.

კალსა და აბანოების უბნის გვეგმის დეტალები ნათლად გვიჩვენებს განაშენიანების საოცარ ინტენსიურობასა და სრულ უწყესრიგობას, კერძო მიწისმფლობელობათა დაწვრილმანებას. ეს მაგალითები მიეკუთვნება 1828, 1831 წლებს (ასევე იყო ავლაბარშიც: 1847 წელს, როცა ავლაბრის დაგეგმვა და მოწყობა განიზრახეს, გორაკიცივი წყარო: ავლაბრის უბანი „так стеснено постройками, что в проектных кварталах, в коих смотря по величине можно поместить от 10 до 20 и то небольших правильных домовых мест, в настоящее время помещается от 40 до 50 домов“).

წერილი კერძო საკუთრება, დაქუცმაცებული ნაკვეთები ამჩვენებდა არა მარტო ძველი, მკიდროდ დასახლებული უბნების მოწყვლიერებას, არამედ გარეუბნის ახალი ქუჩების გაყვანასაც. ამ ქუჩების „გახსნა“ ზოგჯერ წლობით ჰიანურდებოდა, რადგანაც ზოგი მესაკუთრე, რომლის მიწა (უმეტესად ბაღები) უნდა ჩამოჭრილიყო ქუჩის გასაყვანად, უარს ამბობდა ნაკვეთის დათმობაზე ასე იყო, მაგალითად, ინსტიტუტის — ახლანდელი ცხაკაის — ქუჩის გახსნის დროს. მის სამხრეთის მონაკვეთს, პროექტის თანახმად, უნდა გაეჭრა ბაღი, რომელიც კათოლიკურ-ეკლესიის ეკუთვნოდა. „თბილისის რომაულ-კათოლიკური საზოგადოების ძმობამ“ თითქმის ორი წლით გააჰიანურა ეს საქმე.

რაკი ქალაქს გენერალური პროექტი არ გაჩნდა, ცხადია, არც მისი ფუნქციური დიფერენციაცია ყოფილა ზოგადად გააზრებული წინასწარ. მაგრამ პრაქტიკულად, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ასეთი დიფერენციაცია მაინც გამოისახა. ახალი უბნები — სალაკი, მთაწმინდის კალთები, ნაწილობრივ უბანი გოლოვინის პროსპექტსა და მტკვარს შორის, გაღმა — ავლაბარი, ჩულურეთი, კუკია — საცხოვრებელ რაიონებად იქცა. ახალ უბნებშივე — ერევნის მოედნის გარშემო, გოლოვინის პროსპექტზე, ახლანდელი საკოლმეურნეო მოედნის, კეცხოველის, ვაჩნაძისა და ფურცელაძის ქუჩების უბანში — განლაგდა შთაფრების მრავალრიცხოვანი დაწესებულებები (ზოგი კალამიკ დარჩა, მაგრამ ცოტა). გარეთუბანში სამხედრო უწყების შენობებსაც დიდი ადგილი ეჭირა, განსაკუთრებით გოლოვინის პროსპექტის, ალექსანდრეს მოედნისა და მესანგრეთა ქუჩის მიდამოებში (არსენალი, პაუტკვატი და ორდონანს-პაუზი, კორპუსის შტაბი, გენერალური შტაბი, საინჟინრო სამმართველო, არტილერიის უფროსისა და კომენდანტის სახლები, მესანგრეთა ბატალიონის, გარნიზონის არტილერიის, არსენალის რეტიხა

და ე. წ. военно-рабочие роты-ს ყაზარმები) და მახასიათებელია ქუჩების სახელწოდება ამ უბანში: ვერეიტორის შესახვევი, саперная, артиллерийская, военная, инженерная (სამხედრო-საინჟინრო უწყებისგან).

ერთერთი ძირითადი საცხოვრებელი რაიონთაგანია კვლავინდებურად კალა, სადაც თბილისის ძველ მკვიდრთ მამა-პაპული სახლები და ადგილები ჰქონდათ. იმავე დროს, კალა საცაქრო-სახელოსნო ცენტრად რჩებოდა: სწორედ ეს იყო, რომ XIX ს-ის ბოლო ათეულ წლებამდის თბილისს, ზოგადი ფუნქციური დიფერენციაციის მხრივ, წარსულთან აკავშირებდა.

ფეოდალურ ქალაქში საეპირო დაწესებულებათა და სახელისუბნის ადგილი მტკიცედ იყო ლოკალიზებული. ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს დიდი საერთო ბაზარი და მასთანვე დაკავშირებული ქარავანები წარმოადგენდა, ქალაქის სხვა ნაწილებში კი არც საეპიროები და არც სახელისუბნოები არ არსებობდა. ამას საუკუყვეებით შემუშავებული მიზეზები ჰქონდა: ხელოსანი და ვაჭარი, ბუნებრივია, ცდილობდა იქ გაეხსნა თავისი ღებანი და სახელოსნო, სადაც ყველაზე მეტი მყიდველ-მომხმარებელი ეყოლებოდა. ასეთი ადგილი კი სწორედ ბაზარი და ქარავანსა იყო, ე. ი. ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული ადგილები, სადაც თავს იყრიდნენ ქალაქელი მყიდველნიცა და ჩამოსულნიც. მეორე მხრივ, სახელისუბნის თავმოყრა და მათი დარგობლივი განლაგება აადვილებდა საპოლიციო და საფინანსო კონტროლს, გადასახადების აკრეფას. ზმირად რომელიმე დარგის ხელოსანთა

\* არსენალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაპირველად მდებარეობდა იქ, სადაც ახლა საქართველოს მთავრობის სახლის ზედა კორპუსია; ამიტომ ახლანდელ სასამართლოს ქუჩის მაშინ არსენალის ქუჩა ერქვა: პაუტკვატისა და ორდონანს-პაუზის სახლი კინო-თეატრ „რუსთაველის“ ადგილას იდგა; კორპუსის შტაბის შენობა დღესაც დგას ლენინის მოედანზე; გენერალურ შტაბს ეჭირა შენობა კეცხოველისა და ნატო ვაჩნაძის ქ. ქ. კუთხეში, საინჟინრო სამმართველოს — ახლანდელი ჯორჯიათელის ქუჩის ქვემო ნაწილში; არტილერიის უფროსისა და გარნიზონის არტილერიის შენობები მტკვრის პირას იყო, ახლანდელი ძნელაძის ქუჩის მიდამოებში; კომენდანტისა დაახლ. იქ, სადაც ახლა „ზარია ვოსტოკს“ შენობაა, მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმა ძნელაძისა და ლუწაჩარსკის ქ. ქ. კუთხეში იყო, военно-рабочие როტებს ეჭირათ კვარტალი რუსთაველის პროსპექტისა, ლუწაჩარსკის, ძნელაძისა და პერტენის ქუჩებს შუა.



მთელი ამჟამი ქირაობდა მდიდარი მეპატრონისაგან მთელ ქარავლას ან დუქნების რიგს, ზოგჯერ ამათივე დარგის სახელსწრთა განლაგებას ქალაქის ტერიტორიაზე ამ დარგის სპეციფიკაც განსაზღვრავდა: მაგ, დაბახანები (მეტყავეთა სახელოსნოები), სამღებროები, სანისის სახელოსნოები, რომელთაც წყლის დიდი რაოდენობა ესაკონრობდათ, მუდამ მდიდარის ნაპირთან იყო დაკავშირებული.

ამგვარსავე სურათს ვხედავთ ძველ თბილისში: ძველ კალაშიაც არსებობდა საგანგებო უბნები სავაჭროებისა და სახელოსნოებისთვის. ამ მხრივ, XVIII ს-ის მიწურულის გეგმები კარგა ხნით აღრე შემუშავებულ სურათს გვიხატავს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVII ს-ის საშობადანოთა წლებში, შარდენის თანახმად, ბაზარი მეფის მოედანზე, სასახლის პირდაპირ იყო (ახლანდელი ერეკლე II მოედანთან). XVIII ს-ში ბაზარს, სადაც სხვადასხვა დარგის ხელოსანთა დუქნები იყო თავმოყრილი, უმთავრესად ორი ქუჩა (და მათი მიმდებარე შუკები) ეჭირა: ახლანდელი ლესელიძისა, შუა ბაზრის სახელს ცნობილი, და ერეკლე II-სა, რომელიც ერეკლეს მოედნიდან სიონისკენ მიემართება. 1782 წლის გეგმა ამ ქუჩების ცალკეულ მონაკვეთებს სწორედ ცალკეული დარგების მიხედვით მოხსენიებს: მღებავთა ქუჩა (rue des teinturiers), ოქრომჭედელთა ქუჩა (rue des orfèvres), ოქრო-კავეულისა და აბრეშუმის ქსოვილთა ბაზარი (marché aux quinquailles et soieries), ხარაზების დუქნები (boutiques aux cordonniers), მექაბათა დუქნები (boutiques aux chaudronniers), ბოსტნეულისა და სანოვაგის ბაზარი (თათრის მოედანზე) და სხვ. სიონის გარშემო მღებარეობდა ქარავასლებიც: თბილელისა, ე. წ. „თეკუსი“ და სხვ..

ფეოდალური თბილისის ტრადიციები XIX ს-შიაც დიდხანს ინარჩუნებს ძალას. ახალი ქარავასლები — ზუბალაშვილისა, შადინოვისა, ზემუთოევისა, კეზერელისა — ძველების მახლობლად შენდება. ძველი ქარავასლები ფართოდება და განახლებულ ცხოვრებას იწყებს. აქ იყრის თავს უცხოეთიდან მოსული საქონელი, წარმოებს დიდი სავაჭრო ობერაციებიცა და წერილი ვაჭრობაც. ძველსავე შევიდრ ადგოს რჩება თბილისელ ხელოსანთა ბუდეც. სწორედ ხელოსანთა დუქნები და მათთან დაკავშირებული ყოფა იყო, ძველი თბილისის განუმეორებელ კოლორიტს რომ ქმნიდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მამინდელი მოგზაური, ან სხვა ავტორი, ვისაც კი თბილისზე რაიმე დაუწერიია, რომ არ აეწერა შუაბაზარი და თათრის მეიდანის. „იქვე, ბაზარებშივეა, როგორც ეს საერთოდ აზიამი სწვევიათ. სხვადასხვანაირი სახელსწრთა: ერთი ქუჩა უჭირავთ მხოლოდ მეწუღეებს, მეორე

მეჭუღეებს, მჭედლებს, ზეინკლებს... მჭედლებს, აბრეშუმის მქსოველებს, მესაპურველნი — ყველანი აქ ხალხის თვალწინ მუშაობენ. უცხოელისთვის ეს ისეთი საინტერესოსანახაობაა, რომ ბაზარში გასეირნება ყველაზე სასიამოვნო გასართობია თბილისში“, წერდა კლაპროტი, რომელმაც 1807-1808 წლებში ნახა თბილისი. ამგვარსავე სურათს ხატავენ უფრო გვიან ბარონ ტორნაუ (ოქტაბრის წლებში), დუნკელ-ველინი (1853) და სხვანი (35). ორმოცდაათიანი წლების „აქეკასკი კალენდარიც“ გვიჩვენებს, რომ ხელოსნები და წერილი ვაჭრები კვლავინდებურად კალაში და მეტეხის უბანში იყვნენ თავმოყრილი (დაბახანების აღვლილ — ახანოების უბანი იყო: მათვან მდინარე წიკისის წყალსაც ხომ დაბახანა უწოდეს).

ახალი ქალაქის განვითარება, ცოცხალი ქალაქის გაზრდილი და შეცვლილი მოთხოვნილებანი თანდათან არღვევენ ფეოდალური თბილისის სავაჭრო-სახელოსნოთა ლოკალიზაციის ძველ ტრადიციას, თუმცა ეს რაღაცა ძალიან ნელა და გაუბედავად ხდება და არსებითად არც ცვლის სურათს. ძველი, ტრადიციული ამქრებით შეკავშირებული ხელოსნები, როგორც ვთქვით, ფებს არ იცვლან კალდან. ქალაქის ახალ რაიონებში, უპირველეს ყოვლისა, მკვიდრებიან ახლადშემოსულ ხელობათა სპეცილისტები: მეკორსეტები, ევროპული სამოსელის მკერავები, მექაბეებო, „ფოტორაფისტები“, ქალა ბარიკაბეები, რომელიც თავისთავს „ბარტიტ ბარიკაბეებს“ უწოდებდნენ და სხვ. უცხოელნი სწინან მოდების მალაზიებს, საგალანტერიო მალაზიებს და სხვ. ამ ვაჭარ-ხელოსანთა კლიენტებს სწორედ ახალი უბნების მკვიდრნი — სხვა ზოციალური წრეების, სხვა კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების მქონე ფენების წარმომადგენლები შეადგენდნენ\*. თანდათანობით ძველი თბილისელი ვაჭრებიც მოიწვევენ ახალი უბნებისკენ: ისინიც უღებენ აღლოს ახალ მოთხოვნილებებსა და კომერ-

\* 40-50-60-იანი წლების განთები სავსეა ამ ახალი მალაზიების რეკლამებით: „Французский магазин Фаре. В сем магазине ежедневно выставляются для продажи предметы вкуса и моды...“ და სხვა: К., 1849, № 45; „Зала для уборки волос. Фаре, Санктпетербургский первый Парикмахер, он же Парикмахер Тифлиского театра, выписал из Парижа артиста, который занимается единственно уборкою головных волос, как дамских, так и мужских“, და სხვა. იქვე „Евгений, артист — парикмахер из Парижа...“; К., 1864, № 95 და სხვ.



ეულ პერსპექტივებს. გარეთუბანში აქა-იქ სავაჭრო დაწესებულებები ჩნდება, ერევნის მოედანზე და მის მახლობლად კი ახალი ქარვასლებიც შენდება. ძველი თბილისის ურყევ საკუთრებად რჩება, სახელისთავის გარდა, მხოლოდ აბანოები, რომელთა მდებარეობაც, როგორც ცნობილია, ბუნებრივი მინერალური წყაროებით იყო განსაზღვრული.

ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში დამტკიცებული პროექტები გვიჩვენებს, როგორ ხდებოდა ახალ რაიონებში ცალკეული ქუჩების ასპეცილიზაცია: "ზოგი ქუჩა იმთავითვე შენდებოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ საცხოვრებელი, მაგ.: კომენდანტისა (გრიბოედოვის), არსენალისა (სასამართლოსი), სალაქაის ქუჩების უმეტესობა; მუხრანის ქუჩაზე კი, რომელიც ძალიან სწრაფად შენდებოდა სწორედ იმ ხანებში, ყველა სახლად, პროექტების თანახმად, ღუქნები ჰქონდა (ასევე, ღუქნებით შენდება ყველა სახლი ქალაქის მეორე ბოლოში — 1850 წელს შექმნილ ვირონიციის ქუჩაზედაც. იქ აგებდნენ ქარვასლებსაც, ზოგი სახლი კი, გვეგების თანახმად, სასტუმროსთვის იყო გაკეთდენილი).

რაიონების ფუნქციურ დიფერენციაციასთან ერთად სრულიად ნათლად ისახება ქალაქის ნაწილების სოციალური სახეც: ეს უკვე ძველ, მეფობადად, თბილისშიაც თვალსაჩინო იყო: მეფის მოედნისა და სიონ-ანჩისხატის მიდამოებში არისტოკრატთა ცხოვრობდა, ვანაძორას, აბანოების უბანში, ციხისუბანში — დაბალი ფენები მკვიდრობდნენ. კალაში ბუდობდნენ მოქალაქენიც — ვაჭართა ფენა, ცალკეულ არისტოკრატებს გარეთუბანში ჰქონდათ რეზიდენციები.

XIX ს-ის პირველსავე ათეულ წლებში ერთგვარი გადასაცელება ხდება, არისტოკრატის საცხოვრებელ უბნად გარეთუბანი იქცა, უმეტესად გოლოვინის პროსპექტისა და ალექსანდრეს მოედნის რაიონი. აქ, ძველ ყაბახთან, სადაც ადრევე ემკვიდრნენ ორბელიანები, სახლდებიან გენერალოთა ვაჟი მადათოვი, თავადი დიმი. შალიკაშვილი; გოლოვინის პროსპექტზე — თავადი ალექსანდრე პუშკაევამ, თავ. გაგარინი, თავ. მუხრან ბატონი, პოლკოვნიკი ჯამბაკურიანი-ორბელიანი; ნიკოლოზის მოედანზე სახლს აშენებს გენერალ-ლეიტენანტი ბაგრატიონი, გარეთუბანშივე შენდება თეატრ ბატონიშვილის, ფლიგელ-აიდუტანტის, ერევნის კარაბინერთა პოლკის უფროსის, თავად დიდიანის სახლები; ბაღის (შემდეგში ბებუთოვის) ქუჩაზე დგას თავ. გრიგოლ ბებუთოვის ბაღებით გარშემორტყმული სახლი. ორმოციანი წლების პირესაში არისტოკრატულ უბნად იხსენიება ლაბორატორიის ქუჩა (ახლა ძეგვისსკია).

ქალაქის ბურჟუაზიას კალა არ დაუთმია.

ქარვასლებს გარდა, იქ შენდებოდა ღუქნებიანი საცხოვრებელი სახლებიც. თბილისელ მოქალაქეებს მეგვიდრეობით მიღებული მამულები ჰქონდათ, ზოგმა კი შემდეგშიაც შეიძინა აქ მიწები (დამახასიათებელია: 1823 წ. თავადებმა ზურბამ, ასლან, სამარაღლო, ქაიხოსრო, კონსტანტინე და იაკობ ორბელიანებმა მყიდეს „ორას სამოცი მახანდარის ადლი სახლების ადგილი ტფილისის მოქალაქეს სოლომონ ზაქარიას ძეს აბესალომოს ადლი მახანდარი ერთ თუმან თეთრ ფულად“). ბურჟუაზია სახლდება ავლაბარშიც, უკუთმაიც, მაგარა თანდათანობით ყველაზე უფრო სახარბიელო და მოდურ საცხოვრებელ ადგილად შექმლულ ვაჭარ-მოქალაქეთათვის სალაქაი ხდება. მომდევნო ათეულ წლებში ხომ სალაქაი ქალაქის ბურჟუაზიის უმთავრეს უბნად, ნამდვილ ციტადელად, იქცა. „სოლომონ ისაკი მუჯღანუაშვილის“ ავტორის დამახასიათებელი ეგოლოგია აქვს ჩაჩვენები: სოლომონი დაბადა ციხისუბანში, პაპის სახლში, რომელიც „უფრო მიემსგავსებოდა ღრმა სოროს, დათვის სადგომს, ვიდრე კაცის სადგომსა“. მაგარა როცა იგი ჩარჩობოდა და სპეკულიაციით გამდიდრდა, მან „სოლოლაკზე.. იყიდა დიდი ორბუჯიანი სახლი, რომელიც საუცხოოდ მოაწყო და მორთო“. ავტორის ხაზგასმული აქვს, რომ სახლის შექმნა, სწორედ სალაქაი სოლომონისთვის მისი შექმლვისა და ძალის ერთგვარი დემონსტრაცია იყო.

ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში დამტკიცებული პროექტები გვიჩვენებს სალაქაის ქუჩების სწრაფ განაშენიანებას და ამ რაიონის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას.

შაღინოეების, თამაშევეებისა და სხვა მოქალაქეთა სახლებში განსაკუთრებით გამოიჩინა ქართული ფაბრიკანტის იაკობ ზუბაღაშვილის სახლი, რომელშიაც შემდეგ სასულიერო სემინარია მოთავსდა, და გამდიდრებული გერმანელი კოლონისტის ზალცმანის სახლი ატამიას ქუჩისა და გრაფის ქუჩის კუთხეში (ახლა: კვიციხეელისა და ვანაძის ქ. ქ. კუთხე, საქართველოს სახ. მუზეუმის ერთერთი კორპუსის ადგილას). საუკუნის უფრო წლებში გოლოვინის პროსპექტის მიმდებარე და პარალელურ ქუჩებში უკვე მრავალ სახლობენ, გარდა არისტოკრატული ოჯახებისა, მოქალაქეთა და მოხელეთა ოჯახებიც.

ხარფუნი, ზემოსენიებული ციხისუბანი, ჩუღურეთი, ავლაბარი მთავითვე „დაბალი“ ფენების საცხოვრებელი იყო. ორმოციან წლებში, როცა ხელისუფლებამ ავლაბრის ხელახალი დაგეგმვა და მოწესრიგება განიზარა, ავლაბრის მოსახლეობას ძირითადად სახაზინო გლეხები შეადგენდნენ. მაგარა ავლაბარში და უფრო მეტად ე. წ. ძაღლის საფეღში სახატარო ყმე-



ბიე დასახლებულან. 1847 წელს ვორონცოვმა განკარგულება ვასცა მათი აყრის შესახებ:

„Как по 1047 ст. 9 т. Св. зак. изд. 1812 г. крепостные люди не могут приобретать в собственность никакого недвижимого имущества, то предложить владельцам оных переселить своих крестьян и тем очистить несколько мест для помещения казенных крестьян — წერდა იგი თავის შენიშვნებში ავღარბის მოწყობის შესახებ.

სოციალური დიფერენციაცია ნათლად გამოისახა ქალაქის ახალ ნაწილებშიაც. ორმოციანი წლებიდან მაინც, როცა მშენებლობის ტემპმა იმატა, ცენტრალურ უბნებში მიწის ფასიც აიწია. ნაკლებ შემძლე ფენებისთვის ცენტრი მიუწვდომელი იყო. წვრილი მოხელეები და დაბალი სამხედრო წოდების პირები—სამსახურში მყოფნი და სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცები, გლეხები კმაყოფილდებიან მეორეხარისხოვანი ქუჩებით, უმეტესად კი სრულიად მოუწყობელ ხევებსა და ღრანტეებს ეტანებიან: მთაწმინდის ფერდობებს, უშუალოდ მიის ძირში, ახლანდელი სასამართლოს ქუჩის ზემოთ: სალაგაის ხევს; ე. წ. მოსკოვისა და „კოლოჩაია“ ხევებს („ბალკებს“, ე. ი. დღევანდელ მოსკოვისა და სარაჯიშვილის ქუჩებს), რაიონს მესანჯრეთა ქუჩასა და მტკვარს შორის.

ჩნდება „ნაძაღდევეები“, სადაც მშენებლობა ნებადართულია, ყოველგვარი წესების გარეშე წარმოებს.

ქალაქის ნაწილების სოციალურ დიფერენციაციას შეესატყვისება ამ ნაწილთა კეთილმოწყობაც, თბილისი ამ მხრივ საერთოდ ჩამორჩენილი იყო. რუსული ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ოციოდ წლის განმავლობაში ქალაქის ქუჩები ნანგრევებისგან სვესებით გაწენდილიც კი არ იყო: „Еще в некоторых улицах и на площадях остаются груды разрушенных стен, в которых кой где гнездятся бедные грузинцы“—ო, აღნიშნულია იმდროინდელი თბილისის ერთ აღწერაში. ამას გარდა, ფეოდალური კლასის ანტისანიტარია XIX ს-შიაც გადმოვიდა მემკვიდრეობით. 1827 წელს სამხედრო გუბერნატორ სიბიაგინის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (თბილისის მცხოვრებთა მიმართ) ბირველ მუხლად შემდეგი იყო აღნიშნული:

„ა) მრავალნი სახლის პატრონი ან სრულებით არ უფრთხილდებიან ქუჩებისა და თავის საკუთრის ეზოების წმინდათ შენახვასა. ესრეთსა გაუფრთხილებლობასა, კეთილ დამყარებულს ქალაქებში არა მოსათმუნსა, აქვს ჯერეთ თვით სანეწელი მოქმედებაცა სიმრეთლისათვის მცხოვრებთა. ტფილისის ძველნი მცხოვრებნი უქვეყლად მოიგონებენ, როგორს უბედურობაებს მისციმიან ისინი უწინდელს დროსა,

ქუჩების ეიწროობისა და უსუფთაობისაგან. ამის გამო განუცხადებ მე ყოველთა სახლის პატრონთა, რათამცა ამას იქით დაიცვავენ თავის ეზოებსა და ქუჩებში, თვითეული თავის სახლის წინ საკირო სიწმინდესა. სამოქალაქოს პოლიციას ჩემის ბრძანებისამებრ ექმნება ამანუდ უფიხელებსი ზედა მხედველობა და ურჩითა გარდაახდენიებს“.

ამავე სიბიაგინს ქალაქის კეთილმოწყობის მრავალი პროექტი ჰქონდა: იგი აპირებდა მოსკოვის გზის (მომავალი გოლოვინის პროსპექტის) გაფართოებასა და გასწორებას, მის ორსვე მხარეს ორ მწკრივად ხეების დარგვასა და ტროტუარის დარგებას, ხეების მოღობვას შედებილი ბალუსტრადით; ყაბახის მოშინდაცებასა და მის ზემოთ ტერასების მოწყობას, ახალ გზის გაყვანას რიყიდან ჩულურეთისა და კუკისკენ იმ დონეზე, რომ იგი წყლისდიობისგან დაცული ყოფილიყო; გზების გასწორებასა და კეთილმოწყობას ავღაპარსა და ნავთულში (პოსპიტლისკენ). მაგრამ არც ეს პროექტები განხორციელებულა და არც „უფიცხლებსი ზედა მხედველობას“ მოჰყოლია, როგორც ჩანს, შედეგი, რადგანაც თვით ხელისუფლებას ნამდვილად არც ეცალა ქალაქის კომუნალური მოწესრიგებისთვის. კეთილმოწყობის ბარჯების საგრძობად ნაწილს თვით მოსახლეობა იხილდა. 1831 წელს ზემოხსენებული სენატორები კუტაისიცი და მეჩნიკიცი აღნიშნავენ, რომ ქალაქი имеет вид Азиатского, та же теснота и та же нечистота по базарам и другим публичным местам, при домах на улицах и в канавах внутри города находящихся так, что в самое сухое время года можно здесь находить по некоторым улицам всегдашнюю грязь и вообще дурной запах“.

საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქში არ არსებობდა ტროტუარები და ქვაფენილები (გამონაკლისს გოლოვინის პროსპექტის ნაწილი შეადგენდა). თბილისის ყველა მანხველი ჩივის, ზოგი კი დაწვრილებითაც აღწერს, როგორი გაუვალი ტალახი იყო ქუჩებში და რა სახიფათო იყო ეტლით მოგზაურობა ორმოებისა და ღრანტეების გამო. სამოციანი წლების დასაწყისშიაც კი სურათი არ შეცვლილა. თვით მთავარმმართველის ბარიატიჩისკის ანგარიშის მიხედვით, გოლოვინის პროსპექტი წვიმიან ამინდში ისე იყო ალაფებული, რომ ეტლებს გავლა უჭირდათ, ქვეითთათვის კი სიარული შეუძლებელი იყო.

არც ქუჩების განათებისთვის ზრუნავდებიან. „Об освещении города нечего и говорить; на главной улице, вправо и влево от дома главноуправляющего, горели два тусклых фонаря, да на Эриванской площади



светил фонарь возле полиции, а все остальные улицы старого и нового города оставались погруженными в непроницаемый мрак южных ночей", — წერდა ბარონ ტორნაუ ოცდაათიანი წლებისა და ორმოციანი წლების დასაწყისის თბილისის შესახებ. 1843 წელს, პოლიციისტიტრის ცნობით, თბილისში სულ იყო 227 ნათურა. ჯარისკაცთა „სლაბოდეკები“, ავლაბარი და თვით ცენტრის შესახვევებიც არ ნათებოდა. 1 მაისიდან სექტემბრამდის და აგრეთვე დანარჩენ თვეებში 9-9 დღეს ქალაქს საერთოდ არ ანათებდნენ: განათების ფუნქცია მხოლოდ მთვარეს ეკისრებოდა. ამ წელს, პოლიციისტიტრის შუამდგომლობით, განათების ხანგრძლივობა ორი თვით გააგრძელეს, ასე რომ, წელიწადში 236 ღამე იყო „განათებული“.

მხოლოდ ორმოციანი წლების ბოლოს მოეწყო თბილისში აირის განათება.

თუ ასეთი მდგომარეობა იყო ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა კალაში, ხარფუხში, ავლაბარსა და ჩუღურეთში, გარეთუბნის განაპირებზე, სხვადასხვა „სლაბოდეკებში“.

თუ კი კეთილმოწყობის მხრივ რაიმე ნაბიჯები გადაიდგმოდა, ეს მხოლოდ გარეთუბანსა და, უფრო გვიან, კუციას ეხებოდა. გოლოვინის პროსპექტზე, როგორც ზემოთაც ითქვა, ორმოციანი წლებში ბულვარი მოეწყო: დაგებული იქნა ტროტუარი, დარიგო ხეები, დიდგა სკამები. ერევნის მოედანზე, სალაღაის

არხის გადახურვისა და თეატრის აშენების შემდეგ, გაკეთდა თლილი ქვის აუზი. ორმოცდაათიან-სამოციანი წლების მიჯნაზე, როგორც აღინიშნა, გაშენდა დიდი საზოგადოებრივი ბაღი ალექსანდრეს მოედნის ადგილას (უფრო ადრე, 1844-1846 წლებში, აქ მოეწყო ე. წ. პლაც-პარადი, ე. ი. მოედანი ჯარის სავარჯიშოდ); ორმოცდაათიანი წლების მიწურულში გაკეთდა შოსე მიხეილის ქუჩაზე — მიხეილის ხიდიდან მუშტაიდამდის და დაიწყო კუკიის ქუჩების მოკირწყვა. ქუჩების მოსაწყობად მასალის — ქვის, ქვიშის — მომზადება იმ ქუჩების მცხოვრებთა მრავალეობას შეადგენდა.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო. ქალაქის კეთილმოწყობის პრობლემა მთელი სიმწვავეით მხოლოდ სამოციანი წლებიდან დაიწყო, როცა თბილისი კაპიტალისტური განვითარების საფეხურზე ავიდა. ქალაქის ზრდამ, მისი ფუნქციების ვარტულვებამ — ტრანსპორტის, სანიტარული დაცვის, კომუნალური მეურნეობის უპირველეს საჭიროებათა, ქალაქის მომხარაგებისა და სხვა საკითხები წამოჭრა. საუკუნის მიწურულამდის ქალაქის ბურჟუაზიული რაიონების კეთილმოსაწყობად უფრო რადიკალური ზომები იქნა მიღებული. მაგრამ კიდევ უფრო მეეტრად გამოისახა კონტრასტიც ამ რაიონებსა და ღარიბ-ღატაკთა საცხოვრებელ გარეუბნებს შორის, რაც საერთოდ დამახასიათებელია კაპიტალისტური ეპოქის ყველა ქალაქისთვის.







## გიორგი ხუხუპური

### როდესაც მღერის ახალგაზრდა გული...

ამ ოციოდე წლის უკან მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია პირველად გახშინდა საკავშირო მასშტაბით მოსკოვში, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. მაშინ მთელი სისრულით შეიგრძნო ჩვენმა ქვეყანამ ფალიაშვილის მუსიკის, რუსთაველისა და ვეჟა-ფშაველას უკვდავი ქმნილებების გვერდით თანამედროვე პოეტური სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა მაღალი ხელოვნება. ქართული პოეზიით აღრეც დაინტერესებული რუსი მკითხველისათვის მოძმე ხალხის ეროვნული საუნჯის ასე ფართოდ გაეცნობა დიდ აღმოჩენას ჰგავდა. ეს იყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ქვეშაირი ტრიუმფი, რასაც მღელვარებით იგონებენ ხოლმე პირველი დეკადის მონაწილენი. მას შემდეგ ქართული კულტურისადმი საერთოდ და კერძოდ პოეზიისადმი რუსი მკითხველის ინტერესი კიდევ უფრო გაეხვიებოდა. ქართული პოეზია ღრმად შეიქრა მოძმე ხალხთა კულტურულ ყოფაში და ფართო პოპულარობა მოიპოვა. ახლა, ოცი წლის შემდეგ ვაზაფხულის დამდეგს, საკავშირო ასპარეზზე კვლავ გაიხშიანებს ქართული პოეტური სიტყვა და ამ დიდ დათვალიერებაზე გამოჩენილ ოსტატთა გვერდით ჩვენი ახალგაზრდა პოეტებიც მოსინჯავენ პირველი ამღერების ძალას.

ოცი წელი ცოტა არდია ჩვენს დროში, როდესაც მოვლენები უჩვეულო სისწრაფით ვითარდება. პირველი დეკადის დღეებში დაბადებული ადამიანი ახლა უკვე მოწიფული ვეჟაკია, ცხოვრებაში ადგილი მოუწახავს და პოეზიაშიც მოუწინავეს თავისი სწმა. პოეზიაც სიკოცხლესავით მუდმივ მოძრაობასა და განახლებამია და ახალ-ახალი ტლანტების გამოჩენა მწერლობაში გაზაფხულის მოსვლას ჰგავს. შემოქმედისათვის უდიდესი ბედნიერებაა თუ ხანდაზმულობაშიც გაყვა ქაბუკური ცეცხლი, გატაცება, მაძიებლის სიჯიუტე, მაგრამ ისიც ცხადია: სულ სხვაა პოეტური სიტყვის ძალა და ეშის მაშინ, როდესაც მღერის ახალგაზრდა გული.

დღევანდელი ახალგაზრდა პოეტი ვაზაფხულით

იწყებს თავის პირველ სიმღერას. ეს ხდება, ერთი მხრივ, ბუნების კარნახით, მოჭარბებული ქაბუკური ენერჯის, გაუმხელელი გრძნობებისა და განცდების პირველად გამქლავების წყურვილით. მეორე მხრივ, მასში სიმბოლიურად ისახება ჩვენი ცხოვრების სოციალური კანონზომიერება, მისი მთავარი პათოსი. ამიტომ ვაზაფხულზე ამღერებაში ვგზობოკა კი არ არის, არამედ მომჯადოებელი უშუალობა და ხალასი მგზნებარება სიქაბუკისა.

პირველი პოეტური შთაგონება უმთავრესად მშობლიურ ბუნებასთან უშუალო ურთიერთობაში იბადება. ამიტომ ბუნების ფერები და სმუბი ვადადის პოეტურ სტიქონებში და ლირიკული სურათები ან მონოლოგები დღევანდელი კაცის განწყობილებებით მისი სულიერი მიღრეკილებებითაა აღბუქდილი. საქართველოს ბუნების მშვენიერება სხვადასხვაგვარად გამოსახულია რუსთაველის გენიალურ პოემაში, თაბარის ჩუქურთმებში, ვეჟა-ფშაველას პოეტურ შედევრებში, ვალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში თუ ნიკო ფიროსმანისა ან ლადო გულიაშვილის ტილოებზე. ბუნებრივია, რომ სულ სხვაა იგი დღევანდელი პოეტის ალქმსშიც. ისიც ცხადია, რომ ყოველი ახალგაზრდა შემოქმედის შთაგონებ მშობლიური ბუნებისა და ყოფის მხატვრული შეცნობისა და ათვისებისას მერტნაკლებად ეწყარება ლიტერატურულ ტრადიციებს. ეს მქლავნდება ცხოვრების პოეტური ასახვის კულტურაში საერთოდ. და მინც ყოველი ახალგაზრდა ხელოვანი საინტერესოა სინამდვილის დანახვასა და გამოხატვაში ინდივიდუალური თვისებების გამომქლავნებით. ეს არის პოეზის მარადიული განახლების სათავე, ესაა შემოქმედების მუდმივი კანონი. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ამ ოცი წელიწადში ქართულ პოეზიაში დამკვიდრებული ყველა ახალგაზრდა პოეტი ერთნაირი ძალით არ ამქლავნებს ინდივიდუალურ მხატვრულ თვისებებს, პოეტური მიღვივებისა და ორიგინალურად გამოხატვის უნარს. უფრო მეტიც,



ისინი განირჩევიან ასაკითაც, ბიოგრაფიითაც; ყველაზე უფროსი მათ შორის შესაძლებელია ჰოლარაგარეული იყოს, ყველაზე უმცროსი კი ახლა იყენებდეს უღვაწს. ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად მათ ანსხვავებს შემოქმედებითი პრაქტიკაც. მაგრამ არის ბევრი რამ საერთო ამ ახალგაზრდა პოეტებს. ეს იქნება ახალგაზრდული შემართება, ტემპერამენტი, ემოციების სიჭარბე, თუ ახლის ძიებისა და მიგნების დაუშრეტელი წყურვილი. ეს ყველაფერი სიკაბუჯის თანამგზავრია და ახალგაზრდობის პოეზიას თავისებურ, განუმეორებელ დაღს ასვენს. რამდენადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ახალგაზრდა პოეტები ერთმანეთისაგან თავიანთი პირადი ბედით ცხოვრებაში, ფერთა პალიტრით, ინტონაციით, მათ აქვთ ბევრი საერთო ბიოგრაფიაშიც და მხატვრულ თავისებურებაშიც: აქ თანაბრად საგრძობია თაობის საერთო ბედი და მხატვრული სტილის ნათესაობა. ხომ არიან ცხოვრების მოვლენები, რომლებიც მეტნაკლებად ყოველ მოქალაქეს ეხება და კვალს ტოვებს მის სულიერ ცხოვრებაში. ამ ოც წლიწაღში მწერლობაში გამოჩენილი თაობისათვის ასეთი იყო სამამულო ომი. ისინი თავისუფალ ქვეყანაში დაიბადნენ, აკენიდან აწყვეთ სოციალისტების სიხარული, ამან დაბადა პირველი სიმღერებიც. მაგრამ შემდეგ ამ თაობას მოუხდა მამა-პაპათა სისხლით მოაოგებული ახალი ცხოვრების დაცვა. ამ ისტორიულ ამბებში ჩამოყალიბდა უსთავრესად დღევანდელი ახალგაზრდა მწერლების ხასიათები, აქ გამოიწროო მათი სულიერი სამყარო. ეს ნათელი გახდება ქვემოთ, როდესაც ზოგიერთი მათგანის პოეზიას კონკრეტულად, დამახასიათებელ შტრიხებში მოგხაზავთ.

ამ თაობისათვის დამახასიათებელი ისიცაა, რომ მას გაკვალული დაუხვდა რეალისტური პოეზიის გზა. ამიტომაც იშვიათია მის ლიტერატურულ ბიოგრაფიაში მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური წინააღმდეგობანი. მისი პოეტური სიტყვა არა ესთეტიკის საკითხებზე პოლემიკაში, არამედ თვით ცხოვრების დღეობაში იწრთობდა. იგი არ მოქცეულა წინა თაობის მხატვრულ პრინციპებთან წინააღმდეგობაში და ჩვენს პოეზიაში მოვიდა, როგორც ღირსეული ცვა. ეს სრულიად არ მოსწავებდა ენოგონობას, ბრმა მიმბაძველობას, რადგან ამ ახალგაზრდობის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენლები ყოველთვის ესწრაფვოდნენ ორიგინალური ინტონაციის, თავისებური მხატვრული ფორმის შემუშავებას.

ხომ ცნობილია ისიც, რომ ცხოვრების სიყვარულით აღტყინებული ახალგაზრდა ადამიანის მაძიებელი ბუნება მუდამ ახალ-ახალ სიგრეებში და სიღრმეებს ელტვის. იგი სხვაგვარად ხედავს, მას სხვანაირად ესმის. ესაა ძიება მშვენიერისა, ამალბებულისა და ამ ლტოლვაში არას

სიკაბუჯის რომანტიკა. მის წინაშე იშლება სამყაროს შორეული გზები და ახალგაზრდა პოეტი მოგზაურის გატაცებით მიჰყვება ამ გზებს. მას სჯერა, რომ „Поэзия вся-езда в незнаемое“ და მოწოდებული კიდევ ახალი აღმოჩენებისათვის. ნუ შეგვაშინებს იმის თქმაც, რომ ამ მისწრაფებაში არის უკიდურესობანიც, არის გათვლილი გზით სიარულის შემთხვევებიც. ეს მეტნაკლებად ნიჭება დამოკიდებული და რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება ძნელია. შეიძლება ასედაც მოხდეს ხოლმე, რომ აღიარებული ნიჭი მოულოდნელად „ჩაქრეს“, ხოლო ყველასთან მივიწყებულმა ახალგაზრდამ ნახტომი გააკეთოს და უცებ წინ გაიქრას პოეზიის სარბენ ბილიკზე...

გულითაც რომ გვინდოდეს, ძნელად რომ შევძლოთ ერთ წერილში ვეგზო განსხვავებული, მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედების ვიანალიზება, და, თუ ზოგიერთ მათგანზე შევანერგებთ მკითხველის ყურადღებას, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ფონზე ახალგაზრდა სიტყვის ოსტატების შემოქმედებით გზაც გამოიჩნდეს. დავიწყოთ მათგან, ვინც ნაადრევად განშორდა ჩვენს პოეზიას და აღრე შეწყვეტილი სიცოცხლე უქნებობი სიკაბუჯის ლექსებში დასტოვა.

ბევრი მათგანის სიმღერა ომის წლებში შეწყდა. ზოგი მტრის ტყვიამ განგმირა, ზოგიც განუკურნებელმა სენმა. ასეთი ბედი ხვდა ლდო ასათიანს, რომლის სიმღერის ძალა ვერ შეასუსტა ქლექით დაცხრილულმა ფილტვებმა. გაზაფხულზე, მშობლიურ მიწა-წყალზე, სიცოცხლე უსახლოვოდ შეყვარებული იგი მთელი ხმით გაჰკიოდა:

„როცა სიცოცხლე ასე ნაგარდობს,  
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ.  
და იმ მშვენიერ დღეს გაუმარჯოს —  
როცა ჩვენ გაგჩნდით ამ ქვეყანაზე“.

ამ პოეტის ლექსები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ქვეყნობიერად გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს, ამიტომ ცდილა ბევრის თქმა მოესწრო. ამიტომაც უჩვეულო სისავსა მის ლექსებში სამშობლოს ფერების, ოვოლათის განუხატავში. „მჯერა ამ დილა სიცოცხლის კართონ თვითონ სიკვდილსაც გარდაქმნი ლექსადო“, წერდა იგი. ლაღო ასათიანი ომში არ დადებულა, თბილისურ გაზაფხულს შეხედა უკანასკნელი, მაგრამ მისი პოეზია გაელენითლია მეორეული, ვაქეცაური სულისკვეთებით. აქ ომანია ყვირია ისმის ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, სამას არაგველთა, მიაა წყნეთელის და თამარ გაშლოვნელისა; აქ ცოცხლებიან დარბეული და მაინც უძღვევ ციხე-კოშკების მეციხოვნენი, ისმის მიწასთან შერბილი გუთნისდედის სიმღერა, მწყემსის



სალამურის ემზიანი ხმა. დიდი, ვნებიანი სიყვარულით უყვარს პოეტს საქართველო, მისი წარსული და აწმყო, ესის თბილისის ქუჩების სიმღონია, მსუყე ფერებით ხატავს მშობლიურ ხარუნალოს, ცაგერში გამართულ კოლმურენთა ბაზრობას; მისთვის სათაყვანებელია სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანი, ხალხური ნიჭიერებისა და ალაღმართლობის სიმბოლო, რომანტიკული პიროვნება, ბრწყინვალე ოსტატი («ბარდნაღა», «ცაგერის ბაზრობა», «ფიროსმანის მეგობრებთან», «სალაღობო»). იგი ესწრაფვოდა პოეზიაში ისეთ წრფელსა და მომხიბლავ ამღერებას, როგორც მღეროდა ბრწყინვალე მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. იგი ცოცხლობდა და ქმნიდა «ერთი იმედით: სიცოცხლე მზად გაჭმედლეს ქვეყნად და განმირდეს». შერყეული ჯანმრთელობა ხშირად სიკვდილზე დააფიქრებდა პოეტს, ამას შეჰქონდა დრამატული სული მის ლექსებში («სასაფლაო»). ამჯერადაც იგი სიცოცხლისა და გაზაფხულის მეზობედ რჩებოდა და თავისი ქვეყნის დიდ ცხოვრებაზე გულმუხურვად მღეროდა. ადრე შეწყვეტილი მისი სიცოცხლე პოეზიის დიდ გაზაფხულს შეუერთდა და უთვალავი მორტფიალე შეიძინა. სამღერაში «დაბერილმა ფილტვებმა» უმტყუნა, მაგრამ თვითონ სიმღერა მისი პოეტური სახელის ერთგული დარჩა. ის ასათიანის ლექსის ემოციონა ბუნებამ, გრძნობაჰარობამ ტრნის მისცა შემდეგში ბევრი ახალგაზრდა პოეტის პირველ ამღერებას.

თითქმის იგივე ბედი ხედა წილად ალექსანდრე საჯაიას. გაზაფხულზე ამღერებული პოეტი შემღღგობაზე მოკვდა. წყაროსავით დაწმენდილი მისი ხმა ქართულ პოეზიას შეუერთდა, დიდი სისპეტაკე და სიწრფელე შემოიყვანა თან. «ძმებო გული მაქვს ასჯერ მართალი და ამ წყაროზე ათასჯერ წმინდა» («წყარო»), წერდა იგი და უანგაროდ უმღეროდა საქართველოს მზეს და ზეცას, გმირულად დაღუპულ ოლეგ კოშევილის აღიდგება, ეჩმიანიწმ ვაცნობილ სომეხ მეგობრებს სმღერას უძღვნიდა ძმობისა და სიყვარულის ნიშნად. მისი ლირიკული ხმა თანატოლებში უჩვეულო სინაზით, კეთილშობილი გულახდილობით გამოირჩეოდა.

ლადო ასათიანისა და ალექსანდრე საჯაიას გულზე ჯერ კიდევ არ გაეცივებინა თბილისის მიწას, როდესაც მათი მეგობარი და ოანტროლი პოეტი-მეომარი მირზა გელოვანი ბრძოლის გულზე დაეცა. იგი ვაჟაფშაველას გმირების სამყაროში დაეკავცა, თიანეთის მთებიდან გამოიყოლა დაუდგვარი, შფოთიანი სიმღერა და ქართულ პოეზიაში კიდევ ერთხელ გასმინა ხმებერაზმა კავკასიონმა და იორის ტალებმა; მირზა გელოვანის პოეტური შთაგონება განახლებული მითიანეთის ყოფით იყო ნასაზრდოები და მის ლექსს მთიელის ფიცხი ბუნება, ტემპე-

რამენტი და ძარღმეგრობა სხვებზე მეტად ემჩნეოდა. მშობლიური მთებიდან სმოლენსკსა და პოლესიემდე მან მედგრად გაიქროლა და ცისარტყელასავით დასტოვა კვალი თავისი მოკლე ცხოვრებისა ქართულ პოეზიაში. იქიდან, ბრძოლის ქარცეცხლიდან მირზა საქართველოს გაზაფხულს და მთებში დარჩენილ გულისწორის ეტრფოდა, ვაჟაფშაველას ლექსებს მეომრის სუნთქვასა და გულის ფეთქვას თან აყოლებდა: «როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, შენი ლამაზი თული მელოდეს», წერდა იგი შეყვარებულს და თავის მღელვარე ლექსებში ექვიან მოუსვენრობას, შფოთვას და მშვიდობიანი ყოფის წყურვილს ამეღვენებდა. მას უსაზღვროდ უყვარდა გარდაქმნილი მშობლიური კუთხე, პატრიარქალური ადათების რღვევას დრამატული მღელვარებით გაზოხატავდა ლირიკულ ნოველებში. შესანიშნავი ლირიკული პოემა «აონ» დიდი ტივილებითა და წინააღმდეგობებით დამკვიდრებული ახალი ყოფის სურათებს აცოცხლებდა. მასში უკანასკნელად რკედა ძველი ცხოვრების ზარი და ახალი ცხოვრების დაბადება ვამბულ გუგუნად ისმოდა. მთავლი მოხუცის ტრავესიამ აქ მეღვანედებოდა ნიშანდობლივი შეჯახება ძველისა და ახლისა ჩვენს დროში. ეს მოტივები ქმნიდა მირზა გელოვანის პოეზიის დრამატულ სულს. ფორტულ ლექსებშიც იგი გულახდილი და ცაძლე გამართალი იყო. არც ვაჟაფშაველას უღალატნია, არც წუთიერი კრთობა დამუშავის ბრმა ტყვიასა და უეცარ სიკვდილზე:

„ამაღამ ჩემი სევანური მუხლი  
გადავანთებამ მტერთა ბლინდაეებს.  
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხარი,  
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიყარეებს“.

იგი მართლაც ბრძოლის ველზე დაეცა და დაუწერელი სტრიქონი სამშობლოზე ლოკეში გაყინულ ბაგებზე შერჩა. მისი ლექსები პოეზიის გაზაფხულს შეუერთდა და ადრე შეწყვეტილი სიცოცხლე ფიცხმა სტრიქონებმა შეავწყვეტილი სმღერასავით შეინახეს.

ამ პოეტების შემოქმედებაში საერთო თავისებურებად შეიმჩნეოდა შინაგანი ექსპრესია და ხალასი ემოციურობა. მათ ხელში სიტყვა და პოეტური ფაზა უადრესად დიდ სულიერ მოძრაობთა დამტვეი ხუნბოდა და მომხიბლავად ეღვარებდა. პოეზიის ამ გზით წარმართვა კანონზომიერი იყო რეალისტური მწერლობის ბუნებისათვის საერთოდ, რაც სქემატიზმისა და რიტორიკული ელემენტების დაძღვვის ხარჯზე ხდებოდა. ეს იყო ბუნებრივი გაგრძელება ვალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა პოეტური ტრადიციისა, ამავე დროს ეს პროცესი მწიგნობრული ასოციაციების უგულვებელყოფითაც ხსიათდებოდა



და პოეტური მეტყველების შეგნებულ გამრავალგონიერებას გულისხმობდა. ეს ხდებოდა არა ხალხური პოეზიის ფორმების მექანიკურად მოშველიების გზით, არამედ პოეზიის მაღალი ენის გამსჭვალვით, ახალი შინაარსით, მის ყოფისთან მიხედვით. ამ პოეტებს თვით უკიდურესად სუბიექტური ტვიკივლებს გამოხატავს კი არ ახასიათებდათ ინდივიდუალისტური განცდილობა და პოზიორობა. ისინი მართალი და უშუალონი იყენენ და მათი პოეტური სიტყვა ამაზე დიდებულ მშვენიერებას არც საჭიროებდა. ამიტომაც მათ მართალ სტრიქონებს, როგორც კეთილშობილ ლითონს, ჟანგი არ მოჰკიდებია.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში მართებულად აღინიშნა, რომ ახალგაზრდა პოეტი მურმან ლებანიძე თავისი შემოქმედებით ახლოს დგას ლადო ასათიანის მხატვრულ სამყაროსთან. მურმან ლებანიძის პოეზია სტილითაც და თემებითაც ენათესავება ლ. ასათიანის პოეზიას და ამას აქვს თავისი გამართლება. ჯერ ერთი, მურმან ლებანიძისთვის, ისე როგორც ლ. ასათიანისთვის, რაქა-ლენჩხუშში მიღებული ბავშვობის შთაბეჭდილებანი ვრცელ პოეტურ შინაარსს მოიცავდნენ და მომხიბლავობას ყოველთვის ინარჩუნებდნენ. მშობლიური ბუნების კლორითი აქ ერთნაირად ასაზრდოებდა ორივე პოეტის შთაგონებას, განსაზღვრავდა მათს ფერწერასა და მელოდიებსაც კი. მეორე მხრივ, მურმან ლებანიძე ბოლომდე ერთგული დარჩა ლადო ასათიანისთვის დამახასიათებელი მხატვრული პრინციპისა, რაც გულმართლობაში, უკიდურეს სიხალხეში, „კაკის ლექსზე ქვევში“ გამოიხატებოდა. მშობლიური ზეარეთის რომანტიკული ტრფიალი მას დღემდე გამოჰყვა და „უფრო სოფლური და ვაკეთური“ თავჯანსიციემული დარჩა იგი ბოლომდე („გახსოვს გიგა“, „მესტორიის სიკვდილი“). „ნეტავი მამახულინა ზეარეთის მთების ტალახი“, წერს იგი ერთ თავის ლექსში და ამით მშობლიური კუთხის ღრმა სიყვარულს გამოხატავს. იგი ლაღიმერა გოშაძის გამართული გუთნისა, ნამუსიანი რაქველი მესტორის, გულმხიარული სამგორელი თუ ზეარეთელი მონადირეების მომღერალია და მის ლირიკულ სურათებზე ხალხური ყოფა გაცილებული. მურმან ლებანიძის პოეტურ ბიოგრაფიაში ომის ქარცეცხლში გატარებულმა დღეებმა წარუშლელი კვალი გაავლეს და პოეტის სულიერ ცხოვრებაში დიდი ძეგრა მოახდინეს. ფრონტიდან დაბრუნებულს მას თან მოჰყვა ნამუსიანი ქული ქართველი მეომრისა („მეომრის ქული“) კრანოდართან თუ მარუხთან დანთებული ბრძოლების ცეცხლით შერუჯული და ლენა გორლოვას თვალების ცხარე ცრემლებდაფრქვეული. აქ იგრძნობოდა მეომრული შემართებისა და ფრონტზე განცდილი სიყვარულის დრამაც („მამიდაჩემი“). უფრო გვიან იგი კვლავ იხსენებდა იმ მრისხანე დღეებს და სტალინგრადის მშენებლებს გულანთებული მიმართავდა, მაგ ნანგრევებში ერთი ადგილი დასტოვებდა ძეგლადო („სტალინგრადის მშენებლებს“). ბოლო წლებში მ. ლებანიძის ინტონაციამ ერთგვარი ცვლილება განიცადა და მის ლირიკულ ხმას ფიქრიანობაც დაეკრ. („მამა, ბავშვობა, გოგლის ქუჩა“) გოგლის ქუჩაზე გატარებული ცხოვრების სურათები ორგანულად დაუკავშირდა პატიოსანი და ლეწლმოსილი მამის სახეს. აქ ქალაქური ყოფის სურათებში მისი პოეზიის ლირიკული გმირი ახალი კუთხით გამოჩნდა, ხოლო მისი ლექსის ახლებურმა ინტონაციამ მხატვრულ სფეროში პოეტის ძიებებზე მიგვანიშნა.

სამშობლოს სადიდებელი სიმღერები ახალი ძალით გაისმოდა ზურაბ ლორთქიფანიძის პოეზიაშიც, ქვეყანა „მორთული მზითა და მწვანე ზეარებით“ მას უსაზღვროდ უყვარს და ამ სიყვარულს ალაღმართლობით გამოხატავს. იგი მშობლიური ქვეყნის ბუნებაში გულგაღვლილი მღერის და ლექსით, ვაკეკობის, ლხინისა და მეგობრობის ქვეყანას ასე ეფიციება: „წავლენ დღეები და ნელა-ნელა სიციცხლე შენზე დამეხარჯება“. მას ძალუძს ორგინალურ მეტაფორებში გამოხატოს საქართველოს ბუნების მონუმენტურისა, არაგვი მთების ქვევებში გამოხდილ არავს შეადაროს ან ქუთაისელ ავტომანქანაზე თქვას: მანდ ფრთხილად, სადმე მოულოდნელად ჩემი ბავშვობა არ გაიტანათ. მისი პოეზიაც რიონის ქალღმის, თბილისის ქუჩების თუ ვარძიის მღვიმეების რომანტიკული მშვენიერებთან ამაღლებული. თანამედროვე პოეზიის მთავარი თემებისა და მოტივების სფეროში იგი თავისებურ სიღრმეებს ბოქლობს.

სამამულო ომის ფრონტიდან მოვიდნენ ჩვენს პოეზიაში ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და აკ. გეწაძე. მათს პირველ სიმღერებში დენისის სურათი იგრძნობოდა და სიკვდილთან ბრძოლაში ნაწრთობი სიციცხლე ზეიმობდა. ვ. გორგანელის პოეზიას სტალინგრადის ანთებული კედლების ალი მოჰყვა, გამარჯვების სიხარულს დაღუპულ მეგობრებზე დარდი შეეზავა. ამან გამსჭვალა მისი ლექსები მკაცრი სიმართლით. მე დაღუპული მეომრის თან დამაქვს ფერფლი და მისი ლანდი არსად მასვენებსო. წერდა ვ. გორგანელი („ფერფლი“). ვისილადან ციფგომპორის კალთებთან დაბრუნებული ოფიცრის ცხოვრებაზე ჰყვებოდა ლირიკულ ლექსებში თ. ჯანგულაშვილი. მშობლიური კახეთის ბარაქიანი ვენახებიდან წამოსული დამართობელი სურნელება იგრძნობოდა მის პოეზიაში. ომგადახდილი პოეტი დრო და დრო გერმანიაში თრუთესა და ბრესლაუში განცდილსაც გაიხსენებდა და მეომრის გულწრფელობით გვიზიარებდა დიდი ომის ამაღლებებზე ამბებს. თუ თ. ჯანგულაშვილის მეომრული ბიოგრაფია ლექსებში



ლირიკული მღვდლარებითა და მგრძნობიარებით ხასიათდებოდა, ა.ე. გეწამე რაჭველი გლუხკაცის გულახდობლივით, ამღერების ხალხური კილოთი გეხმარებოდა. მისი წიგნი „ჩემი ასეული“ ომიან დაბრუნებული და ყანას შევიდებული გლუხკაცის სუნთქვით იყო გამთბარ; „წყარო მაქვს პატარა, სოფელიც პატარა, დიდი მაქვს სამშობლო, დიდი მაქვს ფიქრი“, მღეროდა გერმანულ დარბაზებში ფაშისტური სესატიკიანი დროშების გამოთლავი ქართული კაცი. ა.ე. გეწამის ლირიკული გმირი აჯეჯილებულ ყანაში ომგადახდილი და გულმზიარული ჩანდა, დრო და დრო თავისი ასეთლის ბიჭებს რომ იგონებდა სამშობლოს უსაზღვრო სივრცეში მიმოფანტულს, ახლა რომ „მიბაიჯებენ კომუნისტური ფეხანუობილი“. მის ლირიკას ათბობდა დამახასიათებელი ხალხური იუმორი, ენაწყლიანი მახვილი სიტყვა, რაც ადამიანს სიკვდილითან ბრძოლასაც უადვილებს. აქაც ჯეჯილის სუნთქვაში და მზის ტალღებში გაზაფხულის გულისცემა იგრძნობოდა.

თმისშემდგომი პირელი წლები ბევრი ახალგაზრდა პოეტის მოსვლით აღინიშნა ქართულ ლიტერატურაში. ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე ჩნდებოდა ახალი გვარები ლექსების ქვეშ. ზარბაზნების ქუბოში ნაწირითი სიკაბუკის პოეზიამ მშვიდობიან წლებში კიდევ უფრო გაშალა ფრთები სამშობლოს მოზღვავებული სიხარულის გამოსახატავად. ამ ახალ პოეზიას ტრადიციული თემებისა და განწყობილებების ახლებურად დამუშავებასთან ერთად მოჰყვა თაობის ახლებური ბიოგრაფია. აქაა სიკაბუკის პოეზიის მხათი და ფერთა უჩვეული სიანხის უშრეტო სათავე. პოეტური ფორმის თვალსაზრისით ამ ახალგაზრდათაგან ზოგი მგრძნავლად ტრადიციულია, ზოგიც მკაფიოდ გამოირჩევა მხატვრული ნოვატორიებით. პოეტური ფერწერის საერთო ფონზე ზოგი წინა თაობის მხატვრულ მიგნებებს ეყრდნობა, ზოგიც ხალხური პოეზიის ფორმების გადამუშავებით დამოუკიდებელ ინტონაციას ქმნის. პოეტური მეტყველების ხალხურ კილოსთან ორგანულად შერწყმით ოთარ ჭელოძე და ოთარ მამფორია ქმნიან საინტერესო კოლორიტულ ლექსებს. ისინი მიდრეკილებას იჩენენ ხორცსავე ლირიკული ფორმებისაკენ, ცდილობენ მიზანონ სიტყვა ენერგული და ხატოვანი. ეკრძოდ, ო. ჭელოძის ლირიკას ეტკობა სიუჟეტრობისაკენ მიდრეკილება; ბალდა მისი სტიქიაა, როგორც ისტორიული თემბიკის ისე დღევანდელი ადამიანის სულიერი აღნაგობის გამოსახატავად. ოთარ ჭელოძის პოეტური სტილისთვის ხალხური პოეზიის ინტონაციების თავისებურად გამოყენება დამახასიათებელი. მის ლექსებს, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი შედარებით, მეტაფორებით შექმნილი სურათოვნება ახასიათებს, მეორე მხრივ — პათე-

ტიკური, მაღალფარდოვნებამდე მისული ამღერება. მას მკაფიო ტონები უყვარს ბუნების სურათების ამღერებისას თუ პირად განცდების გადმოცემისას. მიდრეკილებას იჩენს, ერთი მხრივ, ლექსის მთლიანი ქვრეალობისაკენ, მეორე მხრივ, ზატოვან სიტყვადა სიუბვისაკენ ამიტომ მის ლექსებს პოეტური ენის საცვლეობა და კოლორიტულობა თან დაჰყვება. ჩარჩო იგი ვერ თავსდება ლირიკული ლექსის მანჩრებში, ქმნის ფართო პლანის ეპიკურ პოემებს („ზღვას დაბადება“, „ქიტესა“ და სხვა). ამ მხრივ იგი ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედია ქართველ ახალგაზრდა პოეტთა შორას.

პოეზიის განვითარების კანონმა დღევანდელი ლექსის ფორმების გამრავალფეროვნება აუცილებელი გახადა და ამ მხრივ სერიოზული მხატვრული ძიებებიც დაიწყო. აქ შეიმჩნევა, როგორც საერთო მიდრეკილება პოეზიის გადახალისებისაკენ, ისე ღრმად ინდივიდუალური მიგნებები და თავისებურებანი, რაც ქვეშაირტ ნიქს თან ახლავს ხოლმე. ზოგნი ამას აღწევენ ქართული ენის რთულ, მრავალმხრივ სემანტიკურ ბუნებაში ჩაღრმავებით, ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით ორიგინალური პოეტური მეტყველების შექმნით. მეორენი კი მხატვრული სახეების, მეტაფორული აზროვნების ორიგინალურობით, მესამენი—რიტმული მრავალნაირობის, ახლებური მელოდიების შექმნით ან ლირიკულ ფორმებში ყოფილი, პირობური ელემენტების შემოტანით, მეოთხენი—ინტელექტუალური ინტონაციით, რაც პოეტური მსჯელობითა და ჩაფიქრებით ცვლის ამღერებისა და გრძნობაქარბობის პათეტიკურ ინტონაციებს.

შეიძლება თქვას: არც ერთ ახალგაზრდა პოეტს არ მიუღწევია ქართული ლექსის ისეთი სრულყოფისათვის, როგორც ეს შეძლო პოეტმა ჭალმა ანა კალანდაძემ. იგი ომის შემდეგ მოვიდა ქართულ პოეზიაში და უფაქიზესი ლირიკული ზმა პირველი ქალის დიდი შინაგანი სიმშინდით შეაგება ომგადახდილ თანატოლთა მწერლობას. ანა კალანდაძის პირველსავე ლექსებში ნიშანწყალიც კი არ იყო ბევრი პოეტისათვის მგრძნავლად ნიშანდობლივი რიტორიკისა და მაღალფარდოვნებისა. საოცრად ზატოვანი და ხვევრდოვანი ქართული ენა, ეთნოგრაფიული ყოფაში და ისტორიის ანალებში დანახული გრძნობული ნიუანსები, ჩამოყალიბებული ორიგინალური მანერა და უადრესად ბუნებრივი მგრძნობიარობა ახასიათებდა მის ლექსებს. ანა კალანდაძის პოეტურ აღქმაში საქართველოს ყოფა და ბუნება რომანტიკულ ფერწარვაშია გაკოცლებული და მრავალფეროვანი მელოდებში ვახმარებულნი. მისი პირველი სიმღერებიც გამარჯვების გაზაფხულის აღფრთოვანებამ დაბადა. კორეელ ქალიშვილებზე, ზოია კოსმოდეშვიანსა და იულიუს ფუჩიკსა და ნაზიმ

ბიჭებზე დაწერილ ლექსებში იგი მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებს აქვს ავსებდა. „ცამდე მაღალი ძეგლი რად გინდა, მუქშემართული ყველას გულში დგენარ ტანია“, მიმართავდა იგი რუსეთის საბაჟო გმირ ქალიშვილს. იგი ძველი ქართული მწერლობისა და მატანების ფურცლებიდან უყურებდა საქართველოს წარსულს. გულმხურვალედ აღიღებდა მეფე თამარისა და ქეთევან წამებულის საემირო საქმეებს, წარსულის ფოლიანტებში მემკვიდრისგან აღნუსხულთ („შორია თამარ“, „ქეთევან დედოფალი“). მას გულმხურვალედ ამღერებს გამარჯვებული ხალხის სიხარული, „ბარბაროსის დაღუწვა“ და „მისი და მიწის სიძლიერი“ გაღვივებული აღტაცება და სურს ქიპარიასაც გაუზიაროს ეს ყოველივე:

„...გაგვიმარჯვეთ, ჰია-ჰია მარია,  
გუგალობოთ სამშობლოს მინდორველს“...

აქაც პოეტურ აღმადრენაში გამოსჭვივის ბუნების სიმშვენიე, მიწის დოვლათი, გამარჯვლი კაცის იმედინობა და გაუტეხლობა. ანა კალანდაძემ ახლებურ ფერებში გააცოცხლა საქართველოს წარსულის რომანტიკული სურათები. იგი ძველი ისტორიული ძეგლების, ციხე-სიმახეების, ტაძრების, საფლავების ქვების, შემოსეგათა წარღვნებს გადარჩენილ ორნამენტებსა და ჩუქურთმებში პოეტურად ამოიკითხავს ხოლმე ხალხის ვეჯიკურ სულს და მის გარდასულ დიდებას. არამისი ნანგრევებთან, ზედაზნის ციხესთან თუ ბეთანიის გზაზე ხილულ ქვებში, ასწლოვანი მუხებში თუ იღუმელი წარწყმელები შორეული წლების საიდუმლოს უმხელენ მას („ბეთანიის გზაზე“, „ზედაზნის მთებზე ციმციმებს ვენერა“, „მზე აიწია ფეხის წვერებზე“). აქ ჩნდება სპარსთა, არაბთა თუ მონგოლთა შეშინებებით დამჩნეული იარაგის, ფანტაზიის ძალით იგი პრესტორიულ ეპოქებს, წარმართობისა და ადრეული ქრისტიანობის ადამიანებს აცოცხლებს („მე მივაშურებ ურარტუს ქაბებს“, „მოდოლოა ნინო თებთით“). აქ თავს იჩენს შვიკნობრივი ფილოსოფია, მაგრამ არის მისაც პოეზიის უტყუარა მადლიან დიდდასმული აღმადრენა. ანა კალანდაძის სასიყვარულო ლირიკაც ამაღლებულ გრძნობათა რომანტიზირებული გაშინატვა და შორსაა ყოველგვარი სენტიმენტალობისაგან.

ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მედლა კახიძე და ნაზი კილასონია, მაგრამ ლირიკული ტონი საერთო აქვთ. ეს პოეტი ქალებიც საქართველოს გაზაფხულს აღმღერებია. პირველის ლექსებში ჰარბობს ბუნების ძლიერი შეგრძნება და სიყვარულის განცდათა მოქარბება. მეორე უფრო პარპონიულია გაწყობილებათა ლირიკული გამოხატვაში. მედლა კახიძე მძაფრი ტემპერამენტით, გულბურჯილობამდე მისული ბუნებრივობით ხასიათდება; ნაზი კილასონია უფრო მინორულია და ფიქრიანი. თემატიკით ისინი არსებითად მიჰყვებიან ჩვენი პოეზიის მაგისტრალურ ხაზს და მხოლოდ პირად-ბიოგრაფიული განცდების გამოხატვისას ქმნიან ორიგინალურ განსტობებს.

ომის წლებში ბუნებრივი იყო მოქალაქეობრივი მოტივების წინა პლანზე წამოწევა პოეზიაში. ასევე კანონზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული ომისშემდგომ წლებში ინტიმური თემების საგრძნობი გაღრმავება-გაფართობება. ეს შეესატყვისებოდა მშვიდობიანი ცხოვრებაში დაბრუნებულ ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებებსა და განწყობილებებს. სიყვარული — ადამიანის ემოციური ცხოვრების ეს მარადიული ფორმა, ახლა ფართო ადგილს იჭერს ომგადახდილ პოეზიაში. პოეზია ახლა თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალმხრივი გამოხატვას ეშუარება და მოქალაქეობრივი მოტივების გვერდით ინტიმური თემებიც ახლებურად ეღერს. უკვე შესამჩნევი ხდება, როგორ იბრუნებს უწინდელ ადგილს ზარბაზნების ქუჩისში ბუნებრივად შესუსტებული ლირიკული ინტონაციები.

ახალი სუნთქვა შეიტანა ქართულ პოეზიაში ა. სულაჯარის ლირიკამ. იგი ქალაქის მკვიდრის თვლით შეჰყურებს ცხოვრებას და უმთავრესად თბილისის ყოფის ლირიკულ სურათებს ხატავს. ა. სულაჯარის ინტონაციას არ ახასიათებს აღტაცებისა და ომპანიონის ტრადიციული ელვადობა. იგი უფრო ფიქრის, დაკვირვების პოეტია. მისი პოეტური მღელვარება გარეგნულად ძალზე მშვიდია, მოკლებულია მძაფრ კონტრასტებს, მაგრამ გეფიქრებულისა და განცილის ფსიქოლოგიური სიზუსტით გამოხატვაში იგი გვიმედავენებს დღევანდელი ადამიანის სულიერ მშვენიერებასა და თავისებურებებს. ამიტომ ფსიქოლოგიური პორტრეტები მის ლირიკულ ნოველებში პოეტის თვალთახედვისა და მისი მაღალი ადამიანური ბუნების მაღაწყებელია („გმირი“, „გემომშენებელი“, „სტუდენტის გახსენება“, „მოგოგრაფის მასწავლებელი“, „სიყვარული“). მის პოეზიაში მოქმედებს ჩაპოვინიზებული ხასიათის ახალგაზრდა ადამიანი, ახალი ცხოვრების შემოქმედი, რთული და საინტერესო პიროვნება. „დიდი ცხოვრება აღმოვაჩინე, მოდი, შეხედე ჩუმი თვალებით“, ეუბნება პოეტი დედას („დედა“). და მართლაც ხშირად გვანციფ-



რებს და გვაღელვებს მის მიერ „მისი თვალეზით“ დანახული დიდი ცხოვრება. აქ ცოცხლდება ბიოგრაფია პატარა ქუჩაზე დაბადებული ახალგაზრდისა, მისი ბავშვობის რომანტიკული დღეები, თავს გარდადილი ომის სურათები, პირველი სიყვარულის დრამა და სტუდენტური ყოფის ზღვა სიხარული. ესაა პოეტური ბიოგრაფია ერთი ადამიანისა, რომელსაც ძალუმს თქვას: „ჩემი პატარა ლამაზი ქუჩით გავედი დიდ ცხოვრების გზაზე“ — ო („ჩემი ქუჩა“). ა. სულაკაურის პოეზიის მთავარი მოტივები კიდევ უფრო გაღრმავებულია მის პოემებში „ლაშა“, „ძმები“, „ჩემი ნაცნობი გოგონას დედა“, „მწყემსები“. აქაც თბილისის პეიზაჟები ფაქიზი ფერწერითაა ამეტყველებული და თანამედროვეთა ცხოვრება დრამატული სიტუაციებშია გახსნილი.

ქალაქის მკვიდრის თვალი აქვს პოეტ მ. ქვლივიძესაც. მისი პოეზია თანატოლებში ფერწერული კულტურით, ხედვის სიხსნადით და გრძნობათა დიდი ბუნებრიობით გამოირჩევა. მისი ლექსის ხატოვანება წარმოდგება დახვეწილი მეტაფორებისა და შედარებებისაგან, რომელსაც პოეტი გულმოდგინედ ამუშავებს. როდესაც პოეტი ამბობს „ცას რომ ესროლო კენჭი წყრილა, დაიწყარუნებს მინა გამტყდარი“, „წყალში ლღვი გუთანივით გახიარული“, „მთები, მთები, დაწყვეტილი ბილიკები, კამათლებად გასროლილი სახლები“, ან „შემოდის მეველე და ჩოხის კალთებით ნაწვიმარ ველების სურნელი შემოაქვს“ — მოვლ სურათს შუქი ედგინება, ნახატი ცხადი და მეტყველი ხდება. ერთი მხრივ, ხატვას ეს თავისებური მანერა, მეორე მხრივ, უშუალო მგრძნობელობა ყოველგვარი პოზიორობის გარეშე, თავისებური ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ნიუანსები ქმნის ამ პოეტის უტყუარ ორიგინალობას. მის განცდებს განსაკუთრებით სასიყვარულო ლირიკაში დრამატული ელფერი აქვს („უშაბა“). ჩვენი ქვეყნის პატრიოტი, ფაქიზი განცდების ადამიანი ჩანს მისი ლირიკული გმირის სიხარულში — ბუნების სილამაზისგან იქნება ეს, სამგორის უდაბნოს აღორძინების ხილვისაგან, ომში გამარჯვებისაგან თუ განახლებული თბილისის სურათებისგან. ბუნება მკაფიო ფონია მისი ლირიკული გმირის განცდების და განწყობილებებისა. ეს ფონი ხან მკაცრია, ვახუნებული ჩანს, როგორც სამგორის უდაბნო ან მადათოვის ძველი კუნძული („სამგორი“, „მადათოვის კუნძული“), ხან კი ცოცხალი, გაზაფხულის სურნელებითა და ფერადოვნებით აღსავსე („ხეთა სიმღერა“). ბუნების მოვლენათა გააზრება-გამოხატვაში იგი გ. ტაბიძის ტრადიციების მიმდევარია:

„სალამოს, როცა ჩადგება სიციხე  
და მიწა მოლოლ წამწამებს ნაბავს,  
მეც ჰადარივით სიმღერას ვიწყებ —  
სიყვარულის და სიცოცხლის ამბავს“.

მის ლექსებში მართლაც ამაღლებულს მთა-თხრობილი სიყვარულის და სიცოცხლის ამბავი“ — ენართ სურათებს მოვავაგონებს მკაფიო, შეკრული კომპოზიციით, ფერწერით და სიუჟეტურობით.

არიან პოეტები, რომელთაც პირველი ლექსებიდანვე მკაფიოდ ორიგინალური ინტონაცია ახასიათებთ და პოეზიის საერთო ფონზე მკვეთრად გამოირჩევიან. მათი მანერა განსხვავებულია, სტილი თავისებურია, ენა და რიტმი უღრესად დამახასიათებელი. ეს თამამად შეიძლება ითქვას პოეტ მუხრან მაჭავარიანზე. მკვეთრად გამოკვეთილი პოეტური ფორმის ორიგინალობით და ლირიკული აზროვნების უჩვეულო დინამიურობით იგი განირჩევა თანატოლებიდან. მ. მაჭავარიანი მაღალი რეგისტრების პოეტი. მისი ინტონაციის ყველაზე ზოგადი სახე მოჭარბებული აღფრთოვანებაა. ხალასი აღტაცებითა და მკაფიო ფერებითაა აღბეჭდილი მისი პეიზაჟები, მღელვარე მონოლოგები და პორტრეტები („გაზაფხულია, დედამიწა აღაპარადა“, „ნაცნობები“, „ხალხი“, „ლენინის ქუჩა“, „კომუნისმი“, „საბა“, „პუშკინი თბილისში“), ბევრი მზეა მის ლექსებში. ფერთა შესაბამაე მზიურ გამაშა მოქცეული. ფიცხია პოეტის ტემპერამენტი, საჭარბოვლო მხურვალე გაზაფხულის სუნთქვა და აღვლათიანი შემოდგომის სინოივრე ამჩნევია მის სტიქიონებს. მგზნებარე პატრიოტი, დაუღლელი, მოქმედი კაცი, ბუნებაზე, ცხოვრებაზე შეყვარებული, ზეალონდელი დღის მშენებელი ცოცხლობის პოეტის სტიქიონებში. ანა კლანდიძის მსგავსად იგი ქართული ლექსის ტრადიციულ ბუნებაზე დაყრდნობით გატკეობთ ეძიებს ახალ-ახალ რიტმულ ვარიაციებს. სიტყვა და პოეტური ფრაზა მის ლირიკულ კომპოზიციებში ყოველთვის მკაცრად შერჩეულია, თავის ადგილზე ზის. იგი ზოგჯერ უქნაურიაკა, მაგრამ ყოველთვის მართალი, მთლიანი თავის ხასიათში. „ამ ვიწრო ქუჩაში კომუნისმი ვერ შემოეტევა“, ამბობს იგი. „ფოლადის სითაკარე“, „ყაყაითიანი ყანის მღელვარება“ ამღერებს მას. — ამ მოჭარბებულ აღტაცებას იგი ასე გაზაზნობავს: „ასე გმონია ებიჯებ ჰაერს და ნელა-ნელა ავდგარი მაღლა“. ეს აღმადრენა ჩვენმა დრომ დაბადა და პოეტიც გულმხურვალე მომღერალია მისი. მ. მაჭავარიანის ყოველ ლექსში მიღწეულია მელოდიების სიახლე და ხალხური სასაუბრო მეტყველების კილოს ორიგინალური ჩართვა ლირიკულ ინტონაციაში. აქ იგი ნამდვილი ოსტატია („რუსთაველი“, „დასასრული შეცხარამეტე საუკუნისა“, „მიხარია“, „სამგორი“). ლირიკული აზროვნების მონუმენტური ფორმების ძიებაში პოეტი ეყრდნობა როგორც ქართული პოეზიის დიდოტრატებს, ისე გ. შაიავოსკისა და ნერუდის პოეტურ ტრადიციებს.

თავისებური ელერა აქვს უკანასკნელ წლებში თ. კილაძის ლირიკას. თანატოლებში იგი ხა-



სიათდება პოეტური ჩანაფიქრისა და განწყობილებების მინიატურულ ფორმაში გადმოცემის ისტაბილით. იგი უაღრესად დახვეწილი კულტურის პოეტია და აქვს ორიგინალური მხატვრული ხედვა; თ. ჭილაძის ლირიკული გმირი თანამედროვე ინტელიგენტია, მისი რომანტიკა შავი ზღვის პირას გაზრდილი ბავშვის შთაბეჭდილებებს და ახალგაზრდული ცხოვრების გამოცდილებებს ეყრდნობა. მას მეზღვაურის სიყვარულით უყვარს ზღვა. მეზღვაურები, ქარიშხალში მავალი ხომალდები, მღელვარე თუ წყნარი ზღვის ტალღები — მისი ლირიკის დამახასიათებელი ფონია. ადამიანი უმთავრესად ზღვის ტალღების ფონზე ჩანს — ბედნიერი, გამარჯვებული და ამაღლებული; მისი ფერწერული მონასში უაღრესად მკვეთრია და ლაკონიური; „და ისე უცებ დაუშვა წვიმამ, თითქოს ღრუბლებზე ფეხი დაუსხტა“, ან: „ვიღაცა შეწვდა გავლისას ფოთოლს და მავნოლის ქანაობს ტოტი“. თ. ჭილაძის ლირიკულ გმირს ვხვდებით პირქში გემებისა და თოლიების შემყურეს, ზღვისპირის პარკში თუ ქარიშხლიანი ტალღების პირისპირ მდგარს, მშვიდობას რომ უთვლის გემებსა და მეზღვაურებს.

უკანასკნელ ხანებში ძალზე საინტერესო ლირიკული ლექსები გამოაქვეყნა ოთარ ჭილაძემ. მისი ინტონაცია ფიქრითა და პოეტური მსჯელობითაა აღბეჭდილი და განწყობილებების სიხშირით, სიღრმით აღინიშნება. მისთვის მთავარია ადამიანის სულიერი მოძრაობის ყველაზე ძნელად შესაძინევი ფსიქოლოგიური ნიუანსები. იგრძნობა დახვეწილი გემოვნებისა და რთული შინაგანი ცხოვრების ინტელიგენტია. მისი ლირიკის შინაარსი უაღრესად კონკრეტუზებულია, ყოფითია და აშკარად მეტყველებს პოეტის მიერ ცხოვრების დრამატულ აღქმაზე. თ. ჭილაძის ზეიზაეებიც ყოველთვის გარკვეული პოეტური ჩანაფიქრის მატარებელია და მოაზროვნე ადამიანის თვალთა დანახული ბუნებაც და ადამიანიც. „ინტელექტუალური განცდები“ — ასე შეიძლება თ. ჭილაძის ლირიკულ ლექსებზე ითქვას. იგი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძიებაშია და აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე უძველი პოეტის პოეტია.

ასევე განსხვავებული მანერის პოეტები არიან გ. ძნელაძე, შოთა ნიშნიანიძე და მორის ფოცხიშვილი. გ. ძნელაძე ძირითადად აღმადრენის პოეტია, მისი ლექსების განწყობილებაში ცხოვრებაზე შეყვარებული და ცხოვრების ღრმად გამგებ ადამიანი ჩანს, თუმცა იგი ვერღელა ლექსის ჭარბ კონკრეტიზირებას და უფრო განზოგადოებულ ფორმებს ეტანება. შ. ნიშნიანიძის

პირველი კრებული სიყვარულით მიიღო მკითხველმა და მასში დაინახა მძაფრი შინაგანი პათოსის და რთული მეტაფორული აზროვნების პოეტი. მის ლირიკულ სურათებში მსუყვე, მზიარული ფერებით ამღერებულა საქართველოს ბუნება, ხოლო პოეტის მოქალაქეობრივი მისწრაფებები ხალასი პუბლიცისტური მგზნებარებითაა გამოხატული. მ. ფოცხიშვილის წიგნი „აღუბლები წვიმაში“ კი უფრო მინორული ელერადობით და ხალასი უბრალოებით ხასიათდება, რომელსაც ორიგინალურად ესაბება თბილი იუმორი. მ. ფოცხიშვილის ლირიკულ ლექსებიდან გამოიყურება მოუსვენარ ბავშვობაზე, მღელვარე სიკაბუჯეზე შეყვარებული, ჭკვიანი და მგრძობიერი ადამიანი, რომელსაც მუდამ თბილი ღომილი დასთამაშებს ბავშვებ.

დღითი დღე საგრძნობი ხდება ჩვენი პოეზიაში გ. გეგეჭკორის, ტ. ჭანტურას, ჯ. ჩარკვიანის და ზ. ბოლქვაძის აშკარა ნიჭით აღბეჭდილი ლირიკული ლექსები. სინამდვილის თავისებურად დანახვასთან ერთად მათს ლექსებს მხატვრული ძიების კვალი ამჩნევია.

ამ თაობამ კარგად უწყის, რომ მთავარი სათქმელი წინ აქვს. რაც მან თქვა და ამოიმღერა, ეს მხოლოდ შესავალია დიდი სიმფონიისა ხელისდელ დღეზე. ეს ახალგაზრდობა კომუნისტური მშენებელთა დიდ პოეზიას ქმნის და ცხოვრების ფართოდ ხედავს. იგი ლაპარაკობს იმაით სახელით, ვინც იტყობს კოსმოსს, სამყაროს საიდუმლოებებს ხსნის, ვინც გვიანტურ კაშხალებს აგებს, ვინც პირველი მიდის ფინიშზე მელბურნისა თუ მოსკოვის სტადიონებზე, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის და კეთილს იზრახავს. დღევანდელი ცხოვრების სირთულე და გრანდიოზულობა ქმნის ამ ახალი პოეზიის სიდიადესა და სისრულეს. ისინი პირველი ამღერების ეშხში არიან შესულნი, სამშობლოს დიდ გაზაფხულს შეპხარიან და უფრო მაღალი სიმღერისათვის ხმას იყენებენ. ესაა ახალგაზრდობა, რომელსაც უყვარს ახალი მწვერვალები, ახალი სივრცეები და ახალი ტრამპლინებიდან კამარის შეყვარა პოეზიის ცაზე. დიდი ქართული მწვერლობის ფრთებქვეშ ვაჟკაცდებიან ისინი და პოეზიის გემოგახსნილ მკითხველს ზეერ სიხარულს პირდებიან. ძნელია მათი შეცნობა ერთი და ორი ლექსით. მაგრამ არის კარგი ელქსები. რომლებიც მკითხველთან ახალგაზრდა ნიჭიერი კაცის მაგრად ხელის ჩამორთმევას გავს. ამ ახალგაზრდა პოეტების პირველ ლექსებშიც უდავოდ შეიგრძნობს მკითხველი ცეცხლოვანი სიკაბუჯის გაელვებას პოეზიაში და გულთბილად დალოცავს ხვალისდელი დღის სახელით.





### საზვიადობილ საგანძური

გასული საუკუნის ჩვენმა ღიღმა წინაპრებმა თავიანთი მაღლიანი მოღვაწეობა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ყოველ დარგს სწვდებოდა, ენის სიწმინდის დაცვით დაიწყო: ილია ჭავჭავაძემ პირველად ქართული ენის ბარბაროსულად დაამახინჯებელთა წინააღმდეგ აღიშალა ხმა და თაობათა შორის ცნობილი ბრძოლა ჩვენში ენის საკითხებით დაიწყო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი სასიკადალო ქართული ენა, რომლის ბადალი (თუკი საერთოდ შეიძლება ენების შედარება) იქნებ ბევრი არ აღმოჩნდეს ქვეყანაზე, უდიდესი მზრუნველობით მოვლილი გადაეცემოდა ხოლმე თაობიდან თაობებს. აქვე შეიძლება ილიას ცნობილი და შესანიშნავი სტრატეგები გაგვეხსენებინა ამ საკითხზე, მაგრამ ისე ხშირად და უბოდიშოდ ახსენებენ ხოლმე ჩვენში ამ გამოთქმას — ხან ეპიგრაფად, ხან ტექსტში, ხანაც რაიმე წერილის სათაურად, რომ ლამის არის ფასი და თავისი დიდი მომხიბლაობა დააკარგვინონ. ამიტომ აღარ გავიმეორებ ამ მშვენიერ ფრაზას და იმასღა გავიხსენებ, რომ შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, არა ერთჯერ და ორჯერ დაბრუნებია ილია ენის სიწმინდის საკითხებს.

მაშინ ეს საქმე ძნელი იყო და თავში საცემო. მაშინ სულ ახალი ამბავი იყო ბავარტიონ-მუხრანსკის ცნობილი ანტიეროვნული გამოცვლა, და ჩვენს მაგალით მოღვაწეებს, რომელთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, უკვე გადაგარბული ბედოვლათი თვალების „გადმოქართველება“ უხდებოდათ. მაშინ, ქართული ენის საშინელი დენის დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ამას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მისცემოდა, მაშინ კანტიკუნტად ახერხებდნენ თითო-ორთა ქართული წიგნის გამოცემას და ქართულ საჯარო მეტყველებასაც ხან ნახევრად არალეგალური ქართული თეატრის სცენიდან და თუ მოისმენდა კაცი და ხანაც საადგილმამულო ბანკის მშფოთავარ ყრილობების ტრამუნიდან (სხვა-

თა შორის, არსებობს გადმოცემა, ამ კრებებით ფართო საზოგადოების დაინტერესება ჭავჭავაძისა და მაიაბლის მშვენიერი ქართული მეტყველებით აიხსნებოდა). ერთი სიტყვით, მაშინ არავითარი პირობები არ არსებობდა ენის სიწმინდის დაცვისათვის, ენის კანონების ჩამოყალიბებისა და ანალიზისათვის, ენის ისტორიისა და მისი აწევის გაცნობისა და დადგენისათვის... და ბარბაროსული ჩვენს ღიღ მოღვაწეებს, რომ მაინც მოახერხეს ასე შესანიშნავად მოვლილი გადმოცემა ჩვენთვის ეს საშვილიშვილო საგანძური.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა პატარა სოფელში ამაყად დგას ქართული სკოლა და ყოველი საკლასო ოთახიდან მოისმის ბალღების რიხიანი და თამამი მეტყველება მშობლიურ ენაზე. ახლა ჩვენი ქვეყნის ყოველ რაიონს თავისი ქართული თეატრი აქვს, ათობით ქართული გაზეთი და ყურნალი გამოდის, ათასობით ქართული წიგნი იბეჭდება, ყოველი კრებისა თუ კონფერენციის ტრიბუნადან მქუხარედ გაისმის (თუკი ამას ჩვენ თვითონვე მოვისურვებთ) ქართული ენა; ჩვენს ყველა ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ცალკე არსებობს ქართული ენის კათედრა, ჩვენი ენათმეცნიერები ენერგიულად ხელმძღვანელობენ მრავალგვარი ლექსიკონისა და ენის სახელმძღვანელოების გამოცემას, ადვენენ ენის კანონებს, მეცნიერულ ანალიზს უკეთებენ ენის ისტორიას...

რად ბევრი გავგაჩქაროთ, ჩვენს წინაპრებს არც კი დაევისმრებოდათ, ასეთი პირობები თუ შეექმნებოდა ოდესმე ჩვენი ენის განვითარებას. ახლა, ასეთ პირობებში, ერთი-ათად დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა — კიდევ უფრო სათუთად და მზრუნველობით მოვლილი გადავცეთ ჩვენი ენა მომავალ თაობებს.

საყურადღებოა ისიც, რომ ახლა მთელს ხალხს აქვს შეგნებული ენის სიწმინდის დაცვის მნიშვნელობა და, ალბათ, ბევრი შეინიშნავდა: წარმოება-დაწესებულებებში სანაძღვოსაც დებენ ხოლმე — აბა ვინ მოახერხებს, ქართულად მეტყველ-



ბის დროს უცხო სიტყვა არ იხმაროსო. ხუმრობით ჯარიმა აქეთ შემოღებული, ვინც წესს და არღვევს და ქართული ლაპარაკის დროს უცხო სიტყვას იტყვის.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. სასიხარულოა, რომ თვითონ ხალხს, ასე მასობრივად, შეგნებული აქვს ენის სიწმინდის მნიშვნელობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც ვერ არის სასურველი. ენის სიწმინდის დაცვის დროს ძალიან ხშირად ვიბნევით და ბრძოლას იმ „ფორტზე“ გაემართავთ ხოლმე, საიდანაც ყველაზე ნაკლები „საშიშროება“ მოგველის. მეც ამ საკითხს მინდა შევებო.

ენის სიწმინდის დაცვის დროს ჩვენ ხშირად კარგად გახარებული ჯეჯილის იმ უხეირო მიველა ვფავართ, რომელიც ჭიშკრის მტკიცედ ჩაქვრასა და ვამაგრებაზეა გადაგებული, ყანას შემოვლელად ღობეს კი ერთხელაც არ გადახედავს, თუმცა ეს ღობე ბევრგან არის გამოტეხილი და გარღვეული. ჩვენ ერთმანეთს ვკიცხავთ და „ვაჯარიმებთ“, მაშინვე პირში ვეცემით ხოლმე, თუ ქართული მეტყველების დროს „სტროლი“ ან „პოლი“ წამოვცდებმა. ასეთი თავგამოდება, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ამგვარი შეცდომები რაღაც მთავარი უბედურება. თვითონ ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი და იაკობ გოგებაშვილი, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ ქართული ენა და თავგამოდებით იბრძოდნენ მისი სიწმინდის დაცვისათვის, ზოგჯერ თვით ისინიც კი შეცდომდნენ და დაწერდნენ „სტოლს“. დედა-ენის ბირველ გამოცემებშიაც კი შეხედვით ასეთ შეცდომებს. ივანე მაჩაბელი თავის უბადლო თარგმანებში, რომელიც ქართული ხალხური და მწიგნობრული ენის შერწყმის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, რამდენიმე ადგილას წერს „სტოლს“ თუ „პოლს“, არ მახსოვს კარგად. მაგრამ ეს არ იყო და არ არის მთავარი უბედურება ქართული ენისათვის. და ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ზემოხსენებულ მოღვაწეებს.

იმის თქმა როდი მინდა, თითქოს გამართლებული იყოს ქართული მეტყველების დროს არაქართული სიტყვების ხმარება. რასაკვირველია, არა. ჩვენ ამ მხრივაც უნდა ვიბრძოლოთ ენის სიწმინდისათვის. მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხიანი საკითხია. მეორეხარისხიანია იმიტომ, რომ ქართულ ენას არ ეშინია ასეთი „შემოსევისა“, მას საოცარი ძალა აქვს ისე ვააქართულოს უცხო ენიდან შემოჭრილი ესა თუ ის სიტყვა, რომ შემდეგ ამ სიტყვის ძირის ცნობაც ჰქონს. მაგალითისათვის შეგვეძლოს გავგეხსენებინა სიტყვა ХАПОИ-ТЫ-დან ნაწარმოები „გამიხსლავოროდა საქმე“, ანდა იმერეთში გავრცელებული გამოთქმა—„საქმე გამილუსტაიკისო“. პირველი სიტყვის ცნობა მართლაც რომ გავიგნებულა, ხოლო მეორე სიტყვა როგორც საოცრად დაატარა ქართულმა ელასტიურმა ზმნამ და რუსულ სიტყვას ნამდვილი ქართული იერი მისცა!

ვიმეორებ, არაფერი გამართლებია ის, რომ ჩვენს ენას არ ეშინია ასეთი „შემოსევისა“ და ძალი შესწევს გაუმკლავდეს ან თავისებურად „გადახარშოს“ სხვა ენიდან შემოსული სიტყვები. ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ ენაში ასეთი ლექსიკური „შემოსევების“ წინააღმდეგ. თუმცა ზოგიერთი აუარებელ და მეტისმეტ პურიზმს იჩენს: ისეთ სიტყვებსაც ებრძვის, რამაც თითქმის ყველა ენაში შეადგინა. ისეთი სიტყვების გაკეთება-შეკაოწიება, ან, მით უმეტეს, გამოკონება, რაც ჩვენი ენის ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი, გაუმართლებელია და აერაც აიტანს ჩვენი ენა, ისევე როგორც ვერ აიტანა „საბუთარი“ (კალოშის ნაცვლად) ანდა „ოროთვალა“ (ველოსიპედის ნაცვლად); რატომ უნდა ვებრძოლოთ, მაგალითად, სიტყვა „ფასონს“? რამდენიც უნდა ვებრძოლოთ, ეს მაინც შემოდის და დღეს თუ ხვალ უსათუოდ დამეცოდნება. ზედმიწევნით ამ ცნების გადმოცემა სიტყვა ჩვენ, თუ არ ვცდები, თანამედროვე ქართულში არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენი ენა ისეთი მდიდარი და ელასტიურია, რომ, რა კონტექსტშიაც უნდა შეგვხვდეს ეს სიტყვა, მაინც მოვებრძობება და ფრთხილად ვიბრძობ ჩვენი სისწორით გადმოცემით ქართულად. მაგრამ არის კი საჭირო ამგვარი თავგამოდება და „პრინციპული“ ბრძოლა ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვის წინააღმდეგ, რომლის ზუსტი ადექვატი ქართულად არ მოგვეპოვება? (ზოგი მთარგმნელი „ფასონს“ „ყაილად“ თარგმნის; რაც ყოველთვის არ გადამოსცემს აზრს სწორად). ზოგჯერ დაუჯერებელ კურიოზებს წინაყვდობით. ამას წინათ ერთ ახალგამოცემულ თარგმნელ წინავე ვხანებ: სტერესკოპი „ავად-მყოფის გასახიზვ საექიმო მილად“ უთარგმნელად.

აგერ, ახალმიღებულ ვაზეთში თვლი მოხვდა ერთი პატარა ქრონიკის ბოლო აზნაცს (ამ ქრონიკით ვგებულობთ, თუ რა წარმატება ხელოვია ახალგაზრდა მომღერლის კონცერტს): „კონცერტის წარმატებას ხელს უწყობდა... კონსერვატორის დოცენტის საუტესო მუსიკალური თანხლება“, ასე ამთავრებს თავის ქრონიკას ავტორი და, დარწმუნებული ვარ, გულში ამაყად ეღებება, ნიშნის მოგებით მოგემართავს — ხომ ხედავთ, როგორ უწინაღ ვიცავ ენას, ამ ცნებას თქვენ რაღაც უცხო სიტყვი გამოხატავთ, მე კი ქართული შესატყვისი მოვუძებნე და ახლა კეთილი ინებეთ და ასე წერეთო. მაგრამ ეს „თანხლება“ რაღა?! განა ახლავე არ ეტყობა, რომ ეს ხელოვნურად შეკაოწიებული სიტყვა ვერ დამეცოდნება ჩვენს ენაში! ან რა საჭიროა! ილია ჭავჭავაძე თვითონ ქმნიდა სიტყვებს, მაგრამ იგი ითვალისწინებდა ჩვენი ენის ბუნებას და მისგან შემოტანილ ტერმინს ქართული სიტყვის ელფერი დაკრავდა. იმიტომაც შეითვისა და შევისისხლობრცა ქართულმა ენამ ეს სიტყვა. ყველას როდი შეუძლია იტივითოს ვღივი ტვირთი. მართო ავტორიტეტზედაც არ



არის საქმე. მოხდენილად რომ არ ყოფილიყო შერჩეული, ვერც ილიას სიტყვები დამკვიდრდებოდა, ისევე როგორც ვერ დამკვიდრდა მისგანვე შემოტანილი რამდენიმე ტერმინი, რომლებიც, ეტყობა, ვერ შეიგუა ქართულმა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, არის კი საჭირო ასეთი „თანხლების“ ძებნა? აქი არსებობს ამ ცნების გამოხატველი შესანიშნავი სიტყვა! ყველა კულტურულ ენაში დამკვიდრდა სიტყვა აკომა-ნიმენტი. ფაქტურად ჩვენს ენაშიაც შემოვიდა ეს ტერმინი და რამდენიც უნდა ვებრძოლოთ, ვერ გავხდევნით, რადგან ის სიტყვა, რითაც მის შეცვლას ვლამობთ, ხელოვნურია, ვერ მოიპოვებს მოქალაქეობრივ უფლებას. და არც საჭიროა ბრძოლა მის წინააღმდეგ. არის სიტყვები, ტერმინები, რომელთაც ყველა ენაში შეიღწიეს და დამკვიდრდნენ. სასაცილოც კი იქნება, ენის სიმწინდის დაცვის დროშით იმათ ბრძოლა გამოეუცხადოთ და ახალი, ხელოვნურად შეკრებილი გამოთქმებით ვცადოთ მათი შეცვლა. ეს იქნებოდა ყოველდღე გაუმართლებელი პურიზმი, ცრუ და ყალბი პატრიოტიზმი. ასევე ბრძოლა გაუმართლებელი აგრეთვე ზოგის სექსუალურიზმი, როცა სადმე ამოკითხავს, ესა თუ ის სიტყვა რომელია? ვინიდან შემოსულა და „წინდა ქართული“ არ ყოფილიყო. ენის სიმდიდრე და სიდიადე, თუ არ ვცდები, ასე არ უნდა იზომებოდეს, რადგან ალბათ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ენას — ასეთ უხვ სესხება-ჩასესხებაში არ იყოს.

კურობული ის არის, რომ ჩვენ ხშირად ზედმეტ და ყოველდღე გაუმართლებელ სიფრთხილს ვიჩნთ კუთხურიდან სალიტერატურო ენაში ცალკეული სიტყვის შევიანის საქმეშიც. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ უცხო ენაზე შემხვდა სიტყვა, რომელიც გამოხატავდა ერთ ადგილას ლამაზად დალაგებული შეშის ცნებას. მივიკითხ-მოვიკითხე, მაგრამ ამის გამოხატველი სიტყვა ვერც ლექსიკონებში მოვებნე, ვერც ჩემმა ქართველმა და კახელმა მეგობრებმა მითხრეს. ეტყობა არ არის თანამედროვე სასაუბრო ენაში. ამავე დროს ამ ცნებას ზედმიწევნით გადმოსცემს გურიანში გავრცელებული სიტყვა „სახადლო“. (ზმნის ფორმაშიაც ხმარობენ ამ სიტყვას, შემე დავახსოვდეთო, იტყვიან). რატომ არ უნდა შემოვიდეს ეს სიტყვა? მხოლოდ იმიტომ, რომ კუთხურია?! ეს არ არის სწორი. რატომ არ უნდა შემოვიდეს აგრეთვე ახალგაზრდა ხის აღსანიშნავად გურიანშივე გავრცელებული სიტყვა „ჩაქოლა“? ა. შ.

ამრიგად, ასე არ უნდა გვეშინოდეს-მეთქი ისეთი სრულიად უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შემოჭრილი სიტყვებისა, როგორცაა „სტოლა“ და „პოლი“, რომლებიც ამჟამად ამჟღავნებენ თვითნებ არაკანონიერებას და ამიტომაც, არ არიან იმდენად საშიშრონი. ვებრძობოთათ, მაგრამ მთავარ ენერჯის ამაზე ვერ დავხარ-

ჯავთ. მთავარი ძალა იმ „ფორტზე“ უნდა გავსა-ტანოთ, სადაც გაცილებით დიდი საშიშროებ-ბაა, მაგრამ ეს საშიშროება რატომღაც თვალსა-ჩინოდ არა ჩანს; იმ არაქართულის წინააღმდეგ ვებრძობოთ, რომელსაც ქართული სამოსელი ჩუქვამს და გამოუცდელ თვალს ადვილად ატყუებს. იმიტომ, რომ სწორად ეს არის საშიში ენისათვის, საერთოდ, და განსაკუთრებით იმი-ტომ, რომ ამჟამად ჩვენს ენაში ყველაზე უფრო სერიოზულია ეს საშიშროება.

აგერ ჩვენს თვალწინ შემოვიდა და თითქმის დაკანონდა საცხებით არაქართული გამოთქმა — „გაწყობო“. „თქვენ როგორ გაწყობოთ, რა დროს მოვიდეთ ხელო?“ — „თქვენც თუ გაწყო-ბოთ, მომყიდეთ ამ ფასად“ — გაიგონებთ ქუჩაში, ბაზარში, დაწესებულებაში... განა მარ-ტო ცოცხალ მერყეულებაში, წიგნებსა და გახე-რებებშიც ხშირად წიკითხავთ ახლა: „ჩვენს დი-ნამოელებს აწყობოთ ორი ქულა, რომ მეშვი-დე ადგილი შეინარჩუნონ“, ან: „ქართველებს მუდამ აწყობდათ ასეთი ცეკვა“ და ა. შ. დაუ-სრულებლად. თითქოს გამოჯიბრებითო, წარამი-რა ხმარობენ ამ გამოთქმას, და ერთხელაც არ დაფიქრდებიან, რომ ეს ქართული არ არის. ეს თარგმანია, ხოლო ამ ქართული სიტყვის მნიშე-ნელობა სულ სხვა რამეს გამოხატავს. გარდა პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული „აწყობი-სა“, ეს გადაგებას, გაწყვეტას ნიშნავს. აბეზარი ბავშვებისაგან ვაგულსეხვით დედაკაციმ იწყე-ვლებიან ხოლმე — „გაწყვიტო, თქვენი გაწყვიტა ვნახეთ“. ხოლო ეს რუსული გამოთქმა — устрани-вает — ქართულად უნდა ითარგმნოს კონტექს-ტის მიხედვით სულ სხვადასხვანაირად: „გარ-გოს ხარჩვენიოთ, რა დროს მოვიდეთ ხელო“, „თქვენც თუ გაძღვეთ ხელს, მომყიდეთ ამ ფა-სად“, ან „ჩვენს დინამოელებს ორი ქულადა ჰყოფნიოთ“... და სხვა.

თითქმის დაკანონდა და ყოველდღიურად ვამბობთ, ეწერთ, ვკითხულობთ — „ჩემმა შვილ-მა გასულ წელს დაამთავრა სასწავლებე-ლი“, „მე გასულ წელს დავიცავი დისერ-ტაცია“, „გასულ წელს გადმოვიცი ამ ქა-ლაქში“... ერთხელაც არ დაფიქრდებით, რომ ეს „გასულ წელს“ ქართული არ არის და ამ გამოთქმად ლამის განდევნის ენრიდნ ნამდვი-ლი ქართული სიტყვა „შარ შან“.

გწერთ, ყოველდღიურად ვკითხულობთ უჭრ-ნალ-გახეხეთებსა თუ წიგნებში და ერთხელაც არ დაფიქრდებით, რომ სიტყვა „დაშვება“, თუ პირდაპირი მნიშვნელობით არ ვხმარებ (ე. ი. თუ ზემოდან ქვემოთ დაშვებას არ ვეუბლისხ-მებთ), არ არის ქართული სიტყვა. ყველგან — დაწესებულებებსა თუ ქუჩებში, საჯარო ადგი-ლებში შეხვდებით საკამოდ მსხვილ შრიფტით დაბეჭდილ პლაკატებს — „არ დავუშვებთ ელექტროენერჯის გადახარჯვას“. ასე ვაფრთხი-ლებთ ბედოვლათ ადამიანებს, რომლებიც ყაი-

რატიანობას არ იხენენ ელექტროენერჯის ხარჯვის დროს. ვუფროხილდებით ელექტროენერჯიას. ეს ძალიან ჯარჯია, მაგრამ ენას რომ არ ვუფროხილდებით! ვანა ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს! სახელმძღვანელო წიგნებშიააც ამოკითხვით ასეთ წინადადებებს — „და ე უ მ ვ ა თ, ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა (თუმცა ასეთი და შვეება მიუტყვევებელია)... ეს ქართულად სულ სხვაგვარად უნდა დაიწეროს — „ერთვით (ან წარმოვადგინოთ) ბავშვი სკოლაში არ გამოცხადდა (თუმცა ამის წარმოდგენაც კი მიუტყვევებელია)... ან სხვაგვარად, მაგრამ არა ისე, როგორც ახლა თითქმის ყველა წერს. ცოცხალ მტყუყველებშიც ვიგონებთ — „ვანა ეს დასაშვებია?!“ — ეუბნება მამა შვილს... არც პედ-გოგონა არ ლიტერატურასა თუ სკოლაში ვაგროვებულნი ასეთი გამოთქმა უნდა იყოს ქართული — „სამოცი მოწაფიდან მხოლოდ ათი ა ს წ რ ე ბ ს, ასეთი მოსწრება შეუწყნარებელია“...

ახლა ბევრს წიგნსა და ჟურნალში, სცენაზე, დამყესებულებაში, თჯანშიაც კი ვაგონებთ სრულიად არაქართულ გამოთქმას, მაგრამ რაი ფრანა ქართული სიტყვებისაგან შესდგება, ჩვენც ქართული გვევინა: „ახეც ვიცოდით“. ყველგან ვაგონებთ ამ გამოთქმას, ნაცვლად იმისა, რომ ითქვას „აკი ვითქვი“, „აკი ვამბობდი“, „განა არაი“ და ა. შ., როგორც კონტექსტს მოუხდება. მე განგებ ვარჩევ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც თითქმის თანდათან პოულდებენ „მოქალაქეობრივ უფლებას“ ჩვენს ენაში, თუმცა ქართულისა არაფერი სცხიათ და ამიტომ უნდა ვებრძოლოთ კიდევ.

ჩვენი თითქმის დაკანონდა და ახლა ყველა ვაზნისა და ჟურნალში, წიგნში წიკითხვით, ყველგან მოისმინთ ასეთ ფრანებს: „შვილი ისა და მისი სიყვარულმა აიძულა იგი“, „მამული ისა და მისი სიყვარულმა ვააბედინა“... არც ეს არის ქართული. უნდა ითქვას — „შვილის სიყვარულმა აიძულა“, „მამულის სიყვარულმა ვააბედინა“...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!..

აი, თუნდაც ავტო, წინ მიდევს წიგნი, რომლის სახელწოდებაა „ვა ა ე მ ო გ ო ნ ე ბ ე შ ი“. ვანა ასეთი ქართულით დაწერდა თვითონ ვაჟა?!

ერთი ახალგაზრდა მწერალი წერს მოთხრობაში — „ეს მოხდა მისი სურვილის გარეშე“. ეს რა ქართულია?! უნდა დაიწერა მის და უნებურად მოხდაო. ასეთი მაგალითი, სამწუხაროდ, უამრავია, მე ძებნა არ დამპირებია: რაც ცუდი რილის წერის დროს შემთხვევით შემხვდა, ის ვაზსენე. ამგვარ გამოთქმებს თითქმის ყველგან შეხვდებით, ყველა წიგნსა, გაზეთსა თუ ჟურნალში, მაგრამ ჩვენი ენათმეცნიერები, პედაგოგები, მწერლები იშვიათად

იმაღლებენ ხმას ენის ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ.

აი, ეს არის ის ქართულად ჩაცმული გამოთქმები, რომელთაც ქართულისა არა სცხიათ რა. ამ გამოთქმების შემადგენელი სიტყვები ქართულია და ამიტომ ზგონია გამოუცდელ თვალსა თუ ყურს ის ქართული. ამიტომ არიან ისინი საშიშვნი. ამიტომ არის საშირო დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. მაგრამ არაიენ ებრძვის.

როგორც მოვახსენეთ, ჩვენში ამჟამად ათასობით ქართული წიგნი გამოდის. ეს არის ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. ჩვენ ახლა მსოფლიო ლიტერატურის ბევრი კლასიკოსის თითო-ორთა ნაწარმოებები მაინცა ვვაქვს თარგმნილი ქართულად (თუმცა ეს აღარ არის საკმარისი და ღრთა დასხვა ზოგიერთი დიდი მწერლის სრულ თხზულებათა გამოცემის საკითხი). ერთი სიტყვით, ბევრი წიგნი გამოდის. ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეცა საჭირო. ძველად თითო-ორთა წიგნი გამოდიოდა და ამ წიგნების ავტორები თუ მთარგმნელები სწორად ჩვენს დიდი მოღვაწეები იყვნენ, რომელთაც ბრწყინვალედ იცოდნენ ქართული ენა. თუ ვინეე მოახერხებდა და დაბეჭდვდა თავის საკუთარ წიგნს ან თარგმანს, შესრულებულს არასაკადრისი ქართულით, მაშინვე დაესხმიდნენ თავს, შეარტყვენდნენ და კვლავ ასე არასაკადროხად თარგმნის ხალისი დაუკარგავდნენ, როგორც შეარტყნენა და თარგმნის ხალისი დაუკარგა ბლიამ თავდ რევან ერისთავს. ძველად, როცა თითო-ორთა წიგნი გამოდიოდა, კონტროლი უფრო ადვილი იყო. ახლა კონტროლი გაძნედა. წიგნის მალაზიის თაროზე ყოველდღე ახალ-ახალ ორიგინალურსა თუ თარგმნილ წიგნსა ვხვდავთ. მათი ავტორები და მთარგმნელები არ არიან ყველანი თანაბარი ცოდნისა და გემოვნებისა, რაც მთავარია, ყველამ ერთნაირად არ იცის ქართული ენა, თუმცა ყველას ჰკონია, ჩინებულად ვიცოთ. ძველად მაინებელი შიშით იღებდა კალამს შექსპირის ტრაგედიების სათარგმნელად, ახლა კი ბევრ მანდილოსანს ცალ ხელში ფილთაქვა უჭირავს, ხოლო მეორეთი რომელიმე უცხოელი ან რუსი კლასიკოსის ნაწარმოებები პირდაპირ ვად-მოაქვს საბეჭდ მანქანაზე. კალამსაც აღარ ურულომს, რომ ზედმეტად აღარ შეიწუხოს თავი კიდევ ერთი ზედმეტი წაკითხვით. ერთი მხრივ, ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ვანათლებული ადამიანი გვაყავს, მაგრამ სრულიადაც არ არის სავალდებულო ყველა განათლებულმა ადამიანმა მწერლის კალამს მოპკიდოს ხელი.

ღიბ, მწერლის კალამს! რადგან დიდი მხატვრული ლიტერატურის თარგმნა იგივე დიდი მწერლობაა, ხოლო მწერლის უბირველესი იარაღი ენაა, ყველა თავისი ნიუანსით, მთელი თავისი საოცარი მრავალფეროვანებით, იმ დიდი

იღუმალებით, რასაც ასე ადვილად ვერ ჩასწვდება კაცი.

ღიამ, ბევრი არასაკადრისი ქართული დაწერილი და თარგმნილი წიგნი რყენის ენას, რადგან ამ წიგნებს კითხულობენ ჩვენი ახალგაზრდები, ბავშვები, მოზარდები. ეს ენება არა მარტო მხატვრულ ლიტერატურას. ამას განსაკუთრებით ექვსამ ზახს, რადგან ზოგიერთი აგრონომი ან ფიზიკოსი, წარმოდგენილი, ზოგ სიტორიკოსსაც იქ, ჰგონია, რომ მისთვის სავალდებულოა აზრის გადმოცემა, ქართული როგორი იქნება, ამას არ დავიდგეთ. იმას აღარ ფიქრობს, რომ, სხვას რომ თავი დაავანებოთ, ცუდი ენით არ შეიძლება აზრის კარგად გადმოცემა. ამიტომ, რომ, ვთქვათ, რომელიმე „სამზარეულო წიგნში გვიხსნის“ „დაკლული ხბის დ აყოფას“ და არა ასო-ასო დ აქნას; რომელიმე აგრონომიულ წიგნში ვხვდებით „ვენ ახის პლანტაციას“ და არა ზ ვ ა რ ს.

აი, სწორედ ეს არის ქართული ჩაცემული ის არაქართული გამოთქმები, ზემოთ რომ მოვასხეუნებდით. ენის სიწმინდის თვალსაზრისით ყველაზე დიდი საშიშროება ის არის, როდესაც სხვა ენის ფორმები და გამოთქმების პირდაპირი თარგმანი შეიძლება. ეს საშიშროება განსაკუთრებით ამჟამად იგრძნობა ჩვენს ენაში, რადგან, შეიძლება ითქვას, სულაც არ ვებრძვივით მას.

გაიკლებით, ისეთ თარგმანზე წაიკითხავთ ხოლმე რეცენზიას — „თარგმანი შესრულებულია ძარღვიანი ქართულით“. ფაქტიურად, სანთლით რომ ეძებოთ, ამ თარგმანში ერთ იდიომურ გამოთქმას ვერ ნახავთ, ერთ ფრთიან სიტყვას ვერ შეხვდებით. და მხოლოდ იმიტომ ეჩვენება ასეთი რეცენზიის ავტორს თარგმანი ძარღვიანი, რომ შიგ „სტოლი“ და „პოლი“ ვერ აღმოუჩინია. ასეთი თარგმანები უფრო „აწყობს“ ზოგ რეცენზენტს. თუ რომელიმე წიგნში ძე რ ა ს მაგიერ ქ ო რ ი ნახეს თარგმნილი, განგავს ასტეხენ, საქვეყნოდ შეარცხვენენ მთარგმნელს, „ახუც ვიცოდის“ კი ვერ შეინსნავენ; მაშინ როდესაც ეს არის „ქვეყნის დამქცევი“; ხოლო „მერას“ მაგიერ „ქორი“ კი არა, „ხულოზულოც“ რომ დაწერო, ისეთი დიდი ცოდვა არ იქნება — ყველა იგრძნობს, რომ ეს ლაფსუსია, უბრალო დაუდევრობაა. მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდეს წიგნში ამა თუ იმ სიტყვის ზედმიწევნით თარგმნას, მთარგმნელი ამ შემთხვევაში მაინც ცოტას ცოდავს — მხოლოდ ამ ნაწარმოებს გადმოსცემს დამახინჯებულად; უფრო დიდი ცოდვა კი ენის წარყვანა და დამახინჯებაა. ასეთ მთარგმნელებსაც უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ქართული სიტყვებისაგან შემდგარი არაქართული გამოთქმები უფრო საშიში და მავნეა, და მათ წინააღმდეგ უფრო დაუნდობელი ბრძოლა გვმართებს.

ზემოთ ვამბობდი, ზოგიერთ ნაწარმოებში ერთ ქართულ იდიომასაც ვერ ნახავ და ასეთ თარგმანს

მაინც „ძარღვიანი ქართულს“ უწოდებენ-მეცხქმს იდიომები და ფრთიანი გამოთქმები ზოგი ნაწარმოებისათვის დიდი ფუფუნებაა (და ასეთი წიგნებიც ბევრია, სამწუხაროა). იქ არც სხვა მხრივ არის კარგად საქმე, თუმცა გრამატიკულად შეიძლება ყველაფერი რიგზე იყოს. საქმე ის არის, რომ მწერლობას თავისი გრამატიკა აქვს, ხოლო ასეთ გრამატიკას არავინ სთხოვს ზოგ ორიგინალური ნაწარმოების ავტორს და გაიკლებით უფრო მრავალრიცხოვან მთარგმნელებს. მცირე გამოცემის გარდა, ახლა ძალიან ბევრ წიგნში შეხვდებით თითქოსდა სწორად გამართულ წინდადებებს და რომ დაიწუნოთ, გაიღიმებთ კიდეც. ეს კაცი რამ ვაფაგოა, რას იწუნებსო. ღიამ, ბევრ წიგნში წაიკითხავთ, ვთქვათ, ასეთ წინდადებას — „შვილმა უთხრა დედას, რომ ის მიდის იქ, სადაც ამხანაგები ეგულება“. გრამატიკულად ეს წინდადება სწორია, მაგრამ ენის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ეს სულაც არ არის ქართული წინდადება. ქართველი გლეხიკაცი ამას თავის დღეში არ იტყვის. მაგრამ რაკი გრამატიკულად სწორია, ამასთან, რაკი ქართული სიტყვებისაგან შესდგება და „სტოლი“ არ უჩვეია, კაცი არ დაგიდევს — არც ავტორი და არც მკითხველი, არც რეცენზენტი. პირიქით, ასეთი წინდადებით შედგენილი წიგნზე წერენ ხოლმე ზოგჯერ, „ძარღვიანი ქართულია“. იგივე წინდადება ქართულად ასე უნდა დაიწეროს — „შვილმა უთხრა დედას, სადაც ამხანაგები მეგულება, იქ მივიდვარო“. აი, ეს არის ქართული. მაგრამ ჩვენ რატომღაც ძალიან თავმდაბლები ვაგვხდით და ენის სიწმინდისათვის ბრძოლის დროს მარტო „სტოლი“ და „პოლი“ ვებრძვივით, მთავარი მტერი, ყველაზე საშიშელი სარეველა კი გავიწყდება. ფაქტიურად, თუ ნამდვილად ენის სიწმინდის დაცვა ვიბრძვით, სწორედ ამას უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს არღვევს ენის პარამონას, ენის მუსიკას. ენა, მართალია, სიტყვებისაგან შედგება, მაგრამ ენის ბუნებას სიტყვები, და თუნდაც გრამატიკა, როდი განსაზღვრავენ ისე, როგორც ის იღუმალი მუსიკა, რომლის სწავლა ყველაზე უფრო ძნელია.

ასეთი „გამოთქმები“, ენის ბუნების ასეთი დარღვევა ალატაკებს ენას. წარამარა და უაღვილო ადვილას ანდაზის ან იდიომის თეიმომინური ხმარება, რა თქმა უნდა, აგრეთვე ენის მუსიკის უცოდინარობა, მაგრამ არც ისე გამოთქმება და ვალატაკება შეიძლება, რომ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში, ან თუნდაც კრიტიკულ პუბლიცისტურ წერილში, ერთ იდიომურ გამოთქმას, ერთ ფრთიან სიტყვას ვერ გადაეყარო. ამიტომ, როცა თარგმანის ან ორიგინალური ნაწარმოების ენას ვფასებთ, მარტო გრამატიკისა და სიტყვების მართლწერას კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ, უპირველესად ყოვლისა, ენის ბუნების ამ მხარეს, იმ იღუმალ მარისა და გემოს, რასაც გრამატიკა არ ითვალისწინ



ნებს. აი ეს იქნება ენის სიწმინდის დაცვისათვის უკუშპირიტი და სასარგებლო ბრძოლა.

ენის სიღარიბეზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვაფიქვდეს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენს თარგმანებში, სამწუხაროდ, არც ამ მხრივ არის კარგად საქმე. კითხვობას მთარგმნელი რომელიმე უცხო ენაზე „მელა მორბის“ და ასევე თარგმნის „მელა მორბისი“, მაშინ როდესაც მელიას სირბილს ჩვენში ცუნცულს ვეძახით. რა თქმა უნდა, არც ის არის აკრძალული, ზოგჯერ კაცმა თქვას, მელა მირბისი. მაგრამ რაკი მელიასათვის ცუნცულია დამახასიათებელი, რა თქმა უნდა, აჯობებს, უფრო ბუნებრივი ქართული იქნება, თუ ვიტყვი — „მელა მიცუნცულდება“ (თუკი ეს მელაკულა ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სისწრაფით არ გარბობდა); ისევე, როგორც მეგლისათვის დამახასიათებელია ძუნძული, კურდღლისათვის ცანცალი და ა. შ.

ვთქვით, რომელიმე ნაწარმოებში გაუმძლარი ტაბი, რომელიც, საერთოდ, არასიმპათიურად ჰყავს დახატული ავტორს, შემოვარდნა ითაზნევი, მიუხედავად სუფრას, ღორივით შექვამს რამდენიმე კაცის ულუფას და ისევ გავარდნა. კითხვობს ამას ზოგიერთი საოჯახო საქმეებით დატვირთული მთარგმნელი და ასევე თარგმნის, რამდენიმე კაცის ულუფა ღორივით შექვამა. მეორე რა მოხდა, გვეტყვის ეს მთარგმნელი, არ შეიძლება ასე ითარგმნოს? შეიძლება კიდევ და არც შეიძლება. ისიც შეიძლება, კაცმა მოხარშოს ლობიო და პირდაპირ შექვამოს — არც მარტივად და არც არავითარი საქმავი. მაგრამ აბა დავეფიქრდეთ, რა კარგად შეიძლებოდა იმავე ლობიოს გემრიელად შექვამა — ნივგზით, ქინძით და ათასნაირი საქმავით, — დიასახლისებმა ეს უკეთ იციან! თუმცა შედარება საქმიად ტლანქი გამოივიდა. იმ უგემურ შექვამანდს უხადრუი დიასახლისი რამდენიმე კაცს შეაქმევს, ასეთ თარგმნელს წიგნს კი ათითასობით აღამინს სთავაზობს, და მეგრე ეს წიგნები შთამომავლობასაც რჩება. აზრობრივად ზემოთ ნახსენებ მაგალითში თითქოს ყველაფერი სწორია. მაგრამ, ფაქტიურად, ეს გაცილებით უფრო დიდი ცოდვია, ვიდრე, ძერას ან ქორის ნაცვლად ბულბულის თარგმნა, რადგან ეს არის შეუწყურებელი ვალატაკება ენისა, და ისევე, როგორც უხადრუკ შთამომავლებს დასცინიან და ჰკიცხავენ მამამამისეული ქონების უგემურად გამოყენებისათვის, ჩვენც უნდა სასტიკად გავიცვიოთ ჩვენი დიდი მწერლებს ის ბედოვალაი ემეყვიდრებები, რომლებიც ასე აღატაკებენ ჩვენს მდიდარ, ენას მგონი განმარტებაც არ არის საქირო, რომ ამ შემთხვევაში უნდა ეთარგმნათ — შეიქვდიფა, შექვქლა ან შესანსლაო და ა. შ.). ამისთანა მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

ცალკეული მაგალითები არ მომაქვს. ეს არ არის ამ წერილის მიზანი. მე მინდოდა საერთოდ ენის სიწმინდის საკითხებზე მელაპარაკნა. ხო-

ლო რაკი ენის დამახინჯება, უცხო ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმებისა და იდიომების პირდაპირი შემოტანა უმთავრესად თარგმნელი ნაწარმოებებიდან ხდება, მეც ყურადღება უმთავრესად თარგმნელი ნაწარმოებებზე გავამახვილო. თარგმნელი წიგნები ამჟამად ძალიან ბევრი გამოდის და მთარგმნელებიც უმთავრესად არაკვალიფიციტური არიან, ხოლო ამას თუ დავუმატებთ უპასუხისმგებლობას, რასაც ასეთი მთარგმნელები იჩენენ, ნათივ გახდება, რა დღეში იქნება ენა მთავან თარგმნელ წიგნებში.

ამ წერილში აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ასეთი მთარგმნელები ელემენტარულ წესებსაც ვერ იცვენ; რაც მთავარია, მათ არა აქვთ დიალოგის შეგრძნების უნარი და როცა ასეთ თარგმნებს კითხვობთ, ერთი გვირის საუბარია ალთას მიდის, ხოლო მეორისა ბალთას; ნაცვალსახელების „უპრაგონოდ“ ხმარებას ნუღარ იკითხავთ. უცხო ენებში, ზმნის თავისებურების გამო, ბუნებრივია ნაცვალსახელების ხშირი ხმარება. ჩვენი მთარგმნელებიც, ვაგინარიო, ერთგულად მიხდვენ დღანს და ვაღმობაქეთ და ვაღმობაქეთ ნაცვალსახელები ქართულში. მწერლის სტილისა და თავისებურების შენარჩუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზემდეტია. ანკი რა სტილზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც რომელიმე უცხოელი მწერლის გრძელ წინადადებას (ზოგიერთი მწერლისათვის ხომ გრძელი პერიოდებია დამახასიათებელი და ხშირად თითო წინადადება თითო გვერდს იჭერს ზოლმე) დააქუცმაცებენ და ბარე 5—6 წინადადებად ვაღმობტანენ. ადვილი წარმოსადგინა, რა ფლობები არა და დიკენსა ვაბოვა ქართულად, თუ ასე ვაქუცმაცეთ და ვახურდავეთ! ასეთი მთარგმნელების „პრაქტიკულ“ საქმიანობას ზოგი „ოგორტიკოსიც“ ამავრებს და ამტკიცებს, თითქოს ქართული ენა გრძელ პერიოდებს ვერ იტანდეს. მაგრამ ეს დამოუცილებელი საკითხებია და სჯობს ცალკე ვიმსჯელოთ მათზე.

ხოლო ამ წერილში იმიტომ ჩამოვავდე სიტყვა მთარგმნელებზე, რომ, ვიმეორებ, უხეიროდ თარგმნელი წიგნები ყველაზე მეტად რყენს ენას; თარგმნელი წიგნებს ბევრი მკითხველი ჰყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ეს იმიტომ, რომ თარგმნის უმთავრესად ცნობილ კლასიკოსებსა და თანამედროვე მწერლებს (თუმცა არც თუ იშვიათად ისეთ უმნიშვნელო წიგნსაც ნახათ თარგმნის, რომ გავივირდებთ, რატომ „გადასდ“ მთარგმნელმა თავი მის გამოსატანად); სასწაულებრივი სისწრაფით იყიდება გამოჩენილი ავტორების წიგნები. ზოგიერთი თარგმნელი წიგნი დიდიდან საღამომდე ვერ „სძლებს“ მაღაზიაში. რამდენიმე საათში საღდება, რადგან დიდი ტირაჟით იყოს გამოცემული. წიგნებს ეწავდება ჩვენი ახალგაზრდობა. და მით უფრო სავალალოა, როცა ბევრ ასეთ თარგმნელ წიგნში ისინი ენას იფუქებენ. ამ საქმეს სერაოზული



დაფიქრება უნდა. ეს არ არის ისეთი უბრალო საკითხი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. თარგმნის მადა და ხალისი უნდა დაეკარგათ ისეთ „მთარგმნელებს“, რომელთაც ქართული ენისა არაფერი გაეგებათ და მაინც დაუზარებლად გეთავაზობენ თავიანთ ღვაწლს. და განა მართკ საეთ მთარგმნელებს უნდა დაეუკარგათ მადა! ის კუდმოკვეცილი, არაფრისმთქმელი რეცენზიებიც უნდა აიკრძალოს, რომელთა ავტორები ასე გულუხვად ასხამენ ხოტბას და ქართული ლიტერატურის „შენაძინდა“ გვიხატავენ ჩიქორთული ენით თარგმნილ და დაწერილ წიგნებს.

ასეთ მკაცრ მომთხოვნელობას ორნაირი მნიშვნელობა ექნება: ჯერ ერთი, ხალისს დაუკარგავს უხერო მთარგმნელებს; მეორეც, იმათაც გამოაფხიზლებს, ვისაც უნარიც აქვს თარგმნისა, მოქალაქობრივი სინდისიც აწუხებს, მაგრამ რაკი ასე ავადებულა ეს საქმე ჩვენში, მასაც ვაიოლებული აქვს და ხშირად არც კი ფიქრობს ისე, თავისდა უნებურად ამახინჯებს ენას.

აგერ, ავიღოთ თუნდაც უცხო ენიდან თარგმნილი სქელტანიანი რომანი ერთი დიდად სახელგანთქმული ავტორისა. ეს წიგნი შარშან გამოვიდა 10.000-იანი ტირაჟით და იმავე დღეს ვაიყიდა. წიგნი თარგმნილია კეთილსინდისიერი აღამიანის მიერ, რომელმაც ავტორის ენა კარგად იცის. მიუხედავად ამისა წიგნის უბრალო გადათვალერების დროსაც, შეხედვებით ყველა იმ სახის შეცდომას, რაც ზემოთ მაქვს ნახსენები. აი ზოგი მაგალითიც:

„ქმრის სიტყვებმა ქალი შიშის და მორჩილების მდგომარეობიდან გამოიყვანა“.

„ეს ჩემი ბრაილი არ არის, თუ ჩვენ აქამდე მივდივით“...

„მე შენ განახავდი, თუ რას იზამდი ორი ბავშვით ერთ ოთახში, ხალაც ღუმელიც კი არ არის, რომ წყალი გაათბო“.

„ქმარი კედლისკენ მიბრუნდა მოწყენილი ხანით“.

„ოჰ, არც თქვენი რეცხვა გასტანს დიდხანს“.

„მისი დედა წარსულ წელს გარდაიცვალა“.

„უბარიველეს ყოვლისა მათთვის არ იქნებოდა ეს მისადები“.

„ამ საღამოს ძალიან თავაზიანი შეხახედაობა აქვთ“.

„თქვენ ეს მოგაწყობთ?“

„ქალს შეშინდა, რომ ამით რამე გააფუჭა და ფეხი საჩქაროდ უკანვე გამოიღო“.

„საღამოს კურდღლის ხორცს ავხლეჩით სადმე პირველ შეხვედრილ რესტორანში“.

„იგი დიდი ნაბიჯით მოვიდა, დაღვრემილი და შემოიღისაგან გაფითრებული ხანით“.

„შეხედეთ ერთი დასაშვებია ესა?!“

„ერთი მითხარი, შენ არ ფიქრობ, რომ ეს ქალბატონი ჩემს დასაშვებს?“

„მას ორსული დედაკაცის ვება, მტისმეტად წინგამოშვარილი მუცელი მოქონდა“. და ა. შ.

აი ეს არის ქართული სიტყვებისაგან შედგენილი არაქართული გამოთქმანი!

მთარგმნელის გვარს არ ვასახელებ. არც საჭიროა. ეს — ზომ სარეცენზიო წერილი არ არის. ამას გარდა, ეს თარგმანი ბევრს სხვისასა სჯობს, და ამიტომაც არა აქვს მნიშვნელობა მთარგმნელის გვარის დასახელებას. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, ენის სიმწინდისათვის ბრძოლის დროს ასეთ საკითხებს მივაქციოთ მეტი ყურადღება.

ზერელედ გადავხედოთ მეორე ასევე დიდტანიან წიგნს, რომელიც რუსულიდან არის თარგმნილი (800-დე გვერდს შეიცავს ეს წიგნი). აქაც გრამატიკის თვალსაზრისით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თქვენს მტერს, რა დღეში ჩაუღლია მთარგმნელს ქართული ენა! არ შეიძლება ილია ჭავჭავაძის სიტყვები არ ვაგახსენდეთ — „გვიცივდა, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი დედ-მამის ენა ისე, როგორც ამ წიგნის მთარგმნელს გამოუმეტნა“. ამოდენა წიგნში მთარგმნელს შეეძლო, რომ იტყვიან, მთელი სიგრძე-სიგანით ეჩვენებინა ჩვენი ენის საარაკო მრავალფეროვანება და სილაშავე, მისი სინტაქსური თავისებურებანი, მომზობლავი გამოთქმები, ზმნის ელასტიურობა, მდიდარი ლექსიკა... თქვენც არ მომიკედეთ! რომელ სიმდიდრეზე ლაბარაკობთ! აქ სწორედ ჩვენი ენის ვალაობებდა საოცარი ერთფეროვანება დაგწყვეტო გულს. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, გრამატიკულად თითქოს ყველაფერი რიგზეა. ალბათ არც აზრობრივად არის დიდი დამახინჯებანი. ერთი სიტყვით, წყალი არ გაუფა; ისეა „გაყეთებული“, რომ ყველა კეთილსმსურველ რეცენზენტს შეუძლია დაწეროს — ძარღვიანი ქართულიაო. და, როგორც მახსოვს, მართლაც ასე შეაფსეს ეს წიგნი. აი რა მაგალითები ამოვიწერე ამ წიგნის სამიოდ გვერდიდან:

„დედა, რომელსაც ქმრისადმი არასოდეს ეკვიანობა არ გამოუჩენია, ნაღვლიანად ფიქრობდა, რომ შვილი შეიყვარება ანაღვარდა ქალს, როგორც მას ეგონა, ქარაფუშტა ქალს და გულს აიყრის დედაზე“.

განა ეს არის ჩვენი სასიქაულო ენა?! საშეჯერ მიინც უნდა წაიკითხოთ კაცმა ეს პატარა წინდადება, რომ აზრს ჩასწვდეს. ეს იმიტომ, რომ ქართულად კითხულობს, სიტყვებით ქართულია, ზოლო მიელ წინადადებას ქართულად არაფერი სცხია. ნუთუ უმარტივესი აზრის გამოთქმა ისე ვერ მოვახერხებთ, რომ კითხვის დროს კაცმა არ იბორძიკოს და ერთბაშად გაიგოს ავტორის სიტყვები?! მაშ რაღას მოგვაქვს თავი — ჩვენს ენაზე უღრმესი აზრებისა და ცნებების გამოთქმა

და ვადმოტანა შეიძლება?! ნუთუ ასე დაცნინდა ჩვენი ენა! გავკადნიერდები და ამავე აზრს ცოტა უფრო სხვანაირად გამოვთქვამ (იქნებ არც ეს იყოს კარგი ქართული, მაგრამ მე ხომ კარგ მოქართულეობას არ ვიჩემებ. მე იმას ვწუხვარ, რომ საერთოდ იშვიათად გამოდის კარგი ენით თარგმნილი წიგნი): «დედას თავის დღეში ქმარზეც არ უქეპიანია, ახლა კი საგონებელში ჩავარდა—ვით თუ ჩემი შვილი ვინმე ქარაფშუტა ქალს ვადეყაროს და ჩემზე გული აიტრუსოს“. რა თქმა უნდა, ამის თარგმნა სხვაგვარადაც შეიძლება, არც ჩამიხედავს ორიგინალში, რომ უფრო მარჯვედ ვადმომეტანა. მე მხოლოდ ქართული ენის ბუნების მიხედვით ვადვალავებ.

შემდეგ:

„მან იმდენი რამ ნახა, რომ სიმშვიდის შესაძლებლობა არ სჯეროდა“.

მართლაც, როგორ უღვთოდ ვიმეტებთ ჩვენი დედამამის ენას ასე! ეს არის განა ქართული? განა ქართულის მცოდნე ამ აზრს ასე გამოთქვამს?! ეს ხომ პირდაპირი თარგმანია სიტყვებისა და არა აზრისა. ახა ერთი წუთით წარმოიდგინეთ ძილვატეხილი კაცი, რომელიც ასე მიმართავს თავისიანს: „მე დღეს იმდენი რამ ვნახე, რომ ძილის (გინდა დამშვიდების) შესაძლებლობა არა მჯეროა“.

მაგრამ განვავტობთ:

„ქალაქი დაუღებდა, როგორც ხახლი, სადაც ქორწილია“.

ეს რა ჩიხრკედლეობააო, — ნიშნის მოგებით წამოიძახებენ ამ წიგნის მთარგმნელიცა და ის რეცენზენტებიც, რომელთაც ამ თარგმნას „ძარღვიანი ქართულს“ მარკა დავატრეს; ახლა ხომ დავიანჭირებთ, ახა რომელ სიტყვას დადებ ხელს ამ ფრაზაში, რომ ქართული არ იყოსო. — მართლაც რა მეთქმის! ყველა სიტყვა ქართულია. მაგრამ ვაი ამისთანა ქართულს. მართალი თუ გნებავთ, ის, რაზედაც ალბათ ცოტათი მიიძვთ ეთანადრება გული ახლა მთარგმნელს, სულაც არ არის დიდი უხედურება. მარტო ეს უხერხულობა რომ იყოს ამ ფრაზაში, ამაზე თავსაც არ შეგაწყენით. ქალაქის დაუღები მართლაც ძალიან უხერხულია, მაგრამ ყურს აქ სხვა უხერხულობა უფრო ეჩითირება და ვაი რომ ვერ დავაჯერებ მთარგმნელსა და მის რეცენზენტებს. ამის აშკარად ჩვენება ძნელია, რადგან იმას თითქოს კანონი არა აქვს, ენის მუსიკას ემორჩილება.

„ეს ფირმა რეორგანიზაციის პერიოდს განიცდის“.

ვკითხულობთ შემდეგ. ფირმისა რა მოგახსენოთ და კარგი იქნება, ჩვენმა რედაქციებმა და გამომცემლობებმა დროზე განიცადონ ისეთი რე-

ორგანიზაციის პერიოდი, რომ ამგვარი თარგმნებით აღარ გაუფუჭონ ენა ჩვენს მკითხველებს „ეს მონოკლიანი კაცი ხომ ზედგამოჭრილია ის, რომელზეც მწერალი წერდა“.

ეს ფრაზა კი მართლაც ზედგამოჭრილია ის, რაც მთარგმნელსაც ვააწითლებს და გამომცემელსაც.

„როცა ქალმა გონს მოხვლა დაიწყო, ფიქრობდა ხან იმაზე, რაც მოხდა, ხან ბავშვობას იგონებდა“..

არ მახსოვს, რა პირობებში ხდება აქ აღწერილი ამბავი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ქალს ვადაუწყებთ, აწი დროა გამოვჯობინდეთ და გონს მოხვლა დაუწყია. ბარაქლა მის ქალობას, რა გვეთქმის!

„რამდენიმე დღის შემდეგ შუალამისას პატარა უბრალო ოთახში... შემოვარდა ქალი, უქულოდ, თმაგაწიწილი, მეტად გრძელი სხვისი კაბით“.

(აქ ისღა უნდა შევნიშნოთ, რომ თავისი კაბა თუ სცმოდა, იმ უბრალო ოთახში ის ქალი გრძელი თავისი კაბით შევარდებოდა).

შემდეგ:

„სირცხვილია! თქვენს ასაკში იერიშები უნდა მოგქონდეს...“

მაგრამ კბარა! მართლაც სირცხვილია! რა ხნისაც (ე. ი. მთარგმნელის სიტყვებით რომ ვთქვათ — რომელ ასაკშიაც) უნდა იყოს კაცი, ასეთი ქართულით წერა არ უბატიება.

სამწუხაროა ეს ის არის, რომ ასეთი თარგმნები ჩვენში ახლა უხვად გამოდის. გზა ხსნილი აქვთ ამგვარ მთარგმნელებს. და ისინიც ენერჯის არ იშურებენ, თარგმანს და თარგმნაინ, დაუწოგავად ამბიზრეკებენ ქართულ ენას. არც თუ ძნელია ასე მუშაობა. მაგრამ როდემდე უნდა ვაგრძელდეს ეს? ასეთ წიგნებში ხომ ენის ბუნების უმარტივესი კანონები დარღვეული. ამაზე კამათიც არ შეიძლება. ამას ისეთივე ხერხებით უნდა ვებრძოლოთ, როგორც რაიმე მავნე ჩეყვას, რაიმე სენს. აქ ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება სტილის თავისებურებაზე, ეს, უბრალოდ, ენის უტოლინარობა და მიუტევებელი დაუღვერობაა. სულ სხვა, მაგალითად, როცა რომელიმე მთარგმნელი მძიმე ენით თარგმნის და გვედავება, ორიგინალშიც ასეაო; ან როცა ავტორის სტილსა და ნაწარმოების დაწყობილებას ვერ ვადმოსცემს; ან როცა ზედმეტად აქართულებს და ნაწარმოებს თავის კოლორიტს უკარავავს. ასეთ პირობებში შეგვიძლია ვედავოთ მთარგმნელს, თარგმანი დაეუწუნოთ, ვავაკრიტიკოთ და მისი მოსაზრებანიც მოვისმინოთ. ჩვენ ვცყავდა ბრწყინვალე მთარგმნელები — გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ავალოშვილი, ივანე მაჭავარიანი, თ. ბაქრაძე და სხვები, ისინი ზოგჯერ (ზოგიერთი ნაწარმოების თარგმნისას, ყოველთვის არა) ზედმეტად აქართულებდნენ ნაწარმოებს, და ორიგინალს, ერთგვარად, თავის კოლორიტსა და სურნელებას უკარავდნენ, ზოგჯერ ავტორის ტექსტიდანაც ვადაუხვევდნენ;





მაგრამ, სამაგიეროდ, თარგმნიდნენ შესანიშნავი ქართული ენით. და ახლა, ამ თარგმანებს რომ კითხულობთ, უდიდეს სიამოვნებას განიცდით, რადგან იქ მართლაც მთელი სიუხვით იგრძნობა ქართული ენის მადლი და ბარაქა, სილამაზე და მრავალფეროვნება.

განა ახლა კი არ გვყავს ასეთი მთარგმნელები. საბედნიეროდ, გვყავს: გვყავს ღვაწლმოსილი შურტლებიც, როგორც, მაგალითად, გერონტი ქიქოძე, ახალგაზრდებშიაც გამოჩნდნენ საიმედო მთარგმნელები. შეგვეძლო დავეცხვებინებინა, მაგალითად, ჯორჯანელები, რომელთაც ჰაინეს მოგზაურობა თარგმნეს, ნოდარ ჯანაშია, რომელმაც საბაპათინ ალის მოთხრობები თარგმნა. (აქ მხოლოდ პროზის თარგმანზე ვლაპარაკობთ), და სხვები. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ „ჩიქორთულო“ ენით მთარგმნელებს მეტი ვასაქანი აქვთ. ეს ალბათ მათი აქტივობის წყალობით. რას იზამ, ღმერთი სამართლიანია, არავის გასწირავს — ზოგს ნამდვილი საქმის უნარს მიანიჭებს, ზოგს კიდევ საქმისუნარ აქტივობისას!..

რაკი ენის სიწმინდის საკითხად ენის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამოყენება დაგსახვთ, აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად საქირბოროტო და მტკივნეული საკითხი. ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი წყარო, როგორც ცნობილია, ქართული და კახური დიალექტებია, აგრეთვე ზემოიმიერული. რა თქმა უნდა, ამ კუთხეებში გაზრდილი ბავშვებისათვის უფრო ადვილი უნდა იყოს ქართულ სალიტერატურო ენაში გაჟაფფა. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ბრწყინვალე „დედა-ენის“ წყალობით, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხიდან გამოსულმა ბევრმა მწერალმა ჩინებულად იცოდა და იცის ქართული ენა. თედო სახოკიას, შალვა ღაღანიასა და დემნა შენგელიას ენა სამაგალითოა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამეგრელოდან არიან; გერონტი ქიქოძე გურულია, მაგრამ მისებრ კარგი ქართულით წერა ნეტა ყველას შეეძლოს. მე ვფიქრობ, ეს არის შესანიშნავი გავლენა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენისა“. ათვალეირებ პედაგოგიურ მეცნიერებთან ინსტიტუტის მიერ ახლახან გამოცემულ ორ ნაწილს გოგებაშვილის „დედა-ენისას“ და გიხარია. რა დაკვირვებით შედგენილი ტექსტი, რა მოზღვნილი სასაუბროები, ენის რა ნიუანსებია გათვალისწინებული!

ჩვენი „დედა-ენის“ შემდგენლებს ბევრი რამ გაუთვალისწინებიათ და გადამოვლიათ გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან. გოგებაშვილის მეტად სასარგებლო და ცოცხალი სასაუბროები თითქმის მთლიანად არის გადმოტანილი მეორე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში, მაგრამ, იმიტომ გამოჩვეულის გარდა, ჩვენი მასწავლებლები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მას და ვერ იყენებენ იმ მდიდარ საუნჯეს, სადაც

ჩვენი ენის ბევრი ნიუანსია გათვალისწინებული.

სამწუხაროდ, „დედა-ენის“ შემდგენლებს ძალიან ძუნწად შეაქვეთ წიგნში ანდაზები, გამოცენები და ე. წ. საპასუხობები, რომელთაც სასაუბროებზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვთ. „სასაუბროების“ მსგავსად, აღნიშნულ „საპასუხობებშიაც“ გოგებაშვილს გათვალისწინებული ენის მრავალი ნიუანსი და ბავშვი უფრო გაბედულად შეჰყავს ენის სტიქიაში. იგივე უნდა ითქვას მეორე, მესამე და მეოთხე კლასის სახელმძღვანელოებზე, სადაც აგრეთვე სასურველია მეტი ანდაზებისა და ხალხური ზღაპრების შეტანა. ზოგიერთი ის ორიგინალური და თარგმნილი მასალა, რაც ამ წიგნებშია შეტანილი, გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ილიომური და ფრთიანი გამოთქმებით მეტისმეტად ღარიბია. მაგრამ ილიომებს ვილა ჩივის, როდესაც ბევრ სახელმძღვანელოში (ეს უმთავრესად შეეხება სხვა საგნების, არა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს) ქართული ენის ელემენტარული ბუნებაა დარღვეული.

ამა, რა ენისმეტოდენ უნდა გამოვიდეს ბავშვი, რომელსაც მესამე-მეოთხე კლასშივე ასეთ აბღაუბლას ასწავლიან:

„ადვილზე ჰორიზონტის მოქმენის ცოდნას გაგნება ეწოდება. ყოველგვარ, თვით პატარა ექსკურსიის დროსაც კი, უნდა ვიცოდეთ ადვილზე გაგნება. მისი ცოდნა შექმნება მოგვეცემს გაბედულად გავემგზავროთ ისე, რომ დაბნევის შიში არ გვქონდეს“.

„მკვლევარებმა ჩაატარეს ოკეანის სიღრმის გაზომვა“, (თითქოს უფრო ადამიანურად არ შეიძლებოდა თქმა — მკვლევარებმა ოკეანის სიღრმე გაზომეს).

„ბოლოს ყინული გამოტანილ იქნა უფრო თბილ წყალში“.

„ყოველი ნებისმიერი საგნის ზედაბირი შეიძლება წარმოვიდგინოთ მრავალი წერტილებისაგან შემდგარი“.

„წამთარში აქ არახოდეს არ იცის დათბობა“.

„ხმელეთზე გადმოსვლისას ჰაერი ამტირებს ტემპერატურას“.

„მურმანსკი ჩრდილო ატლანტური დინების გავლენის ქვეშ იმყოფება. მისი თბილი წყლები ახლახან სკანდინავიის და კოლის ნახევარკუნძულებს“.

„ცნობილია, რომ მაღლა ასვლასთან დაკავშირებით ცივა“. (თითქოს არ შეიძლებოდა ადამიანურად ვთქვათ — რაც უფრო მაღლა აღინახ, მით უფრო ცივა).

„გზაზე ეს ქარები ხვედნიან მძლავრ ზღუდეს მთების სახით“.

„ჰავის შესახებ ნათქვამიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ ადგილის ჰავის თავისებურება დამოკიდებულია... ოკეანის დონიდან სიმაღლეზე, ქედების მიმართულებაზე“..

„ეს ნივთიერებები იმყოფებიან მოძრაობაში,

რომელიც ხანდახან დედამიწის ზედაპირსაც გადაეცემა“.

„საინტერესოა, რომ ცხოველები აღდგომის საშუალებით აღამიანზე ადრე გრძნობენ მიწისძვრის მოახლოებას, აღამიანებს ჯერ ექვიც არა აქვთ მომავალ საფრთხეზე, რომ ისინი (?) იწყებენ მოუხვენობას (როგორც ჩანს, წინასწარ გადაწყვეტენ — მოუსვენრობა დაიწყეთო): ცხენები არ დებულობენ საკვებს“ (როგორც ეტყობა, პროტესტის ნიშნად, შიმშილობას აცხადებენ და „საჭმლის მიღებაზე“ უარს ამბობენ. გონივრულად იტყვიან, ამისთანა პროტესტის შემდეგ იქნებ მართლაც აცილონ თავიდან მიწისძვრა).

თი, სადამდე მიყვარათ წინადადებებისა და გამოთქმების პირდაპირ, სიტყვა სიტყვითს თარგმანს!

„დრო არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვხვდებით საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და თითქმის ყველა სამეცნიერო გაზომვაში“.

მაგალითების მოტანა, სამწუხაროდ, აქაც დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ ეს შორს წავიყვანს, დროის ამაო დაკარგვა იქნება. ჩალოდეთ, როგორც ამ სახელმძღვანელოში ვგებულობთ, არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვხვდებით „საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და სამეცნიერო გაზომვაში“. რაღა გვეთქმის ამას შემდეგ, დავხუროთ ეს სახელმძღვანელო და გადავცეთ პატრონს, 10 წლის ბავშვს, რათა ახლავე შეუდგეს ზუთხვას, თორემ რას მოასწრებს ყველა გაკვეთილის მოზადებას; იცოცხლეთ, საგნები თავზე გადასდით და არც ასეთ სახელმძღვანელოებს არიან მოკლებულნი.

მაგრამ მაინც ვიკითხოთ — რა ენა ეცოდინება ასეთ წიგნებზე აღზრდილ ბავშვს?! ახი არ იქნება (და ამისი სრული უფლებაც ექნება მას იურიდიულად) ადგეს და ერთი მშვენიერ დღეს ასეთი საკლასო თხზულება წარბეჭდეს და წარუდგინოს მასწავლებელს.

ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა ტყეში წასვლა. თან წავიყვანეთ უფროსი კლასელი ამხანაგი, ახე უფრო გვწყობდა, რადგან მან იცოდა გავნება, აგრეთვე ჰქონდა სოკოების მოძებნის ცოდნა. ჩვენი მუშაობის ცუდაც აგვედგინა გრძელი თავისი კულით. გზის ცოდნამ შეძლება მოგვცა გაბედულად გვევლო, ისე რომ დაზნევის შიში არა გვექონოდა, ადრე დილა იყო და ხმელეთზე გადმოსულ ბაერს ტემპერატურა ძალიან შემცირებინა, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვცოლოდა, რადგან ვიმყოფებოდით მოძრაობაში, რასაც ჩვენს პატარა ცუგასაც გადავცემდით. ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც მივაღქმეთ მძლავრ ზღუდეს მთების სახით. მთაზე მაღლა ასვლასთან დაკავშირებით ციოდა, რადგან მწვერვალზე თოვლი ილა და მთის ზედა იმყოფებოდა თოვლის ტემპერატურის გავლენის ქვეშ. მწვერვალზე ჩვენ ნავატარეთ თოვლის სიღრმის გაზომვა. მთიდან

რომ დავეფიეთ, დასვენების შესაძლებლობა არავის არ გვეცეროდა; დავცხა, რადგან შუადღისას იცის დათბობა საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში. ამასობაში სადილად დავხხედით. ჩანთებიდან ამოღებულ იქნა საგზაო. ცუგამ აღდგომის საშუალებით იცოდა, რომ თან გვექონდა საუზმე, მაგრამ იგი ისე გააბრაჟა ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, რომ საყვები არ მიიღო. ძაღლის შესახებ ნათქვამიდან ჩანს, რომ ის იყო ძალიან ამაყი. ნასადილევს გვედით მდინარეზე და ტყეს მივუახლოვდით. მდინარის ნაპირს მთის ცივი წყლები ადგებოდნენ. ისე გავერთეთ, რომ არც კი ვიცოდით, რა დრო იყო, მიუხედავად იმისა, რომ დრო არის სიდიდე, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვხვდებით საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში და თითქმის ყველა სამეცნიერო გაზომვაში. უცებ შევნიშნეთ, რომ მზე ჩადიოდა და მოუსვენრობა დაიწყეთ. მერე შინსიკვრ გამოვლიეთ. ყოველი ნებისმიერი ბავშვი დადლილი იყო.

საინტერესოა, რა გუნებაზე დადგება მასწავლებელი, მართლაც ასეთი თხზულება რომ მიუტანოს მოსწავლემ. მე ვფიქრობ, პირველად დაიბნევა, სახტად დარჩება, ვერაფრის თქმას ვერ მოახერხებს I. მერე კი იქნებ სახსოვად გაავლოს თავზელი ბავშვი, რომელსაც სკოლის აბუჩად აგდება გადაუწყვეტია. მაგრამ ბავშვმა რა დაგიშავათ?! აქი თქვენ თვითონვე ასწავლეთ ეს გამოთქმები: სახელმძღვანელოებში უწერია და ისიც იზუთხავს (ვერ წარმოიდგენია, სხვაგვარად როგორ უნდა დაისწავლოს).

ეს მაგალითები მეხუთე კლასის ერთი სახელმძღვანელოდან ამოვკრიფე, ზრეულე გილათავლიერების დროს. მაღლობა დემრთს, „ილა-ენაში“ არ არის ასეთი „მარგალიტები“.

ისევ „ილა-ენას“ დავერთოდეთ. შემდგენლების საყურადღებოდ უნდა ითქვას: როცა გოგებაშვილი ადგენდა თავის სახელმძღვანელოს, მოსახლეობის უმრავლესობა გაშინ სოფლად ცხოვრობდა. ახლა, პირიქით, ქალაქები გაიზარდა, ბევრი ახალი ქალაქი გაჩნდა. ბავშვთა რიცხვი ქალაქებში ახლა გაიცილებით უფრო დიდია. ბავშვები ზაფხულობით უმთავრესად მთისა და ზღვის აგარაკებზე დაჰყავთ. სოფელში დასასვენებლად ძალიან მცირე ნაწილი თუ მიდის. ასე რომ ეს ბავშვები ვერ ისმენენ ცოცხალ ხალხურ მეტყველებას, წარმოადგენა არა აქვთ სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე, ცხოველთა სამყაროს მხოლოდ ზოოპარკიდან იცნობენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევადგინოთ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები. ბოლოს და ბოლოს, ზამ უნდა იცოდნენ მთ, ამ ბავშვებმა, რას ჰქვია, მაგალითად, ტბებიც, აბე-

1 ვაი, თუ არც დაიბნეს და არც სახტად დარჩენეს!



ური, ჰიგო... იქნებ გვითხრან, ამეგბის შესწავ-  
 ლას შემდეგ, შეიძლება მოგსწრებინაო, ისევე როგორც შეიძლება ეს სიტყვები შემდეგ  
 ინგლისურად ან ესპანურად ისწავლოს კაცმა. მაგრამ „იდეა-ენა“ იმითურა ჰქვია I კლასის სა-  
 ხელმძღვანელოს, რომ ძირითადი სიტყვები და  
 კანონები პატარაობისას შეითვისოს ბავშვმა. ასეთ  
 შესწავლილ ენას აქვს მადლი. და ამიტომაცაა,  
 რომ, ჩვეულებრივ, ვერავითარ უცხო ენას ვერ  
 ისწავლის კაცი ისე სრულყოფილად, როგორც  
 დედა-ენას, ე. ი. იმ ენას, რომლითაც მეტყველე-  
 ბას იწყებს. ამიტომაც არ არის მართებული ზო-  
 გიერთი მშობლის გადაწყვეტილება, რომ შვილი  
 ანაბათულ სკოლაში მიიბაროს, იმ მოტივით,  
 თითქოს ქართულს ისედაც ისწავლოს, და კიდევ  
 ერთი ზედმეტი ენა ეცოდინებოდა. ფაქტურად  
 ბავშვი ვერც ერთ ენას ვერ ითვისებს საფუძვ-  
 ლიანდ, მას აღარც ერთი დედა ენა არა აქვს.  
 უცხო ენის სწავლა საქართა და აუცილებელი.  
 კერძოდ, რუსული ენის სწავლა, რომელიც ჩვენ-  
 თვის მეორე მშობლიურ ენად იქცა, სავალდებუ-  
 ლოა, უამისოდ ბავშვი ვერ მიიღებს სრულყო-  
 ფილ განათლებას. მაგრამ რუსული ენის შესწავ-  
 ლა უნდა ხდებოდეს პარალელურად, მშობლები-  
 ს და მასწავლებლების დიდი მეცადინეობითა და  
 გულმოდგინებით. შემდეგ უცხო ენის შესწავლა-  
 საც დაიწყებს ბავშვი და ყოველი ახალი ენის  
 სწავლა კიდევ უფრო განუმტკიცებს მშობლიუ-  
 რი ენის ცოდნას იმ ადამიანს, რომელსაც პატა-  
 რაობისას საფუძვლიანად შეუსწავლია დედა ენა.  
 ამასთან, ქართული ენის ბუნების შესასისხლო-  
 რებლად უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართულ  
 ხალხურ ზღაპრებს, რომელთაც, შერჩევით, დამ-  
 ხმარე საკითხავ წიგნად მიეცემთ ბავშვს I. ეს აქ-  
 ნება ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო  
 პრაქტიკული ღონისძიება, რადგან ის, რაზედაც  
 ამ წერილში ვახაზივლებთ ყურადღებას, გრამა-  
 ტიკით არ ისწავლება. ის ენის განსაკუთრებული  
 მუსიკა და როგორც ნამდვილი მუსიკის ხშირი  
 მოსმენით უფროარდება ბავშვს მუსიკალური სმე-  
 ნა, რაგინდ სმენადამშული გვეგონოს იგი თავი-

დან, ასევე კარგი ენით დაწერილი წიგნების სწავ-  
 რი კითხვით განუუვითარებთ ენას არა მარტო  
 ბავშვს, არამედ დიდებსაც, რომელთაც ზემოხსე-  
 ნებულ ზოგიერთი თარგმანი თუ ორიგინალუ-  
 რი წიგნის კითხვით უკვე შეტყვევიათ ენა, ან თა-  
 ვიდანვე ვერ შეუჩვევიათ ყური იმ იდუმალი მუ-  
 სიკისათვის.

„ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლესი, ტრობიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრი-  
 ლან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაშს, ლიმონს, ფორთოხას და სხვა ტრობიკულს მცენარეულობას და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სახე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმის და დაუსრულებელს ღრამას, რომ ასი შექსბირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის“.

ამას წერდა იაკობ გოგებაშვილი ამ სამოცდაათი წლის წინათ და მოუწოდებდა ხალხს წმინდად დაეცათ ეს ბურჯი ეროვნებისა. მაშინ ჩვენი ენა აუტანელ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, და დაუღალავი ბრძოლითა და მიწოდებით რომ არ ეხსნათ ჩვენს დიდ მწერლებს, ვინ იცის, იქნებ საშინელ საფრთხეშიც ჩავარდნილიყო. ასეთი დიდი ბრძოლითა და სათუთი მოვლით გამოუტარებიათ ჩვენი ენა საუკუნეების მანძილზე, საშინელ ქარცეცხლსა და გაჭირვებაში. ჩვენი მრავალტანჯული მშრომელი ხალხი ზეპირსიტყვაობით გადმოსცემდა ხოლმე ერთობა-  
 ნეთს საოცარი სხარტულობითა და იუმორით მომხიბლავ ზღაპრებსა და გამირულ თქმულებებს; ჩვენი დიდი მწიგნობრები რამეებს ტეხდნენ და მბუტბუტავი სანთლის მჭრქალ შუქზე სასოებით გა-  
 მოჰყავდათ ღამაში ქართული ანბანი, ქმნიდნენ უდიდეს ეროვნულ სიმბრმეს; ერთხელ ვადაწურობის კიდევ ათასჯერ წერდნენ და მკაცრი სა-  
 უკუნეების წყვილიდში, — როგორც ერთადერთ შეგბასა და ნუგეშს, გაწამებული სულის მალამოსა და ვაკეკური სიმხნის წყაროს, რომელიც გაურკვეველი მომავლის გზას უნათებდათ, — თაობიდან თაობებს გადასცემდნენ ხოლმე ამ სა-  
 ნუგეშარ ჩირადანს.

ჩვენ ახლა ყოველგვარი პირობა გვაქვს კიდევ უფრო ავსავითო და განვავითაროთ წინაპრებუ-  
 საგან ასე სასოებით გადმოცემული, მრავალფერო-  
 ნახული დედა ენა. ოდესღაც სახელმწიფო თუ სამწერლო საქმეებით დავტვირთული, ცხოვრებით გაწამებული საბა ორბელიანი მარტოღმარტო აღ-  
 გენდა ქართულ ლექსიკონს. ახლა კი მთელი ინს-  
 ტიტუტი, რომელიც მრავალ გამოჩენილ მეცნი-

<sup>1</sup> ჩვენი გამოცემლობები რატომღაც ძნელად „ბედავენ“, რომ ხალხური ზღაპრები გამოსცენ (პოპულარული გამოცემით, როგორც საკითხავი წიგნი და არა ისეთი „მეცნიერული აპარატი“ დატვირთული, რისი ხელში აღება მაინც დამაინც არ უყვარს მკითხველს). სანათი რომ ეძებოთ, ქართული ანდაზების წიგნს ვერ შეხვდებით (რადგან ავტო ოცდაათი წელი მაინც იქნება, არ გამოუციათ).

P. S. ეს წერილი აწყობილი და დასაბუთად გამოაღებულ იყო, როდესაც წიგნის ბაზარზე გამოვიდა ქართული ზღაპრები, ჩვეული გულისყურითა და სიყვარულით შედგენილ-რედაქტირებული ელ. ვირსალაძის მიერ. მაგრამ ეს როდის კმარა.

ერს აერთიანებს, საგანგებოდ მუშაობს განმარტებითი ლექსიკონის შედგენა-გამოშვებაზე; ახლა მთავრობის საგანგებოდ დადგენილებით სისტემატურად გამოდის სხვადასხვა სახის ლექსიკონები და გრამატიკის სახელმძღვანელოები. მაგრამ ჩვენი მეცნიერებისა თუ მწერლების მთელი ეს დიდი მუშაობა მინც ცალმხრივია. ასე რომ არ იყოს, ჩვენს ლიტერატურასა და ცოცხალ მეტყველებაში ფესვს ვერ გაიდგამდა ის არაქართული გამოთქმები, რის შესახებაც ამ წერილში გვქონდა საუბარი; მწერლობაში ფესვს ვერ მოიკიდებდნენ ის „საქმოსანი“ ვაიმთარგმნელები, რომლებიც ასე რყვნიან ენას; ვერ იზოგინებდნენ ის უბადრუკი რეცენზენტები, რომლებიც თავგამოდებით აჭებენ და ახალისებენ ამგვარ მწერლებსა და მთარგმნელებს. ჩვენი დიდი ნაკლი ამ

საქმეში ის არის, რომ თითქმის სულაც არ ვიბრძვით ენის სიწმინდის დასაცავად, არ ვებრძვით ენის ბარბაროსულად დამზახნებლებსა და გამლატაებლებს. საქირთა ამაზე ერთობლივად იმსჯელონ და მოილაპარაკონ ჩვენმა ენათმეცნიერებმა, მწერლებმა, პედაგოგებმა. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა არ უნდა რყოს კამპანიური. ყოველი ცალკეული დამზახნებლის წინააღმდეგ დროულად უნდა აღვიმადლოთ ხმა. საქირთა მეტი პაპუხისმგებლობა ვიგრძნოთ მომავალი თაობის წინაშე.

ჩვენმა წინაპრებმა თავისიჩინივით მოვლილი გადმოგვცეს ჩვენი დედა-ენა. ჩვენც ასევე მზრუნველობით მოვლილი უნდა გადავცეთ ეს საშვილიშვილო საგანძური მომავალ თაობებს.





### მ. ჰონიგმანზე ერთი წერილის გამო

მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ საბჭოთა მეცნიერებამ აღმოაჩინა ე. წ. არეოზაგიტული წიგნების ავტორი, რომელსაც მეცნიერება დაეძებდა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე. 1942 წელს პროფ. შ. ნუტუბიძემ თავის მონოგრაფიაში „Гайна Псевдо-Дионисия Ареопагита“ წამოაყენა და დაამტკიცა დებულება, რომ ავტორი არეოზაგიტული ტრაქტატებისა, რომელთაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდათ და რომლებიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეთა ფილოსოფიურ აზროვნებას, არის V საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერიელი. ჩვენს მეცნიერებაში მომხდარი აღმოჩენის ბრწყინვალე დადასტურება მოგვცა ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა, რომელმაც თავის 1952 წლის გამოკვლევაში „პეტრე იბერიელი და ფსევდო-დიონისე არეოზაგელის თხზულებანი“<sup>1</sup> დოკუმენტურად დაასაბუთა პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისეს იდენტურობა, აგრეთვე გაარკვია პეტრესთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი (იერთოეთოსის ანუ პეტრე იბერიელის მასწავლებლის ითანე ლაზის ვინაობა და სხვ.).

ამ მოვლენის გარშემო ბევრი დაიწერა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მრავალი მეცნიერი-სპეციალისტი მიესალმება აღნიშნული პრობლემის გადაჭრას და კმაყოფილებას გამოთქვამს „მეცნიერებისათვის დიდი ხნის განმავლობაში თავსამტრევეი საკითხის“ (დელგერი) გადაწყვეტის გამო. ამავე საკითხს მიუძღვნა წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ — „Проф. Э. Хонигман о Петре Ивере и сочинениях Псевдо-Дионисия Ареопагита“<sup>2</sup>.

ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიის საკითხთა გარკვევისას დიდი მნიშვნელობა აქვს გამოჩენილი მეცნიერი-მკვლევარისა და დიდი სპეციალისტის აკად. კ. კეკელიძის შეხედულებებს. გასაგებია, რომ მეცნიერული საზოგადოებრიობა ყოველთვის დაინტერესებული იყო კ. კეკელიძის თვალსაზრისით არეოზაგიტიკის საკითხებზე. პატივცემულ მეცნიერს ვერ ვუსაყვედურებთ არათანმიმდევრობას აღნიშნული საკითხების მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თანმიმდევრული ბოზიკია იმათათვის უარყოფითი იყო და დღევანდლამდე უარყოფითად დარჩა.

როგორც კი დაიწყო ჩვენი არეოზაგიტიკის საკითხთა კვლევა, აკად. კ. კეკელიძე უარყოფითად შეხვდა პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოზაგელის გაიგივებას. მას დამაჯერებლად არ მიაჩნდა ამ პრობლემის ნუტუბიძისეული ახსნა. იგი ხელალებით უარყოფდა პროფ. შ. ნუტუბიძის დებულებას, ამ მკვლევარის მიერ წარმოდგენილ ყოველგვარ საბუთს — ქრონოლოგიურს, გეოგრაფიულს, ტექსტოლოგიურსა თუ ლიტერატურულს. აკად. კ. კეკელიძის თვალსაზრისი უცვლელი დარჩა მას შემდეგაც, რაც ცნობილი გახდა ე. ჰონიგმანის შესანიშნავი მიღწევები. მან ჰონიგმანის გამოკვლევისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების დასაბუთება სცადა ზემოაღნიშნულ სტატიაში, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს.

აკად. კ. კეკელიძე თავის სტატიაში ასახელებს „ექვს წინააღმდეგობას“, რომლებიც თითქმის ჰონიგმანის მონოგრაფიას გააჩნდა და მან აღმოაჩინა, აგრეთვე არკვევს ამ მეცნიერის არგუმენტაციის ვარდისიანობას საერთოდ. ეს „წინააღმდეგობანი“ საკვებით დასაბუთებულად და სამართლიანად იქნა უარყოფილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. შ. ნუტუბიძემ თავის ვრცელ წერილში „Петр Ивер и проблемы ареопагитики“ ისტორიულ-ფილოსოფიური, თეოლოგიურ-ქრისტიოლოგიური და საეკლესიო-ლიტურგიკული არგუმენტების საფუძველზე ფართო ასპექტით თვალნათლივ გვიჩვენა, ერთი

<sup>1</sup> ამ შრომის რუსული თარგმანი იხ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 59 (1955).

<sup>2</sup> სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, (1956). ქვემოთ გვერდები მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით.



მზრებ, ჰონიგმანის დასავლეთელი კრიტიკოსების — რ. როკის, ვ. გრიუმელის, ი. ჰუსერლის, ი. ნებერდინგის, მეორე მზრებ კი — კ. კეკელიძის კრიტიკის უსაფუძვლოა<sup>1</sup>. ჩვენს წერილს მიზანია დამატებით გამოვლენილ იქნას ის ზოგიერთი წინააღმდეგობა, რომლებიც აკად. კ. კეკელიძის სტატიამი მოიპოვება, აგრეთვე განხილულ იქნას მისი ზოგიერთი მცდარი შეხედულება.

აკად. კ. კეკელიძის წერილის საერთო მიმართების გარკვევისათვის საფუძვლიან წარმოდგენას იძლევა მისი დასაწყისი და ბოლო. ავტორი დასაწყისშივე ეკვის ატმოსფეროს ჰქმნის ჰონიგმანის წიგნის ირგვლივ. ამ შრომის ანალიზის ის ასე იწყება:

„Работа Э. Хонигмана, как замечено и проф. Ш. Нуцубидзе ввводной к своему переводу статье (стр. 6), написана методом, который у нас, в советской науке, неприемлем; это конечно, понятно в работе ученого капиталистического Запада“ (გვ. 421).

ამგვარად, კ. კეკელიძეს სურს გამოიწვიოს უნდობლობა ჰონიგმანის, როგორც „კაპიტალისტური დასავლეთის მეცნიერის“ მიმართ, მაგრამ გამოთქმა — „კაპიტალისტური დასავლეთის მეცნიერი“ ძალიან ზოგადია და მას კონკრეტული შინაარსის მიცემა სჭირდება. „კაპიტალისტური დასავლეთში“ ხომ ყველა მეცნიერი ერთნაირი მეთოდით არ მუშაობს? ესეც არ იყოს, ერთის ხელის მოსმით რატომ უნდა უარყვით მეცნიერის მიღწევები მხოლოდ იმის გამო, რომ ის „კაპიტალისტური დასავლეთიდან“ არის? შეიძლება ამა თუ იმ მეცნიერის ჰქონდეს ცალკეული შეცდომები, მაგრამ ამას არ უნდა ემსხვერპლოს თუნდაც „დასავლეთელი მეცნიერის“ მთელი შრომა, თუკი ეს ნაშრომი მდიდარია ფაქტობრივი მასალით და იძლევა ამ მასალის მეცნიერულად კეთილსინდისიერ, ობიექტურ ანალიზს.

რაც შეეხება წერილის დასასრულს, აკად. კ. კეკელიძე თავის სტატიის ასეთი შენიშვნით ამთავრებს:

„Настоящую работу Э. Хонигмана некоторые склонны расценивать как „открытие“ в науке по вопросу об Ареопагитике. Но о характере „открытий“ Хонигмана и о на-

учных вообще работах его достаточно ясно представление дают отзвы о них хотя бы в „Византийском временнике“ (т. III, стр. 251—257, 1950, и т. IV, стр. 240). В особенности нужно отметить фундаментальную работу, которую выпустил в свет в 1954 г. Hieronymus Engberding под заглавием *Kann Petrus der Iberer mit Dionysius Areopagite identifi fiziert Werden...* Автор этой работы, которая, к сожалению, попала к нам в руки после сдачи этой заметки в производство, основательно разнёс соображения Хонигмана, в особенности подкрепляемые им данными Календарей и Синаксарей“ (გვ. 430).

ეს გრძელი ციტატი იმიტომ მოვიტანეთ, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განკუთვნილი ჰონიგმანთან საბაეკროდ. ეურნალის აღნიშნულ ტომებში ლაპარაკია ჰონიგმანის შეცდომებზე მორავიის საქმეებში ბიზანტიის ჩარევის დაწყების თარიღების და სლავი ხალხების თითქოსდა ისტორიული უინიციანტივობის შესახებ. პირველი შეცდომა შედარებით უბრალო ამბავია, მეორე კი სერიოზული ხასიათისაა. მაგრამ აშკარაა, რომ ამ საკითხებში არაფერი საერთო არა აქვთ ჰონიგმანის თვალსაზრისთან არეობა-გიტყის შესახებ. ისიც ცხადია, რომ აღნიშნული შეცდომების გამო არ შეიძლება ამ მკვლევარის მეცნიერული შრომების გაუქმება „საერთოდ“, როგორც ამას აკეთებს აკად. კ. კეკელიძე.

ასეთია სტატიის დასაწყისი და დასასრული. აქედან ადვილი მისახვედრია მისი კრიტიკული შენიშვნების ხასიათი და მიმართება, მაგრამ, რადგან ავტორს აურჩევია „წინააღმდეგობათა“ აღმოჩენის გზა, ჩვენც გაგყვით ამ გზას და გამოვავლნით წინააღმდეგობანი და არასწორი მოსაზრებანი, რომლებიც, სამწუხაროდ, მოიპოვება თვით ამ, ჰონიგმანის განმეიქებულ წერილში. ჯერ აღვნიშნით წინააღმდეგობანი.

1. აკად. კ. კეკელიძე თავის წერილს იწყებს გაფრთხილებით, რომ ე. ჰონიგმანს არის „კაპიტალისტური დასავლეთის მეცნიერი“ და ამიტომ მისი არც მეთოდები და არც შედეგები ჩვენთვის მისაღები არაა. მაგრამ ამავე წერილში ის არაერთხელ სარგებლობს იმავე „კაპიტალისტური დასავლეთის მეცნიერების“ — ნებერდინგის, შვარცის, კ. მოლბერგის წიგნებით და თავის შეხედულებათა დასაბუთებისას ეყრდნობა მათს შრომებს. საკითხავია, რა უპირატესობა ენიჭებათ ამ აღმანიებებს ჰონიგმანთან შედარებით? რატომ უწოდებს პატრიკეუმული მეცნიერი ნებერდინგის 27-გვერდიან წერილს „ფუნდამენტალურ შრომას“ (გვ. 430), ხოლო ჰონიგმანის მონოგრაფიას, რომელიც დაწერილია ეკვსი წლის განმავლობაში (1946 — 1952 წ. წ.) წარმოებულ სერიოზულ მეცნიერულ დაკვირვებათა შედეგად, ასე ხელალებით უარყოფს?

<sup>1</sup> იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65 (1957); იხ. აგრეთვე შ. ხიდაშელი, პეტრე იბერისა და ფსევდო-დონისზე არეობაეგლის იგივეობის საკითხისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 1957, № 5.

2. აქად. კ. კეკელიძე წერილის პირველ გვერდზე წერს: „Наша цель — показать насколько аргументы проф. Хонигмана достаточны для обоснования той совершенно новой в науке гипотезы, что таким автором является именно Петр Ивер“ (გვ. 421).

ამ წერილის გამოქვეყნებამდე ცნობილი იყო, რომ მისი ავტორი არ იზიარებდა შ. ნუცუბიძის თეზისს პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისეს იდენტურობის შესახებ. სტატიიდან კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამჟამად იგი იმა-ც უარყოფს, რომ პეტრე იბერიელის ავტორობის საკითხი პირველად შ. ნუცუბიძემ წამოაყენა. ამა სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები „მეცნიერებაში საყვებით ახალი ჰიპოთეზა“? საბედნიეროდ ეს შთაბეჭდილება ჰქრება, როდესაც ვეცნობთ წერილისათვის დართულ ქართულ რეზიუმეს, სადაც ვკითხულობთ: „სინტერესოა იმდენად არა ეს ჰიპოთეზა, რომელიც ჰონიგმანზე აღრე ჩვენში პრაოდ. შ. ნუცუბიძემ წამოაყენა, რომდენადაც მის სასარგებლოდ მოყვანილი მოსახრებანი ავტორისა“ (გვ. 431). აქ კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. სამაგიეროდ აშკარად ჩანს წინააღმდეგობა წერილისა და რეზიუმეს შორის...

3. ე. ჰონიგმანმა დოკუმენტური მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ 4 ოქტომბერი არის იეროთოქოსის, ანუ პეტრე იბერიელის მასწავლებლის, იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღი და საეკლესიო მოსახსენებელი დღე, ხოლო 3 ოქტომბერი — თვით ფსევდო-დიონისეს ანუ პეტრეს მოსახსენებელი დღე. თუმცა პეტრე გარდაცვალება 1 დეკემბერს, მაგრამ მის მიმდევრებს თავიანთი ხელმძღვანელის მოსახსენებელი დღე გადაუტანინათ 3 ოქტომბრისათვის, რომ ამით კავშირი დაემყარებინათ მასწავლებელ-მოწაფის, ე. ი. იოანესა და პეტრეს საეკლესიო დღეებს შორის. აქად. კ. კეკელიძე კატეგორიულად უარყოფს ასეთი დაკავშირების შესაძლებლობას. ასეთი „объяснение, если не сказать больше, наивное... Так в истории агиологии не объяснен ни один факт канонизации“ (გვ. 426).

ცოტა ქვემოთ ავტორი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ქართული ეკლესიის სინამდვილეში დიონისეს თარიღის მიმართ და წერს:

„В грузинской церкви память Дионисия встречается то 3 октября... то 29 июня, должно быть в связи с памятью апостола Павла“ (გვ. 427).

საკითხავია, თუ სწინებული წერილის ავტორისათვის შეიძლება ასეთი ვიარაღი, რომ დიონისეს მოსახსენებელი დღედ 29 ივნისი დანიშნული უნდა იყოს პავლე მოციქულის, I საუკუნის დიონისე არეობაველის ქრისტიანობაზე მოამქცევლის, თარიღთან დაკავშირებით, რატომ უნდა ავტორი ჰონიგმანს ორი ურთიერთ უპირისპირე

მკიდროდ განპირობებული მოვლენის განსაზღვრა? რაღა შუაშია აქ „გულუბრებისა“? ანდა რას ჰმატებს წერილს განცხადება, რომ ასეთი დაკავშირების გზით კანონიზაციის არც ერთი ფაქტი არაა ახსნილი, თუკი მისი ავტორი მსგავს შემთხვევაში ამგვ მეთოდს იმარჯუებს?

4. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ის წინააღმდეგობა, რომელიც სელოვანურად შეიქმნა პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კეკელიძისეულ შეფასებაში. წინათ პატივცემულ მკვლევარს პეტრე იბერიელს სამართლიანად მიაჩნდა თავისი დროის გამოჩენილ პიროვნებად. „იბერიამ სომხებთან ერთად, — წერს იგი, — არამც თუ შეიწყნარა მონოფიზიტური დოქტრინა, თავისი წაიღიდან წარმოიშვა ისეთი მებაირახტრე ამ დოქტრინისა პალესტინისა და ევფრატისში, როგორც იყო მათთვის ეპისკოპოსის პეტრე“<sup>1</sup>. სინტერესოა, რომ ასეთი შეფასება სიტყვა-სიტყვით განმეორებულია 1956 წელს გამოცემულ კ. კეკელიძის „ეტიუდების“ პირველ ტომში. მაშ რაღას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ იმავე 1956 წელს, ჰონიგმანის წინააღმდეგ დაწერილ წერილში, აქად. კ. კეკელიძე იქცის ქვეშ აყენებს პეტრე იბერიელის ღირსებებს, ამცირებს მის პიროვნებას და ამას აკეთებს ჰონიგმანის მონოგრაფიიდან ამოკრებილი ცალკეული ფრაზებით, რომლებიც, აქვე უნდა შევნიშნათ, სწორად არ გადმოსცემენ კონტექსტის აზრს!

კიდევ უფრო მეტად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქართული კულტურის გამოჩენილი მკვლევარის შეხედულება პეტრე იბერიელის პიროვნების სკიოთხში ჰონიგმანთან კამათის დროს ემთხვევა ე. შვარცის თვალსაზრისს, რომელიც ქედმაღლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართული კულტურისა და მისი წარმომადგენლის პეტრე იბერიელის მიმართ. შვარცი წერს:

„Этот грузин не был какой-либо выдающейся личностью и аскетическое движение среди высокообразованных и духовно возвышенных выучеников Бейрута исходило не от него, а кристаллизовалось вокруг него, как вокруг данного центра“<sup>2</sup>.

ეს არის არა მეცნიერულად დასაბუთებული დებულება, არამედ აბუჩად ამგვარი ლიტონი განცხადება. შვარცი სრულიადაც არ უწევს ანგარიშს ისტორიულ-მეცნიერულ საბუთებსა და ფაქტებს, არც კი ცდილობს ახსნას ის ყურადსაღები მოვლენა, თუ რატომ მაინცდამაინც „ეს ქართველი“ აღმოჩნდა პიროვნება, რომლის გარშემო შემოიკრიბა „უფროიდ განათლებული და სულიერად ამაღლებული ხალხი“.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX (1929), გვ. 187.

<sup>2</sup> Шварц, Johannes Pufus, 25. მოგვყავს ჰონიგმანის მიხედვით, გვ. 52.

შვარცის ასეთი ანტიმეცნიერული და დამამცირებელი დამოკიდებულება არაეცრობელი ხალხებისადმი გავგაცნო ჰონიგმანმა თავის მონოგრაფიაში. არ უნდა დავეიფოთ, რომ ამ მეცნიერვარმა მეცნიერული მსახურითა და კეთილსინდისიერებით უპაჩო ე. შვარცის გაუმართლებელი გამოსვლა. ჩვენი პატივცემული მსკოვანი მეცნიერის კრიტიკა კი მიმართულია არა შვარცის, არამედ ჰონიგმანის წინააღმდეგ!

აღნიშნულ წინააღმდეგობათა გარდა წერილში ვხვდებით აგრეთვე ასეთ მოსაზრებებს, რომელთაც არ შეიძლება დავეთანხმობი. ამთგან აქ აღენიშნავთ ხუთ საკითხს.

1. არ მიგვანია სწორად ჩვენი ავტორის თვალსაზრისი ე. ჰონიგმანის შრომის პირველწყაროების შესახებ. იი რას წერს ავად. კ. კეკელიძე:

„Прежде чем говорить об этих данных и выводах, бросим беглый взгляд на характер основных для автора первоисточников, какими являются сочинения Иоанна Руфуса: „Житие Петра Ивера“ и „Плерофорий“. Эти сочинения, по словам автора, „аполлетические и полемические произведения весьма воинствующей литературы, инспирированные неистовой партией“. Они полны „Чудес“ и „таинственных созераний“, записанных Иоанном Руфусом „по воспоминаниям, немного смутным и переведенным с греческого на срийский язык“. Иоанн Руфус „в своих описаниях заслуг Петра Ивера банален и напыщен и не дает надлежащего представления о своем герое“. Если все это так, можно ли верить вообще таким источникам и до каких пределов верить? Несмотря на это, Хонигман находит, что эта биография заслуживает доверия“ (გვ. 422).

წერილიდან მოტანილი ციტატის ბრჭყალებში მოთავსებული სიტყვები, სათანადო ეფექტის მოსახდენად, ამოღებულია თვითონ ჰონიგმანის შრომიდან. მაშასადამე, მას, ჰონიგმანს, არანაგლებ ესმოდა იოანე რუფუსის წიგნეზის ავტორიანობა, ვიდრე რომელიმე სხვა მეკლეფარს. იოანე რუფუსის წიგნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველზე იგი სამართლიანად სარგებლობს ამ წიგნებში მოცემული „რაციონალური მარცვლით“, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მეკლეფარის ძირითადი დებულების ილუსტრირებისათვის.

მაგრიმ მოთავარია არა ეს გარემოება, არამედ შემდეგი: ვინც თვალს გადაავლებს ჰონიგმანის ნაშრომს, ის უცილობლად დარწმუნდება, რომ იოანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ცხოვრება“ და „პლეროფორიები“ არ წარმოადგენს ჰონიგმანის ძირითად და გადამწყვეტ წყაროს, რომ მისი მონოგრაფია უაღრესად მდიდარია რო-

გორც სხვა პირველწყაროებით, ასევე მრავალრიცხოვანი და პირველხარისხოვანი მასალებით. თვითონ ავად. კ. კეკელიძეც აღნიშნავს წერილში სხვა ადგილას, რომ თავისი თეზისის გასამაგრებლად ჰონიგმანი ყველაზე დიდ იმედებს ამყარებს სხვადასხვა სინაქსაგებზე, მარტიროლოგებზე და კალენდრებზეო (გვ. 424).

2. ავად. კ. კეკელიძე სწორ შეფასებას არ აძლევს აგრეთვე ჰონიგმანის შრომაში გარკვეულ ფსევდო-დიონისეს სტილის საკითხს. ბელიელი, მეცნიერი სრულიადაც არ მსჯელობს არეოპაგეტული წიგნების შესახებ ისე მშრლად და წინააღმდეგობრივად, როგორც ამას სახავს წერილი. ავტორს ყურადღება გაუმახვილებია მხოლოდ ჰონიგმანის სიტყვებზე, მეცნიერებას არ მოუბოვებან უშუალოდ პეტრეს სახელით დარჩენილი ნაწერებო. მაგრამ ის არაფერს ამბობს იმ ვრცელი მსჯელობის შესახებ, რომელიც გაშლილია ამ შრომის მომდევნო (55—56) გვერდებზე არეოპაგეტული წიგნების მართლაც უწინვეული დამახასიათებელი სტილის“ შესახებ.

ჰონიგმანი სწორად აყენებს საკითხს, რომ არეოპაგეტულ თხზულებებს ახასიათებს უაღრესად თავისებური და რთული სტილო. ფსევდო-დიონისეს სტილის შესახებ ასეთი მოსაზრება მანამდე იყო გამთქმული. მაგალითად, ერთ-ერთ ავტორიტეტულ სამეცნიერო ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ამ წიგნში „რთული სიტყვები უტრაქტელი რაოდენობითაა და აბსოლუტური აბსტრაქციებით გამოწვეული ბურუსი აღწევს ექსპრესიის ფორმას“<sup>1</sup>. ცნობილი მეცნიერი თ. ბარდნევეერი არეოპაგეტული წიგნების შესახებ ამბობს: „ისინი ლაბარაკობენ, ასე ვთქვათ, უცხოელის ენით“ (sie reden gewissermassen eine fremde Sprache).

ყოველივე ამის გათვალისწინებით ჰონიგმანი საკლებით ლოკიკურად სვამს კითხვას — ხომ არ შეიძლება ეს ფაქტი ახსნილი იქნას იმით, რომ ამ წიგნების ავტორი მართლაც უცხოელი იყო?

3. არ მიგვანია სადასაუბებლად ავად. კ. კეკელიძის მოსაზრება, როდესაც ის ფსევდო-არეოპაგელის საკითხს უკავშირებს დიონისეს კულტს. ის წერს: „Имя Дионисия есть оцерковление имени древнегреческого яств оцерковление имени, бога вина и виноделия...“. ღმერთ დიონისეს დღესასწაულები ძველ საბერძნეთში იმართებოდა შემოდგომით, როგლის დროს. ამიტომაც დიონისე არეოპაგელის მოსახსენებელი დღე ქრისტიანულმა ეკლესიამ შეუფარდა იმავე დროს და დღისა 3 ოქტომბერს, ხოლო ზოგიერთ ქართულ კალენდარში რომ დიონისე არეოპაგელის მოსახსენებელ დღედ 19 დეკემბერია აღნიშნული, ამას პატივცემული მეკლეფარია იმით ხსნის, რომ ანტიკურ ატიკაში ე. წ. „სიოფლის

<sup>1</sup> Paulys Real—Encyklopädie der klassischen Altertums-wissenschaft, ტ. V, გვ. 99.





ლიონისიებს<sup>1</sup> დღესასწაულობდნენ დეკემბერში.. (გვ. 428).

ვრცელი მსჯელობა, რომელიც ამ საკითხის შესახებ წარმოებს წერილში, ნაკლებ დამაჯერებელია, თუმცა მის განამარტებლად ავტორი აქაც მიუთითებს იმავე ენაბერდინგს. ცდება, რომ ფსევდო-ლიონისე არეობაგელის საკითხის გადაწყვეტა დაეკავშირებინათ ლიონისე-ღმერთის კულტთან, აწარმოებდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბუმგარტენ-კრუზიუსი, მაგრამ ეს თეორია უარყოფილი იქნა ი. ენგელპარდტის საფუძვლიანი გამოსვლის შედეგად. ამ შენიშვნას წერილის ავტორს უსაყვედურებს აგრეთვე პროფ. შ. ნუცუბიძე. ასე რომ, თუ იმას არ ვიტყვით, — რომ ასეთი მტკიცებით ამ საკითხში უკან ვიწვევით მეცნიერებას ერთი საუკუნით-თქო, ყოველ შემთხვევაში ის მაინც უხადია, რომ ლიონისეს კულტს არაფერი აქვს საერთო ფსევდო-არეობაგელის საკითხთან.

4. ვერ დავთანხმებით აგრეთვე პატივცემული მეცნიერის ინტერპრეტაციას „იეროთეოსის“ სახელის შესახებ. სიტყვა იეროთეოსის ეტიმოლოგიამ ჩვენს ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ 1950-1951 წლებში პეტრე იბერიელის თხზულებათა ტექსტებზე მუშაობის დროს. ამის საფუძველი იყო ქართულ ტექსტში ჩვენს მიერ ნაპოვნი ერთ-ერთი შენიშვნა, რომელიც ექუთუნის აღნიშნულ თხზულებათა ქართულად მთარგმნელს, XI საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეს ვერემ მცირეს. ბერძნული ენის უებრო მცოდნეს სიტყვა „იეროთეოსისათვის“ გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: „შეისწავლე, ვითარმედ „იეროთეოს“ „ტაჰარდ ღმრთისა“ გამოითარგმანების ენისაგან ბერძნულსა“<sup>1</sup>. ეს განმარტება, როგორც საყურადღებო ფაქტი, ეფერმის სხვა შენიშვნებთან ერთად, დართული გვაქვს პეტრე იბერიელის „საღმრთოთა სახელთათვის“ ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტისათვის<sup>2</sup>.

შემდეგში, იმასთან დაკავშირებით, რომ არეობაგიტაციაში კამათი დაიწყო — „იეროთეოსი“ პეტრეს მიერ შეთხზული სიტყვაა მისი ფსევდონიმად გამოყენების მიზნით, თუ ეს სახელი მანამდეც იხმარებოდა — ერთ-ერთ ჩვენს წერილში<sup>3</sup> მიუუთითებდით ამ სიტყვის ეფრემისე-

ულ ახსნაზე, როგორც იმის მათწყებულ ფაქტზე, რომ „იეროთეოსი“ ეფრემსაც გაგებული აქვს, როგორც ფსევდონიმი, რომელსაც, ამიტომ, სათანადო განმარტება სჭირდება თარგმნისას. ამ მოსაზრებაში ჩვენ გვარწმუნებს ის გარემოება, რომ პეტრე იბერიელის ტრაქტატებში მოცემული არც ერთი სახელისათვის, გარდა „იეროთეოსისა“, ეფრემს არ დაურთავს არავითარი განმარტება.

აკად. კ. კეკელიძე უარყოფს შეხედულებას, რომ „იეროთეოსი“ ფსევდო-ლიონისეს მიერ არის შექმნილი და ამ სახელის წარმოებას უკავშირებს ბიზნაოში მოხსენიებული მეფის მელქისედეკის ამბავს. მაგრამ აქ ნახმარია ბერძნული სიტყვები, რომლებიც ნიშნავს „ღვთისმსახურს“, რაც სავსებით მისაღები გამოთქმაა მაშინდელი რელიგიურად განწყობილი მეფის მიმართ, ხოლო საეკლესიო პირის — ღვთისმსახურის — მიმართ ასეთი ეპითეტი არაფრის მოქმედი იქნებოდა. ასე რომ საკითხის თვით აზრობრივი მხარეც მივივითითებს, რომ ბიზნაოს ბერძნულ ტექსტში მოცემულ სიტყვებთან, რომელთაც ასახელებს პატივცემული მკვლევარი, არაფერი აქვს საერთო „იეროთეოსს“<sup>4</sup>. მაგრამ მითავრია ის, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს, რომელიც გვაიძულებდეს ეჭვი შევიტანოთ ამ სახელის ეფრემისეულ განმარტებაში. ეს ახსნა თავის სქოლიოებში საგანგებოდ მოცემული აქვს ბერძნული ენის შესანიშნავ მცოდნეს, რომელსაც შეეძლო მშვენიერად გარკვეულიყო ბერძნული „ჰიერ“ ფუძიდან წარმოებულ ყოველგვარ სიტყვაში — „ტაჰარი“ იქნებოდა იგი, „მსახური“, თუ „მღვდელი“.

ამიტომ სავსებით მართალია „იეროთეოსის“ სახელის იმ ახსნა, რომელსაც იძლევა პროფ. შ. ნუცუბიძე, რადგან ის ეყრდნობა იმ სიტყვის ეფრემისეულ განმარტებას და ბერძნული ორიგინალის შესაბამისი ადგილის ზუსტ ტექსტულ ინტერპრეტაციას.

5. დასასრულ, არ შეიძლება ზრ აღინიშნოს ერთი უცნაური გარემოება: თავის წერილში აკად. კ. კეკელიძე ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს ე. ჰონიგმანი თვითონვე არ თვლიდეს თავის ძირითად თეზისს გადაწყვეტილად. „К шести проф. Хонигмана, — წერს იგი, — нужно сказать, что у него и нет претензий на безгрешность. Основное свое положение он называет „гипотезой“ и догадкой „интуитивного“ характера“ (გვ. 430).

ამ მტკიცების უსაფუძვლობაში ადვილად გვარწმუნებს ჰონიგმანის სიტყვები, რომელთაც ის არაერთხელ გამოთქვამს თავის გამოკვლევაში: „Не имеем ли мы возможность доказать то, о чем мы догадались скорее интуитивным путем? Думаем, что — да“ (გვ. 36).

<sup>1</sup> იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები A110, გვ. 45; H194, გვ. 67.

<sup>2</sup> იხ. ფსევდო-ლიონისე არეობაგელის „საღმრთოთა სახელთათვის ეფრემ მცირის თარგმანში“, სათანადო რედაქციით, 1952, გვ. 163.

<sup>3</sup> იხ. ქართული მთარგმნელობითი ფილოლოგიის ისტორიიდან. სტალინის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, (1956), გვ. 263.

საქართველოს  
ისტორიული  
მეცნიერებათა  
ინსტიტუტი

აბ კიდევ: „Мы уверены, что раскрыли вероятные имена двух лиц, которые скрывались под псевдонимом Дионисия Ареопажита и Иеротеоса“ (გვ. 47).

განა ამის შემდეგ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ იმის შესახებ — სჯერა თუ არა ჰონიგმანს თავისი გამოკვლევის შესანიშნავი შედეგებისა?

ასეთია აკად. კ. კეკელიძის წერილი ე. ჰონიგმანის მონოგრაფიაზე. წერილის ავტორი დასაწყისში ასე შემოთარგლავს თავის ამოცანას: „В настоящей заметке... мы не ставили себе целью решать вопрос о том, кто действительный автор названных сочинений. Наша цель — показать насколько аргументы


проф. Хонигмана достаточны для обоснования той... гипотезы, что таким автором является именно Петр Ивер“ (გვ. 421).

მაგრამ სტატიის ხასიათიდან და მიმართებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი უფრო შორს არის გამიზნული. საქმე მართლ ის კი არ არის, რომ მისი ავტორი არ ეთანხმება ჰონიგმანის არც ერთ მოსაზრებას, არც ერთი საკითხის გადაწყვეტას, რის გამოც წერილში თავი იჩინა ბევრმა შეუსაბამობამ; საქმე უმთავრესად ისაა, რომ პატივცემული ავტორი ხელაღებით უარყოფს ნუკუბიძე-ჰონიგმანის დებულებებს პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შესახებ. მაგრამ, ჩვენის აზრით, წერილში გამოთქმული მოსაზრებანი დამაჯერებელი არაა.



### საქართველოში მარქსიზმის ისტორიის სათავეების შესწავლის საკითხისადმი არის მიძღვნილი პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომი „ქარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“.

საქართველოში მარქსიზმის ისტორიის სათავეების შესწავლის საკითხისადმი არის მიძღვნილი პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომი „ქარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“.



„შვრალთ“ ხსნის, მშრომელთა განთავისუფლებისა და „შრომის სუფევის“, ე. ი. მშრომელთა ხელისუფლების დამყარების საწინდარს. მართალია კომუნა დამარცხდა, მაგრამ ილიას ღრმად სწამდა, რომ ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა არ დამარცხდებოდა და მომავალი მშრომელ ხალხს ეკუთვნოდა.

სარეცენზიო ნაშრომის შესავალ ნაწილში გაშუქებულია მოწინავე ქართული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასა და კაპიტალიზმის ჩასახვადანთარებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად მოხდა სათანადო ძვრები იდეოლოგიურ სფეროშიც. ამ დროს საზოგადოებრივ-საზოგადოებრივად გამოდის ახალი თაობა. ეს ახალი თაობა თერგდალეულთა სახელით არის ცნობილი. ესენი იყვნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

საქართველოში მარქსიზმის ისტორიის გაშუქებისას პროფ. პ. გუგუშვილი მივლინა იმ დასკვნამდე, რომ ნაროდნიკებმა საქართველოში შექმნეს პირველი პოლიტიკური პარტია და უდავოდ პროგრესული როლი ითამაშეს, რამდენადაც ისინი ცდილობდნენ გლეხობაში განათლების შეტანას. საერთოდ ისინი გამოვიდნენ გლეხობის იდეურ მესიტყვეებად, იბრძოდნენ ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და ამ საკითხებზე წერისას ეწეოდნენ კ. მარქსის სახელის პოპულარიზაციას.

ნაშრომში სწორად არის დახასიათებული 1860-იანი წლების ქართველ განმანათლებელთა ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმსაზღვრელი ძირითადი მომენტები.

ნაშრომში წარმოდგენილია მასალები მარიზის კომუნაში, პარიზის ქუჩებში ბარიკადებზე ქართველებს მონაწილეობის შესახებ და სრულიად მართებულია აღნიშვნა, რომ ამ ფაქტმა მისცა საფუძველი ა. ფურცელაძის თავის მოთხრობაში „ჩვეი მართალთა“ — პარიზის კომუნის გამოჩენილი გმირის დელეკატივის მხარდამხარ და მასთან ერთად ბრძოლაში დაეხატა ქართველი კომუნარი (მიმო), რომელიც დელეკატივთან ერთად გმირულად იღუპება პარიზის ბარიკადებზე.

რევოლუციური და ლიბერალური ხალხსნების მსოფლმხედველობის საკითხი საქართველოში მარქსიზმის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არ იყო სათანადოდ გაშუქებული. ამიტომ ამ საკითხის წამოწევა, მისი მარქსისტულად გაშუქება, უდავოდ დადებითი მოვლენაა.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ნაშრომის ის ნაწილი (გვ. 85-107), სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა და დასების თანმიმდევრობის საკითხებია გაშუქებული. დასების წარმოშობის, განვითარებისა და თანმიმდევრობის შესახებ არსებულ მთავარ შეხედულებათა საფუძველზე პ. გუგუშვილი მიიღის იმ დასკვნამდე, რომ პირველი დასი, როგორც საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმდინარეობა, წარმოიქმნა „თერგდალეულთა“ სახით და შედგებოდა „საქართველოს მოამბის“ გარშემო ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაჯგუფებული მოღვაწეებისაგან.

ქართული კულტურის ბრწყინვალე მემკვიდრე ილია ჭავჭავაძე პარიზის კომუნაში ხედავდა კაპიტალიზმის წინსვლის, „ტივრთმომიეა და მა-



მაგრამ ამ ლიტერატურულ მოძრაობას, თვით ცხოველყოფელ სინამდვილის შემდგომი განვითარებისა და იდეოლოგიური საფუძვლების მეტამორფოზის მიხედვით უნდა დაეკარგა შეუჩინებლობისა და რადიკალობის თავდაპირველი ხასიათი და გაქანება. იგი უნდა დაშლილიყო და დაიშალა კიდევაც, თუმცა ისე, რომ არ მოსპობილი; „მან თავისებური სახეცვლილება განიცადა: მისი ზოგიერთი ვარსკვლავი მეტი თუ ნაკლები ხნით მოსწყდა პუბლიცისტის პარიზონტს, ზოგიერთი გადახალისდა და ახალი შარავანდელი გაბრწყინდა; ზოგი კიდევ ცალკე წარმოქმნილი თანავარსკვლავედის სისტემაში მოექცა და ახალი სხეული ავაშავადა“ (გვ. 11).

პროფ. პ. გუგუშვილი სწორად ხსნის პირველი დასის ბუნებას, აღნიშნავს, რომ „პირველი დასელები“, ანუ როგორც მათ იმათათვე უწოდებდნენ „თერგდალეულები“ („შვილები“) თავის შიგნით იყოფოდნენ ფრაქციებად.

მეორე დასის წინამორბედი მოვლენების განხილვის შედეგად პ. გუგუშვილი მიდის იმ დასკვნაზე, რომ „მეორე დასის“ გამოყოფა არსებითად იწყება „დროების“ გამოსვლის დროიდან, ეს დასი ყალიბდება უმთავრესად გაზეთ „დროებისა“ და ჟურნ. „რეპუბლიკის“ გარშემო. მათი მთავარი წარმომადგენლები იყვნენ — გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. მაჩაბელი.

მერმინდელ პერიოდში, მომდევნო ახალი, რიგით მესამე მიმართულება წარმოქმნის ხალხონებში, რომელთა ძირითადი ლიტერატურული ორგანო იყო ჟურნ. „იმედი“. ნაროდნიკობის სახით საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი პოლიტიკური პარტია.

მეოთხე მიმართულება ჩაისახა 1877 წ. იგი საბოლოოდ ყალიბდება 1885 წლიდან. ამ ჯგუფში — „ივერიელებში“ — ადრე თუ გვიან გაერთიანდნენ და მეტნაკლები ზომით გაითქვიფნენ როგორც პირველი და მეორე დასის, ასევე თვით სხვადასხვა ვარიაციის ხალხონობის წარმომადგენლებიც.

ამრიგად, საეკლესიო მართებულადაა დაყენებული საკითხი დასების თეორიის გადასინჯვის შესახებ. უფრო მეტიც, გამოთქმულია ორიგინალური, ფრად საყურადღებო მისასრებანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა და დასების თანმიმდევრობის საკითხზე. მაგრამ რადგანაც ეს კარდინალური ხასიათის პრობლემაა, საჭირო იყო საკითხის უფრო დაწვრილებით დაშუქება.

საქართველოში მარქსიზმის ისტორიის საკითხის გაშუქებისას საჭიროა აღინიშნოს, რომ „მესამე დასი“, თავისი პოლიტიკური მიმართულებით იმთავითვე არ ყოფილა ერთგვაროვანი. ამ მხრივ მდგომარეობა საეკლესიო შვიცვლა 1897 წლიდან მოყოლებული. 1897 წ. „მესამე

დასი“ — შევიდნენ ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ხოლო 1898 წ. ი. სტალინი, რომელთაც იქ სიახლე და რევოლუციონობა შეიტანეს. ამ დროიდან ახალი პერიოდი იწყება „მესამე დასის“ განვითარებაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებით იზრდება გენიალური ვ. ლენინის სახელის პოპულარობა ქართულ საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიაში.

საქართველოში ვ. ლენინის სახელის პოპულარობის შესახებ საინტერესოა პ. კაპანაძის მოგონება, სადაც ვითვლილობთ: „ეს იყო 1898 წელს. ერთხელ დილით... მე ვავედი სემინარიიდან პუშკინის ბაღში. აქ დავინახე სტალინი, რომელსაც შემოხვეული ჰყავდა ამხანაგების ჯგუფი. იგი გაცხარებით ეკამათებოდა მათ, აკრიტიკებდა ყორდანიას შეხედულებებს. ამან ყველა გაიტაცა და აქ, ბაღში ჩვენ პირველად ვავიგონეთ ლენინის შესახებ... მე მივედი იოსებთან... მითხრა, რომ წაითხა ტულისი (ლენინის) სტატიები, რომელიც მას ძალიან მოეწონა. „რაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვნახო იგი“, მითხრა მან მაშინ“ (გვ. 131 — 132).

მარქსიზმის უკვდავი იდეების პოპულარიზაციამ და ამ ნიადაგზე ჩვენს სინამდვილეში გაჩაღებულმა პროულტარულმა მოძრაობამ გააძლიერა წინააღმდეგობა მარქსიზმის მტრების მხრივ. 1905 წლის რევოლუციის დასაწყისში საქართველოში უცხოეთიდან ჩამოვიან ქართველი ანარქისტები: ვ. ჩერქეზოვილი, ა. გოგულია, გ. წერეთელი და აჩაღებენ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ. 1900 წელს ვ. ჩერქეზოვილი გამოდის ქართულ პრესაში და ბრძოლა იმდენად მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ მეცამე დასის უმრავლესობის ორგანოს „კვლის“ რედაქციას მარქსიზმის ასეთი საყოველთაოდ ცნობილი მტრის წინააღმდეგ გამოჰყავს გ. პლენანოვი, როგორც ერთერთი უდიდესი ავტორიტეტი „მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში“ (ვ. ლენინი).

პროფ. პ. გუგუშვილი ანალიზს უკეთებს გ. პლენანოვსა და ვ. ჩერქეზოვილს შორის წარმოებულ ბრძოლის შედეგებს და სრულიად მართებულად დაასკვნის, რომ „...ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ პრესაში გ. პლენანოვსა და ჩერქეზოვილს შორის გაჩაღებული ეს პოლემიკა ახლა ქართული პრესის ფურცლებზედაც გაიშალა“.

მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის საქართველოში მიმდინარე მწვავე ბრძოლა დამთავრდა ქართველი ანარქისტების სრული დამარცხებით. საქართველოს სინამდვილეში ანარქიზმის ზემოხსენებულ წარმომადგენელთა მოღვაწეობის კლასობრივი შინაარსის მდგარი



კრიტიკა, რომელიც ი. სტალინმა მოგვცა, წარმოადგენდა იმავე დროს გამანადგურებელ დარტყმას საერთაშორისო ანარქიზმზედაც.


ბ. გუგუშვილის ნაშრომი „ქარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“, დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ პუბლი-

ცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, კარლ მარქსის სახელით, და საერთოდ საქართველოში მარქსიზმის ისტორიითა და მეცნიერული ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველს.

ბამირბი ხასინა

### „წარწერები კლდეზე“

პოეტურად გაუზარებია მხატვარსაც: მუყაოს მუქი მოციფრო ყდა მართლაც კლდის ნატეხს მოგავს. მასზე სხვადასხვა წარწერებია მიმობნეული; ეს წიგნში მოთავსებული ლექსების სათარებია და მათ ფონზე, თითქოს სატეხით ამოუკვეთიათო, იკითხება: „წარწერები კლდეზე“. ეს პოეტ ლადო სულაბერიძის პირველი წიგნია, რომელიც ახლახანს გამოცდა „სამუქოთა მწერალმა“.



მაგონდება ომამდელი „მნათობი“, „ჩეენი თაობა“, „ლიტერატურული საქართველო“. მათს ფურცლებზე ვკითხულობდით უზრუნველი ჭებუკის ლადო სულაბერიძის ლექსებს (თუმცა ამათგან ავტორს წიგნში არც ერთი არ შეუტანილა). ეს იყო წრფელი სიმღერები სიყვარულზე, სიკაბუკეზე, სამშობლოზე. შემდეგ ომის მრისხანე ზარმა ჩამორეკა და ამ რეკამ თან გაიყოლა ახალგაზრდა პოეტი. სახლიდან ფრონტამდე კიდევ არსებობს გზა — საბძროლო წრთენისა და მომზადების გზა. ამ გზას პოეტი თელავში მიუყვანია. მის თვალწინ ცოცხლებოდნენ გმირი წინაპრები, მათ მიერ გადახდილი ბრძოლები.

კითხულობ ლექსს „უცნობის საფლავთან“ და შშობ — ღრმა მელანქოლიაში არ გადავარდეს პოეტი; მაგრამ არა, ჰეშმარტად ამაღლებელი ადამიანური ტკივილებია. შშობლოურ მიწაში უცნობი ასაფლავია, მას ვაზები უშრი-ალებენ და კახეთის მთები დაპუბუნებენ. ფრონტიკენ გზადადებული პოეტი ძალაუნებურად ფიქრობს სიკვდილზე; ვინ იცის, სად მოეწევა ტყვი, საფლავში ჩაწევა, თუ ყვაყვორნების საკორტნი ვახდება.

„და მე სიკვდილის წინ გაგისხენებ და შემშურლება, უცნობო ჩემო, რომ შენ თელავის ახლოს ისვენებ და ვენახია შენს გაერშემა“.

აქ დიდ ტკივილებთან ერთად მშობლიური მიწის დიდი სიყვარულიცაა.

და აი ფრონტი, ცეცხლოდებული ყირიმი. ერთი შეხედვით გულბრწყვოლი, მაგრამ რამდენად ბუნებრივი და პოეტურია შეპერეზადას

გახსენება. „სიკვდილი დაჭრის თავისი ცეცხლით, ზღაპარი უთხარ, იქნება დაცხრეს“, — ეტყვის პოეტი ბორბტების მომეფინიერებულ ქალს.

შესანიშნავად ასახავს ფრონტულ ყოფას ლექსები: „წვიმაში“, „ღამე ყირიმელ მეზადურებთან“, „ქვიამაია“.

სამშობლოში დაბრუნების პირველ დღეებშივე ლადო სულაბერიძე წერს ლექსს „ელვა“. ესაა

პოეტური ოცნება ფრთავაშლილ შემოქმედებაზე. ცამ ზარები დარეკა ქციის ხეობაში, ელვა ელვას გაპყვა და მიწას სინათლედ მოეფინა; ასეთ გაელვებას ნატრობს პოეტიც. ახალი ცხოვრების. შექითთა განათებული ლადო სულაბერიძის ლექსები: „წვიმაში სამგორთან“, „ბულაჩაურის ვენახი“, „მოზარინული ჯამი“, „ბიკალი“. ერთი წყაიხვითვე გამასხვრდება „მეზობლები“, „პოლარული ციალი“, „საფერფლესთან“. შესანიშნავია ლირიკული პოემა „ოცნება“.

ლადო სულაბერიძე ნათელი აზროვნების პოეტია. იგი მკაფიოდ და ხელშესახებლად ძერწავს სურათებს, სახეებს. მაგალითისათვის: „ცაც ლურჯი ზღვაა, კუნძულებითი; აქა-იქ ყრია თეთრი ღრუბლები“; „იი გორის თავზე მთვარე ამოდის და აღარ მიდის მერე დაღან, თითქოს შემოღვა გორზე მამონტი და ცალი თვალთ ვაღმობიხდა“; „დრო იწვის, ფერფლი მე მარება თმაში“.

პოეტი ქართულ სიტყვას ღრმად განიცდის და ორიგინალურადაც იყენებს მას. მისი ლექსები ხასიათდება რიტმისა და მეტრის თავისებურებითა და ზოგჯერ სიასლითაც. ლადო სულაბერიძე სზირად მიმართავს ჩვენში არც თუ ისე გავრცელებულ ზუსტიტიქონიან სტროფს („ერთი ღამე ინტურისტის სასტუმროში“, „საფერფლესთან“, „პირველად“, „მამის წერილი“, „ციხფერ თვალბაბი“). ორიგინალური რიტმი შეუქმნავება მას ლექსებში „მკელი“ და „ნატყვიარბში ჩამოსხლეტობი სხივი“. პირველ ლექსში ჩვეულებრივ ათმარცვლიან სტრიქონს (5 + 5) კიდევ სამი მარცვლით ავსებს — ეს უკანასკნელი სიტყვა:

ერთგვარ მიმღერებას წარმოადგენს და ლექსის  
ორიგინალურ რიტმს ჰქმნის:

„სიყვარულის ჟამს ირემიც დარბის ხელიო...  
ჰელიო, მოგდევე, არ დამიფეთდე, ჰელიო,  
შემომანათე შენი ცისფერი თვალები“.

მეორე ლექსის სტრიქონს კი ორმარცვლიანი  
სიტყვა ემატება:

„ამ ვაგონს ომში წაუყვანია ბევრი,  
მეც მიყვარ და შავო მერცხალის ვმღერი“.

ეს ხაზი პოეტმა უნდა გააღრმავოს.  
მეტრის ახლებურად გამოყენების ცდებია  
შოქმაში „შამა“. მაგრამ აქ უმთავრესად სმენას  
აღრძობ, ვიდრე დაიტკობ. მხედველობაში მაქვს

ერთი რითმის უღელში შებმული სხვადასხვა ზო-  
მის ორი სტრიქონი.

„ჰეი, გაიღვიძეთ, შეილნატრულებს ნეტა  
თქვენც სიზმარი აგხდომოდეთ აგრემც ყველა  
დედას“.

წიგნში იმდენად მცირე რაოდენობითაა ასეთი  
ადგილები ან აზრობრივი ლაფსუსები, რომ მათ-  
ზე ლაპარაკიც არ ღირდა, მაგრამ საამოდ გა-  
ფოთილ ჯანსაღ ხეზე ერთი შემხმარი ფოთ-  
ლის დანახვაც გტყენს გულს.

ღაღო სულაბერიძე ამ წიგნით ჩვენი მკითხვე-  
ლის წინაშე წარდგა მზარდ ოსტატის, ჰეშმარი-  
ტი ხელოვანის სახით. მან წიგნში შოთავსებული  
შესანიშნავი სტრიქონების სატეხით დღევანდელ  
ქართულ პოეზიაში ერთი საინტერესო წარწერა  
ამოჰყვეთა.

თეიმურაზ ჯანაშულაშვილი



# დალო ავალიანი

## წიგნის შემკობის ოსტატი

„ვინ მოთვლის რამდენი წიგნი შემიძენია მათი ყდისა, ფრონტისპისისა და თავსამკაულებისათვის.“

ანატოლ ფრანსო

ლამაზად გაფორმებული წიგნი მკითხველში სიხარულს იწვევს, ნაწარმოებისადმი მეტ ინტერესს აღვიძებს, ამავე დროს იგი კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია; მიუხედავად ამისა წიგნის მხატვრულად გაფორმებებს, ისევე როგორც თეატრის მხატვრებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ. მათი ნამუშევრებაჲ დამოუკიდებელ განხილვას პრესაში იშვიათად იხილავთ. საჭიროა ეს „ტრაღედია“ დაირღვეს.

იმ მხატვარ-გრაფიკოსთა შორის, რომლებიც საქართველოს გამომცემლობებში ძირითადად წიგნის მხატვრულად შემკობა-გაფორმებაზე მუშაობენ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ინა დიენოვარცევას. ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში მიიქცია მან ყურადღება თავისი საკლასო ნამუშევრებით.

ი. დიენოვარცევამ სადიბლომო ნაშრომად წარმოადგინა გაფორმება რომენ როლანის მონოგრაფიისათვის — „მიქელანჯელოს ცხოვრება“ — ყდისა, ფრონტისპის-ტრიბუნისა და 5 ილუსტრაციის სახით. ეს ნამუშევარი აშკარად მეტყველებდა ახალგაზრდა მხატვრის უდავო ნიჭზე. თავისი ჩანადიერით, შესრულებითა და მხატვრული ოსტატობით „მიქელანჯელოს ცხოვრების“ გაფორმება იმდენად თვალსაჩინო ნამუშევარია, რომ ღირსია ცალკე განხილვისა.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ი. დიენოვარცევა მუშაობდა საბავშვო ქურონალების რედაქციებში, სადაც არა ერთი ნაწარმოები შეამაგო მინიატურული ხასიათის ილუსტრაციებით. ერთ-ერთი პირველი წიგნი კი, რომელიც მან მხატვრულად გააფორმა, იყო 1948 წელს სახელგამში გამოცემული საადის „გოლსთანა“. უმჯობესად მართებულად მიგაჩნია ის შეფასება, რომელიც მხატვრის ამ ნამუშევარმა დაიმსახურა. საადის „გოლსთანისათვის“ მხატვრულად შესრულებულია ყდა, ფორზიცი, ტიტული და რვა სიუჟეტური თავსამკაული ბოლოსამკაულებითურთ. ყოველი თავსამკაული კომპოზიციურად საკმაოდ რთულია. ორნამენ-

ტებში ოსტატურად ჩაქსოვილი ელემენტების—ადამიანის, ცხოველისა თუ ყვავილის გრაფიკული გამოსახულების გამოყენებით მხატვარი ცდილობს იგაფურად მიგვანიშნოს წიგნის ამა თუ იმ განყოფილების ძირითად მოტივზე და ავტორის პოზიციაზე.

ერთი შეხედვით თითქოს იმავე პრინციპზეა აგებული თეკერის „ამათების ბაზრის“ მხატვრული გაფორმებაც, მაგრამ დაკვირვებით განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. აქ მხატვარი ცდილობს თემატურ თავსამკაულებში ნაწარმოების ძირითადი პათოსი, პერსონაჟების სულიერი ცხოვრება აღმოგვეცეს არა იგაფური ხერხით, არამედ რეალისტური ნაზაბით და კომპოზიციებით. ამ მხრივ ერთგვარად შეზღუდულია მხატვრის შესაძლებლობაც თეკერის რომანის პერსონაჟების უფრო მახვილად დახასიათებისათვის. მართალია, თეკერის რომანის მასშტაბს ვერ უტოლდება, მაგრამ მხატვარი ზოგან მიანც ახერხებს თეკერისებური, მკაცრ სატირამდე გამახვილებული იუმორით გამსჭვალოს ესა თუ ის სცენა. თეკერე რომანის •წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისი დროინდელი ინგლისის ცხოვრება მას წარმოდგენილი აქვს როგორც ბაზრის სანახაობა, — ამ ფონზე გამოჰყავს ავტორს თავისი პერსონაჟები, რომელთაც წინასწარ ნათლავს ტიკინებად და თოჯინებად. მხატვარი ცდილობს ხაზი გაუსვას ამ მდგომარეობას და ყოველ თავსამკაულს კომპოზიციურად წყვეტს, როგორც თოჯინების თეატრის სცენაზე მომხდარ ამბავს. ამით ერთგვარად გამართლებულია ყოველი თავსამკაულის სცენის ვარემოთი — ფარდებით განსაზღვრა და პერსონაჟების ნაწილობრივ თოჯინებისებურად გამოხატვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ წიგნის ყდის საუცხოო გაფორმება.

ი. დიენოვარცევას მიერ თეკერის „ამათების ბაზარზე“ ცოტა ადრე შესრულებულია სერვანტისის „ღონ-კინოტის“ მხატვრული გაფორმე-



ბა. ჩვენი აზრით, ამ ამოცანის შესრულებისას მხატვარი ვერ დგას მოწოდების სიმადლეზე. ი. დივანოვრცევა თითქოს ცდილობს დაუბი-რისპირდეს „ღონ-კიხოტის“ საქვეყნოდ ცნობილ ილუსტრატორს — დორეს და თავისებური ინ-ტერპრეტაცია მოგვცეს რომანის უცვდავი პერ-სონაჟების (ნახატი ყდახ და ფრონტისპისი). მაგრამ მხატვარი შეუმჩნეველ ექცევა დორეს გავლენაში და სინამდვილეში გამოუღდის არა თავისი ინტერპრეტაცია, არამედ დორეს მიერ გრავიკულად ხორცშესხმული სერვან-ტისის რომანის პერსონაჟების ვარიაცია. „ღონ-კიხოტის“ გაფორმებაში განსაკუთრებით აისანიშნავია ფორხატი, რომელიც უთუოდ ძლიერად ეღერს და კიდევაც შეეფერება ამ დი-დებულ ქმნილებას.

ი. დივანოვრცევის ათიოდე წლის მანძილზე გაფორმებული აქვს ცალკე წიგნებად გამოსუ-ლი მრავალი კლასიკური ნაწარმოები — მათ შორის — შილერის „ორლეანელი ქალწული“ და „ფიესოს შეთქმულება“, ჰუმბოლდის „ოთხი პო-ემა“, ჰაინეს „ლირიკა“, გონჩაროვის „ობლომო-ვი“, გოგოლის „მკედარი სულები“, დიუმას „სა-მი მუშკეტერი“, გოეთეს „დრამები“, ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „გენეციელი ვაჟარი“, დიკენ-სის „ნიკოლას ნიკლები“, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და სხვა; მაგრამ ამ წერილში შეუძლე-ბელია ყველა მათგანის მოკლედ მიმოხილვაც კი. მკითხველის ყურადღებას შევაჩვენებ მხო-ლოდ სამ წიგნზე, რომლებიც მხატვრამ ბოლო ხანებში გააფორმა — მილტონის „დაკარგულ სამოთხესა“, ჰაინეს „მოგზაურობის სურათებსა“ და გოეთეს „დრამებზე“, როგორც ერთგვარ მიღწევებზე მხატვრის შემოქმედებაში.

სადილობო ნამუშევრის — „მიქლაჯელოს ცხოვრების“ გაფორმების შემდეგ მხატვარს აღარ უტოლა წიგნის გაფორმებაში ისეთი ფართო ამო-ცანა დავსახა და თავისი ფანტაზიისათვის ისეთი ვასაქანი მიეცა, როგორც ამას ვხედავთ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ გაფორმების მა-გალითზე. ამ შემთხვევაში მხატვარი შთაფრენ-ბით წვდება და წყვეტს დასახულ ამოცანას. ტრაგიზმით აღსავსე, მოწუხებულად შესრულე-ბული ყდის გაფორმება ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ერთი მთლიანი მუქი ყა-ვისფერი ფონი ირიბად გადაკვეთილია სათანადო ინტერვალების დაცვით ძლიერი წითელი, ელვა-სებურად ტენილი ხაზებით. მათ შორის გატა-რებულ ერთმანეთის გადაკვეთი ოქროსფერ ხა-ზებთან ერთად ეს ფონი და ელვისებური წითე-ლი ხაზები ქმნიან მთელ სიმფონიას. მხატვარი წინასწარ უქმნის მკითხველს იმ ვაწყობილებას, რითაც გამსკვავებულია ნაწარმოები. ამ შთაბე-დილებას აძლიერებს ყდის შუაგულში მოთავსე-ბული ალგორითული ნახატი — ქაირისხლისაგან

გადამსვრეული სამოთხის ხე, საიდანაც ცვივა ვამლები. ასევე მაღალმხატვრულადაა შესრუ-ლებული ამ ნაწარმოების სატიტულო ფურც-ლები. მილტონის „დაკარგული სამოთხის“ გა-ფორმებით ი. დივანოვრცევამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ მას თანაბრად ეხერხება როგორც ლირიკული, ისე მონუმენტური ხასიათის ნაწარ-მებადა მხატვრული გაფორმება. ამას ნათლად ადასტურებს გოეთეს „დრამების“ არანაკლები პათოსითა და ორიგინალით გაფორმება.

გოეთეს „დრამებისათვის“ მხატვარს შესრუ-ლებული აქვს სუბერი, ყდა ორიგინალური ყუ-ით, ტიტულო, კონტრტიტულო, შმუციტიტულები და თავსამკაულები.

სუბერზე სადა, მაგრამ მეტყველი და ძლიერი ორნამენტის ფართო ჩარჩოში ვერტიკალურად ჩასმულია ასევე სადა და ძლიერი გოთური შრიფტის მისმგავსებული წარწერა — „გოეთე“. სუბერზე ავტორის გვარი კომპოზიციურად „ჩვეულებრივად“ არაა მოთავსებული, რაც ზოგი შეიძლება ეუცხოვოს, მაგრამ ეს არ არის დიდი უბედურება. მთავარია, რომ მხატვარმა ვაბედა კომპოზიციურად ავტორის გვარის ასე მოთავსე-ბა. ეს შემოქმედებითი გამბედაობა (რაც თქმა უნდა, გამართლებული) ერთი მხრივ იმის მომას-წავებელია, რომ ჩვენ გამოვცეთ ერთ-ფეროვნებისა და საკითხის პრიმიტიულიდ გადაწყვეტის მდგომარეობიდან, მეორე მხრივ იმისა, ოღონდ დასახული ამოცანა ღირსეულად შევასრულოთ, და დიდ ანგარიშს აღარ ვუწევთ, ყველას მოეწონება თუ არა ჩვენი განზრახვა. ი. დივანოვრცევის, როგორც გრავიკოს მხა-ტვარს, ყველა ნაწარმოებში ახასიათებს მისწრა-ფება — თავისი ჩანაფიქრი მაქსიმალურად შე-უფარდოს ავტორისა და ნაწარმოების ხასიათს, რაობას. ზემოთ დასახელებულ ნამუშევარშიც გოეთეს სილიად, მისი შემოქმედების ძირითადი პათოსი მხატვარს სურდა გამოეხატა წარწერის თავისებური კომპოზიციით, ხაზი გაეცა იმ გარ-ემოებისათვის, რომ ამ გიგანტს გზა არ იყო ჩვეულებრივი, წყნარი და სწორზხოვან. მხატ-ვრის წარმოდგენაში გოეთე აქ დგას როგორც დიდებული სვეტი, როგორც ძლიერი სულის სწრაფვისა და აღმაფრენის სიმბოლო. უდავოდ შეხატებულია გვარის წარწერა თვით ყდის ხა-სითთანაც და ზემოთ თქმული ამ შემთხვევაში აქ კიდევ უფრო ხაზგასმულია. კარგია ყდა, რო-მელიც გარდა წარწერისა, ზუსტად იმეორებს სუბერის ორნამენტულ კომპოზიციას. ცოტა იქ-ნება თუ ვიტყვით, რომ შესანიშნავია ფორხა-ტი, უთუოდ არის რაღაც შინაგანი ლოკუტური კავშირი ფორხაცის ორნამენტულ გადაწყვეტასა და დრამების გოეთესებურ ხასიათს შორის. ორ-ნამენტის ამ კლასიკურ ხლართებში, მის მუქ, ტრაგიზმით აღბეჭდილ ჩარჩოსებურ ხაზებში მძიმეყვედულია მცენარეული ორნამენტი. ასე-





ვე კარგადაა გადაწყვეტილი და გრაფიკულად მტკიცებელია როგორც ტიტული და კონტრტიტული, ისე შმუტტიტულები ტექსტის თავსამკაულებითურთ.

არანაკლებ წარმატებას აღწევს მხატვარი პაინეს „მოგზაურობის სურათების“ გაფორმებაში. სუბტიცი, ნახატიც ყდისათვის, ყუა, ტიტული და კონტრტიტული თუ შმუტტიტულები აღბეჭდილია მხატვრის ფიქრითა და გრძნობით. შმუტტიტულებზე, ამა თუ იმ განყოფილების ხასიათის მიხედვით, წარწერის ქვემოთ მოთავსებულია ჩარჩოში ჩასმული სურათი. ამით მხატვარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ავტორი თავის ნაწარმოებს უწოდებს მოგზაურობის სურათებს. ასეთი გრაფიკული გამოსატყულებით მხატვარი კარგად უკავშირებს თავის ჩანაფიქრს წიგნის ხასიათს.

ი. დივანოვარცევის ის ნამუშევრები, რომლებსაც ჩვენ აქ ცოტად თუ ბევრად შევხებით, და უმრავლესობა იმ ნამუშევრებისა, რომლებიც მხოლოდ დავასახელებთ, აღბეჭდილია ნიჭით, გემოვნებითა და შესრულების მაღალი ტექნიკით. ვერც ერთი ამ ნამუშევართანის მიხედვით ავტორს ვერ დასწამებთ ნაჩქარეობას, ზერელეობას და გულგრილობას. ყოველი წიგნის მხატვრულ გაფორმებას ი. დივანოვარცევა ნამდვილი შემოქმედის პასუხისმგებლობით ეკიდება.

აქ აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: როდესაც ჩვენ ი. დივანოვარცევის გრაფიკულ ნამუშევრებს ვარჩევდით და ვაფასებდით, მხედველობაში გვქონდა მხატვრის მიერ შესრულებული ორიგინალები. საქმე ისაა, რომ მკითხველმადე აღწევს მხოლოდ ამ ორიგინალების მიხედვით გაფორმებული წიგნი, და ხშირად მხატვრის ორიგინალებსა და მის პოლიგრაფიულად შესრულებულ ასლს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცანა და დედაშიწის შორის. სამწუხაროდ, ამ გარემოებას დღემდე ვერ შევლო ბოლო, ვერა და ვერ მოხერხდა მხატვრის გრაფიკულ გაფორმებათა პოლიგრაფიულად ისე შესრულება, რომ მხატვრებს დაბეჭდილი ნამუშევრის ცნობა შესძლებოდათ და სინანული არ გამოთქვათ, მათ მიერ გაფორმებულ წიგნს მათი გვათ რომ აწერია. მაგ., ი. დივანოვარცევის მიერ ბუშკინის „ოთხი პოემისათვის“ შავ ფერში შესრულებული ფორზაცი დაიბეჭდა კვერცხის გულის ფხვნილივით ბაცი ყვითელი ფერი, ხოლო მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ყდას მხატვრის ესკიზის მიხედვით მუქი ყავისფერი ლედერინის მავიჯადე გადაკრული ჭქვს წყალწყალა იისფერი ლედერინი. მხატვრის ორიგინალის შედარება მის პოლიგრაფიულ შესრულებასთან თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ მხატვრის შრომა წყალშია ჩაყარული. მიუხედავად ამისა, ის მხატვრები, რომლებიც წიგნის მხატვრულად შემკობის საქმეს თავის მო-

წოდებად სთვლიან, მაინც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს ამჟამად ჩანს მაშინ, როდესაც ეწეობა წიგნის გრაფიკის საჯარო გამოფენები. ასეთ მცირერიცხოვან მხატვართა ჯგუფს ეკუთვნის ი. დივანოვარცევა. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იშვიათი პასუხისმგებლობითა და გულმოდგინებით ეკიდება ქართული წიგნის მხატვრულად გაფორმების საქმეს. როგორც ზემოთ განხილული მხატვრული გაფორმების ნიმუშების მაგალითზე დავინახეთ, ი. დივანოვარცევისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია წიგნის გაფორმება მხატვრულად მრავლისმეტყველო შრიფტითა და ორნამენტით. ცალკეულ შემთხვევებში მხატვარი მათ უქვემდებარებს თემატურ თავსამკაულებს მთი ცალკეულ, კომპოზიციის შემადგენელ ელემენტად ჩართულ მინიატურულ ნახატს. გაფორმების წმინდა შრიფტულ-ორნამენტული გადაწყვეტა ისე, რომ მან გვეგრძობინოს წიგნის ავტორისა და ნაწარმოების ხასიათი, ფრიად ძნელი საქმეა. ეს ამბავი მოითხოვს სათანადო კულტურას, გემოვნებას. ამავე დროს საჭიროა ზომიერების გრძნობა და ჩანაფიქრის შესრულებისათვის — მაღალი ოსტატობა. ი. დივანოვარცევა თავისი მხატვრული გაფორმებით უმრავლეს შემთხვევაში ახერხებს მკითხველში აღძრას ესთეტიკური ემოცია.

თუ დღეს საქართველოს გამოცემლობებში წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს არა ერთი მაღალკვალიფიციური ოსტატი, რომლებიც ღირსეულად ამკობენ ქართულ წიგნებს და ქართული მხატვრული შრიფტიც ასე უზაზათანად გამოითყურება, ამას უპირიველეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ გამოჩენილ მხატვარ-გრაფიკოსს ლადო გრიგოლის, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. 30-იან წლებში ქართული წიგნის მხატვრულად შემკობის საქმეში იწყებდა ძირფესვიანი გარდატეხა, რომლის სულისჩამდგმელად გვევლინება ლადო გრიგოლი. მან მოქალაქეობრივ უფლებებში აღადგინა, დღევანდლობის მოთხოვნილების შესაბამისად დახვეწა და მეცნიერულად დაამუშავა ქართული ხალხის მიერ შორეულ წარსულში შთაგონებით შექმნილი ქართული შრიფტის შესაბამისი პირვანდელი სახე, რაც შემოგვინახა უძველესმა ხელნაწერებმა. როგორც მე-19 საუკუნის, ისე მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ქართული შრიფტი განიცდიდა შესაძინევ დეფორმაციას და ყოველი უნიჭო მხატვარი-გრაფიკოსი უცერემონოდ ამხინჯებდა მის კეთილშობილ, იშვიათი ელასტურობის მოხაზულობას. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველმა ჩვენს სინამდვილეში ლადო გრიგოლიამ შეუქმნა მას მეცნიერული საფუძველი და თავისებური გრამატიკა.

ისევ, როგორც ბევრი სხვა მხატვარი, ი. დივანოვარცევეც თავის მუშაობაში ძირითად ეყ-



რდნობა ლაღო გრიგოლიას მდიდარ პრაქტიკას, მის მიერ ასე ბრწყინვალედ დამუშავებულ ქართულ მხატვრულ შრიფტს და გაბედულად იყენებს მას. გაბედულად-მეთქი, ვაძბობ იმიტომ, რომ მიმბაძველის გაუბედობით მისი გამოყენება ეფექტს არ იძლევა. თუმცა ლ. გრიგოლიას შემოქმედებითი პრინციპი ყველამ გაიზიარა, მაგრამ ასევე ყველამ ვერ შესძლო მის მიერ ჩამოყალიბებული მხატვრული შრიფტის სახეობათა თავისუფლად გამოყენება. გრიგოლიას პრინციპი არ არის უბრალო ტრაფარეტი, რომლითაც ყველას შეეძლო ეხლმძღვანელა. მის მიერ დამუშავებული მხატვრული შრიფტის გამოყენება ითვალისწინებს შემოქმედებითს პროცესს, რომელიც ემყარება მხატვრის გემოვნებას, კულტურას და მაღალ შემსრულებლობითს ოსტატობას. ამიტომაც მისი გამოყენება ერთნაირად ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა ყველასათვის — ნიჭიერისათვისაც და უნიჭოსათვისაც. ამაში ზედმეტად გვარწმუნებს ის ამბავი, რომ გრიგოლიას შრიფტის ხასიათზე დაყრდნობით ერთი კულტურულად გაფორმებული წიგნის გვერდით მაღაზიების ვიტრინებში თვალში გეცემათ უგემოვნოდ, დამახინჯებული შრიფტით

გაფორმებული წიგნებიც. მკითხველი უაქვე-ლია გაგვიგებს, რომ გრიგოლიას შრიფტის ღირსეულად გამოყენება მხოლოდ ნიჭიერს არ გაუძნელდება.

თუმცა ი. დივანოგორცევა, როგორც მხატვარი, ასე ვთქვათ, უფრო გაიტაცა წიგნის წმინდა გრაფიკულად შემოკობაზე მუშაობამ, მაგრამ თავის შემოქმედებაში მაინც შემოზღუდული არ არის ამ საქმით: დროდადრო მუშაობს თავისუფალ კომპოზიციებზე გუაშით, აკვარელით, ფანქრით. სხვიტორის მუზეუმის დაკვეთით მან შეასრულა ორი კომპოზიცია ფანქარში: „ახალგაზრდა აკაკი წერეთელი მეუღლესთან ერთად მოსკოვში“ და „ილია და აკაკი გრიბოედოვის საფლავთან მთაწმიდაზე“; მუშაობს პლაკატზე, რომელიც მიძღვნილია სასოფლო-სამეურნეო გამოფენის თემისადმი და სხვ. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ცოტაა იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რომელიც მხატვარს ამ მხრივ გააჩნია. საჭიროა ი. დივანოგორცევამ ამ გარემოებასაც გაუწიოს ანგარიში და ილუსტრაციის დარგში თავისი სისტემატური მუშაობით უფრო გააღრმავოს და გაამრავალფეროვნოს თავისი შემოქმედება.





## აოიონე ქოქია

# ფეხბურთის თამაშობს ყვედა

### ვინ ბაიტანა პირველი გოლი?

მართლაც, ვინ გაიტანა პირველი გოლი ფეხბურთში?

ვინ იყო ის ფეხბურთელი, ვინც პირველმა აიძულა მოწინააღმდეგენი სიმწირისაგან თავზე წაველოთ ხელი დათქმულ ხაზს იქით მყოფი ბურთის შემხედვარეებს?

შეიძლება ზოგიერთს ეს ფეხბურთელი წარმოადგინო ჰყავს ბუცებში, ტრუსებსა და წვივსაფარებში გამოწყობილ სპორტსმენად, რომელსაც ზურგზე ალბათ „მ“ ეწერა.

რა თქმა უნდა, არა. პირველი ფეხბურთელები გაცილებით უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნებიან, ვიდრე საფეხბურთო ინვენტარი ბუცებით გაძლიერდებოდა და ვიდრე მსაჯს პენალტის დანიშვნისა და მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევების უფლება მიენიჭებოდა. ვერც ერთი ისტორიოგრაფი ვერ დაადგენს თარიღს, თუ როდის დაიწყო ადამიანმა პირველად ბურთის თამაში.

ბურთით თამაში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, რომში, უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცნობილია, რომ ძველი რომის ლეგიონერები სისტემატურად თამაშობდნენ ფეხბურთს. მაშინდელი ბურთი წარმოადგენდა სპეციალურად შეკერილ, თივით დატენილ ტყავის სფერულ ბურთს. არავინ იცის, როგორი წესებით თამაშობდნენ ლეგიონერები ბურთს, მაგრამ მისი არსი იგივე იყო, რაც დღესაა—ბურთის გატანა კარში ფეხით. ხელით თამაში არ შეიძლებოდა.

ასეთსავე თამაშს მისდევდნენ აღმოსავლეთის ფეხბურთელებიც, ჩრდილოეთშიც. მაგალითად, რუსეთში უძველესი დროიდან იყო განვითარებული ძონძებით ან ხავსით დატენილი ტყავის ბურთით თამაში — შალიგა. თამაშის აზრი ფაქტურად იგივე იყო, რაც დღევანდელი ფეხბურთია: ბურთის გატანა კარში ფეხით.

საქართველოში ბურთით თამაში ცნობილია უძველესი დროიდან. „ლელო“, რომელსაც დღე-

საც თამაშობენ და ოფიციალური წესებითაც არის დაკანონებული, თავისი ხასიათით და ილეთებით დიდად არ განსხვავდებოდა ე. წ. ინგლისური ფეხბურთის პირვანდელი ვარიანტისაგან.

ერთი სიტყვით, ფეხბურთი ბრიტანეთის კუნძულებზე კი არ იშვა, როგორც ამას ქედმაღლურად ამტკიცებენ ინგლისელები, ბურთით თამაში ადამიანის ცხოვრების თანმხლები იყო უხსოვარი დროიდან.

მაგრამ ინგლისელებს უდავოდ ეკუთვნით პრიორიტეტი თანამედროვე, ე. წ. ცივილიზებული ფეხბურთის შექმნაში. ფეხბურთის პირველი ოფიციალური წესები ინგლისში ჩამოყალიბდა და დაკანონდა.

როცა ლაპარაკია ინგლისურ ფეხბურთზე, პირველ ისტორიულ საბუთად უნდა მიჩნეული იქნას XII საუკუნის ბრიტანული კანონი, რომელიც მიფე ელუარდ III-მ გამოსცა. საქმე იმაშია, რომ ფეხბურთის „ეპიდემიამ“ საშუალო საუკუნეების ინგლისში კატასტროფული მასშტაბები მიიღო. შეხვედრები იმართებოდა დიდ მოედანზე და ქალაქგარეთაც და ხშირად სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდებოდა. „ანტიმთურთავე“ მოქალაქეებს მოსვენება არა ჰქონდათ გაუთავებელი ყიჟინისა და ორომტროაილისაგან, ხოლო ეკლესია დიდად შემოფითებული იყო ფეხბურთის პროტესტანტული ზეგავლენისაგან, ვინაიდან წმიდათაწმიდა ღვთისმსახურებამ ახალგაზრდები ბურთის ღვენას არჩევდნენ.

და ა, მიფე ელუარდ III იძულებული გახდა კანონით აეკრძალა ფეხბურთი. დამნაშავე ისევე ბოდა დიდი ფულადი ჯარიმით ან ხანგრძლივი პატიმრობით.

ეს ელიქტი დაამტკიცა პენისი III-მ. მიფე ჯეიმსმა კიდევ უფრო გაზარდა „ფეხბურთის ბოროტმოქმედთა“ სია — მასში შეყვანილი იქნენ არა მარტო მოთამაშენი, არამედ მაყურებლებიც



და, ასე წარმოიდგინეთ, ისინიც, ვინც მონაწილეობდა თამაზის განსჯა-განხილვაში.

ამას დაემატა კიდევ ერთი ზომა — მეფის დავალებით ეპისკოპოსმა სტეპანა შეაჩვენა ფეხბურთი — ეს „სისხლიანი, მომავკდენიბელი თამაზი“.

ასეთ სასტიკ ზომებს მიმართავდნენ ფეხბურთის მიმართ შუა საუკუნეებში, მაგრამ ბურთის თამაზის მოტრფიალენი არაფრად აკვებდნენ ამ კანონებს და ფანატიკურად განაგრძობდნენ „წესრიგის დარღვევას“.

ყველაზე საინტერესოა ის, რომ მივე უღუარდ III-ის კანონი ფორმალურად დღესაც არაა გაუქმებული და ვინმემ რომ მოინდომოს მისი დღის სინათლეზე გამოტანა, თბილისელები 1957 წლის 7 ივნისს ვერ იხილავენ „გესტ ბროშიერ ალბიონის“ შესანიშნავ გუნდს, ვინაიდან მისი მოთამაშეები კანონის მიხედვით ზნელ საკანში იქნებოდნენ გამოწყვედილი.

თანამედროვე ფეხბურთის დაბადების თარიღად 1863 წლის ოქტომბერი ითვლება. ლონდონის რომელიღაც ტავერნაში შეიკრიბნენ ბურთათამაზის მოყვარულნი, რათა თამაში საბოლოოდ გადაეყვანათ ანარქიულიდან კანონიერ მდგომარეობაში. დიდხანს ბჭობდნენ და დავობდნენ იმ საღამოს ტავერნაში შეკრებილნი. კამათის თემას ძირითადად წარმოადგენდა საკითხი — მოთამაშეთათვის ხელით თამაზის ნებაჲ დაერთოთ თუ ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთი უფილიყო. ბოლოს გაიმარჯვა უმრავლესობამ. და უმცირესობამ, რომელსაც სურდა ბურთის თამაში ხელითაც წარმოებულიყო, დატოვა ტავერნი.

დარჩენილებმა შეიმოწვეს ფეხბურთის თამაზის 13 წესი. ეს 13 პუნქტი ძირითადად დღესაც საფუძვლად უდევს ფეხბურთს.

გავიდა ცოტა ხანიც და ფეხბურთის მინდორზე გაიხსნა პირველი სასტყენი, კარს უკან ჩამოჰკიდეს ბადე, დანიშნეს 11-მეტრიანი საჯარიმო და ფეხბურთმა მიიღო დღევანდელი სახე.

### პატარაბურბი — ფიხიზურთის პიონერი

1897 წლის 15 მაისს პეტერბურგის „საბორტო მოყვარულთა წრის“ მიერ ოფიციალურად იქნა ჩამოყალიბებული პირველი საფეხბურთო გუნდი. მაგრამ მოქალაქეობის სამართლიანი უფლება ფეხბურთმა ამ ქალაქში უფრო ადრე მიიღო, როცა ე. წ. ვ. ველური, „არალეგალური“ გუნდები დილიდან დაღამებამდე დასდევდნენ ბურთს პეტერბურგის დაუსახლებელ გარეუბნებში.

მატჩი! რა შორს დავს ფეხბურთის მატჩი ამ თამაზის განთიადზე იმისაგან, რასაც ჩვენ ახლა გვხვდავით! ორი ბოძი ზევიდან გახშული თოკით წარმოადგენდა კარს. ფეხბურთელებს ეცათ სხვადასხვა ფერის ხალათები, მაისურები. მტეელები ჩაქმებში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო თავდასხმელები, „მსუბუქ კავალერის“ წარმოადგენდნენ

და ფეხშიშველა თამაზობდნენ. მსაჯობის რთული ფუნქციები გუნდების კაპიტნებს ჰქონდათ მინდობილი, მაგრამ დაიწყებოდა თუ არა თამაში, მტეელები, თავდასხმელები, კაპიტანიცა და მტარეც ერთიანდ გამოედევნებოდნენ ბურთს და ამ ქაოსში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა.

ფეხბურთი თანდათან ღებულადა ნორმალურ სახეს. უთ-ერთი ასეთი ნორმალური პირველი მატჩი პეტერბურგში გაიმართა 1893 წელს. იგი ძლიერ მოეწონათ პეტერბურგელებს. 1901 წელს პეტერბურგში შეიქმნა საფეხბურთო ლიგა, რომელიც ატარებდა ოფიციალურ პირველობებსა და გათამაშებას თასზე.

მაღე ფეხბურთით „დაეადდნენ“ მოსკოველებიც. გავიდა მცირე ხანი და „ფეხბურთის ინფექცია“ გავრცელდა უკრაინაში, ამიერკავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში. შეიქმნა სრულიად რუსეთის საფეხბურთო კავშირი.

რევოლუციამდელ რუსეთში ჰეგემონია პეტერბურგელებს ეყრათ. ისინი სისტემატურად ამარცხებდნენ თავიანთ ძირითად მტრბებებს — მოსკოველებსა და ოდესელებს.

პირველი საერთაშორისო მატჩი რუსეთის ნაჯრებს ჰქონდა 1910 წლის 14 ოქტომბერს. ამ დღეს იგი შეზავდა ჩეხოსლოვაკიის ნაჯრებს და წააგო დიდი ანგარიშით — 0:15, მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართა განმეორებითი შეხვედრა, რომელიც მოიგეს რუსეთის ფეხბურთელებმა — 5:4.

წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის ფეხბურთელთა ოლიმპიური მატჩი სტოკჰოლმის ოლიმპიადაზე, სადაც ისინი ფინეთის გუნდთან დამარცხდნენ ანგარიში 1:2.

### ასე დაიწყეს ფოთელეზა

პატარა საბორტო ქალაქ ფოთიდან უცხოეთის გემებს განუწყვეტლოვ გაჰქონდათ მარგანეცი. ამ გემებით ვაჭედილი იყო პორტი და სანამ მანონდელი ტენეინი რკინიგზის რონოდებიდან გადაზიდავდნენ ძვირფას მადანს გემში, უცხოელი მეზღვაურები დროს უქმად არ კარგავდნენ. ვაჭმოდოდნენ ნაბირზე და ფეხბურთს თამაზობდნენ.

ფოთელი ნაბირე არ უშეგდნენ არც ასეთ შეხვედრაში. ისინი მონუსხულებივით იხსდნენ მახლობლად და თვალს არ ამორებდნენ ბურთს. შემდეგ, როცა მეზღვაურები მორჩებოდნენ თამაზს, ბიჭები გაზარავდნენ ქალაქის სასაკლაოდან წამოდევულ ხარის ბუშტს და თავდავიწყებამდე დასდევდნენ მას.

უკვე 1905-7 წლებში ფოთის ახალგაზრდობა სისტემატურად თამაზობდა ფეხბურთს, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ ფოთში ჩამოყალიბდა პირველი გუნდი. ეს გუნდი ხშირად ეთამაშებოდა უცხოელ მეზღვაურებს და, თუცა პირველ ხანებში აგებდა „შემდგომში სულ უფრო და უფრო უკეთესი შედეგებით ამთავრებდა შეხვედრებს. ბოლოს ეს „საერთაშორისო“ მატჩები ნაძ-



ლევზე იმართებოდა, სადაც უცხოელთა მხრივ სანაძლოდ ყოველთვის საფეხბურთო ფორმა და ბურთი იდებოდა. დასასრულის ისე წავიდა საქმე, რომ მეზღვაურები გემზე სწირად ფეხშიშველნი, უბურთოდ ბრუნდებოდნენ.

ასე დაიწყო ფოთელებმა...

შემდეგ გუნდები ჩამოყალიბდა ბათუმში, სოხუმში, თბილისში, ქუთაისში, თელავში. მაგალითად, თბილისში გიმნაზიების საუკეთესო მოთამაშეთაგან შედგა გუნდი „ოირა“, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ქალაქის ნაკრებს.

მაგრამ ნამდვილი ბოჰოლარიზმა და სახალხო გავრცელება ფეხბურთმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პპოვა. მასობრივად ყალიბდებოდა გუნდები სკოლებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სპორტსაზოგადოებებში. ახალგაზრდობას საშუალება მიეცა რეგულარულად ევრაჯიშა კეთილმოწყობილ სტადიონებზე.

ამჟამად საქართველოში სისტემატურად ტარდება მრავალრიცხოვანი შეჯიბრებები, პირველობები, თასის გათამაშებანი, ჩვენი გვეჯეს მადალი კლასის გუნდები, რომელთა სახელი შორს გაეცა რესპუბლიკისა და კავშირის ფარგლებს. მხოლოდ შარშინ იქნა ჩარიცხული საჯავშირო გათამაშებაში ქუთაისის „ლოკომოტივი“ და იგი უკვე ერთ-ერთი უძლიერესია „ბ“ კლასში. მრავალი წლის მდიდარი სპორტული ტრადიციები გააჩნია თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდს, რომელსაც არა ერთხელ ჰყავს დამარცხებული საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდები. და ყველაათვის ცნობილი თბილისის „დინამო“...

### საქართველოს პირველი გუნდი

1925 წელს თბილისში, სპორტსაზოგადოება „დინამოში“, ჩამოყალიბდა ფეხბურთის გუნდი.

მაშინ ეს იყო ერთ-ერთი რიგითი გუნდი, რომელიც დასაწყისში არაფრით არ განიჩიოდა სხვებისაგან. მაგრამ უნარიანად ორგანიზებული სასწავლო-სპორტული მუშაობის, მოთამაშეთა გულდასმითი შერჩევის, მათი ტექნიკისა და ტაქტიკის ახალღებაზე სერიოზული ზრუნვის შედეგად დინამოელებმა სწრაფი პროგრესი განიცადეს და უკვე სამი წლის შემდეგ მოიპოვეს ამიერკავკასიის ჩემპიონობა.

ასე დაიწყო ამ სახელოვანი კოლექტივის სპორტული ბიოგრაფია. ამხანაგურ და ოფიციალურ შეხვედრებში საბჭოთა კავშირის ქალაქების უძლიერეს გუნდებთან დინამოელთა კოლექტივი იწრთობოდა, იძენდა გამოსცდილებას, დაბეჯითებით მიდიდა სპორტული სრულყოფის მწვერვალებისაკენ.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, რიგის, სტალინოსა და სხვა ქალაქების სტადიონებზე მასურებლებმა შეიცვარეს ტემპერამენტიათ,

სწრაფი, მაღალტექნიკური, აზარტული დროის უაღრესად კორექტული, თავაზიანი თბილისური ფეხბურთელები. მაღალი შეფასება დაიმსახურეს მათ ბოლონეთის, რუმინეთის, ირანის, ბირმის, ბულგარეთის სტადიონებზეც.

ტყავის ბურთის მრავალი შესანიშნავი ოსტატი აღიზარდა თბილისის „დინამოში“. ამ გუნდის ბრწყინვალე წარმატებათა პირველი ავტორები იყვნენ შ. შავგულიძე, ა. დროსოვი, ბ. პაიჭაძე, ვ. გაგუა, მ. ბერძენიშვილი, გ. ჯეჯელავა, ვ. ჯორბენაძე, თ. გაგაშელი, ა. კიკნაძე, ბ. ფროლოვი, ა. ტყებუჩავა, ვ. ბერუქიანი, ვ. პანიჭვილი, ა. ხარბელია, მ. ქულიძე, უ. სალდაძე და სხვანი. ეს იყო ძირითადი ბირთვი, რომელმაც შექმნა მონოლოთური, შთამამშებელი ანსამბლი. ამ ოსტატებმა შექმნეს გუნდის სპეციფიკური, სხვათაგან განსხვავებული სტილი, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა თბილისის „დინამო“.

ოშის შემდგომ წლებში დინამოელთა რიგებში გამოჩნდნენ: შ. შუღრა, ვ. სანაია, ა. დროსობრიძე, ვ. ანთაძე, ი. სარჯველაძე, ნ. ძიპაშია, ვ. მარალია, რ. მახარაძე, ს. ჯეჯელავა, გამოჩნდა ახალგაზრდობა — ვ. ელოშვილი, ა. ტყუასელი, კ. ვაგნიძე, ა. კორტაიკაძე, ბ. ხასია, ვ. ხოჭოლაძე, შ. იამანიძე და სხვანი.

თბილისის „დინამოს“ სახელთანაა დაკავშირებული ერთი შესანიშნავი ნოვატორობა საბჭოთა ფეხბურთში — ადგილების ცვლა თავდასხმაში. ადრე ყოველი ფორვარდი თავს მოვალედ თვლიდა ძირითადად თავის „სამშატო ტერიტორიას“ მომსახურებოდა, მრავალი წლის განმავლობაში დაფუძნებული ეს კანონი პირველად თბილისის დინამოელებმა დაარღვიეს. და ეს პირველად მოიხიქმედა ფეხბურთის ბრწყინვალე ოსტატმა შორის პიჭიძემ, რომლის ტემპერამენტი და სამოქმედო დიამაზონი ვერაფრით ვერ ეტეოდა ცენტრის ლიმიტირებულ საზღვრებში. მან დაარღვია ეს საზღვრები და შექმნა „მოხეტიალე ფორვარდის“ ვანუემორებელი სახე.

ასეთივე „დაუდგარი“ იყო მეორე შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი ვიოზ ჯეჯელავა — ურთულესი დრამატის ოსტატი.

მოწინააღმდეგის დაცვის დეზორგანიზაციის ეს ეფექტური ხერხი — „უწყსრიგო წყსრივი“ კარგად აითვისეს სხვა თავდასხმელებმა — პანინოვმა, ხარბელიამ, ბერუქიანმა.

არის მატჩები, რომელთა დაჯიფება არ შეიძლება.

ასეთ მატჩად მოსკოველებს მიაჩნათ 1936 წლის მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე, როცა თბილისელები აგებდნენ შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკთან“ ანგარიშით 1:3 და შეძლეს მისი გრედ დამთავრება. განმეორებით თამაშში პირიქით მოხდა — იგებდნენ დინამოელები იმავე ანგარიშით და „სპარტაკმა“ შეძლო ორივე ბურთის გაქვითვა. სამაგიეროდ თბილისელებმა დამატებით დროში 3 „მშრალი“ ბურთი

გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:3.

მანინ მიიღო თბილისის „დინამო“ ოსტატობის პასპორტი. მაგრამ თბილისელებს კიდევ უფრო უკეთესი მატჩი ახსოვთ, დაუფიქარი მატჩი. ეს იყო 1939 წელს...

### დაუფიქარი მატჩი

...პარეში მიმედ კვიდა ის ყრუ გმინვა, რომელიც დინამოელთა გულშემატკივრებს აღმოხდათ წაბის წინ.

ყველაფერი სწრაფად და მოულოდნელად მოხდა. სულ რამდენიმე წამი გავიდა, რაც ხარკოველებმა მსაჯმა ონიშენკომ თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. მოთამაშეები დაზევრებისათვის მოემზადნენ, რამდენიმე უმნიშვნელო და ფრთხილი კომპინაცია გაითამაშეს და მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების შეთვლიერებას შეუდგნენ.

მოსკოველთა მარჯვენა გარემარბმა გრინინმა კარიდან ოდნავ მოშორებით ჩააწოდა ბურთი. დოროხოვმა ვერც კი შეასწრო თვალი — როგორ შემოიჭრა საჯარიმო მოედანზე შერბატენკო, დაასწრო ფროლოვსა და შავგულიძეს და თავით მკეტორად და ზუსტად შეუცვალა ბურთის მიმართულება. არც თავისი ნახტომი ახსოვს მკეტარებს. ახლა ადგომაც აღარ უნდა, წევს ზედ კარის ხაზზე და მის ზურგს უკან ბურთი გვია, ბადიდან უნდღილად და მორჩილად ძირს დეარდნილი.

განა ასე უნდა დაწყებულიყო მატჩი, რომლისთვისაც ასე ემზადებოდნენ დინამოელები? საკუთროს ჩემპიონატი ზურგს უკანა და ეს შეხვედრა წყვეტს მეორე ადგილის საკითხს. მოსკოველებს საამისოდ ერთი ქულაც ყოფნით, თბილისელებს კი მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ ორი ქულა მოუტანს იმ მეორე ადგილს.

თითქოს ყველაფერი გაანგარიშებული, აწონილი და გამოწონილი იყო: დროცა და მანძილიც, შეტევაცა და მოგერიებაც, მოსალოდნელიცა და მოულოდნელიცა — და აბა, ჩრდილოეთის ტრიბუნის კოშკზე მოსკოველთა წარწერის ქვეშ უკვე ერთიანი ჰკიდა.

თბილისელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში. დაიწყეს და მაშინვე შეუტყეს. ძლივს მოგერიეს არმიელებმა თავბრუდამხვევი იერიში, გაქირვებით მოიშორეს თავიდან მოწინააღმდეგეები, მაგრამ დინამოელები კვლავ გამოჩნდნენ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. პაიჭაძემ ხარბედასაგან მიიღო ბურთი, გაუსხლტა მცველებს და საჯარიმო მოედანში ოდნავ შესულმა მარცხენა ფეხით ძლიერად დაარტყა.

დაარტყა და არმიელთა მეკარის ლეონოვის მოსხლეტელმა ნახტომმა გაივლია პარეში, მაგრამ იმ კუთხეს, ფეხბურთის მცოდნენი ცხრიანს რომ ეტყვიან, ვერ მივჭდა.

1:1. თამაში თავიდან იწყება. ექვსი წუთი გა-

ვიდა მისი დაწყებიდან და ყველაფერი სულა იწყება.

ფედოტოვმა ბურთი შერბატოვს მიაწოდა. იმან კაპელკინს და არმიელთა წითელი მასურები დაიძრნენ წინ — მწყობრად, გეგმიანად, მოფიქრებულად. საკვირველია, მოსკოველები თითქოს არ ჩქარობენ, თითქოს დუნდვად დარბიან, მაგრამ ბურთი საოცარი სისწრაფით მოძრაობს მათ შორის. თავდასხმის ხუთეული უშეცდომოდლა შეთამაშებული, ზედმიწევნით ესმით ერთმანეთისა, მეზობლის მხარს ალღოთი ვრანობენ და როგორღაც ახერხებენ გავიდნენ იქ, სადაც არც მოწინააღმდეგეა, ადგილიც თავისუფალია და ბურთიც მაშინვე მიდის. მალე მათი წიქორე უშლილი — ნახევარმცველები ცინორბადი და მიხაილოვიც — დაიძრა წინ და სახიფათო ზონაში შემოვიდა.

აი სტუმრები მარცხენა ფრთიდან უტევენ. მიხაილოვმა შორს, მინდვრის სიღრმეში დაიწყო კომპინაცია, ბურთმა ზუსტი მისამართით იმოგნაურა წითელმასურაინებს შორის და ფედოტოვთან მოხვდა. გრიგორი ფედოტოვმა წამით გააჩერა ბურთი, სანამ კაპელკინი თავისუფალ ადგილზე გავიდოდა და მერე მშვიდად და დინჯად გაგზავნა მასთან. ის ადგილი, სულ მცირე, პატარა ადგილი, თავისუფალი დარბენოლათ თბილისელ მცველებს.

გრიგალივით მიქტრის იქით კაპელკინი. საით დაარტყამს? დოროხოვმა იცის — კაპელკინი მებწილად მაღლა ურტყამს. ურტყამს ზუსტად, ძლიერად. აზრი საოცარი სისწრაფით მუშაობს. ცალი კუთხე მაინც იყოს მოსკოველისაგან დაფარული, ასეთ დროს თავდასხმელი ნერვიულობს, ღზინანდება, ორჭოფობს.

ერთი ნაბიჯიდა დარჩა კაპელკინს ბურთამდე. მხოლოდ ერთი. უკანასკნელად შეკლო მეკარემ თვარი თავდასხმელს და გაფრინდა.

კაპელკინმა ხუთიოდ ნაბიჯი კიდევ გაიზინა და მერე შეხედა კარს: დოროხოვი არც შემცდარა, არც დაბნეულია, მაგრამ ყულმპარისებურად დარტყმულ ბურთს მაინც ვერ მიუსწრო. კაპელკინმა თვითონვე გამოიტანა ბურთი ბადიდან და ცენტრისაკენ გაგზავნა.

მარჯვენა გარემარბი გრინინი სწრაფად მორბის კარისაკენ. არჩილ კიკნაძემ გზა გადაუჭრა მოსკოველს, მიუახლოვდა, ის იყო ფეხიც შემარბთა, მაგრამ გრინინმა ანაზღად გვერდი აუარა დინამოელს, მკვეთრად შემოტრიალდა და პირისპირი შერბა მეკარეს. „გაქირვება მიჩვენე — გაქცევას გიჩვენებო“ — არჩილმა ფეხი გამოლო გრინინს, წააქცია და თვითონვე წამოაყვანა ფეხზე.

ონიშენკო გამბით უსტვენს და იმ თვთრი წერტილისაკენ ანიშნებს, რომელიც კარიდან 11 მეტრითაა დაშორებული და რომელიც ფეხბურთში სასჯელის უმაღლეს ზომას აღნიშნავს.

კაპელკინი ბურთიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯის დაშორებით დგას. ასე არტყამს იგი ბენალტს. ვერც



მოძრაობას მიუხედავად, ვერც შეაღწენ. გადმოღვამს იმ ერთ ნაბიჯს და ბურთი ტყვიასავით მოდის კარში. ახლაც ასე დაარტყა — მცვეთრად, მაღლა, ძლიერად. დროისოვი არც განძრეულა.

ცოტა ხნის შემდეგ თბილისელთა მკვარემ მეოთხე ბურთი გამოიტანა ბადიდან.

პირველი ნახევარი არმილებმა ანგარიშით 4:1 მოიგეს და არც ერთ დინამოელს თავი მალდა არ აუწევია, როცა გვირაბში ჩადიოდნენ. ვასახდელში ვილაყამ ამბავი დაახვედრა: არმიელებმა მოსკოვში დებუმა გაგზავნეს — პირველი ტაიმი 4:1 მოვიგეთო.

თბილისელებმა ვასახდელის კარი შეიღებოდ ჩაკეტეს და თათბირს შეუდგნენ...

დაიწყო მეორე ტაიმი. მაშინვე ეკეთენენ დინამოელები მოწინააღმდეგეს. შეუტყეს და რამდენიმე სწრაფი კომბინაცია ზედოხედ გაითამაშეს. მოსკოველები არ ელოდნენ ასეთ შეტყრმს, უცბათ დაფაცურდნენ და გაოცებულნი შეჩინნენ თბილისელებს პირისპირ — არც ერთი „დინამოს“ თავდამსხმელი არ იყო ადვილზე: ჯეჯელებს მინდვრის ცენტრში გადაენაცვლა, ხარბედია მარცხენა ფრთიდან მარჯვნივ წასულიყო, პაიჭაძე მინდვრის კიდეში გარბოდა და სხვებიც „სადლაც“ გააპრულიყენენ. წამის შემდეგ დინამოელები ისევ იცვლიდნენ ადგილებს და ისევ იმ „სადლაყაში“ იფანტებოდნენ.

სამიოდე წუთის შემდეგ არმიელებმა ვეღარ შეაკავეს „დინამოს“ თავდამსხმელები, მცველებმა უკანასკნელ წუთში მიუსწრეს კარისაკენ მქროლ ხარბედისა და მოცუელს იგი.

მისილე ბერძენიშვილმა 11-მეტრიანი საჯარიმო დაარტყა ისე, რომ ზღვასავით მაყურებლის ყიჟინამ გრგვინვად გადაურა სტადიონს. ლეონოვი ზამბარასავით შეიკუმშა, მოსხლტა და მარცხენა კუთხისაკენ გადახტა, ბურთი კი ნელი ხტომით გადაცდა ხაზს კარის მარჯვენა კუთხისთან და წყნარად გაჩერდა ბაღესთან.

კვლავ უტყვენ დინამოელები, უტყვენ დაყინებით, გულმოდგინედ, შეუსვენებლად. მოსკოველებმა უკან დაწიეს ნახევარმცველები, „ისესხეს“ შუამარბებიც, მაგრამ მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ან როგორ თამაშობენ ეს დინამოელები, რომ არც ერთი თავის ადვილზე თითქოს არაა და მინც ყოველი მათგანი ადვილზეა!

ბურთი პაიჭაძეს აქვს, ბორისმა მარჯვნიდან მიიღო გადაცემა, ოდნჯ შეჩერა იგი, სამ მცველს გაუსხლტა ზედოხედ, ნიავივით ჩაუტროლა გაოგნებულ არმიელებს და ბურთი ჯეჯელებს გადააწოდა. ძლიერი დარტყმა ძლივს დააბრუნა ლეონოვმა, მაგრამ წამსვე იქ გაჩნდა ხარბედია, რომელიც ყოველთვის ყნოსვით პოულხოდდა ასეთ დროსა და ადვილს. გაჩნდა და შესამედ შეარხია სტუმრების კარის ბაღე.

ისევ ფეხზე დგანან მაყურებლები, ისევ მძლავრად ისმის მათი ყიჟინა.

ისევ შეუსვენებელ ღვარად მოდიან დინამოელები თეთრი მისფრები ელვასავით დაპქრიან მოედანზე და მეტოქეს სულის მოთქმას არ აცვლიან.

...ის ბურთი ხარბედია საჯარიმო მოედნის გარეთ მიიღო, გაიწია იქით, საიდანაც პაიჭაძემ ახლახან წაიყვანა მცველი, გავიდა და კარს შეხედა. შეიძლება დარტყმა? შეიძლება. ხარბედის არც თვალმა უღალატა, არც ფეხმა. ანგარიში 4:4 გახდა.

თბილისელებმა კიდევ ერთხელ შეუტყეს. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთიდა დარჩა. მოსახდენი უნდა მოხდეს. ჯეჯელებმა ერთხანს იტროდა ბურთით არმიელთა საჯარიმო მოედანზე და, როცა დრო იხელთა, უცბათ და ანახლად დარტყა.

მეხუთე, მეხუთე გოლი! თბილისელები აღარ აცლიან ერთმანეთს, ეხვევიან გიოზს, ჰკოცნიან. მოსკოველებმა მაშინვე მიიღეს სწრაფი გადაწყვეტილება — ან 4:6, ან 5:5. და მთელი გუნდით წაიღდნენ წინ, მცველები შუა ხაზს გადმოცდნენ და მკვარეც კი, მინდვრის შუაგულამდე მოვიდა.

და როცა თამაშის დამთავრებას ნახევარი წუთი აკლდა, ფელოტოვმა სულ ახლოდან ძლიერად დარტყა კარში, აღბათ ინსტინქტით მოასწრო დროსოვმა, სწრაფად გასწია მარჯვენა ფეხი და ოდნავ წაპყრა ბურთს.

ბურთი დაბზრილდა, ზევით ავარდა და იმ ადგილს სულ ცოტათი აურა, სადაც ორი ძელი ერთდებოდა. დროსოვმა თვალი მოკრა ძელებს ვადაცდენილ ბურთს და ღონემიხილი მიწაზე დაეცა.

მატჩი მოგებული იქნა. მათ, ვინც მაშინ სტადიონის ტრიბუნებზე იჯდა, დღესაც, 18 წლის შემდეგ, კარგად ახსოვთ ეს განუმეორებელი მატჩი.

### ფხვბურთის თამაშობს ყველა

ასე მეორედვა ყოველ წელს...

მთავარდება უშფოთველი ზამთარი და იწყება მშფოთარევა გაზაფხული. წარსულის ბარდება ზამთრის წყნარი საღამოები, როცა რადიოს მოაქვს ვალსის ნაზი მელოდები და არა ფეხბურთის კომენტატორის გულზე გამხეთქი: „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“

შეიძლება ზოგიერთისათვის გაზაფხული მოალერგე მზე, აყვავებული ნუში, ენძელა ან სხვა მისთანაა. უმეტესობისათვის კი ესაა თავსატეხი ცხრილები, კალენდრები, შემადგენლობანი, გაუთავებელი „ჩვენები“ და „ისინი“, „მოიგო“, „წააგო“ და „ბილეთი“, დაუსრულებელი დავა იმაზე, რომ ბილეთები სტადიონზე განაწილებით კი არ უნდა გააყიდონ, არამედ გამოცდილი. დაახ, დაახ, გამოცდილი: ჩააბარებ გამოცდას ფეხბურთის ისტორიაში და მიიღებ ბილეთს, ვერ ჩააბარებ — თავისუფალი ხარ.



რა მნიშვნელობა აქვს ჩიტის სტვენას? არა-  
ვითარი. აი მსაჯი რომ დაუსტვენს — ეს სულ  
სხვა საქმეა. აი ესაა ნამდვილი ვალობა.

ფეხბურთი!

ბრძოლით აღსავსე დაძაბული 90 წუთი მწვანე  
მინდორზე.

ფეხბურთი! ყველაზე პოპულარული, მასობ-  
რივი, საყვარელი თამაში, აღსავსე მოულოდნე-  
ლობები, განუმეორებელი კომბინაციებით, წარ-  
მტაკი პერიპეტეხებითა და შემოქმედებითი ძიე-  
ბით!

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ  
არაა ისეთი კლუბი ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ  
თამაშობდნენ ფეხბურთს, სადაც ეს ტემპერამენ-  
ტიანი, საინტერესო თამაში საყოველთაოდ აღ-  
არებული არ იყოს — შავი ზღვის სანაპიროებზე  
და შორეულ აღმოსავლეთში, ცხელ შუა აზია-  
შიც და ცივ ჩრდილოეთშიც, დედაქალაქებშიც და  
სულ პატარა სოფლებშიც.

ფეხბურთს თამაშობს ყველა: ფეხბურთელი და  
გულმეწვია, სტადიონის მოლარე და ეროსა  
მანუგალაძე, ამიერიდან — ტელეცენტრიც...





პანი უხინიძე

ბაქარ ბუქანიძე ბაქიბუშობს

ძნელი დასაჯერებელია, არაფერი გაგვეონოთ ბაქარ ბუქანიძეზე. მრავალმხრივი ტალანტი: ფილოსოფოსიც არის, ფსიქოლოგიც, ისტორიკოსიც, ესთეტიკოსიც, კიდევ პოეტობს, დრამატურგიაშიც ფეხი უდგას, ლიბრეტისტიც არის, სცენარისტიც. ყოველ შემთხვევაში, თვითონ თავის თავზე ასე ლაპარაკობს და ჩვენ სხვანაირადაც რომ ვფიქრობდეთ, ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა როდი აქვს.

მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს ბაქარს — მუდამ თავის თავის ქებაშია, მუდამ ცდილობს თავისი თავი იმაზე მეტად მოგაჩვენოს, ვიდრე ნამდვილად არის. თუ რომელიმე წიგნის შესავალი ან წინასიტყვაობა წაიკითხა, თავი ისე უნდა მოგაჩვენოს, თითქოს მთელი წიგნი გადაებულბულეზინოს; თუ რომელიმე მწერლის ერთი ნაწარმოები როგორმე წაიკითხა, ისე დაიწყებს მსჯელობას, თითქოს ეს მწერალი თავიდან ბოლომდე ხუთი თითივით ჰქონდეს შესწავლილი; თუ თეატრში ერთი სპექტაკლი ნახა, ამ თეატრის მთელ ისტორიასა და შემოქმედებაზე ისე დაიწყებს ლაპარაკს, თითქოს ამ თეატრის შესწავლის მეტი მთელ თავის სიცოცხლეში არაფერი ეკეთებინოს.

თუ კაცმა რუსული ენა კარგად არ იცის, ეს საამაყო საქმი როდია, მაგრამ ამაში არც სასაცილოა არაფერი. სასაცილო ის არის, როცა, მსგავსად ბაქარისა, ასეთი ცოდნით „შეიარაღებული“ დაიწყებ ვრცელ-ვრცელი „გამოკვლევების“ წერას (მართალია, ასჯერ და ათასჯერ უკვე გამოკვლეულ) კლასიკოსებზე — პუშკინსა და ლომონოსოვზე, ბელინსკისა და ჩერნიშევსკიზე, ტოლსტოიზე, გოგოლზე, გერცენზე...

მეგობრებმა იციან, რომ ბაქარი კიდევ უფრო მწყრადაა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე. რა თქმა უნდა, არც ეს არის საამაყო, მაგრამ არც ამაშია სასაცილო არაფერი. მაგრამ სასაცილო აი რა არის: იშვიათად თუ ნახავთ ბაქარის „გამოკვლევათა“ ისეთ გვერდს, რომელზეც მითითებული არ იყოს ინგლისური, ფრანგული, ბერძნული და სხვა წყაროები, აქოდა გულუბრყვილო მკითხველი ხომ იფიქრებს, ეს კაცი რა განათლებული ყოფილაო.

მეგობრებმა იციან, რომ ბაქარს შეუძლია კარგად გადმოსცეს ამა თუ იმ ქართველი მწერლის ბიოგრაფია, მოგვითხროს მის ნაწარმოებთა შინაარსი, თქვას ამ ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლოვანებებზეც (მეტადრე, თუ ამ ნაწარმოებებზე სხვებს მრავალჯერ უთქვამთ). მაგალითად, ბაქარს თავისუფლად შეუძლია გაარჩიოს „ყაყიტას ქურდი“, „შეშინებული ანთიმოზი“, „ტიმოთეს ლეღვი“, „ფულარიას სიხარული“ და სხვა და სხვა. ეს საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ „ყაყიტას ქურდზე“ და „ტიმოთეს ლეღვზე“ ბაქარს ისე არ შეუძლია წეროს, თუ არ მოიშველია პლატონი და არისტოტელე, ლუკრეციუსი და პორაციუსი, ტერტულიანი და ავგუსტინე, ბუალი, კორნელი, რასინი, კანტი, ფიხტი, ჰეგელი და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენ პატიოსან ადამიანს აწუხებს.

ვთქვათ, ბაქარის ახალი „გამოკვლევა“ გამოვიდა, თქვენ მოგიძღვნათ, თანაც ვითომ თავმდაბლობს, გეუბნებათ, რომ თქვენი აზრი ძალიან აინტერესებს, გთხოვთ, რომ როგორმე მოცლილ დროს გადაათვალიეროთ. ორიოდღე დღის შემდეგ გხვდებათ, სახეგაბრწყინებული მოელის, რომ თქვენ მას გადაეხვევით, ახალ

გამარჯვებას მიულოცავთ, მაგრამ რაკი მხოლოდ ჯანმრთელობასა და ამერიკელაპარაკებით და სხვას არაფერს ამბობთ, ისიც მოთმინებიდან გამოსული და უკვე ცოტა ნაწყენიც, პირდაპირ ვისვამთ კითხვას.

— ბოლომდე არ წამოიკითხავს, — უბასუხებთ თქვენ, — მაგრამ, მგონი, არა უშავს რა.

ბაქარს სახეზე აღმური ედება:

— რ-რას ა-ამბობ, რას? არა უშავს რა და მეტი არაფერი? და შენ, შენ ამ-ზობ ამს? ნეტავი მსგავსი რამე საერთოდ სადმე წავგიკითხავს?

თქვენ ეთანხმებით, რომ მსგავსი რამე მართლაც არ წავგიკითხავთ.

— დიახ, დიახ! — ვერ ხვდება თქვენი სიტყვების გადაკრულ აზრს ბაქარი. — მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ასეთ გამოკვლევას ვერ შეხვდებით. მე სპეციალურად გადავათვალიერე ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ლიტერატურა და მსგავსი რამე ვერ აღმოვაჩინე.

— ცხადია, ვადაათვალიერებდით; განსაკუთრებით არ ვაგვიჭირდებოდათ ჩინური ლიტერატურის გადათვალიერება! — ამბობთ თქვენ.

ბაქარი გრძნობს, რომ მაგრად შესტობა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტებს და ვანაგრძობს:

— ჩემს წიგნში აბსოლუტური რელატიურ განასერშია წარმოდგენილი და რელატიური აბსოლუტური განასერში. ასეთსავე განასერში განხილულია დემოკრატე და სოკრატე, ვინკელმანი და ბოზენიკიტი, ციმერმანი, თომა აქვინელი, ლუიზა ლაბე, შობენჰაუერი, ჟანა დორი, დიუ ბელე, თომა სებილიე...

თქვენ ყურებზე ხელებს იფარებთ, ბაქარი შეურაცხყოფილია, ჯავრობს, ნერვიულობს, ამბობს, რომ თქვენ არც არაფერი ვაგვიგებათ და ვერც გირასოდეს ვერაფერს გაიგებთ, რომ თქვენს აზრს არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა, და ვაბრაზებული გმორიდებათ.

ვთქვათ, ჟურნალში დაიბეჭდა ბაქარის ლექსების ციკლი ტყემალზე — „რა საამურად ჰყვავის ტყემალი“, „ტყემლის წვეროზე ჩიტი შემოჯდა“, „მინდორში იდგა ერთი ტყემალი“ და სხვ. ბაქარი ისევ გეკითხებათ, რა აზრის ხართ ლექსების ამ ციკლზე.

— როგორია? რომ ითარგმნოს, შესანიშნავი იქნება, — ეუბნებით თქვენ.

— დიახ, დიახ! ეს მართლაც კარგი იდეაა. უეჭველად უნდა ითარგმნოს. მთელი მსოფლიო ლიტერატურა რომ გადაათვალიერო, ასეთ რამეს ვერ აღმოაჩენ, — ამბობს ბაქარი.

ეს მართალია და თქვენ, ცხადია, ეთანხმებით.

ბაქარს საიდანაც წერილი მოუვიდა: ერთ-ერთი მკითხველს მისი ლექსების ციკლი მოსწონებოდა.

— იცით, მეგობრებო, — აღფრთოვანებული ამბობს ის, — ჩემი ახალი ლექსების გამო იმდენი მოსალოცი წერილი და დეპეშა მომდის, რომ წაკითხვას ვეღარ აუღივარ. ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან გინდა, რომ არ იწერებოდნენ! აი თუნდაც ერთი წერილი ოფშკვითიდან. სწორედ არ ვიცი რა ნახეს ასეთი ამ ლექსებში. ასეთი რეზონანსი ჩვენში ჯერ არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს არა ჰქონია. არ შეეცდები, თუ ვიტყვი...

— ბაქარ, ერთი სხვა წერილებიც ვგაჩვენე, მოგეხმარებით, წავგიკითხავთ, შინაარსს მოგახსენებთ... — აწყვეტინებენ სიტყვას.

ბაქარი აქეთ-იქით ტრიალებს, ვითომ ეძებს, შემდეგ ბოდვის ტონით ამბობს:

— ეს ოხერი, ვეღარ მივაგენი, სადღაც კი შევინახე...

მეგობრები იცინიან.

წიგნის მალაზიაში ბაქარს უთხრეს, რომ მისი წიგნი აღარა აქვთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ მაინც შემოვიარე. ამა ჩემს წიგნს მალაზიაში ვინ გააჩერებს, მკითხველები მისი გული-სთვის თავბრუს ამტვრევენ ხოლმე ერთმანეთს. აქ კი არა, მთელი თბილისი, მთელი საქართველო შემოვიარე და ერთი ცალიც ვერ ვიშოვნე. მერე და როგორ მჭირდებოდა, რომ იცოდეთ...

— პატივცემული ბაქარ, ნუ სწუხართ. გამყიდველმა ცუდად იცის, თუ რა წიგნები აქვს და რა არა. ავერ თაროზე თქვენი წიგნი. — ეუბნება ბუჭანიძე ერთ-ერთი ნაცნობი მყიდველი.

ბაქარი წითლდება:

— სად? მაჩვენე! ხედავ? ნამდვილად პროვოკაციას მიწყობენ. ამას ვეტყვი მე თქვენს უფროსს, — ემუქრება ბაქარი წიგნის გამყიდველს და მალაზიიდან ცივად გადის.

მეგობრები იცინიან.

ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეს ბაქარის სურათი დაეხატა და მისთვის ეჩუქებინა. სურათი მაინცდამაინც ბრწყინვალე არ იყო. ბაქარი ამ სურათს მეგობრებს უჩვენებს და ეუბნება:

— პირდაპირ გული გააწყალეს ამ მხატვრებმა: ყველას — დიდსა და ბატარას — ჩემი სურათის დახატვა სურს. მოხვენებას არ მაძლევენ, დროს მართმევენ. არც კი ვიცი, სად დავიმალო...

ერთ-ერთ თათბირზე ბაქარს დაავიანდა. მისი არყოფნა არც არავის შეუნიშნავს, არც არავის მოკლებია. როცა თათბირზე გამოცხადდა, არც არავინ შეგებებია და არც არავის უკითხავს, რატომ დაიგვიანეო. მაგრამ ბაქარი რის ბაქარია, თუ თათბირის ყურადღება არ მიიპყრო — შემოსვლისთანავე აცხადებს:

— ბოდიში, ამხანაგებო, დიდი ბოდიში! იმიტომ დამავიანდა, რომ მინისტრთან ვიყავი. დიას! ბოდიში...

ვითომ და, აი რა დიდ ხალხში მაქვს საქმეო.

— გუშინ იმასთან ვიყავი, დღეს ამასთან მივდივარ, ხვალ ის მიბარებს; ამან ის მთხოვა, იმან ეს; იმასთან საუზმეზე ვიყავი, ამასთან სადილზე; ამან დამპატივა, იმან მიმიწვია; ის ტელეფონით მირეკავს, ეს სახლში ჩემთან მოდის; აქ ლიტერატურული საღამო გამომართეს, იქ საჩუქრები მომართვეს; აქ ლექსი წამაკითხეს, იქ ლექცია; ეს გამოსცემლობა წიგნს მთხოვს, ის მავალებს...

ბუქავს და ბუქავს ბაქარი.

ეს მას ძალიან ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ავდებს, მაშინ, როცა, კაც-მა რომ თქვას, ბაქარს მაინცდამაინც სასაცილო არაფერი აქვს.

## ცილას თვალში და ოზიმატური აზრი

აფრასიონ ტყაბლაძემ სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ მის რომანზე — „გულის ხმა“ კრიტიკოსი გაბრიელ ტყემალაძეს ამხანაგებთან საუბარში უარყოფითი აზრი გამოუთქვამს.

— ოზიმატური აზრი ამ რომანზე არ შეიძლება ორი იყოს, — უთქვამს მას, — იგი ჩვენს ლიტერატურას არაფერს მატებს, ჩვენს სინამდვილეს არ გამოხატავს. უფრო მეტიც, ნაწარმოების ავტორი ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ადამიანებს ელამი თვალთ უცქერის. დადებითი გმირები დამაჯერებელი არ არიან, უარყოფითი სახეები გაზვიადებულია. გმირთა სულიერი სამყარო ღარიბი და პრიმიტიულია. ნაწარმოები არაა ადამიანთა ზრდისა და განვითარების, ხასიათთა ჩამოყალიბებისა და წრთობის პროცესი. საერთოდ რომანი ლიტერატურულ წუნს წარმოადგენს. გასაცარია, რომ ასეთი ნაწარმოები დაიბეჭდა.

აფრასიონს თავში სისხლი აუვარდა: მან კარგად იცოდა, რომ გაბრიელ ტყემალაძის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რომანის ბედისათვის.

რატა უნდა ექნა აფრასიონს? ასეც იფიქრა, ისეც, აქეთაც ეცა, იქითაც, ნაცნობებზეც შეაწუხა, მეგობრებსაც მოეთათბირა. საიმედო ვერაფერი ურჩიეს.

ურჩიეს, მაგალითად, რომ კარგი წვეულეა გაემართა, კრიტიკოსი მოეწვია და პურმარილზე საქმეც ადვილად გაიჩარხებოდა. მაგრამ ისიც შეიტყო: გაბრიელი დიდი მოქვიფე არ არის, პურმარილზე იშვიათად დადის, ახლა, მით უმეტეს, მიხვდება, რაშიცაა საქმე და სათოფზე არ გაეკარება; კიდეც რომ ეწვიოს, შეიძლება ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინოს მასზე.

ისიც ურჩიეს, რომ კრიტიკოსთან მისულიყო, ჯერ მისი ნიჭი და კალამი შეეჭო, შემდეგ თავისი სულიერი და მატერიალური ტრაგედია აეწერა, დედის, მამის, სიდედრის, სიმამრის, ცოლის, ბავშვების, მეზობლების, ძმისშვილების, დისშვილების მიძივე ავადმყოფობის უნუგეშო სურათიც დაეხატა, და შესაძლებელია ამას გაბრიელზე ემოქმედნა. მაგრამ ისიც შეიტყო, რომ ტყემალაძე მაინცდამაინც გულ-



ჩველი ადამიანი არ არის, ეს მასზე გავლენას ვერ მოახდენს, ხოლო ეს ფაქტი შეიძლება, პირიქით, რომანის გასანადგურებლად გამოიყენოს.

აფრასიონს ძილი გაუფრთხა, მოსვენება დაეკარგა, თითქმის პესიმიზმში გადავარდა. ხუმრობა ხომ არ იყო: ჯვარი ესმებოდა მარტო ამ რომანს კი არა, მთელ მის ლიტერატურულ კარიერასაც. მაგრამ თავი რამდენიც უნდა ეტეხა, გამოსავალს ვერ პოულობდა, გაბრიელ ტყემალაძე სულ უფრო და უფრო მიუვალ ციხესიმაგრედ ესახებოდა. გონების თვალთ ამ ციხე-სიმაგრეს ათასჯერ მინც შემოუარა, მის ასაღებ გზას, მის სუსტ ადგილს ეძებდა, მაგრამ ვერაფერი მოენახა.

ის იყო ხელი ჩაიქნია, რაც იქნება, იქნებო, რომ უეცრად რაღაც მოაგონდა, სახე გაუბრწყინდა, ტაშიცი კი შემოჰკრა, შემდეგ ხელი შუბლზე მიირტყა, ასე რამ გამომაშტერაო.

„აი ახლა, კი ვნახავთ თქვენს „ობიექტურ აზრს“, ბატონო კრიტიკოსო“, — ირონიულად ეციხებოდა გულში აფრასიონს, ტანთ იცვამდა და მოუსეგინრად ცმუკავდა.


რამდენიმე წუთში ციალასთან გაჩნდა — მის საყვარელ ცოლის დასთან, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტთან და ვარსკვლავთან. კარგა ხანია გაბრიელს ციალაზე თვალეზი რჩებოდა, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვოდით ქალიშვილზე. ახლა აფრასიონი ცოლისდის წინაშე მუხლმოდრეკილი იდგა...



შემდგომი ამბები ელვის სისწრაფით განვითარდა:

იმ საღამოს ციალა და გაბრიელი ოპერის თეატრში იყვნენ, მეორე დღეს კინო „რუსთაველში“. მესამე დღეს კი გაზეთში დაიბეჭდა გაბრიელ ტყემალაძის ვრცელი სტატია — „ჩვენი ლიტერატურის ოქროს ფონდი“. სტატია ეძღვნებოდა აფრასიონ ტყაბლაძის ახალ რომანს „გულის ხმა“. სტატიაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო:

„ობიექტიური აზრი ამ რომანზე არ შეიძლება ორი იყოს: იგი დიდი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისათვის, ბრწყინვალედ გამოსახავს ჩვენს სინამდვილეს. უფრო მეტიც, ნაწარმოების ავტორი გენიალური ოსტატობით და შეუღარებელი სიღრმით გვიხატავს ცხოვრებას, ადამიანებს, მათ სიხარულსა და მწუხარებას, სიყვარულსა და სიძულვილს, წარმატებებსა და მარცხს. დადებითი გმირები გაჯერებულნი და გატყვევებულნი, მკვეთრად და გამოკვეთილი უარყოფითი სახეები. უაღრესად რთული და საინტერესოა გმირთა სულიერი სამყარო. შესანიშნავადაა ნაჩვენები ადამიანთა ზრდისა და განვითარების, ხასიათთა ჩამოყალიბებისა და წრთობის პროცესი. მთლიანად და საერთოდ ეს რომანი დიდი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. მიუდგომელი კრიტიკოსი სხვანაირად ვერ იმსჯელებს...“


მართლაც, მართლაც — თუ ამ კრიტიკოსს გზას უნათებს ციალას თვალეზი.





ნახატი-ხუმრობა

ჯემალ ლოლუასი



ნახატი-ხუმრობა

თემა ომეგა ალფაიძისა  
მხატვარი ჯემალ ლოლუა

## აღქმის საზღვარგარეო პოლიტიკის განხილვა

ამ რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა გერმანელმა ბიზანტინისტიმა, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფ. დელგერმა კვლავ ცხარე კამათის საგნად აქცია შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სასულიერო რომანის „გარალამისა და იოსაადის“ ბერძნული ვერსიის ავტორის საკითხი. იგი დაუბრუნდა იმავე თეზისს, რომელსაც ჯერ კიდევ 1914 წელს იცავდნენ ამ ძეგლის ინგლისელი გამოცემელი და მთარგმნელი ვულფარდი და მეტინგლი, ბერძნული ვერსიის ავტორად იოანე დამასკელი (დაახ. 676 — 749 წწ.) მიიჩნია და უარყო რომელიც ფრანგი მეცნიერის ზოტანაბერის ადრე (1886 წ.) გამოთქმული მოსაზრება, ბერძნული ვერსიის ავტორი VI — VII საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ვინმე საბაწმიდელი ბერი იოანეაო, ისე მეორე, ბოლო ხანებში მტკიცედ ფეხმოკიდებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ამ ძეგლის ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნა დიდ ქართველ მოღვაწეს ექვთიმე ათონელს (955 — 1028 წწ.) მიეწერება.

ამ მოსაზრებას მტკიცედ იცავდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსი მეცნიერი ვ. როზენი, მ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, შემდეგ კი ბელგიელი მეცნიერი, ცნობილი ქართველოლოგი პ. პეტერსი, ამერიკელები რ. პ. ბლეიკი და რ. ლ. ვულფი, აგრეთვე თანამედროვე ცნობილი ქართველი მეცნიერები ნ. ნუცუბიძე, ა. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, კ. კეკელიძე და სხვანი.

ექვთიმე ათონელის ეს დეალო მკაფიოა და დადასტურებული რამდენიმე უძველესი ბერძნული და ლათინური ხელნაწერის სათაურშივე, აგრეთვე 1074 წელს გადაწერილ გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ტექსტში, სადაც ნათქვამია: ექვთიმემ „ბალაპავრი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“. ამ „ბალაპავრში“ სწორედ ძველ ქართულ მწერლობაში „სიბრძნე ბალაპავრისის“ სახელით ცნობილი ძველი იგულისხმება, რომელიც ბუდას თქმულების გაქრისტიანებულ ვერსიას წარმოადგენს და შუა საუკუნეების ევროპაში „გარალამისა და იოსაადის რომანის“ სახით გავრცელდა.

პროფ. დელგერმა ჯერ კიდევ 1950 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც შაიერნის ბიზანტინოლოგიური ინსტიტუტის (გერმანია) მიერ წამოწყებულ იოანე დამასკელის თხზულებათა ახალ გამოცემას შეეხებოდა, ხელაღებით განაცხადა: „გარალამისა და იოსაადის თქმულების ბერძნული ვერსია, უძველესია, იოანე დამასკელის თხზულებას წარმოადგენს“ (ყურნ. „ბიზანტიონი“, XX, 310); ხოლო სამიოდე წლის შემდეგ კი სპეციალური მოზრდილი გამოკვლევა („ბერძნული გარალამის რომანი იოანე დამასკელის თხზულება“, ეტალი, 1953), მიუძღვნა ბერძნული „გარალამის“ იოანე დამასკელი-სეულუბის დამტკიცებისა და ექვთიმე ათონელის ნახელაობის დამადასტურებელი საბუთების გაქრისტიანების საქმეს.

პროფ. ფ. დელგერი, რომელიც თავს არასივლის ქართულის მცოდნედ და არც იცნობს ძველი ქართული ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურსა და მის მოღვაწეებს, კატეგორიულად ამტკიცებდა, თითქმის ჩვენი ერის წარმომადგენელს მაშინ ასე დიდი საქმის შესრულება არ შეეძლო. თანაც ათონელ ქართველ მოღვაწეებს ქართველთა სახელის განდიდების მიზნით ჩაღვნილ ყაზბის მქნელობასა და იმდროინდელი სალიტერატურო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მცდელობას აბრალებდა. პროფ. ფ. დელგერის არგუმენტაციის ერთ-ერთ უმთავრეს ქვეყნობას, შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა ბერძნული ტექსტის ფილოლოგიურ-სტილისტური შედარება, აგრეთვე თეოლოგიურ შეხედულებათა ანალიზი, რაც ძირითადად გამოიხატა ბერძნული „გარალამის“ ტექსტში თითქმის 120-მდე ისეთი ადგილის აღმოჩენით, რომელიც იოანე დამასკელის უეჭო თხზულებებში პირაღებულს მსგავსებს.

პროფ. დელგერის წინის გამოხსენისთანავე პ. პეტერსის თანამოსაგრემ (მაშინ პეტერსი უკვე გარდაცვლილი იყო) ბელგიელმა მეცნიერმა ფრანსუა ალენმა ჟურნალ „ანალიტიკა ბოლანდინაში“ (ტ. 71, 1953) გამოაქვეყნა გრძელი და საბუთიანი რეცენზია, რომელშიაც დასაკენიდა, რომ დელგერის ცდა, — ერთის მხრით ნაყალბევად გამოეცხადებინა ექვთიმეს მიერ ქარ-

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

თულადან ბერძნულად მთარგმნელობის დამატებით დასტურებული სამი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე საბუთები, ხოლო მეორეს მხრით კი ითანადამსკელოსათვის მიეკუთვნებინა ეს სახელგანთქმული სალიტერატურო ძეგლი, — მოკლებულია საფუძველსა და დამაჯერებლობას. ძირითადად ამავე (ფ. ალკენის) თვალსაზრისს დეჟირებს მხარი იტალიელმა მეცნიერმა პ. მუზურლომ (ჟურნ. „ტრადიციო“, № 10, 1954), ბერძენმა ვ. ლურდასმა (ჟურნ. „ეპეტორის ეტიმოლოგია ბიზანტიონის სპულონ“, № 24, 1955) და ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა (იხ. მისი ნაშრომის თარგმანი ჟურნ. „მნათობი“, № 3, 1956, ინგლისურად კი 1955 წ. გამოქვეყნდა „ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკისმცოდნეობის ინსტიტუტის მოამბეში“, ტ. XVII, ნაკვ. 2); ფ. დელგერს კი მხოლოდ ერთი რეცენზენტი — გერმანელი მეცნიერი პ. მ. ბიდემანი — მიემხრო (ჟურნ. „ოსტრიხლიხე შტუდიენ“, № 2, 1953).

მთელი ამ კამათის კრიტიკული მიმოხილვა მოგვცა პროფ. ზ. ნუცუბიძემ „მნათობის“ 1956 წლის № 3-ში დასტამბულ წერილში სათაურით — „ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში“, რომლის მთავარი დებულებებია 1956 წლის იანვარში საჯარო მოხსენების სახით იყო წაითხუთო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. პროფ. შ. ნუცუბიძის ეს ნაშრომი თავისთავად ძირითადი ბირთვია მისი იმავე წლის შემოდგომაზე გამოცემული მოზრდომა წიგნისა „К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф»“.

გარდა პროფ. შ. ნუცუბიძის მიმოხილვაში მითითებული მეცნიერებისა, ფ. დელგერის მოსაზრებათა წინააღმდეგ გაილაშქრა პარვარდის უნივერსიტეტის (ამერიკა) ბიზანტიური ლიტერატურის პროფესორმა გლენვილ დაუნიმ და პროფ. კ. თუმანოვმა, რომელიც აგრეთვე ამერიკაში მოღვაწეობს.

პროფ. გლენვილ დაუნი თავის რეცენზიაში, რომელიც ამერიკულ ჟურნალ „სექსუალუმ“-ის 1956 წლის პირველ ნაკვეთში (ტ. XXXI) მოთავსებული, ხაზს უსვამს, რომ ფ. დელგერის აზრმა ითანადამსკელოს ავტორობის შესახებ აქამდე ვერ ჰპოვა მხარდაჭერა და ვერც ალკენის, მუზურლოსა და ლურდასისადმი დელგერის მოკლე პასუხი (ჟურნ. „ბიანტინიუმე ცაიტსრიფტი“, № 43, 1955, 215) ტოვებს დამაჯერებელ შთაბეჭდილებას. რეცენზენტი ეთანხმება ფ. ალკენს, რომ ბერძნული „ვარლაამის“ ტექსტის საერთო ადგილები სრულიად არ ნიშნავს ხსენებული ნაწარმოების დამსკელოსეულობას, იგი მითითებს მხოლოდ ავტორის ნაკითხობასა და გაყენითობას ითანადამსკელოს აზრებითო. ამასთანავე, დელგერის მიერ მითითებულ დამსკელოსეული პარალელური ადგილების რიცხვ-

ში აღკენმა რომ ზეთი ციტატი აღმოაჩინა, თითო, რომელიც დამსკელოს კი არ ეკუთვნის, არამედ ფსალმუნადან ან ახალი აღთქმიდანაა ამოღებული, პროფ. გ. დაუნი კიდევ ბევრ სხვა მაგალითს უმატებს, რომლებითაც ჩანს, რომ დელგერის ციტატები პარალელებს ჰპოვებენ არა მარტო დამსკელოს თხზულებებში, არამედ ახალი და ძველი აღთქმის, ითანადამსკელოს, გრიგოლ ნაზიანზელისა და თვით ჰომეროსისა და პლატონის ტექსტებშიაც.

პროფ. გ. დაუნი დასასრულ ექვით უყურებს საზოგადოდ ასეთი არგუმენტაციის მართებულობას და დასძენს: მსგავსი ადგილები საერთოდ ხშირია ბიზანტიური მწერლობის სხვა ძეგლებშიაც და კითხვობს, მაშინ იმ თხზულებებში შეხვედრალი ასეთი ციტატები როგორღა უნდა შევადგათო. პროფ. გ. დაუნის ეს მოსაზრებანი მნიშვნელოვნად ურყევს საფუძველს პროფ. ფ. დელგერის მიერ მოყვანილ, მისი აზრით, ყველაზე უფრო მძიმე, სამიედო საბუთების დირებულებას და ამით თავისთავად განამტკიცებს ბერძნული „ვარლაამის“ ქართული წარმოშობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ჟურნალ „ტრადიციო“-ში (1956 წ. № 12) გამოქვეყნებულ ინგლისურ წერილში სათაურით „კავკასიისმცოდნეობა და ბიზანტიოლოგია“ („Caucasian and Byzantine Studies“), რომელიც შეეხება ქართველებისა და სომხების წვლილს ბიზანტიის ისტორიასა და კულტურაში, კ. თუმანოვი სამართლიანად უსაყვედურებს ბიზანტიის ისტორიკოსებს, რომ ისინი უგულვებელყოფენ ამ ერების დამახსოვრებას ბიზანტიის წინაშე. კერძოდ, ავტორი ჩერდება ფ. დელგერის მოსაზრებათა კრიტიკაზე „ბალავარიანის“ ბერძნული ვერსიის ითანადამსკელოსათვის მიკუთვნების შესახებ და სრულიად უეჭველად მიაჩნია, რომ ბერძნული ვერსიის ქართულიდან მთარგმნელი სწორედ ექვითიმე ათონელია.

ამ ნაშრომის შესახებ პროფ. ფ. დელგერი თავისი ჟურნალის „ბიანტინიუმე ცაიტსრიფტის“ 1957 წლის 50-ე ტომის უკანასკნელ, მეორე, ნაკვეთში აღნიშნავს, რომ მას მინიმუმ უშუალებლად მიაჩნია, იმ ებოქაში ითანადამსკელოს გარდა სხვა რომელიმე თეოლოგს შესძლებოდა ასეთი თხზულების ავტორობა. ბოლოს კი ერთგვარი მუქარის კილოთი აცხადებს: დღეს ექვითიმეს ავტორობის მტკიცებას ვერც ერთი მეცნიერი ვერ შესძლებს, თუ არ მოისურვებს, რომ ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზის უმთავრესი პრიციპები უარჰყოსო. მაგრამ ნიშნადობლივია, რომ სხვა ცნობილმა მეცნიერებმა ფ. ალკენმა, პ. მუზურლომ, გ. დაუნიმ, დ. ლენგმა, ლურდასმა და სხვებმა სწორედ ამ არგუმენტაციაში აღმოუჩინეს სერაფიმე ბზარის დელგერის და ყველაზე ნაკლებ დამაჯერებლად სწორედ ეს ტექსტობრივი ანალიზი მიიჩნიეს.





პროფ. ფ. დელაგერთან კამათში ახალი საკითხები წამოიჭრა „ბალავარიანის“ შესწავლის საქმეში. ამ მხრით, შეიძლება თქვას, ახალ საფეხურს წარმოადგენს პროფ. შ. ნუტუბიძის ნაშრომები ამ საკითხების შესახებ. გარდა დელაგერისა და სხვების მტკიცებათა კრიტიკისა, ავტორმა სრულიად ახალი მოსაზრება წამოაყენა ბერძნული „გარლაამის“ წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, „გარლაამისა“ და იოასაფის რომანი“ VII საუკუნის პირველ ნახევარში ზეპირად მონათხრობი ინდური ამბის მიხედვით ორ ენაზე, ჯერ ბერძნულად და მერე ქართულად, დაწერა ორივე ენის კარგად მცოდნე იოანე რომოსმა, ანუ მესხმა, ე. ო. ტომით ქართველმა, რომელიც საბაშიძის ლავრაში მღვდლად იყო და იერუსალიმის მახლობლად (დაიბ. დაახლ. 550 წ., გარდ. 634 წლამდე) და აქამდე ცნობილი იყო როგორც ავტორი ბერძნულად დაწერილ ნოველათა კრებულის „გარლაამისა“, ქართულ ენაზეც რომ მოიწოდებოდა „სანათხრობის“ სახელით. ამით მკვლევარმა ეს პიროვნება გააიგივა „გარლაამის“ ზოგი ბერძნული ხელნაწერის დასაწყისში მოხსენებულ საბაშიძის ბერ იოანესთან, რომელსაც ზოგან ბერი იხსენიებდა როგორც ავტორს. პარალელური ტექსტიდან ქართული ვერსია შემონახული იქნა მცირეოდენი ცვლილებებით, ბერძნული კი აღრევე დაიკარგა. ეს ქართული ტექსტი X—XI საუკუნეების მიჯნაზე გაფარცო და გადააკეთა ბერძნულად ექვთიმე ათონელმა, აგრეთვე ორივე ენის ჩინებულად მცოდნე ქართველმა, და არა მარტო რედაქციული ცვლილებები შეიტანა, აიამდე მნიშვნელოვანი დამატებებითაც გაზარდა, რითაც აიხსნება ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ტექსტის სიდიდე ქართულ მოკლე ვერსიასთან შედარებით. თქმულების ქართული ტექსტის არაბული ვერსიიდან მომდინარეობას პროფ. შ. ნუტუბიძე თავისთავად უარყოფს.

ჯერ კიდევ საჯარო კამათში, რომელიც 1956 წლის იანვარში გაიმართა და შემდეგ კი რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში აგრეთვე საჯარო სხდომაზე გაგრძელდა, პროფ. შ. ნუტუბიძის დებულებების მომხრედ იოანე მოსხოსის ავტორობის საკითხში გამოვიდა პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ხოლო ექვთიმე კი გამოთქვა ამის შესახებ პარაფრაზებმა კ. კეკელიძემ, ილია აბულაძემ და გ. წერეთელმა. თანაც კამათი კიდევ უფრო გაართულა იმ გარემოებაში, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ინიციატივით უცხოეთიდან მიღებულ იერუსალიმისა და სინას მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმებში აღმოჩნდა სრულიად ახალი, ვრცელი ქართული ვერსია ბალავარიანისა (მისი არსებობა მანამდეც იცოდნენ, მაგრამ უმეტესობა თვლიდა, რომ იგი არ განსხვავდებოდა მანამდე ცნობილი სხვა ქართული ვერსიებისაგან). იგი ორჯერ აღემატება მოკლე რედაქციას, რომლის ერთ-ერთი უძვე-

ლესი ნუსხაც აგრეთვე მიღებული იქნა სხვა მიკროფილმებთან ერთად.

ამ ახალი ვრცელი ქართული რედაქციის შესწავლის საფუძველზე ქართველ მეცნიერთა შორის ორი სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა („მნათობი“, № 8, 1956 წ.) და პროფ. შ. ნუტუბიძემ იგი მიიჩნიეს ქართული მოკლე რედაქციიდან გავრცობად ვარაიმად, ოღონდ ქართული ვრცელი რედაქციის შემთხვევლს გვირდით ბერძნული ვერსიაც უნდა სდებოდა და იმის მიხედვით აქვს ტექსტი გადაშუაებულიო. ამის დამამტკიცებელ უმოვარეს საბუთებად თვლიაბ, ერთის მხრით, ზოგ განსხვავებას, რომელიც მოკლე რედაქციაში მოიპოვება და ვრცელში კი არა, ხოლო, მეორეს მხრით — თითქოს მოკლე რედაქციის უფრო არქაული ენობრივი ნორმები ახასიათებს, ვიდრე ვრცელს.

ამ მოსაზრებათა საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგანან პროფ. ილ. აბულაძე და პროფ. გ. წერეთელი. მათი აზრით, რაც სრულიად გასკვეთილი იქნა ჩამოყალიბებული მეორე საჯარო კამათის დროს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში და შემდეგ კი „ბალავარიანის ქართული რედაქციები“-ს პროფ. ილ. აბულაძისეული გამოცემის შესავალში (თბილისი, 1957), ვრცელი ვერსია ლექსიკური მასალისა და გრამატიკული წყობის ანალიზის საფუძველზე IX—X საუკუნეებს განეკუთვნება და მოკლე ვერსია მის შემოკლებულ სახეს წარმოადგენს. ვრცელში არარსებულ მოკლე რედაქციის ადგილებს იმით ხსნის პროფ. ი. აბულაძე, რომ რაკი დასტურდება ჩვენამდე მოღწეული ვრცელი ვერსიის სხვა ნუსხიდან გამომწერობა, შესაძლოა არსებობდა სხვა, უფრო ვრცელი ნუსხაც და ახლანდელი მოკლე „ბალავარიანი“ მისგან მომდინარეობს.

პროფ. შ. ნუტუბიძის წიგნის შესახებ თვითონ ფ. დელაგერმა ჯერჯერობით მხოლოდ ანოტაცია გამოაქვეყნა („ბიდანტ. ცენტრირიტი“, 50, 1957, 514), მისი დასაბუთებული პასუხი კი არ ჩანს. „ბალავარიანის“ საკითხს გაკვირვებით შეეხო ცნობილი ბელგიელი მეცნიერი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ეერარ გარიტი. მის 1956 წლის ზაფხულის დასაწყის იტალიაში გამართულ სამეცნიერო კონგრესზე საინფორმაციო მოხსენება წუთითხავს ფრანგულად თემაზე: „ქართული ლიტერატურა და შუა საუკუნეების კულტურის ისტორია“. კონგრესის მასალებიდან ამონაბეჭდი ეს ნაშრომი, რომელიც 1957 წელსაა გამოცემული რომში, მიღებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

პროფ. ე. გარიტი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ბოლო ხანებამდე ძალიან უყურადღებოდ იყო მიტოვებული საქართველოს და მისი ლიტერატურის

შესწავლის საქმე, მაშინ როცა საქართველოს ურთიერთობის ისტორია დასავლეთთან ჯგეროს-ნულ ომებამდე კი იწყება. აქვე მოადევნებს სათანადო ფაქტებს, რომელთა შორის აღსანიშნავია პაპ გრიგოლ დიდის (590—604 წ. წ.) ლათინური წერილი „კვირილი ეპისკოპოსისა და იბერიის სხვა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა მიმართ“. ავტორი ამ წერილში მოხსენებულ კვირიკე ეპისკოპოსს აიგივებს საქართველოს კათალიკოს კირიონთან, რომლის დროსაც მოხდა განვითარება საქართველოს ეკლესიასა და მონათესავე სომხურ ეკლესიას შორის.

შემდეგ პროფ. ე. გარიტი ახსენებს ილირიონ ქართველს, IX საუკუნის ცნობილ მოღვაწეს, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში — იერუსალიმსა, პითინიასა, კონსტანტინოპოლსა და რომში გაატარა, ბიზანტიამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამონასტრო მშენებლობის საქმეს და დიდი სახელი ჰქონდა იქ ბოლოს ეხება კამათს, რომელიც წარმოებს ჩვენი კულტურის ისტორიის ორი დიდი პრობლემის გარშემო. ავტორი მიმოიხილავს უცხოეთისა და საქართველოში გამოქვეყნებულ ნაშრომებს ფსევდო-ლიონის არეომაგელის ტრაქტატების პეტრე იბერიისაჲს მიუთუენების შესახებ, აღნიშნავს, რომ ე. ჰონიგმანი და შ. ნუტუბიძე დამოუკიდებლად მივიდნენ ერთდამდე დასკვნამდე და დასძენს — ოღონდ ჯერ კიდევ საერთო აღიარება ვერ ჰპოვა დასავლეთში ამ მოსაზრებამო. ხაზს უსვამს, რომ ჰონიგმანის ნაშრომმა მხოლოდ მხარდაჭერა ჰპოვა ქართველ მეცნიერებში.

„ბალავარიანის“ კვლევის ისტორიაზე უფრო დაწვრილებით ჩერდება. ეხება დელაგერისა და პეტერს-ალენის მოსაზრებებს, ოღონდ თავის საკუთარი აზრის გამოთქმას და საკითხზე შედარებით თავს არიდებს — მოყვანილი დასაბუთებანი საქმოდ არ მიანიდა და ბოლოს სთხოვს ყრბობის მონაწილე პროფ. დელაგერს, კიდევ დამატებით გაუზიაროს თავისი მოსაზრებანი დამსწრეთ. გერმანელ მეცნიერი, როგორც „ბიზანტი. ციტშირფტიდან“ ჩანს (№ 50, 1957, გვ. 515), მართლაც კვლავ დაძვალთა თავისი შეხედულების დასაცავად, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სიტყვის შინაარსი ჯერ ჩვენთვის უცნობია.

პროფ. ე. გარიტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ როგორც ე. ჰონიგმანის, ასევე ფ. დელაგერის წიგნაკ, ბუნებრივია, ყურადღება მიიპყრო ქართველ მეცნიერებისა, მაგრამ აქაური ახალი ნაშრომებიდან „ბალავარიანის“ შესახებ ჯერჯერობით იცნობს მხოლოდ პროფ. შ. ნუტუბიძის მიერ „მნათობის“ 1956 წ. მესამე ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც მას რომელი უნახავს. მას ავტორის მიერ წამოყენებული მოსაზრება ითან მოსხსნის ავტორობის შესახებ საუკუოდ მიანიდა, მაგრამ რაიმე მსჯელობას კი აღარ აგრძელებს ამ საკითხის შესახებ.

გრცელი წერილი მიუძღვნა ბელგიურ ჟურნ. „ანალექტა ბოლანდინას“ უკანასკნელ ტომში (ტ. 75, 1957, გვ. 83—104) პ. დევოს (P. Devos) „ვარლაამისა და იოასაფის“ წარმოშობის საკითხს. მისი სათაურია: „ბერძნული ვარლაამისა და იოასაფის“ წარმოშობა. ბატონ ნუტუბიძის ახალი თეზისის გამო“ (ფრანგულად). იგი დაწვრილებით განიხილავს პროფ. შ. ნუტუბიძის წარმოების შინაარსს და ზოგ საკითხში არ ეთანხმება; მაგრამ ფ. დელაგერის თეზისი ბერძნული „ვარლაამის“ ითან დაშვალისებულობის შესახებ კი სრულიად მიუღებლად მიანიდა და კვლავ ექვთიმე ათონელს თვლის ბერძნული ვერსიის ავტორად. ამის თაობაზე ფ. დელაგერი, რომელსაც მოკლე ანოტაცია აქვს ამ ნაშრომის შესახებ თავისი ჟურნალში („ბიბლიოტ. ციტშირ.“, ტ. 50, 1957, 515), ირონიულად შენიშნავს: მისთვის ქართველი ექვთიმე, რომლის არც ერთი ბერძნული სტრიქონი არ მოღწეულა ჩვენამდე, კვლავ ბერძნული ვარლაამის ავტორად რჩება.

პროფ. ფ. დელაგერის ამ უკანასკნელ შენიშვნაზე უნდა დავძინოთ, რომ, ჯერ ერთი, საერთოდ ბიზანტიური მწერლობის უმარავი ძეგლია დეკარტული, რასაც ამტკიცებს თუნდაც ქართულ ენაზე შემოინახული მრავალი თარგმანი, რომელიც ბერძნული ორიგინალი აღარ მოპოვებია; მეორე კიდევ, აქ პროფ. ფ. დელაგერს აშკარად დალატობს ქართულ-ბიზანტიურ სალიტერატურო ურთიერთობათა მასალების ცოდნა. ახლა უკვე სრულიად ცხადია, რომ ექვთიმე ათონელს „ვარლაამისა და იოასაფის“ ვარდა ბერძნულად სხვა თხზულებებიც ჰქონია. პროფ. კ. კეკელიძე ჯერ კიდევ 1953 წ. („თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 51) დაბეჭდილ ნაშრომში დაამტკიცა, რომ ექვთიმეს ბერძენი მოწოდისათვის ბერძნულად დაუწერია „წესი ცხოვრებისა“ და ამკამდე ხელით გვაქვს ამ ბერძნული თხზულების ქართული თარგმანი, რომელსაც აწერია ექვთიმეს „ხელთა ნუსხისაგან ბერძნულია გარდამოწერილ ქართულად, რამეთუ ბერძნისადა დაუწერა წმიდასა მას“ (ე. ი. ექვთიმეს). რასაც პროფ. კ. კეკელიძე დაძვინს: „ეს ნიშნავს: ექვთიმეს ეს თხზულება დაუწერია ბერძნისათვის, მე მისი ხელით დაწერილი ბერძნული ნუსხისაგან გადამოვიღე ის ქართულად“ („ეტიუდები“, ტ. III, 1955, გვ. 9). რა საინტერესო აზრებს შეიცავს ეს ნაშრომი მაშინდელი სამონასტრო ცხოვრების საკითხების შესახებ და რამდენად მალა დგას მისი ავტორი თავის თანამედროვე ბიზანტიელ მოღვაწეებზე ამ მხრით, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და კვლავ პროფ. კ. კეკელიძის ხსენებულ ნაშრომზე მივუთითებთ.

„ბალავარიანის“ გრცელი ქართული ვერსიის აღმოჩენასთან დაკავშირებით ახალი ნაშრომი დასტავა ავრთვე ინტელისემა ქართველობის დოქტორმა დ. მ. ლენგმა სათაურით: „ავტორი-



ბა ნეტარისა იოდასაფისიჲ — ვარლამისა და იოასაფის თქმულების ახალი აღმოსავლური ქრისტიანული ვერსია“ (უკრ. „ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ინსტიტუტის მოამბე“, ტ. XX, 1957, გვ. 389 — 407), რომლის ამონაბეჭდიც ავტორისაგან ამოღებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ და ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

დოქტ. დ. მ. ლენგის პროფ. ილ. აბულაძის მიერ გამოცემული „ბალავარიანის ქართული რედაქციების“ გამოქვეყნებამდე ხელნაწერის ფოტობირის მიხედვით შეუსწავლია ძველი და საგულისხმო დასკვნებამდე მიდის.

წარმოშობის დასაწყისში ავტორი მეცნიერებას ახალ მიღწევათა გათვალისწინების საფუძველზე განიხილავს ბუდის თქმულების ინდოეთიდან არაბეთამდე მოღწევის გზას. იგი ყურადღებას აქცევს ნახევარი საუკუნის წინათ ვარლამის თქმულების ძველი თურქული მინიჭეტი ფრაგმენტების აღმოჩენას, რომელთა წარმომშობასაც საშუალო ირანულ ენაზე არსებულ ვერსიას უკავშირებენ, თავისთავად ეს უკანასკნელი კი ბუდიისტურ ორიგინალს უნდა აღწევდეს. გარდა ძველი თურქული, VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რამდენიმე არაბული ვერსია ჩნდება, რომელნიც აგრეთვე ირანული წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ, მაგრამ პირვანდელ არაბულ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველი არაბული დავთარი ვერსიიდან მოდის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე არაბული ვერსიებში, აგრეთვე ებრაული ვერსია და ჩვენი ქართული ახლად აღმოჩენილი ვერცელი იერუსალიმური ვერსია, ამ უკანასკნელისაგან კი — მოკლე ქართული „სიბრძნე ბალავარიის“ და ბერძნული ვერსია, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა სხვა დანარჩენ ქრისტიანულ ვერსიას — ლათინურს, სომხურს, ძველ სლავურს, ქრისტიანულ არაბულსა და სხვ.

დოქტ. დ. მ. ლენგი სრული დარწმუნებით იცავს იმ თვალსაზრისს, რომ VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბული სალიტერატურო სამყაროში ბუდის შესახებ არსებული თხზულებების ჯგუფი, რომელიც ვარლამისა და იოასაფის თქმულების ძირითად ბირთვს შეიცავდა, ბერძნულ ვერსიასთან დაკავშირება ქართულში ვერსიამ და ამ საკითხის კიდევ უფრო დაბეჯითებით გადამჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნია ახალი ქართული ვერცელი ვერსიის აღმოჩენა.

მკვლევარი დაწვრილებით აღწერს ხელნაწერს, ანგარიშობს სიტყვათა რაოდენობას ძველში, რაც დაახლოებით 38.000-მდე სიტყვას შეადგენს, „აღნიშნავს, რომ იგი ორჯერ აღმატება მანამდე ცნობილ მოკლე ვერსიას. ხელნაწერის გადამჭრის დათარიღების საკითხში, ძირითადად მინა-

წერებში მოხსენებული XI საუკუნის ქართველ მოღვაწეთა სახელების მიხედვით, ქართული მეცნიერების მოსაზრებებს უკერძო მხარს და იმასაც X<sup>1</sup> - ს-ის მეორე ნახევარში გადამჭრილად მიაჩნია იგი. ოლონდ უფრო აზუსტებს თარიღს — 1060 — 70 წლებს მიაკუთვნებს იმ საბუთით, რომ ამ ხელნაწერში (იერუსალიმური ქართული ხელნაწ. № 140) მოხსენებული პირები, რომელნიც იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის მოღვაწენი ჩანან, 1074 წელს სინას მთაზე წმ. ევატერინეს მონასტერში გადაწერილი სინური № 19 ხელნაწერის მინაწერებში უკვე სინას მთაზე მყოფებად გვევლინებიან. ამიტომ დოქტ. დ. მ. ლენგი ვარაუდობს, რომ მათი გადასახლება იერუსალიმიდან სინას მთაზე 1070 წელს თურქულ-ჯუჯთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ უნდა მომხდარიყო და № 140 იერუსალიმური ხელნაწერი კი მანამდე უნდა იყოს გადაწერილი.

თხზულების პირველი ნაწილის სათაურის დასაწყისს, რომელიც ხელნაწერში დაზიანებულია, დოქტ. დ. მ. ლენგი პროფ. ილ. აბულაძის ამონაჩაიხთთან შედარებით ცოტა სხვაგვარად გადმოსცემს. მისი საავარაუდო წაკითხვა: „ცხოვრება [და მოღვაწეობა ნეტარი]სა იოდასაფის ძისა ბენეს მინდობა მეფისა...“ ვარლამის აღნიშნავს, რომ „საკუთარ სახელთა შედარებას, იგავთა წყობას, ეპიზოდთა თანამიმდევრობას, აგრეთვე ტექსტის მსგავსებებს უქვეყლად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ახალი ქართული ტექსტი (როგორც ბეტერის წინასწარ მიხედვით) წარმოადგენს არაბულ „ბალავარიისა და ბუდისათვის წიგნის“ ქრისტიანულ გადმოკეთებას“.

შემდეგ დაწვრილებით მოჰყავს ქართული ვერცელი რედაქციის შინაარსი, მის პარალელურად კი ათავსებს აკად. ვ. როზენის მიერ რუსულად თარგმნილი არაბული ვერსიის შინაარსს, რომელიც მეხუთე არაბულ ვერსიად მიაჩნია მკვლევარს. ამ შეპირისპირების საფუძველზე დაასკვნის: ასეთივე შედარება ბერძნულ ვარლამთან ცხადყოფს, რომ ბერძნულში „არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი ზრ მიიპოვება (გარდა ბიბლიური და პატრისტიკული ციტატებისა), ქართულშიც კი რომ ამ იყოს, რასაკვირვებელია, მნიშვნელოვანი „არისტიდეს აპოლოგის“ გამოკლებით. თანაც ქართული უფრო მდიდარია სამი იგავით, რომელიც ყველა არაბულიდან მომდინარეობს“. მერე მოყვანილია იგავების თანამიმდევრობისა და რაოდენობის მაჩვენებელი ცნობილი ბერძნული, ქართული (იერუსალიმური) და სამი სხვადასხვა არაბული ვერსიის მიხედვით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, დოქტ. დ. მ. ლენგის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ქართულ ვერსიაში „არისტიდეს აპოლოგის“ კვალს ხედავს პროფ. შ. ნუცუბიძე.

ქართული რედაქციის არაბულიდან გადმოკეთების კიდევ სხვა დამადასტურებელ საბუთებად

ავტორის მიზნია ბერძნული, ქართული და არაბული ვერსიების საკუთარი და გეოგრაფიული სახელების შედარებითი ცხრილის ჩვენებანი და აგრეთვე ამ ვერსიების სათანადო ადგილების ერთმანეთთან შეპირისპირება.

ავტორის აზრით, იერუსალიმური ტექსტის შედარება მოკლე ქართულ რედაქციასთან მოწმობს, რომ მოკლე ვერსია გრძელის შემოკლებას წარმოადგენს, რაც „აშკარად იტყობა იმ ადგილებს, რომელშიაც შემოკლებელს უწონოდ შეუტოვია წებია ნაწრონი და წარმოუშვია დაქსაქსული და ერთმანეთთან დუკავშირებული პასაჟები; მათი აზრიანად გამართვა კი მხოლოდ ახლა შეიძლება“ ახალი ხელნაწერის მიხედვით. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ ამ საკითხების უფრო დაწვრილებით გაშუქებას იგი აბირებს ქართული „ბალავარის სიბრძნის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელსაც იგი ამზადებს „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეთიკური და რელიგიური კლასიკოსების სერიაში“ გამოსაცემად. ავტორის ეს შეხედულება ქართული ვრცელი და მოკლე ვერსიების ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ ემთხვევა ბროფ. იან. უბლაძის დასკვნებს, რომელიც ადრევე გამოიტყა მან გერსაჯარო მოხსენებაში და შემდეგ თავისი ახალი გამოცემის შესავალში.

ნაწრომის ავტორს აგრეთვე მიიჩნია, რომ მოკლე „სიბრძნე ბალავარისი“ იერუსალიმური ხელნაწერის გადაწერამდე (ე. ი. XI ს-ის მორე ნახევრამდე) გაცილებით აღრე უნდა იყოს გაკეთებული, „ვინაიდან ის შეიცავს IX საუკუნისათვის დამახასიათებელ არქაიზმებს“, მაშინ როცა იერუსალიმურ ტექსტს ეტყობა თავისი ეპოქის (XI ს.) მართლწერასა და ენასთან შეგუების კვალი. ამიტომ, მისი ფაქტით, იერუსალიმური ვერსიის დედნის არაბულიდან ქართულად გადმოღების ხანად IX საუკუნე უნდა ვივარაუდოთ.

ამ დასკვნით დოქტ. დ. მ. ლენგი უარყოფს ვარლამისა და იოასაფის თქმულების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადმონერგვის იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომელნიც ერთის მხრით აიხანე დამასკელს თვლიან ზეპირად ჩამოტანილ ინდური ბუდას თქმულების ჩამწერად, მეორენი

კი — იოანე მოხსნოს. მას დაუჯერებლად მიიჩნია, რომ ბუდას მოთხრობა, რომელმაც არაბულ სამყაროს მხოლოდ VIII საუკუნის შუა წლებში თუ მიაღწია, იოანე დამასკელს (გარდ. 749 წ.) ან იოანე მოხსნოს (გარდ. დაახლ. 634 წ.) სცოდნინოდა. ზოგიერთი ხელნაწერის დასაწყისში მოხსენიებული ცნობა, ინდოეთიდან ჩამოტანილი ამბის ვინმე საბაწმიდელი ბერი იოანეს მიერ ჩაწერის შესახებ, ავტორის აზრით, მიზნად ისახავდა მკითხველთა რაც შეიძლება ფართო წრე მოეპოვებინა ამ ახალი მოთხრობისათვის.

რაც შეეხება თხზულების ქართულიდან ბერძნულად გადაკეთების გზას, დოქტ. დ. მ. ლენგს ძველებურად სრულიად დამაჯერებლად მიიჩნია ძველი ბერძნულ-ლათინური ხელნაწერებისა და გიორგი ათონელის ცნობები ექვთიმე ათონელის როლის შესახებ ამ საქმეში. იგი ეკავათებოდა დ. დელგერსა და ცნობილ ბელგიელ ბიზანტინოლოგს ა. გრეგუარს, რომელნიც ნაყალბევად თვლიან იმ ძველ საბუთებს. თანაც ხაზს უსვამს, რომ ექვთიმე ათონელის სსოვნას შემდეგშიაც კი დიდი პატივისცემითა და საყვარლოთი ინახავდნენ ათონის სხვა მონასტრებში და რომ ექვთიმეს, მისი მამის იოანეს და გიორგი ათონელის ბერძნულად დაწერილი „ცხოვრებანიც“ არსებობს ხელნაწერებად, რომელნიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მერე დასძენს: სანამ ეს საქმე არ გაკეთებულია და ბერძნულ-ქართული საბუთები რიგაინად ერთმანეთთან არ შეჯერებულია, ნაადრევი ექვთიმეს გიორგი ათონელისეული „ცხოვრების“ ცნობების უგულვებელყოფა.

ნაწრომის ბოლოს ავტორი თვალსაჩინოებისათვის ურთავს ბუდისტური ორიგინალიდან ვარლამის თქმულების ვერსიების თანდათან ჩამოყალიბების მისეულ სქემას, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი.

როგორც ჩვენი მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, უცხოეთში კვლავ დიდი კამათი და აზრთა კიდილი გამოიწვია ძველი ქართული კულტურის ისტორიის ამ ფრიად მნიშვნელოვანმა „ბრობლემამ“, რომლის კვლევაშიაც ქართველი მეცნიერების ნაწრომებს საპატიო ადგილი ეკუთვნის.



აშშ

**რასობრივი დისკრიმინაცია და მისი შედეგები**

ბომბეის ურანალმა „ბლიც“ (ინდოეთი), რომელიც ინგლისურ ენაზე გამოდის და რეგულარულად აშუქებს რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებს, ამას წინათ დაბეჭდა საუ-

ბარი პოლ რობსონთან ასეთი სათაურით: „დაუბრუნდება თუ არა რობსონი თავის ადგილს ზანგების მსოფლიო მოძრაობის სათავეში?“. „მე ამერიკული სახელმწიფოს დეპარტამენტის ტუვე შევიქენი, — ჩივის რობსონი. — მე წამართვია ხელოვნებაში გამოსვლის საშუალება და მაიძულებენ ჩურჩუ-

ლით ვილაპარაკო“. კარგა ხანია ამერიკის საკონცერტო სააგენტოები ბოიკოტს უცხადებენ ამ დიდ მომღერალს და მხოლოდ ზანგთა ეკლესიების მორწმუნენ არიან მისი მსმენელები. რობსონმა განაცხადა, არასოდეს ვყოფილვარ კომუნისტი, მე მხოლოდ ის მინდა, რომ შავკანიანი ხალხი გათავი-



სულდღეს ცრურწმენათა, დამცირებათა და ექსპლოატაციის უღლისაგანო. კულტურის სხვა მოღვაწეთა აზრით, ამერიკაში გამეფებული თანამედროვე იდეოლოგიური კრიზისის ძირითადი მიზეზი სწორედ თეთრკანიანთა და შავკანიანთა გამოცალკეებაა. მწერალი ნორმან მეილერი, ავტორი წიგნისა „გაშინებული და მკვდარი“, ამერიკულ უურნალოში („ადინტი“) აღწერს თანამედროვე ამერიკელის განწყობილებას. ატომური ომის აჩრდილის ქვეშ საოცრად გაფურჩქნა შემგუებლობა და სულისშემბუთებული ატმოსფერო. ყოველ ამერიკელს შიშის ოფლი ახსახს. ასეთ ვარემოში ახალი მნიშვნელობა მიიღო „დაბნეული თაობის“ ნათქვამმა ომის შესახებ, რომ „ამ უხეირო ქვეყანაზე მეგობრობისა, გულმოდურებისა და სამართლიანობისათვის რჩება მხოლოდ იმდენი ადგილი, რამდენსაც დაუთმობს მას ადამიანი, რომელიც მოიკრებს მთელ თავის განმედაობას“. როგორც მეილერი ამბობს, თანამედროვე ამერიკაში იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომ ზოლებსაც შეუგნიათ, რომ ბოლისადბოლოს ზანგები გაიმარჯვებენ სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ჯეპაროსნული ლაშქრობა როკ-ნ-როლის წინააღმდეგ**

განთქმულმა ამერიკელმა კინოსახიობმა და ჯეპის მომღერალმა ფრენკ სინატრამ ამერიკულ პრესაში განაცხადა, „ჯეპაროსნულ ლაშქრობას“ ვაცხადებ „კრეტინების მუსიკის“ — როკ-ნ-როლის წინააღმდეგო. სინატრა საკონცერტო ტურნეს მოაწყობს ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, რათა როკ-ნ-როლის მომღერლებს ბრძოლით წაართვას ამ „ცოკით“ გაფუტებული საზოგადოება.

**ბელგია**

**გომბარდინებაზე საზოგადოებრივი**  
ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმი „მეტროპოლიტენი“ სულ უფრო და უფრო მეტ ნამუშევრებს სტატებს ბელგის ხელოვნების მუზეუმს. ამას წინათ მათ 875 მილიონი ფრანკის ნამუშევრები შეიძინეს.

ბელგიელი ხელოვნების მუშაკნი აღშფოთებულნი გამოთქვამენ ამ ფაქტის გამო. „შვიდობიანობის დროს ჩვენ უფრო მეტ ვაძქვ ვერავით, ვიდრე ომის დროს დაეკარგეთ“ — აცხადებენ ისინი და ყოველ ღონეს ხმარობენ ამ უმცაგვისობის შესწყვეტად.

**ბერმანი**

**ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**

**ისტორიული სამხედლო**

უძველეს ძეგლთა დაცვის დრეზდენის კომიტეტმა ტექნიკურ ძეგლად გამოაცხადა სოფ. გრეიფენბაიენში არსებული უძველესი სამქედლო. ეს სამქედლო 235 წლისაა, შენახულია თავდაპირველი სხით, აქ ნახავთ ორასი წლის იარაღებს, ჩაქურდებს, გრდემლს. სამქედლო აგებულია 1772 წელს, ხოლო მისი ახლანდელი პატრონი მისი დამარხების შთამომავლია.

**ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**

**მსახიობთა პროტესტი**

მიანის ფრანკფურტის თეატრის სცენას ტოვებს 10 გამოჩენილი მსახიობი, რომელიც შორის არიან ფრიდრიხ შონფელდერი, ოტო როუველი, კონრად გეორგი. ესაა პროტესტი ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც არ ასრულებს თეატრის მშენებლობის გეგმებს. თეატრი იძულებულია თავი შეაფაროს ვიწრო და მოუხერხებულ შე-

ნობას, ომის დროს დაზარალებული შენობა კი, მიუხედავად მრავალი დაპირებისა, დღემდე არაა აღდგენილი.

**ღანია**

**„შანება“**  
გამომცემლობამ „გილდენდალ“ ამას წინათ გამოსცა მარტინ ანდერსენ ნექსეს უკანასკნელი, დაუმთავრებელი ნაწარმოები „უანეტა“. ბურჟუაზიული პრესა გააფთრებით თავს დებსხა ამ წიგნს და ავტორს ჩაბურულთა და დევნილთა მანიაკი უწოდო.

**ესპანეთი**

**ჰონოარის მოლოდინში**

როგორც უურნალი „ესტაფეტა ლიტერარია“ წერს, ესპანეთში ლიტერატურული ნაწარმოებები დასაშობებით 2,000 ტირაჟით გამოდის, ხოლო მწერლები ელიან მონოარის მანამ, ვიდრე არ გაიყიდება უკანასკნელი ეგზემპლარი. ეს კი, ჩვეულებრივად, რამდენიმე წლის ამბავია ხოლმე.

**ინგლისი**

**ხელოვნების სიკვდილმეხნილონი გადაარჩინს**

ლონდონის ეროვნული გალერეის რესტავრატორებმა აღმოაჩინეს საშუალება, რომელიც განადგურებისაგან იხსნის საუკუნეების სიძველის სავითი ხელოვნების ნიმუშებს.

ესა ნეილონის მქედრო ქსოვილი, რომელსაც ფრთხილად აკრავენ ნახატის მეორე მხარეს. ამუშავდ ინგლისელი მეცნიერები მუშაობენ საკითხზე — შეიძლება თუ არა ნეილონის გამოყენება სახატავ ტლოდ, რაც მომავალ თაობებს თავიდან ააცილებდა რესტავრაციის რთულ პრობლემებს.

**დიურბრის უცნობი ნახატი**

ერთერთ ინგლისელ კოლექციონერთან აღმოჩნდა დი-



დი გერმანელი მხატვრის ალბრეხტ დიურერის დღემდე უცნობი ნახატი — 20 X 15 სმ. ტილოზე გამოხატულია წმ. იოანის მოწოდება უდაბნოში. დიურერის ამ ნამუშევარს ინგლისის საზოგადოება პირველად ნახავს ოქსფორდის გამოფენაზე.

### ჯამს ჯოინის მუსიკაში

ინგლისური რადიოს ორკესტრმა გამართა ირლანდიელი მწერლის ჯემს ჯოინისადმი მიძღვნილი კონცერტი. პირველ ნაწილში შეასრულეს სამხელ ბეკეტის ნაწარმოები, მიძღვნილი ჯოინისადმი, ხოლო მეორე ნაწილში — უნგრული კომპოზიტორის მათიას სეიბერის მუსიკალური ნაწარმოები „ჟლინი“, დაწერილი ჯემს ჯოინის რომანის მიხედვით.

### კიდევ ერთი ყმაწვილი მწერალი

ინგლისში გამოჩნდა ახალი მწერალი დომინიკ რავენსპური — ესაა 17 წლის ქაბუკი, რომელსაც ბავშვობა განმარტოებულ შუქურაზე გაუტარებია.

რომანში, რომლის სახელწოდებაცაა „Cage“, რავენსპურს აღწერილი აქვს თავისი ბავშვობის განცდები; თვით რომანიც სამი კვირის განმავლობაში დაწერა შუქურაზე.

ინგლისის კრიტიკოსები ახალგაზრდა მწერალს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

### ჩაკლინის უცნობი ეპიკოდები

ინგლისის ტელეხედვის ორმა თანამშრომელმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გამოეცხნათ რაიმე ორიგინალური და აქამდე გამოუქვეყნებელი ეპიკოდის ამ ეპიკოდის, აღმოჩინეს ჩარლი ჩაკლინის ერთი უცნობი პატარა ეპიკოდი, რომელიც ერთ კინომოყვარულს თავისთვის გადაეღო. ეს ამბავი ასე მომხდარა:

1929 წელს უინსტონ ჩერჩილი პოლიციულ სტუმრებია. ჩაკლინის მიხედვით ჩვეულებრივად იმპროვიზირებული ეპიკოდი წარმოუდგენია.

სწორედ ეს ეპიკოდები აღმოაჩინეს ტელეხედვის მუშაკებმა და ინგლისის მაყურებელს აჩვენეს.

### იტალია

#### კიდევ 600 შედეგები ვალად აწვით

იტალიურ გაზეთში „Corriere della Sera“ აღნიშნული იყო, რომ ომის დროს იტალიაში მრავალი სურათი დიკარგა. რომში შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ამ სურათების მოძებნა და თავ-თავის მუსეუმებში დაბრუნება.

რომის მთავრობამ დააბრუნა მრავალი სურათი, რომლებიც გერმანიაში აღმოჩნდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს 600 სურათი, მათ შორის ტიციანის ცნობილი „ჟლოდოვიკო აროსტო“ და პოლიაიოლოს შედეგები „დადლილი მერკულესი“.

#### ზრანჩესკო გუარდის ორი სურათი

იტალიელმა კრიტიკოსმა და ხელოვნებათმცოდნემ როდოლფო პოლუჩიმ ვენეციის ერთ-ერთ სემინარიაში აღმოაჩინა მე-16 საუკუნის ყველაზე განთქმული მხატვრის ფრანჩესკო გუარდის ორი სურათი — ერთი სოფლის პეიზაჟია, ხოლო მეორე — ზღვისა.

#### პატრარკას წინასწარი მიტყვევება

ერთმა ვერონელმა მღვდელმა სიენიდან ათიოდე კმ-ის დაშორებით აღმოაჩინა შესანიშნავი სურათი ღვთისმშობლისა, რომელსაც ხელში ჩვილი ყრმა უკავია.

სიძველეთა აღდგენის ცენტრალური ინსტიტუტის დას-

კვით ეს სურათი ეკუთვნის დავიწყებულ მხატვარს სიმონ მარტინის, რომელსაც პეტრარკა თავის სონეტებში „შეკვდევსახსენს“ უწინასწარმეტყველებდა.

### სასწავლო კონსპექტები

იტალიაში გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ტელეხედე მაყურებლის სარულზე თეატრებსა და კინოში. 5 წლის განმავლობაში, რაც შეიქმნა იტალიის ტელეხედე, თეატრის გაყიდული ბილეთების რიცხვი 4 მილიონით შემცირდა. ამ კონსპექტშიც განსაკუთრებულად იმეორება სერიოზულ პიესებზე მაშინ, როცა კინო გაცილებით ნაკლებ დაზარალდა. ასლა იტალიის ასობით კინო და რამდენიმე თეატრიც იძულებული შეიქმნა თავის ფოიეში დაეგას ტელევიზორი, რათა მაყურებელი გაერთოს ანტრაქტების დროს.

### პოლონეთი

#### შოპენის სახელობის კონსერტები

1960 წლის 15—21 თებერვალს ვარშავაში ჩატარდება შოპენის სახელობის პირველი ინტერნაციონალური მუსიკალური-მეცნიერული კონგრესი, რომელიც მიეძღვნება დიდი კომპოზიტორის დაბადების 150 წლისთავს.

ამ კონგრესს აწეობენ პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, კულტურის სამინისტრო, უმაღლესი სკოლების სამინისტრო და ფრედერიკ შოპენის საზოგადოება.

ეს ორგანიზაციები მალე გამოაცხადებენ კონკურსს საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზე შოპენის შესახებ.

### საფრანგეთი

#### პასალი „ჰარმონი“

კინომოყვარულები იცნობენ „ჰარმონის“ ორ ვარიანტს — ერთი დაღა კრისტინა უკმა



მერიმეს ნოველის მიხედვით, მეორე კი ბიზეს ოპერის მიხედვით გადაიღო ოტო პრემინგერი.

ამჟამად უილიემ დუვიეი იღებს „კარმენს“ — ბალეტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ფრანგი მოცეკვავეები ზინი ჟანმესი (კარმენი) და სოლან პეტი (სოზე).

### „აისედორა დუნკანის არჩვეულპერივი ცნობრება“

ასეთი სახელწოდებით იღებენ საფრანგეთში ახალ სურათის გამოჩენილი მოცეკვავის აისედორა დუნკანის შესახებ.

დუნკანის როლის შესრულების პრეტენდენტია სამი მსახიობი: ავა გარდერი, ოდრი პერბურნი და კიმ ნოვაკი. ხოლო ამ ოცდა ხნის წინ გამოჩნდა მეფოხე შემსრულებელი, კინომოდერნიზატორის სრულიად უცნობი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც იგი შესანიშნავად განასახიერა აისედორა დუნკანის სიკვდილის სცენა (როგორც ცნობილია, მოცეკვავე ქალის შარფი ეტლის ბორბალს გამოედო და უცებ დაადრჩო), რომ დამდგმელების არჩევანი ალბათ მასზე შენერდება.

სურათში გამოყვანილი იქნება აგრეთვე მოქანდაკე ბურდელი, რომელმაც „შანს-ელიზეს“ თეატრის რელიეფებში გამოაქანდაკა დუნკანი.

### შარშანდელი ტარგმანები

ამას წინათ ფრანგულ პრესაში მოყვანილი იყო მეტად საინტერესო ციფრები თარგმანების შესახებ. ამ ციფრების მიხედვით ასეთი სურათია:

შარშან 51 ქვეყანაში ითარგმნა 24.274 წიგნი. აქედან 2.455 წიგნი, ე. ი. 10%, ფრანგული ლიტერატურიდანაა თარგმნილი.

საინტერესოა, რომ ფრანგული ლიტერატურიდან სხვადასხვა ენაზე ყველაზე მეტი რაოდენობით

დენობითაა თარგმნილი უილვერნი (90); ამ მხრივ მას ბევრად ჩამორჩებიან ბალზაკი (50), დიუმა (49), მოპასანი (40), ზოლა და პიუგო (37), სტენდალი და როლანი (27), ფლობერი და დოდე (13).

თანამედროვე ფრანგი ავტორებიდან ყველაზე მეტადაა თარგმნილი მორიაკი (29), უიდი და კოლეთი (22) და სხვ.

### „მწერლის მოგონებანი და აღსარებანი“

ცნობილ თანამედროვე ფრანგ მწერალს უილ რომენს თავის ნაწარმოებებში უამრავი მოქმედი პირი ჰყავს გამოყვანილი: რომანებში — 1200, ხოლო პიესებში — 300.

უ. რომენი თავის ახალ წიგნში — „მწერლის მოგონებანი და აღსარებანი“ მკითხველს უზიარებს თავის გამოცდილებას. იგი ეხება თავის მოქმედ პიერებსაც, მათს პრატიკაებს. წიგნი მეტად საინტერესოა დაწერისი და შეუნერებელი ინტერესით იკითხება.

### „ლამაზი სერჟი“

ახალგაზრდა ჟურნალისტი კლოდ შაბროლი იღებს სურათს — „ლამაზი სერჟი“. ფილმი ეხება გუგუნიკის ცხოვრებას. მთავარ როლს ასრულებს ჟერარ ბლენი.

შაბროლს ამ სურათის გადაღებისას არავისგან მიუღია არავითარი ფინანსიური თუ ტექნიკური დახმარება. სცენარის ავტორიც, დამდგმელიც და გადაამღებიც თვითონ შაბროლია.

კრიტიკოსების აზრით ეს იქნება მეტად გაზედული სურათი.

### ჩეხოსლოვაკია

#### დოსტოიშისკი ოპერაში

პრადის ეროვნულმა თეატრმა ადადგინა ჩეხი კომპოზიტორის ოტაკარ ვერელმისი ოპერა, რომელიც მან ამ 20 წლის წინათ დაწერა დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვების“ სიუჟეტის მიხედვით. პრადის ოპერის

თეატრი დგამს აგრეთვე უნიკიტრესი თანამედროვე კომპოზიტორის ლეოპ იანიჩეის ოპერას, რომელსაც აგრეთვე საფუძვლად დაედო დოსტოევსკის „ჩანაწერები მკვდარი სახლისადან“.

### ჩილი

#### ჩილიელ მასწავლებელთა მამაცური ბრძოლა

ჩილიში ლათინური ამერიკის ყველა სხვა ქვეყანაზე მეტად იგრძნობა, თუ რა დამღუბველ გავლენას ახდენს ის ამბავი, რომ ეს ქვეყანა დამოკიდებულია ამერიკაზე. უკანასკნელი წლების მანძილზე ცხოვრება 90%-ით გაძვირდა, ამასთან გამოიცა კანონი, ხელფასის შეცვლა არ შეიძლებაო. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად მწვავედ მოქმედებს მასწავლებლობაზე, რადგან სახალხო განათლებისათვის გროშებია გამოყოფილი. ჩილელ მასწავლებელთა პროფკავშირმა მთავრობას მიმართა მოთხოვნით — გაიზარდოს სკოლებისთვის გამოყოფილი ხარჯები 20%-ით და გადღედეს მასწავლებელთა ხელფასი. მთავრობამ უყურადღებოდ დატოვა ეს მოთხოვნისა და დაიქანდა, თუ ფაფიცვას გამოაცხადებთ, „დემოკრატიის დაცვის კანონს“ გამოვიყენებთ მასწავლებლების მიმართო. მიუხედავად ამ მოქარისა, მიუხედავად იმისა, რომ დააპატიმრეს პროფკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები და პოლიციამ დაარბია მასწავლებელთა კრებები, ისინი მაინც მედგრად განაგრძობენ ბრძოლას.

არა მარტო მთელი მათი ქვეყნის, არამედ სამხრეთ ამერიკის ბევრი სხვა ქვეყნის, ევროპის, აზიისა და აფრიკის მასწავლებელთა ორგანიზაციებმა ჩილის მთავრობას გაუგზავნა აუარება საპროტესტო დეპეშა მასწავლებლების მიმართ ასეთი აღმასვფოთებელი ძალა-

დობის გამო. მასწავლებელთა გაფიცვას შეუერთდა უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების, სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა და პროფესორთა, უნივერსიტეტის პროფესორთა გაფიცვები, აგრეთვე მშობელთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირების პროტესტები. ყოველივე ამან, აგრეთვე პარლამენტში დღევანდელის გაგზავნამ, აიძულა მთავრობა დათმობაზე წასულიყო და განსახილველად მიეღო მასწავლებელთა მოთხოვნები.

ჩილის მასწავლებლებს გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ, ვიდრე არ გაიმარჯვებენ.

### ჩინეთი

#### 70 წელი სემენაზე

ამას წინათ პეკინში აღინიშნა ოპერის ცნობილი მსახიობის შიან-ჩანგ-ჰუას თეატრალური მოღვაწეობის 70 წელი.

80 წელს მიღწეული ხელოვანი მრავალი წლის მანძილზე აღაფრთოვანებდა მაყურებელს თავისი მრავალმხრივი მსახიობური ნიჭით და საუცხოო ხმით. იგი დღესაც განაგრძობს

სცენიურ მოღვაწეობას, ასრულებს ყოველგვარ როლს, მათ შორის — ქალის როლსაც. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან 1.000-მდე ახალგაზრდა მსახიობი გამოაზარდა.

### ზგვადეთი

#### ფუზია მიწიერი დიდება

დასავლეთ გერმანიის შურნალმა „შტუტგარტერ ცაიტუნგ“, ლიტერატურაში ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით, თავს იღვა ჩამოთვლა ყველა ლაურეატებისა, რომლებიც, 1900 წლიდან მოყოლებული, დაუჯილდოვებია შეგდეთის აკადემიას ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. აღმოჩნდა, რომ ამ ლაურეატთა უმრავლესობა დღეს „მივიწყებულია და მიტოვებულია“ კატეგორიას მიეკუთვნებიან.

### ზოტლანდია

#### სამართაშორისო ფესტივალები

ზოტლანდიელები თავის დედაქალაქს ედინბურგს „თანამედროვე ათინას“ ეძახიან, რად-

განა აქ მიმდინარეობს გაცხოველებული კულტურული ცხოვრება, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს. 1947 წლიდან აქ იმართება „ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალები“, სადაც ტარდება შეჯიბრება მუსიკის, თეატრის, ბალეტისა და კინოს დარგში, ეწყობა მხატვრული გამოფენები და სხვ. წელს, მაგალითად, ედინბურგის ფესტივალზე გამოვიდა 2.000-ზე მეტი შემსრულებელი, მათ შორის 6 ორკესტრი, 8 კამერული ანსამბლი და გუნდი, 9 თეატრალური დასი, მცირე სკალას (იტალია) საოპერო ანსამბლი, 3 საბალეტო ანსამბლი და 20-ზე მეტი სოლისტი. ხულ მოეწყო 45 კონცერტი და 42 საოპერო და საბალეტო წარმოდგენა.

ფესტივალი 3 კვირას გრძელდება ხოლმე და ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს ხვდებიან თითქმის მთელი მსოფლიოს ხელოვნების მუშაკები. ედინბურგის მცხოვრებლები დიდ ინტერესს იჩენენ ამ ფესტივალებისადმი და თავიც მოსწონთ, რადგან ესაა მათი ქვეყნის წვლილი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საქმეში.





## ახალი წიგნები

### „საბავთა საქართველო“

- ა. ზეგერხე — მიცვალებულნი ახალგაზრდები რჩებიან. გერმანულიდან თარგმნეს თ. ელენტიშვილმა, რედ. კ. ჯორჯანიანი, გვ. 453, ფასი 14 მან. 70 კაპ.
- დ. ჯაფარიშვილი — ქართული ხალხური ცეკვები. რედ. ი. ხუჭუა, გვ. 278, ფასი 15 მან. 50 კაპ.
- ე. კ. ენიკოლოპოვი — ბუშკინი საქართველოში. რედ. ეთ. ზუბიაშვილი, გვ. 202, ფასი 5 მან.
- მინ. შოლოხოვი — წყნარი დონი, წიგნი II, თარგმ. თ. ჯავახიშვილისა. რედ. რ. ქორქია; გვ. 450, ფასი 7 მან. 80 კაპ.
- რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. — შემდგენელი ელ. ვირსალაძე. რედ. გ. ხოშტარიანი, გვ. 448, ფასი 9 მან.
- რ. ინანიშვილი — მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 148, ფასი 3 მან. 35 კაპ.
- სანდრო ელლი-ჭურბიძე — ლექსები, პოემები. რედ. ილ. ხოშტარიანი, გვ. 415, ფასი 11 მან. 50 კაპ.
- მ. გორკი — მოთხრობები, ტ. III. რედ. დ. შენგელაია, გვ. 664, ფასი 14 მან.

### „საბავთა მწერალი“

- ნ. ჩაჩავა — საღაც გზობილვარ. რედ. ი. ნონეშვილი, გვ. 149, ფასი 3 მან. 90 კაპ.
- გრ. ჩიქოვანი — სიყვარული. რედ. თ. კობლაძე, გვ. 500, ფასი 11 მან. 70 კაპ.

### საბავთა მწერალი

- ვ. შუბლაძე — გაზაფხულის ყვავილები. რედ. მ. ჭავჭავაძე, გვ. 40, ფასი 1 მან. 70 კაპ.
- ბ. ჭანიშვილი — ნამიკეცი. რედ. მ. ჭავჭავაძე, გვ. 95, ფასი 3 მან.
- გრ. ჩიქოვანი — კაცი გამოქვაბულში. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 107, ფასი 2 მან. 60 კაპ.
- მ. ლერმონტოვი — აშულ-ყარიბი. თარგმ. ი. საათაშვილისა, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 15, ფასი 3 მან.
- ვაჟა-ფშაველა — რჩეული. რედ. გ. ლეონიძე, გვ. 630, ფასი 23 მან. 10 კაპ.

### ხელოვნება

- ბ. მესხი — წერილები თეატრის შესახებ. შემდგენლები — შ. სალუქვაძე, ვ. ლოლაძე. რედ. აკ. გაწერელია, გვ. 190, ფასი 10 მან. 80 კაპ.

---

ხელმოწერილია დასაბუქდად 31/III-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 159.  
უე 02109. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკამომცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили. 5.

8-13/53

5-6/169



ფან 6 856.

ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ